

საერთაშორისო რეფერირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული  
ჟურნალი „იურისტი“

International Scientific-Practical Referenced Journal  
Международный Реферированный Научно-Практический

Журнал – „Юрист“

# იურისტი \_ LAWYER

№9

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი – 2020 – TBILISI

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“ დაფუძნებულია საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ.

International Referral Scientific-Practical Journal “Lawyer” is Founded by both Georgian Academy of Law Sciences and Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University



ჟურნალი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო  
ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით

The journal is published with support of the Faculty of Law and  
International Relations of Georgian Technical University

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ, იურიდიული მისამართი:  
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №75,  
ფაქტობრივი მისამართი: კოსტავას №77 სტუ, მე-6 კორპუსი.,  
ოთახი 903 ა, ტ.: 995 599 940 114 ელ-ფოსტა: law@gtu.ge

The journal is published four times in a year. Address:  
Tbilisi, Vazha-Pshavela Avenue, №75 Actusi Address: Tbilisi, Kostava street, №77, STU,  
6 block Room 903 a, T., 599 940 114 E-mail: law@gtu.ge

ISSN 9772449270009

© ავტორები

© სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2020

---

**ჟურნალ „იურისტი“-ს მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ფაფიაშვილი.**  
**რედაქტორის მოადგილე, პროფესორი – ჯემალ ბაბელია.**

## **სარედაქციო კოლეგია**

- ჯონი ხეცურიანი** – პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
- არჩილ ფრანგიშვილი** – პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
- შოთა ფაფიაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (თავმჯდომარე);
- ჯემალ გახოკიძე** – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპიკერი;
- ირაკლი გაბისონია** – პროფესორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანი;
- ლადო ჭანტურია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ელჩი გერმანიაში;
- ზაზა რუხაძე** – პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დეკანი;
- ჯემალ გაბელია** – პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- გენადი ხოხრიაკოვი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – მოსკოვი;
- მიხეილ მამნიაშვილი** – პროფესორი;
- ნიკოლა ბელიაევი** – პროფესორი, სანკტ-პეტერბურგი;
- იანეს გრანცი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლუბლიანას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (სლოვენია). საპატიო დოქტორი (პუატიე, საფრანგეთი)
- ჰანს იორგ ალბრეხტი** – გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
- პეტერ იურგენ გრაფი** – გერმანიის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი;
- რომან შენგელია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- ვეფხვია გვარამია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- ივანე ჯაგოდნიშვილი** – სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- გივი ლობჯანიძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- შენგელი ფიცხელაური** – პროფესორი; გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.
- ლალი ფაფიაშვილი** – პროფესორი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ელიკო ნიკლაური-ლამიხი** – პროფესორი – გერმანია.
- ტექნიკური რედაქტორი** – თამარ ბარამია
- თარგმანი** – ეკა რუსიეშვილი

---

**Executive Managing Editor, Doctor of Law Science, Professor-Shota Papiashvili**

**Managing Editor. Professor – Jemal Gabelia**

### **Editorial Board**

**Joni Khetsuriani** \_ Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia

**Archil Prangishvili** \_ Professor, Academiein of National Science of Georgia;

**Shota Papiashvili**- Doctor of Law Science, Professor. (Chairman)

**Jemal Gakhokidze** \_ Professor, Speaker of Georgian Technical University, General;

**Irakli Gabisonia** \_ Professor, Dean of Law and International Relations Faculty in Georgian Technical University;

**Lado Tchanturia** \_ Professor, Tbilisi State University, Ambassador of Georgia in Germany;

**Zaza Rukhadze** \_ Professor, Dean of Georgian-American University;

**Genadi Khokhriakov** \_ Professor, PhD of cLaw – Moscow

**Mikheil Mamniashvili** \_ Professor;

**Jemal gabelia**- Professor, Deputy Dean of Law and International Relations in Faculty Georgian Technical University;

**Nikola Believi** \_ Professor. St. Petersburg;

**Janez kranjc** – Doctor of legal Sciences, dr.h.c.)(polotiers, France)Full Professor of The University of Ljubljana Faculty of law;

**Hans Jorg Albrecht** – Director of the Max Planck Institute of German Criminal Law, Professor;

**Peter Jurgen Graf**-German Supreme Court Deputy Chairperson of the Senate, Professor;

**Roman Shengelia**- Doctor of Law Science, Professor;

**Vepkhvia Gvaramia** \_ Professor, Sokhumi State University, Dean of Juridical Faculty

**Ivane Jagodnishvili** \_ Dean of Engineering economy, Media an social Sciences Faculty, Doctor of Philology, Professor;

**Givi Lobzhanidze** \_ Doctor of Law Science, Professor;

**Shengeli Pitskhelauri** \_ Professor, Guram Tavartkiladze’s University, Dean of Juridical Faculty;

**Lali Papiashvili** \_ Professor, Deputy Chairman of Georgian Constitutional Court;

**Eliko Tsiklauri-Lamikhi** – Professor, Germany.

**Tecnical Editor** \_ Tamar Baramia

**Translation** \_ Eka Rusieshvili

---

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ელექტრონული მმართველობისა და ციფრული დემოკრატიის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში

1. ირაკლი გაბისონია, ქეთევან მარშავა - საქართველოს შედეგები გაეროს ელექტრონული მმართველობის ინდექსში.....9

### სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც სოციალური, ზნეობრივი სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკა“ ფარგლებში

1. ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი – სამართლის სფერო ფილოსოფიური პრობლემატიკით.....18  
2. სალომე ხიზანიშვილი – სამართლის ფილოსოფია – ზღვარი ფილოსოფიასა და სამართალს შორის..... 24

### სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „პოლიტიკური პარტიების სამართალი“ ფარგლებში

1. მარიამ ჯიქია, სოფიო დემეტრაშვილი – არჩევნების ინსტიტუტის განვითარების ისტორიული ექსკურსი.....31

### სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სპორტის სამართალი“ ფარგლებში

1. გიორგი გორაძის თარგმანი და კომენტარები – „შრომის სამართალი სპორტში“.....41

## სისხლის სამართალი

1. შოთა ფაფიაშვილი - ფარული გამოძიების ტაქტიკურ – პროცესუალური ნოვაციები.....53  
2. ჯემალ ჯანაშია - ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საერთაშორისო კონტროლის სისტემის შედარებითი ანალიზი.....61  
3. თეიმურაზ დარსანია, ანა ჯოჯუა - იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ზოგიერთი ინსტიტუტის მიმოხილვა.....75

---

## სამოქალაქო სამართალი

1. ჯუბო ტურაშვილი – „არსებითი ინტერესების ადგილის“ ცნება ვალაუვებლობის ევროპული რეგულაციის მიხედვით.....88

## კონსტიტუციური სამართალი

1. ირინა ბათიაშვილი - სიცოცხლის უფლება - კონსტიტუციის თეთრი სამოსი.....95  
2. ნიკა ასვანუა - პირადი ცხოვრების დაცვა თანამედროვე ეპოქაში.....107

## საერთაშორისო ურთიერთობები

1. გიორგი მურვანიძე - პოლიტიკური პარტიების გავლენა პირველ მსოფლიო ომზე და ომის შედეგად შეცვლილი მსოფლიო პოლიტიკური გარემო.....112

## ეკონომიკა

1. გრიგოლ ლილუაშვილი - რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოება და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა ..... 125

---

## Contents

### Within the framework of the scientific-research project

#### "Development of e-Government and Digital Democracy in Georgia"

<b>1. Irakli Gabisonia, Ketevan Marshava - Georgia in the UN E-government Index.....</b>	<b>9</b>
--	----------

### Within the framework of the scientific-research project

#### "Legal State as a Social, Moral State and Market Economy"

<b>1. Alexander Taliashvili, Salome Khizanishvili - Law with Philosophical Problems.....</b>	<b>18</b>
<b>2. Salome Khizanishvili - Philosophy of Judge - Between Border Philosophy and Law.....</b>	<b>24</b>

### Within the framework of the scientific-research project

#### "Law of Political Parties"

<b>1. Mariam Jikia, Sophio Demetrashvili - History of the Development of Electoral Systems .....</b>	<b>31</b>
--	-----------

### Within the framework of the scientific-research project

#### "Sports Law"

<b>1. Giorgi Goradze's translation and comments - "Labor Law in Sport" .....</b>	<b>41</b>
--	-----------

## Criminal law

<b>1. Shota Papiashvili - Tactical-procedural innovations of covert investigation.....</b>	<b>53</b>
<b>2. Jemal Janashia - Comparative Analysis of the International Control System for Drugs and Psychotropic Substances.....</b>	<b>61</b>
<b>3. Teimuraz Darsania, Anna Jojua - Review of Some Institutions of the General Part of the Criminal Code of Japan.....</b>	<b>75</b>

---

## Civil law

- 1. Juba Turashvili** - Centre of Main Interests” under European Insolvency Regulation.....88

## Constitutional Law

- 1. Irina Batiashvili** - Life-Condition of the Constitution.....95
- 2. Nika Asvanua** - Protection of personal life in the modern era.....107

## International Relations

- 1. Giorgi Murvanidze** - The Influence of Political Parties on the First World War and the Changed World Political Environment .....112

## Economic

- 1. Grigol Liluashvili** - Regional Economic Security and Cross-border Cooperation .....125



## საქართველოს შედეგები გაეროს ელექტრონული

### მმართველობის ინდექსში

ირაკლი გაბისონია \*

ქეთევან მარუაშვილი \*

#### შესავალი

საინფორმაციო ტექნოლოგიურმა განვითარებამ ქვეყნებში – ეფექტიანი, მოქნილი და გამჭვირვალე მთავრობის შექმნის აუცილებლობა დააყენა. ელექტრონული მთავრობა, მიზნად ისახავს ისეთი სისტემის შექმნას და განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის გაზრდას. ელექტრონული მთავრობის ფორმირების პროცესში მთავარი სუბიექტი თავად სახელმწიფოა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ელექტრონული მთავრობის წარმატებით განხორციელების ყველა პირობა.

ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი<sup>3</sup> (EGDI) წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წვერი სახელმწიფოების ელექტრონული მმართველობის განვითარების მდგომარეობას. ქვეყანაში ვებ-გვერდების განვითარების შეფასების პარალელურად, ელექტრონული მმართველობის ინდექსი მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო დონეები, რაც იმის გამოხატულებაა, თუ როგორ იყენებს ქვეყანა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და რა პერსპექტივები აქვს ტექნოლოგიურ განვითარებას ქვეყნისთვის. ემგი (ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი) ელექტრონული მმართველობის სამ მნიშვნელოვან მაჩვენებელს მოიცავს, კერძოდ: ონლაინ სერვისების მიწოდება, სატელეკომუნიკაციო კავშირი და ადამიანური შესაძლებლობები. უნდა აღინიშნოს, რომ ემგი არ არის ელექტრონული მმართველობის განვითარების შეფასება აბსოლუტური გაგებით, მისი მიზანია ნაციონალური მთავრობების საქმიანობების შეფასება და ურთიერთშედარება.

ორ წელიწადში ერთხელ, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი (UNDESA) საზოგადოებრივი ადმინისტრირებისა და განვითარების მენეჯმენტის განყოფილების (DPADM) მეშვეობით აქვეყნებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციების მთავრობის ელ-მმართველობის კვლევას. ქვეყნების შედეგების შეფასება და შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნების ელექტრონული მმართველობის პროგრამების ჩამოყალიბებას, ხოლო მრავალ-მაჩვენებლიანი ინდიკატორის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა მოხდეს თითოეული პარამეტრის დეტალური ანალიზი. აქედან გამომდინარე, ინდექსის სიდიდე და მისი სუბინდექსების მნიშვნელობები ფართოდ გამოყენებადია მთავრობის წარმომადგენლებისთვის, პოლიტიკოსებისათვის, მკვლევარებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრებისათვის.

\* სამართლის დოქტორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

\* ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-ემერიტუსი

<sup>3</sup> UN Department of Economic and Social Affairs, United Nations E-Government Survey 2018, იხ. <[https://www.unescap.org/sites/default/files/E-Government%20Survey%202018\\_FINAL.pdf](https://www.unescap.org/sites/default/files/E-Government%20Survey%202018_FINAL.pdf)> [01.03.2020]

## 1. ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი

EGDI ეყრდნობა საექსპერტო შეფასებას, რომელიც კეთდება გაეროს 193 წევრი ქვეყნის მონაცემების მიხედვით. შეფასება ეხება ეროვნულ ვებ გვერდებს, ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის გამოყენებას, აუცილებელი სერვისების მიწოდებას, სახელმწიფოს როგორც ზოგად სტრატეგიებს, ისე კონკრეტული სექტორების მიხედვით. ინდექსი არა აბსოლუტური საზომი, არამედ შეფარდებითი მაჩვენებელია, რომელიც ქვეყნებს შორის შესადარებლად გამოიყენება.

EGDI გამოითვლება სამი სუბინდექსის საშუალო შენონილით. ეს სუბინდექსებია: ონლაინ სერვისები (OSI), სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა (TII) და ადამიანური კაპიტალი (HCI). **ონლაინ სერვისები** - ფასდება ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სამთავრობო ვებგვერდები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული ვებ გვერდების, ელექტრონული სერვისებისა და პლატფორმების არსებობას. **სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა** - ფასდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა: ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა, მობილური ტელეფონის მომხმარებელთა რაოდენობა, უსადენო ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა და ა.შ. **ადამიანური კაპიტალი** - გვიჩვენებს თუ რა პოტენციალი აქვს მოსახლეობას იმისათვის, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით,<sup>1</sup> მსოფლიოს ყველა რეგიონის ქვეყნები აგრძელებენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ელექტრონული მმართველობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი სერვისების ონლაინ მიწოდებისათვის. 2018 წელს უფრო მეტმა ქვეყანამ შეძლო დანინაურება და ინდექსის მნიშვნელობების გაუმჯობესება 0.75-დან 1.00 დიაპაზონში, ვიდრე ეს იყო 2016 წელს. გაეროს წევრი 193 ქვეყნის თითქმის ორი მესამედი ამჟამად აჩვენებს ელექტრონული მმართველობის მაღალ დონეს, რაც არის EGDI-ს მნიშვნელობით 0,5-დან 1-მდე ინტერვალში. პირველად, 2018 წლის კვლევაში ყურადღება დაეთმო ელექტრონული მმართველობის განვითარებას ლოკალურ დონეზე, ის მოიცავს მსოფლიოს 40 ქალაქს. ესენია: აფრიკის 7 ქალაქის მუნიციპალური პორტალების შეფასება, 6 ქალაქი ამერიკაში, აზიაში – 13, ევროპაში – 12 და ოკეანეთის ზონაში 2 ქალაქი, რომელთა შორის ლიდერებია მოსკოვი (რუსეთი), კეიპ-თაუნი (ს. აფრიკა) და ტალინი (ესტონეთი).

ქვეყნების ელექტრონული მმართველობის განვითარების ტენდენციები შემდეგია:

- ევროპული ქვეყნები ლიდერობენ ელექტრონული მმართველობის განვითარებას მსოფლიო დონეზე; ამერიკა და აზია თითქმის თანაბარ პოზიციებს იკავებენ მაღალ და საშუალო ელექტრონული მმართველობის ინდექსის დონეზე. ამერიკასა და აზიაში აშკარაა ნელი, თუმცა ელექტრონული მმართველობის განვითარების პროგრესი. აზიის ქვეყნების 2/3 და ამერიკის ქვეყნების თითქმის ნახევარს EGDI-ს მსოფლიოს საშუალო დონეზე (0,55) მაღალი მაჩვენებელი აქვს; აფრიკის ქვეყნები კი დაბალ დონეზე არიან და აგრძელებს ელექტრონული მმართველობის ინდექსის რეიტინგში პოზიციის გაუმჯობესებას. აფრიკის 54 ქვეყნიდან მხოლოდ 4 ქვეყანას აქვს მსოფლიოს საშუალო დონეზე მაღალი მაჩვენებელი.
- მიუხედავად იმისა რომ EGDI არ არის უნივერსალური მაჩვენებელი, ზოგადად არსებობს მაღალი კორელაციური კავშირი ქვეყნის შემოსავლის დონესა და მის ელექტრონული მმართველობას შორის. მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს აქვთ EGDI-ს ძალიან მაღალი ან მაღალი ქულა. მეორეს მხრივ კი დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს ინდექსის ყველა კომპონენტის მიხედვით აქვთ შედარებით დაბალი დონე.


<sup>1</sup> UN Department of Economic and Social Affairs, United Nations E-Government Survey 2018, იხ. <<https://www.un.org/development/desa/publications/2018-un-e-government-survey.html>> [01.03.2020]

- პირველად 2018 წელს მოხდა EDGI-ს ყველა მაჩვენებლის ჯგუფში გაუმჯობესება, ისეთი როგორცაა ონლაინ სერვისების შემუშავება, ელექტრონული მმართველობისა და საზოგადოებრივი სერვისების ინტერნეტით უზრუნველყოფის გაუმჯობესება. ონლაინ სერვისების გაუმჯობესების მხრივ მნიშვნელოვანია სამი მომსახურების გაუმჯობესება, ესენია: კომუნალური გადახდები (140 ქვეყანა), საშემოსავლო გადასახადების გადახდა (139 ქვეყანა) და ახალი ბიზნესის რეგისტრაცია (126 ქვეყანა).

## 2. მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი ელექტრონული მმართველობის ინდექსის მიხედვით

ელექტრონული მმართველობის ინდექსში ლიდერობენ: დანია, ავსტრალია, ს. კორეა, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ფინეთი, სინგაპური, ახალი ზელანდია, საფრანგეთი, იაპონია (დიაგრამა 1). ცხადია აღნიშნულ ქვეყნებში ლიდერობენ ევროპის ქვეყნები (5), ასევე წარმოდგენილი არიან აზიისა (3) და ოკეანეთის ქვეყნები (2). აშშ რომელიც რეიტინგის ათეულში ვერ მოხვდა, დასაწყისში 2003-2005 წლებში ის ლიდერი ქვეყანა იყო და საპატიო პირველ ადგილს იკავებდა, თუმცა მომდევნო პერიოდში დაკარგა ლიდერობა და 2018 წლის ანგარიშში ის 0.88 ქულით მე-11-ე ადგილს იკავებს.

დიაგრამა 1. ელექტრონული მმართველობის ინდექსი, 2018 წელი<sup>2</sup>



რეიტინგის ბოლო ადგილზე აფრიკის ქვეყნები არიან: ეკვატორული გვინეა (0.23); ჩრ. კორეა (0.22); იემენი (0.22); გვინეა ბისაუ (0.19); ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (0.16); ერიტრეა (0.13); ჩადი (0.13); ს. სუდანი (0.12); ნიგერი (0.11); სომალი (0.06).

სტატიის დასაწყისში განვიხილეთ, რომ ელექტრონული მმართველობის ინდექსი გამოითვლება სამი სუბინდექსის საშუალო შენონილით. განვიხილოთ აღნიშნული სუბინდექსები.

**ონლაინ სერვისები (OSI)** – ასახავს ქვეყნებს შორის ელექტრონულ მმართველობაში განსხვავებებს. ონლაინ სერვისის ინდექსის მისაღებად, 90-ზე მეტმა მკვლევარმა და მოხალისებმა შეაფასეს თითოეული ქვეყნის ეროვნული ვებ – გვერდი მშობლიურ ენაზე, მათ შორის, ეროვნული პორტალი, ელექტრონული სერვისების პორტალი და ელექტრონული მონაწილეობის პორტალი და აგრეთვე შესაბამისი განათლების, შრომის, სოციალური მომსახურების, ჯანმრთელობის, ფინანსთა და გარემოს დაცვის სამინისტროების ვებგვერდე-

<sup>2</sup> Kosenkov K., UN E-government Development Index, 27.08.2018, იხ. <<https://knoema.com/infographics/mctunlb/un-e-government-development-index?indicator=E-Participation%20Index>>[01.03.2020]


ბი. კვლევის შედეგებზე მიღებულია საინდექსო ქულები.

**სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა (TII)** – მიღება ხუთი ინდიკატორის საშუალო არითმეტიკულით: 1. ინტერნეტ მომხმარებლების მოსალოდნელი რაოდენობა 100 მოსახლეზე, 2. ფიქსირებული სატელეფონო ხაზების რაოდენობა 100 მოსახლეზე, 3. მობილური აბონენტების რაოდენობა ყოველ 100 აბონენტზე, 4. უკაბელო კომპიუტერული მონყობილობების რაოდენობა 100 მოსახლეზე და 5. ფიქსირებული სადენიანი მონყობილობების რაოდენობა 100 მოსახლეზე. თითოეულ შემთხვევაში მონაცემთა პირველად წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი.

**ადამიანური კაპიტალი (HCI)** – არის ოთხი სუბინდექსის შენონილი საშუალო, ეს სუბინდექსებია: 1. ზრდასრულთა წიგნიერების დონე, 2. დანყებით, საშუალო და უმაღლეს საფეხურზე ჩარიცხულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობა ასაკის მიუხედავად, რომელიც გამოითვლება სასკოლო ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილით მთლიან მოსახლეობასთან. 3. სწავლის მოსალოდნელი წლები; 4. სწავლის საშუალო წელი.

ელექტრონული მმართველობის ინდექსთან ერთად ანგარიშობენ მეორე მაჩვენებელს **ელექტრონული ჩართულობის ინდექსს (EPI)**, რომელიც შეფასებულია როგორც გაეროს სამთავრობო კვლევის დამატებითი ინდექსი. იგი აფართოებს კვლევის განზომილებას და ფოკუსირდება ონლაინ სერვისების გამოყენებაზე, როგორც არის მოქალაქეებისათვის „ელექტრონული ინფორმაციის გაზიარება“, „ელექტრონული კონსულტაცია“, დაინტერესებულ სუბიექტებს შორის „ელექტრონული გადაწყვეტილების მიღება“. EPI-ს მიზანია არა რაიმე განსაკუთრებული პრაქტიკული ამოცანის გადაჭრა, არამედ სერვისის შემოთავაზება, თუ როგორ იყენებენ სხვადასხვა ქვეყნები ონლაინ საშუალებებს და როგორია მასში მთავრობისა და მოქალაქეების ჩართულობა.

ელ-ჩართულობის ინდექსი<sup>3</sup> ასახავს ხელისუფლების მზაობას ახალი ტექნოლოგიების დახმარებით, ხელი შეუწყოს მმართველობის პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობას. ელ-ჩართულობის ინდექსი, თავის მხრივ, მოიცავს სამ სუბინდექსს. **ელ-ინფორმაცია – რამდენად ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის საჯარო ინფორმაცია; ელ-კონსულტაცია გვიჩვენებს თუ რამდენად აქვთ მოქალაქეებს შესაძლებლობა, ჩაერთონ საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში; ელ-გადაწყვეტილების მიღება გვიჩვენებს თუ რამდენად უქმნის მთავრობა მოქალაქეებს პირობას, რომ იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის თანამონაწილეები და გვიჩვენებს ონლაინ სერვისების განვითარების დონეს.**



**დიაგრამა 2.** ელექტრონული ჩართულობის ინდექსი, 2018 წელი<sup>4</sup>

<sup>3</sup> ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი, იხ. <[https://idfi.ge/ge/georgia\\_in\\_und\\_e\\_governance\\_index\\_2018](https://idfi.ge/ge/georgia_in_und_e_governance_index_2018)>; იხ. <https://publicadministration.un.org/en/Research/UN-e-Government-Surveys>> [01.03.2020]

<sup>4</sup> Kosenkov K., UN E-government Development Index, 27.08.2018, იხ. <[https://knoema.com/infographics/mctunlb/un-e-government-development-index?indicator=Telecommunication%20Infrastructure%20Index%20\(TII\)](https://knoema.com/infographics/mctunlb/un-e-government-development-index?indicator=Telecommunication%20Infrastructure%20Index%20(TII))> [01.03.2020]



2018 წლის ანგარიშის მიხედვით, ელექტრონული ჩართულობის ინდექსის (EPI) ლიდერი ქვეყნები არიან: ფინეთი, ს. კორეა, დანია, ნიდერლანდები, აშშ, იაპონია, ახ. ზელანდია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია (დიაგრამა 2).


მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება, ამავე დროს იზრდება ურბანიზაციის დონეც. ქალაქებში უფრო მეტი და მეტი ადამიანი ცხოვრობს. 2018 წელს, მსოფლიოს მოსახლეობის 55 პროცენტი ცხოვრობდა ქალაქებში. ნავარაუდებია, რომ ეს მაჩვენებელი 2050 წლისთვის 68 პროცენტამდე მოიმატებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ათიდან შვიდი ადამიანი იცხოვრებს ქალაქში. შესაბამისად ინტერნეტიზაცია და ელექტრონული მმართველობის დანერგვა აქტუალურ საკითხებს წარმოადგენს. როგორც ინდექსის კვლევის ავტორები აცხადებენ, 2020 წლისთვის იგეგმება კვლევის გაფართოება. დაემატება ახალი მაჩვენებლები, რაც შესაძლებელს გახდის უფრო დეტალურად მოხდეს აღნიშნული საკითხების შესწავლა. „ჭკვიანი ქალაქების“ კონცეფცია დღითიდღე აქტუალური და მოთხოვნადი ხდება, რაც პირველ რიგში ნიშნავს მოქალაქეთა ცხოვრების წესში თანამედროვე და „ჭკვიანი“ ტექნოლოგიების დანერგვას. კვლევის ავტორები გეგმავენ, რომ მომდევნო კვლევები დაუთმონ, ჭკვიანი ქალაქების შეფასებას.

### 3. საქართველოს მაჩვენებლების შეფასება

მე-3 დიაგრამა განხილულია საქართველოს მაჩვენებლები ელექტრონული ჩართულობისა და ელექტრონული მმართველობის ინდექსების მიხედვით. პირველი რასაც ვხედავთ, ელ-მმართველობის მიმართულებით საქართველოს უკეთესი მდგომარეობა აქვს ვიდრე ელ-ჩართულობის ინდექსის მიხედვით. აღსანიშნავია რომ 2003 წელს კატასტროფულად დაბალი მაჩვენებელი გვექონდა ელ-ჩართულობის მიხედვით, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 2008-2010 წლებში, როცა მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა. რაც შეეხება რეიტინგს, 2003-2018 წლებში საქართველო ელექტრონული ჩართულობის ინდექსში 139-ე ადგილიდან დაინაწურდა 90-ე ადგილამდე, რაც რასაკვირველია პროგრესია, თუმცა ამ მიმართულებით ქვეყანას კიდევ ბევრი აქვს სამუშაო.

ელ-მმართველობის ინდექსში მდგომარეობა შედარებით უკეთესად არის, თუმცა ცხადია რეფორმები აქაც გასატარებელია. 2003-2018 წლებში ინდექსის მნიშვნელობა 0.35-დან 0.69-მდე გაიზარდა, ხოლო რეიტინგში 99-ე ადგილიდან 60-ე ადგილამდე გადაინაცვლა.

დიაგრამა 3. საქართველოს მაჩვენებლები 2003-2018 წლებში<sup>5</sup>



საქართველოს ელ-მმართველობის ინდექსი (0.62) მეტია ვიდრე მსოფლიოს საშუალო (0.55), თუმცა ნაკლები ვიდრე ევროპის საშუალო (0.77) მაჩვენებელი. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში საქართველომ ფეხი უნდა აუწყოს მსოფლიოს განვითარების

<sup>5</sup> იქვე

ტენდენციებს, დანერგოს თანამედროვე ონლაინ მომსახურებები, მოაგვაროს ინტერნეტიზაციის საკითხები და ა.შ. ელ-მმართველობის ინდექსის ზრდის ტენდენციის მიუხედავად, 2012-2014 წლებში დაფიქსირდა მაჩვენებლის კლება, რაც ბოლო პერიოდის ტექნოლოგიური განვითარების ფონზე უარყოფითად უნდა შეფასდეს. ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს ჩავარდნები და პროგრესი უნდა გააგრძელოს, ამავე დროს მართალია ინდექსის მნიშვნელობა იზრდება, თუმცა ინდექსის მნიშვნელობის ზრდა განვითარების თანამედროვე პირობებში მსოფლიო ტენდენციაა, ამიტომ ქვეყანას სწრაფი განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მოქალაქეებისათვის მაქსიმალურად კომფორტული მომსახურების შეთავაზება სჭირდება.

განვიხილოთ საქართველოსა და მის მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლები (დიაგრამა 4). რეიტინგში ლიდერობს რუსეთი, რომელსაც ელ-მმართველობის რეიტინგში 32-ე ადგილი უჭირავს, შემდეგ მოდის თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ელ-ჩართულობის მიხედვით რუსეთს მაღალი მაჩვენებელი აქვს, ის მსოფლიო რეიტინგში 25-ე ადგილს იკავებს, რაც შეეხება საქართველოს დონეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ელ-მმართველობასთან შედარებით აქ უფრო ცუდად გვაქვს მდგომარეობა, ხოლო მეზობელი ქვეყნებიდან მხოლოდ სომხეთს ვუსწრებთ. სუბინდექსების მნიშვნელობებში ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ადამიანური კაპიტალის ნაწილში გვაქვს და რუსეთის შემდეგ მეორე ადგილსაც ვიკავებთ. ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ყველა ქვეყანაში სხვა ინდექსთან შედარებით მაღალია. ყველა ქვეყანაში სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა სხვა მაჩვენებლებთან შედარებით ნაკლებ განვითარებულია, პირველ რიგში ეს უკავშირდება ინტერნეტიზაციის დონეს, რა პრობლემებიც დგას კიდევ საქართველოში, ამ მხრივ კი მთავრობის ჩართულობა და პროექტების განხორციელება აუცილებელია.

**დიაგრამა 4. საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ინდექსები**

ადგილი EGDI	ქვეყანა	ელექტრონული მმართველობის ინდექსი	ელექტრონული ჩართულობის ინდექსი	ონლაინ სერვისები	სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა	ადამიანური კაპიტალი
32	რუსეთი	0.7969	0.9213	0.9167	0.6219	0.8522
53	თურქეთი	0.7112	0.8596	0.8889	0.4298	0.8148
60	საქართველო	0.6893	0.6236	0.6944	0.5403	0.8333
70	აზერბაიჯანი	0.6574	0.6798	0.7292	0.5062	0.7369
87	სომხეთი	0.5944	0.5674	0.5625	0.4660	0.7547

#### 4. საქართველოში განხორციელებული წარმატებული პროექტები

ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით ბოლო წლებია საქართველოში დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა. პრაქტიკაში ინერგება თანამედროვე IT ტექნოლოგიები და იგეგმება მნიშვნელოვანი ელექტრონული პროექტები. საქართველოში ელექტრონული სერვისების განვითარება აქტიურად იწყება 2010 წლიდან, რაც შეინიშნება კიდევაც ინდექსების მნიშვნელობებში.

ქვეყანაში „ერთი ფანჯრის“ სისტემის დანერგვა აუცილებელია, რაც ამარტივებს სერვისების მიწოდებას, უზრუნველყოფს კერძო და სახელმწიფო სექტორების ეფექტიან კოორდინაციას, ტექნიკური და ტექნოლოგიური საკითხების მოგვარება მოქალაქეებს მეტ კომფორტს აძლევს, რაც გამოიხატება ფინანსების, დროის, ენერჯის დაზოგვაში და ასევე

უზრუნველყოფს მომხმარებლებისათვის სერვისების უკეთესი ხარისხით მიწოდებას.

საქართველოში ამ ელ-მმართველობის განვითარებაში ლიდერი სახელმწიფო უწყებები არიან ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები. ტექნოლოგიური სიახლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს იუსტიციის სახლი და თანამედროვე წარმატებულ პროექტზე ადამიანებს პირველი სწორედ ის ახსენდებათ. იუსტიციის სახლის ფარგლებში სახელმწიფო სერვისების უმრავლესობაა მოქცეული, იუსტიციის სახლი მოქალაქეებს აწვდის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების, სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტ სერვისს. იუსტიციის სახლი იყენებს ბლოკჩეინ სისტემას. იუსტიციის სახლი უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის, ერთი ფანჯრის პრინციპით, სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.mof.gov.ge](http://www.mof.gov.ge)) თავმოყრილია ისეთი ელექტრონული სერვისები, როგორცაა: ქონების გადასახადის განაკვეთების და კოეფიციენტების გამოთვლის ონლაინ სისტემა, შევსებული სარეგისტრაციო ანკეტების ვებ-კამერით აქტივაცია, დეკლარაციის ონლაინ შევსებისა და გაგზავნის საშუალება, საჯარო სამსახურის დეკლარაციის შევსება, საფოსტო გზავნილების ელექტრონულად განბაჟება, ონლაინ აუქციონი და ონლაინ გადახდების საშუალება და სხვ.

ფინანსთა სამინისტროს მნიშვნელოვანი ელექტრონული პროექტებია: სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (ეთრეასურე), დოკუმენტბრუნვის მართვის ელექტრონული სისტემა (eDocument), სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემა (eBudget), ყველა ელექტრონული სისტემის სახელმწიფო ფინანსური მართვის ერთიან, უნიფიცირებულ სისტემაში ინტეგრაცია და სხვა.<sup>6</sup>

ელექტრონული გამჭვირვალობის კუთხით აღსანიშნავია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც 2010 წლის ბოლოს განხორციელდა. ვებ-პორტალი შესაძლებლობას იძლევა ტენდერები ჩატარდეს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში. ასეთი ელექტრონული სისტემა ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებასა და მიმდინარე ტენდერების გამჭვირვალობას.

მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა საჯარო მმართველობის სფეროში. საჯარო სამსახურის ბიურომ ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომი გახადა საჯარო მოხელეების მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციები ([www.csb.gov.ge](http://www.csb.gov.ge)). ასევე შეიქმნა საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთათვის ელექტრონული პლატფორმა ([www.jobs.gov.ge](http://www.jobs.gov.ge)), სადაც პირადი CV-ს შევსების შემთხვევაში მარტივდება დამსაქმებლისა და პოტენციური დასაქმებულის შრომითი ურთიერთობები.

## დასკვნა

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ამზადებს ელექტრონული მმართველობის კვლევის ანგარიშს, რომელიც აფასებს გაეროს 193 წევრი ქვეყნის ელ. მმართველობის განვითარების დონეს. გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევის ანგარიში წერია, თუ როგორ შეუძლია ელექტრონულ მმართველობას ხელი შეუწყოს მთავრობის ინტეგრირებულ პოლიტიკასა და მომსახურების გაუმჯობესებას. ის ემსახურება ქვეყნებს, რომ ისწავლონ ერთმანეთისგან, დააფიქსირონ ელექტრონული მთავრობაში ძლიერი და გამოწვევების სფეროები, ჩამოაყალიბონ თავიანთი პოლიტიკა და სტრატეგიები ამ სფეროში. იგი ასევე მიზნად ისახავს მთავრობათაშორ-

<sup>6</sup> ავალიშვილი ლ., ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა – საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი, 2011 ივ. <<https://idfi.ge/ge/e-governance-and-e-transparency-international-tendencies-and-georgia-levan-avalishvili>> [01.03.2020]

---

რისი ორგანოებს შორის დისკუსიების გაადვილებას ელექტრონულ მმართველობასა და ელექტრონული მმართველობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ელ-მმართველობის, ელ-ჩართულობის ინდექსები და მათი სუბინდექსების მნიშვნელობები მთავრობამ უნდა გამოიყენოს შესაბამისი პოლიტიკის გასატარებლად, უნდა ჩაერთოს მაქსიმალურად იმ მიმართულებით, სადაც საჭიროა ტექნოლოგიური განვითარება და სამთავრობო მხარდაჭერა, ინდექსებისა და მათი მნიშვნელობების ცვლილებების დინამიკა უნდა გამოიყენოს განვითარების ტემპების შესაფასებლად, ხოლო რეიტინგი მნიშვნელოვანია საქართველოს მაჩვენებლების შესადარებლად სხვა განვითარებული ქვეყნების, მეზობელი ქვეყნებისა თუ რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარებისთვის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. სახელმწიფო ორგანოები მნიშვნელოვან საჯარო ინფორმაციას ფლობენ სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური თუ ფინანსური საკითხების შესახებ. ხშირად, პრობლემატური ხდება ამ საჯარო ინფორმაციის გაცემა, პირველ რიგში არასწორი ადმინისტრირების ან შეზღუდული რესურსების გამო. ამიტომაც წამყვანი დემოკრატიული ქვეყნები პრაქტიკაში აქტიურად ნერგავენ მონაცემების ელექტრონული ხელმისაწვდომობის სტანდარტებს. ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მისი დანერგვა მთავრობის პრიორიტეტულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კი აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ ჩამოაყალიბოს მკაცრად განერილი დღის წესრიგი, სადაც მოხდება ელ-მმართველობის უახლესი საერთაშორისო ტენდენციებისა და ინოვაციური მიდგომების გათვალისწინება. ქვეყნის შედეგებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, საჭიროა სერვისების ონლაინ ხელმისაწვდომობის მეტი უზრუნველყოფა და ამ სერვისების გამოყენების ნახალისება, ინტერნეტ ხელმისაწვდომობის გაზრდა, ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა, საქართველოს რეგიონებში ელ-მმართველობის სისტემების დანერგვა და საჯარო ინფორმაციის ონლაინ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული ჩართულობის ინდექსები, მათი განვითარების დინამიკა. ნაჩვენებია ამ ინდექსების მსოფლიო ტენდენცია და ქვეყნების რეიტინგები ინდექსების მიხედვით. განხილულია ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული ჩართულობის ინდექსების გამოთვლის მეთოდოლოგიები, ასევე მათი სუბინდექსების თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობები. შეფასებულია საქართველოს მაჩვენებლები დინამიკაში, ასევე შედარებულია მეზობელ ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. სტატიაში მიმოხილულია ელექტრონული მმართველობის კუთხით საქართველოში განხორციელებული წარმატებული პროექტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში. დასკვნის სახით მოცემულია ინდექსების მნიშვნელობა და მათი გამოყენება ეფექტიანი მმართველობის განსახორციელებლად, ხოლო მთავრობის მეტი ჩართულობისთვის ჩამოყალიბებულია ზოგადი რეკომენდაციები.

## Resume

The article considers the indexes of electronic government and electronic participation, the dynamics of their development; shows the global trends of these indexes and ratings of countries according to them. Methodologies for calculating the indexes of e-government and electronic participation, as well as the theoretical and practical significance of their subindexes, are reviewed in detail.



---

Georgia's indicators are estimated in dynamics and compared with similar indicators of neighboring countries. Presented article also considers successful projects related to electronic government implemented in Georgia and their significance in the life of society. In conclusion, authors outline the significance of the indexes and their application in the effective implementation of governance, and in addition, give general recommendations successful government participation.

### Резюме

В статье рассмотрены индексы электронного правления и электронного участия, динамика их развития, мировые тенденций этих индексов и рейтинги стран согласно индексам. Рассмотрены методологий расчета индексов электронного правления и электронного участия, а также теоретико-практическое значение их субиндексов. Оценены показатели Грузии в динамике и сопоставлены с аналогичными показателями соседних стран. В статье приведены, осуществленные в Грузии, успешные проекты и их значимость в жизни общества. В виде заключения рассмотрены значимость индексов и их применения в осуществлений эффективного правления; а для более эффективного участия правительства данны общие рекомендаций.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავალიშვილი ლ., ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა – საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი, 2011 [https://idfi.ge/ge/e-governance-and-e-transparency-international-tendencies-and-georgia-levan-avalishvili-](https://idfi.ge/ge/e-governance-and-e-transparency-international-tendencies-and-georgia-levan-avalishvili)
2. სიჭინავა ქ., ელექტრონული მართვა, როგორც სახელმწიფო მართვის ინსტრუმენტი და მისი გამოწვევები საქართველოში, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი 2017 <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/303348/1/Disertacia.pdf>
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი, 2014
4. UN Department of Economic and Social Affairs, UN E-government Survey 2018, <https://www.un.org/development/desa/publications/2018-un-e-government-survey.html>
5. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი, საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის ინდექსში – 2018 წლის შედეგების მიმოხილვა, [https://idfi.ge/ge/georgia\\_in\\_und\\_e\\_governance\\_index\\_2018](https://idfi.ge/ge/georgia_in_und_e_governance_index_2018)
6. Kosekov K., United Nations E-government Development Index <https://knoema.com/infographics/mctunlb/un-e-government-development-index>
7. World Economic Forum. The Global Information Technology Report 2016. Innovating in the Digital Economy. [www3.weforum.org/docs/GITR2016/GITR\\_2016\\_full%20report\\_final.pdf](http://www3.weforum.org/docs/GITR2016/GITR_2016_full%20report_final.pdf)
8. World Bank Institute (WBI), <http://go.worldbank.org/CO263O7XX0>  
The Digital Economy, BCS, The Chartered Institute for IC, [https://policy.bcs.org/sites/policy.bcs.org/files/digital%20economy%20Final%20version\\_0.pdf](https://policy.bcs.org/sites/policy.bcs.org/files/digital%20economy%20Final%20version_0.pdf)
9. The Blockchain e-commerce/e-government revolution, <http://www.bcs.org/upload/pdf/blockchain-ihuneke-091116.pdf>

## სამართლის სწავრო ფილოსოფიური პრობლემატიკით

ალექსანდრა ტალიაშვილი \*

სალომე ხიზანიშვილი \*

კითხვები, რომელიც დაისვა ფილოსოფიის მიმართ, ძალშია სამართლის მიმართაც, მაგრამ მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით. ე.ი. გასარკვევია: რასთან აქვს საქმე სამართალს? რა არის მისი შესწავლის სფერო? რა არის სამართლის მეცნიერების საგანი? რა კავშირი აქვს მას ფილოსოფიასთან?

სამართალს საქმე აქვს სამართლიანობის სამყაროსთან, მისი შესწავლის სფეროა ადამიანის სამართლებრივი ყოფიერება, მისი საგანია ადამიანი და შესაფასებელი მოვლენა, ანუ, სამართლებრივი ფაქტი.

რაც შეეხება მის კავშირს ფილოსოფიასთან. ამაზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. ამ შემთხვევაში, საკითხი ასეთნაირად დგას: რა მონაცემებით ავსებს სამართლებრივი ცოდნა ფილოსოფიურ ცოდნას?

ფილოსოფიასა და სამართალს კვლევის საკუთარი საგანი და ამოცანები აქვთ, ხოლო მათი ინტერესები „ადამიანთან“ მიმართებაში იკვეთება.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, ის საზოგადოებასთან თანაარსებობს და მასთან საერთო ცხოვრების წესს იზიარებს. სამართალი ამ სივრცეში მოქმედებს, ის ადამიანს სამართლებრივად სავლდებულო წესებს უწესებს, მის ქცევაზე კონტროლს აწესებს და წესრიგის დამყარებით საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს.

სამართლებრივი ცოდნა სისტემატურად ვითარდება, რასაც იწვევს ადამიანური ცხოვრების სირთულეები და მათი გააქტიურება. ამდენად სამართლის ეფექტურობას განაპირობებს არა იმდენად სამართლებრივი საკითხების არსის, მათი ჭეშმარიტება-მცდარობის კვლევა, რამდენადაც მის საფუძველზე სამართლებრივი რეალობის სიღრმისეული შესწავლა, მისი მთლიანობაში გააზრება და სამართლებრივ ფაქტებზე სამართლებრივ აზრთან შესაბამისობით სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება.

ფაქტია, ადამიანური სამყარო გლობალური ხდება. ყალიბდება ახალი სტრუქტურები, მკაფიო ხდება სამართლებრივი საკითხების სიმრავლე. დაგროვილი პრობლემები, შემთავაზებული გადაწყვეტილებებით ვეღარ პასუხობს ზოგადპლანეტარულ რეალიებს. ისინი სხვადასხვა ქვეყნებში დისკუსიის საგანია, რომელთა გადაჭრა ახლებურ მიდგომებს საჭიროებს.

სამართალი, როგორც საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ადამიანს ეხმარება ადაპტირდეს ცვალებად სამყაროში, რომელიც აღსავსეა ყოფიერების სირთულეებითა და წინააღმდეგობებით. ამ მოთხოვნებს უკავშირდება სამართლებრივი ცნობიერების ურთიერთდამაკავშირებელი დონეების ჩამოყალიბება, როგორცაა, გამოყენებითი, სპეციალური, დარგობრივი, ზოგადსამართლებრივი და ფილოსოფიურ-სამართლებრივი. ამითაა განპირობებული დარგობრივი სამართლებრივი დისციპლინების ურთიერთობა კრიმინალისტიკასთან, სასამართლო მედიცინასთან, სასამართლო სტატისტიკასთან და სხვა პრაქტიკულ დარგებთან.

სამართლის მეცნიერების შესწავლის საგანი, მისი ობიექტი სამართლებრივი ფაქტია, რომელიც თავისი არსით ამოუწურავია. ის ადამიანისა და საზოგადოების ერთმანეთზე

\*პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

\*პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

და სამყაროზე ურთიერთქმედების მუდმივ პროცესს ასახავს. პროცესი უნიკალურია. უნიკალურია იმ აზრით, რომ იურიდიულმა გადწყვეტილებამ კონკრეტული ადამიანის ბედი, მისი მომავალი, შესაძლებელია, არა მხოლოდ განაპირობოს, არამედ რადიკალურად შეცვალოს. ამასთანავე, სამართლებრივი ფაქტი ღია და დინამიურია. ის არა მხოლოდ ახლანდელ ვითარებას, არამედ მომავალსაც უკავშირდება. აქედან გამომდინარე, სამართლის ობიექტთან „თანამშრომლობისას“ საჭიროა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. ეს ვითარება, როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ დონეზე, უთუოდ შესასწავლი და გასათვალისწინებელია ცხოვრებაზე ფილოსოფიურ წარმოდგენებში. „ფაქტის“ ცნება, რომელიც კონცეპტუალურად და მეთოდურად იურისპრუდენციისათვის განსაკუთრებით საჭიროა, ის ერთმნიშვნელოვანია ყველა მეცნიერებისათვის.

„ფაქტის“ სამართლებრივი მნიშვნელობის გარკვევა, კანონის ცნება, მისი შემუშავების წესები და მეთოდები, მისი გამოყენების საზღვრების დადგენა, და სამართლის პრაქტიკაში თავმოყრილი სხვა არა ერთი საკითხი, ამდიდრებს არა მხოლოდ იურისპრუდენციას, არამედ ფილოსოფიას, როგორც შინაარსობრივად, ასევე ფორმით. ახალი ცნებები, ახალი ტერმინები, (მაგალითად, როგორიცაა: „სამართლებრივი სივრცე“, „სამართლებრივი სუბსტანცია“, „კანონის უზენაესობა“, „პირადი უფლებები“, „მართალი სამართალი“ და სხვ.), მათი ანალიზისა და შესწავლის აუცილებლობა, ავითარებს როგორც იურისპრუდენციის მეცნიერულ შესაძლებლობებს, ასევე აფართოებს ფილოსოფიურ ცოდნას, როგორც სამართალთან ურთიერთობაში მყოფს.

სამართლის საჭიროება ფილოსოფიის მიმართ იკვეთება თავისუფლების საკითხის გარკვევასთან დაკავშირებითაც. სამართლის ამოცანა ადამიანისათვის თავისუფალი გამოხატვის უფლების კანონით მინიჭებაა. ამდენად ის ითხოვს ახსნას, არა მხოლოდ როგორც ფილოსოფიური კატეგორია, არამედ, როგორც „წმინდა სამართლებრივი უფლება“. ამ აზრით, თავისუფლება არა ნაკლებ რთული ასახსნელია, ვიდრე, მაგალითად, ცნებები: „არსი“, „ჭეშმარიტება“ და სხვ. იურიდიული ნორმა სამართლიანობის ახსნის კონცეპტუალური საყრდენია, ის ადგენს „მეს“ დამოკიდებულებას ყოფიერებასთან, მის შრეებთან. ნორმის მიზანია, ჩემი „მეს“ თვითგამორკვევა, თავისუფლებაში კანონებთან და საზოგადოების განვითარების ლოგიკასთან შესაბამობაში. ამ ამზრით, თავისუფლება ჭეშმარიტების არსის გარკვევას უახლოვდება. ვინაიდან, მისი სოციალური სტატუსი ინდივიდისა და სოციაუმის ურთიერთობაში გადამწყვეტია. შემთხვევითი არაა, რომ მსოფლმხედველობრივად შორს მყოფმა ფილოსოფოსებმა (მაგალითად, ნ.ა.ბერდიაევიმა, ჟ.პ.სარტრმა, მ.ჰაიდეგერმა) თავისუფლების ფუნდამენტალურ მნიშვნელობაზე, როგორც ონტოლოგიურ კატეგორიაზე გააკეთეს აქცენტები.

თავისუფლების ინტერპრეტაციის სირთულეს განაპირობებს არა მხოლოდ მისი სოციალური მნიშვნელობა, არამედ, უპირველს ყოვლისა, პიროვნებისათვის მისი სტატუსის დადგენა. თავისუფლების საზრისი ღიაა, ის არაა წინასწარ მოცემული, მის მნიშვნელობას პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების დონე განსაზღვრავს.

სოციალური ინსტიტუტები, ნორმათა ანალიზისას, აშკარად ან დაფარულად, თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობისა და სხვა ფილოსოფიური მნიშვნელობის კატეგორიებით ხელმძღვანელობენ. სამართალი მათ მნიშვნელობას იყენებს მის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტისას. ხდება პირიქითაც, ისინი ძალას იღებენ სამართლებრივ კანონში, „უფლებების“ სამართლებრივი დარეგულირების შესაძლებლობების საფუძველზე.

ადამიანი იბადება თავისუფალ არსებად, ის თვითრეალიზაციისაკენ ისწრაფვის, მაგრამ ადამიანის საზოგადოებასთან „შეხვედრისას“, მასთან თანაცხოვრებისას პრობლემები ჩნდება. მისი ინდივიდუალიზმი, მისი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, თანასწორობისაკენ, სარგებლისაკენ, მოგებისაკენ, ერთმნიშვნელოვნად, სწორხაზობრივად არ ვითარდე-

ბა. სავალდებულოა, პიროვნების სამართლებრივი ქცევის წესი შესაბამისობაში მოვიდეს საზოგადოებისა და საბოლოოდ, სახელმწიფოს ინტერსებთან.

იქიდან გამომდინარე, რომ სამართალი მოიცავს ადამიანური საქმიანობის ამ რთულ სისტემებს, ის ორიენტირებულია განსხვავებულ ორგანიზაციებში, საკამათო სიტუაციებში ქცევის წესების კოდიფიცირება მოახდინოს, რეალობასთან შესაბამისობაში ჩამოაყალიბოს კანონთა სისტემა, ნორმები, წესები, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც უკავშირდება საზოგადოების განვითარებას, ადამიანის ბაზისური უფლებებისა და ღირებულებების დაცვას. ამიტომაც, რომ სამართლებრივი ინსტიტუტების როლი მოსალოდნელ კონფლიქტებზე აქცენტების გაკეთებაში კი არ გამოიხატება, არამედ სოციალური განვითარების უწყვეტ პროცესში, ინტერსთა შეჯახებისას სამართლებრივი პრობლემების სამართლიან გადაწყვეტილებებში.

აღნიშნული თვალსაზრისით, სამართალი საზოგადოების წევრთა ერთმანეთთან კავშირის, მათი შემჭიდროების ინსტრუმენტი. სმართალმა მაქსიმალური რაოდენობის პირთა ინტერესებს უნდა უპასუხოს, ხოლო მეორე მხრივ, სამართლის ნორმებით ადამიანმა საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების თვითშეზღუდვის აუცილებლობა უნდა „მოიპოვოს“, საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობით. სამართალი მოწოდებულია არა მხოლოდ გადაჭრას ეს ათუ ის ამოცანა, არამედ ადამიანის დესტრუქციული გამოვლინებები დაბლოკოს.

„ახალი სამართლებრივი ნორმები, მოქმედ სამართლებრივ ნორმებსა და საზოგადოების მოთხოვნებს შორის, არსებითად, ახალ კანონებზე თავისებური სახის კონსენსუსად გამოდიან“<sup>3</sup>

სამართალი სოციალური ცხოვრების ურთულესი სფეროა, სამართლებრივი პრობლემატიკის მრავალფეროვნებით. ამასთანავე, ის არის საუკეთესო, მოქნილი ინსტრუმენტი საზოგადოების განვითარების პროცესში არა მხოლოდ ყოველდღიური პრობლემების მოსაგვარებლად, არამედ სოციალური ტრანსფორმაციისათვის, მისი ოპტიმიზაციის კუთხით. ამიტომაც, რომ ფილოსოფიურ აზროვნებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი ცნებები: სახელმწიფო, ძალაუფლება, სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია, ავტორიტარიზმი და სხვ. სამართალთან კავშირის გარეშე, კარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას.

სახელმწიფო კანონთა სისტემით ფუნქციონირებს. ის განსაზღვრავს მის ლეგიტიმაციას. სამართლებრივი ინსტიტუტები ასახავენ სახელმწიფოს განვითარების დონეს, ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის განვითარების დონეს. და რაც მთავარია, სამართლებრივი ინსტიტუტები ასახავენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონეს. ამ აზრით, ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი კანონები, მათი ინტერპრეტაცია, მათი გამოყენება დამოკიდებულია საზოგადოების კულტურისა და განათლების დონეზე. ადამიანის რთული ბუნება, მისი მისწრაფებები, ინტერესები განსაკუთრებული წინააღმდეგობებით ვლინდება მის დამოკიდებულებაში თავისუფლებასთან, ამისი ილუსტრაციაა საზოგადოებრივი ცხოვრება, აღსავსე შეჯახებებით, კონფლიქტებით.

მკაფიოა, რამდენადაც უფრო რთული და ღია ხდება სოციალური რეალობა, მით უფრო მოთხოვნილია სამართლებრივი ნორმები. ნორმა ითვალისწინებს ურთიერთობების დარეგულირებას არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა შორის, არამედ სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გაზრდილ აკრძალვებს ხშირად კანონის დარღვევის მეტი შესაძლებლობები მოსდევს. ამდენად სამართლებრივი ქცევის კულტურის ჩამოყალიბებაში გასათვალისწინებელია როგორც მოქალაქისა და საზოგადოების, ასევე, მათ წინაშე ხელისუფლების პასუხისმგებლობა.

ხშირია კანონის ბოროტად გამოყენების შემთხვევები. ამ სიტუაციას ქმნის მავანთა

<sup>3</sup> წყარო: <https://cyberleninka.ru/article/n/filosofiya-pravo-filosofiya-prava/viewer>



ქმედებები, მათთვის სასარგებლო კანონთა სისტემის შემუშავებით, განახორციელონ საკუთარი ინტერესები, რაც პრობლემათა მოგვარების ნაცვლად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გართულებებს იწვევს. კანონის შემუშავების მიზანია განსხვავებულ სიტუაციებში ადამიანთა ურთიერთობების სტრუქტურირება მოახდინოს, ის ერთგვარი ჩარჩოა იმისათვის, რომ ერთეულთა პირადი ინტერესები შეზღუდოს, სხვების ინტერესების გათვალისწინებით. ეს კი საკმაოდ რთულია.

აღნიშნული აზრით, ეჭვქვეშ დგება მ.რიუზისა და ე.უილსონის თეზისი: „ადამიანებს აქვთ თანდაყოლილი მიდრეკილება ხელი შეუწყონ საერთო სიკეთესა და ბედნიერებას, და ამასთან ერთად, იზრუნონ დაიცვან ინდივიდუალური თავისუფლება და სამართალი“<sup>4</sup>. ადამიანთა შორის ამ „ოქროს შუალედის“ შემუშავება როგორც ფილოსოფიური აზროვნებისათვის, ასევე, იურისპრუდენციისათვის (კანონით მისი დაცვის თვალსაზრისით), მთავარი დილემაა.

ადამიანი გონიერი არსებაა. ის ჩართულია სამართლებრივ ურთიერთობებში, მაგრამ მის მიერ მართული ურთიერთობები ყოველთვის არ მიდის გონივრული გზით. ამ წინააღმდეგობრივ გზაზე, მას შეუძლია ნებისმიერი აღიარებული დოგმა შეცვალოს და აქედან გამომდინარე იმოქმედოს.

წარმოდგენილი რეალობის ფონზე იკვეთება სამართლის, როგორც სოციალური ინსტიტუტის ორმხრივი მნიშვნელობა: ერთი მხრივ, ის არის საზოგადოების სახელმწიფოებრივი ცხოვრების, მისი ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნების გარანტი, და მეორე მხრივ, ის არის სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციის მექანიზმი. ამდენად აუცილებელია მისი ერთგვარი გართულება, განვითარების ნიშნით, ფორმითაც და შინაარსითაც. მაგრამ მისი გარდაქმნა ისეთნაირად უნდა მოხდეს, რომ სამართალი საკუთარ არსთან წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდეს, პირიქით, ის უნდა იყოს სამართლიანობის გარანტორი. იურისპრუდენციის ისტორია მკვეთრად ადასტურებს ამის საჭიროებას, არა მხოლოდ კონტექსტუალურად, არამედ კულტურულ და ეპოქალურ ცვლილებებთან შესაბამისობაში. ამ სივრცეში მასთან თანაზიარობაშია ფილოსოფიაც, მსგავსი პრობლემატიკით.<sup>5</sup> **ჩატარებული მსჯელობის საფუძველზე, მკაფიოა, რომ ფილოსოფიის სამართლისაგან ჩამოშორება შეუძლებელია. საქმე სწორედაც რომ პირიქითაა.** „უსაზღვრო, მარად განვითარებადი დაინტერესებულობა, ე.ი. მუდმივი, უცვლელი მისწრაფება იმისკენ, რომ შეცვალოს საკუთარი თავი და გარესამყარო არის ადამიანის ერთ-ერთი ზოგადი და უცვლელი თვისება. ადამიანი არსებობს შორის ყველაზე ცვალებადი არსებულება. სხვადასხვა დროში, სხვადასხვა ეპოქაში, ადამიანები განსხვავებულებები არიან, ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთ ეპოქაშიც – ყველა ადამიანი, როგორც პიროვნება, სამყაროსადმი თავისი მიმართებების მთლიანობაში, განუმეორებელია.

ცხადია, რომ ამგვარი ცვალებადობისა და განსხვავებულობის გამო ადამიანები შემეცნების ყველაზე რთულ საგანს წარმოადგენენ“<sup>6</sup> ადამიანის არსის, მისი ცხოვრების საზრისის დადგენა ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. მისი გზა სამართლისაკენ ამ საზღვართან გადის.

კაცობრიობის მიერ განვლილი და გასავლელი ურთულესი პროცესები, აღსავსე წინააღმდეგობებითა და დაპირისპირებებით, სამართალში პოულობს ცივილური დარეგულირების მექანიზმებს. ამ საზღვრებში გადის ფილოსოფიისაკენ მიმავალი სამართალის გზაც.

აი, რას წერს რეიმონდ უექსი: „ჩვენ ვცხოვრობთ პრობლემურ, უსამართლო მსოფლიოში. ალბათ, ყოველთვის ასე იყო. ბოროტებისა და უსამართლობის პირისპირ მყოფებს,

<sup>4</sup> Рьюз М. Уилсон Э. Дарвинизм и этика //Вопросы философии. # 1, 1987

<sup>5</sup> იქვე

<sup>6</sup> .ზ.კაკაბაძე. ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1987.

---

როდესაც ვუფიქრდებით კანონის სათანადო ბუნებასა და ფუნქციას, ადვილად შეიძლება თავგზა აგვებნეს. აუცილებელია სკრუპულოზური ანალიტიკური სიცხადე კანონის, სამართლისა და სამართლებრივი კონცეფციების მნიშვნელობის ფუნდამენტური ბუნების მიმართ. სამართლებრივ თეორიას, გადამწყვეტი ფუნქცია ენიჭება იმ ღირებულებებისა და იდეალების განსაზღვრასა და დაცვაში, რომლებიც ჩვენი ცხოვრების წესს განაპირობებს<sup>7</sup>.

სამართლის ფილოსოფია წარმოდგენილ საზღვრებში მოძრაობს. ის ერთი მხრივ, „ფილოსოფიური ქვრეტის საფუძველზე შეისწავლის სამართალს, „როგორც ასეთს“, მის „მეტაფიზიკურ“ საფუძვლებს<sup>8</sup>. მაგრამ, მეორე მხრივ, „ვისაც სურს წარმატებულად მისდინოს სამართლის ფილოსოფიას, მან აუცილებლად უნდა „იყნოსოს“ (სამართლებრივი) აქტების მტვერი“<sup>9</sup>.

მაშასადამე, ფილოსოფიისა და სამართლის კავშირი ორმხრივია. ასეთივეა მათი კავშირი სამართლის ფილოსოფიასთან. კავშირების სიმყარეს განპირობებს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: 1. ადამიანურ ცხოვრებაში განუწყვეტელი ცვლილებები და აქედან გამომდინარე სირთულეები და 2. მათი დარეგულირების გარდაუვალი აუცილებლობა.

ფილოსოფია, სამართლი, სამართლის ფილოსოფია ამ პროცესების მართვაში ავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს.

## რეზიუმე

ფილოსოფიისა და სამართლის ინტერესები „ადამიანთან“ მიმართებაში იკვეთება. სამართლის შესწავლის სფერო ადამიანის სამართლებრივი ყოფიერებაა. სამართლის მეცნიერების შესწავლის ობიექტი სამართლებრივი ფაქტია.

სამართლის ამოცანა ადამიანისათვის თავისუფალი გამოხატვის უფლების კანონით მინიჭებაა. სამართალს, როგორც სოციალურ ინსტიტუტს აქვს ორმხრივი მნიშვნელობა:

- სამართალი საზოგადოების სახელმწიფოებრივი ცხოვრების, მისი ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნების მოქნილი ინსტრუმენტი;
- სამართალი სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციის მექანიზმია მისი ოპტიმატიზაციის კუთხით.

## Resume

Interests of philosophy and law intersect in relation to “human being”. The field of study of law is legislative existence of a human. The object of study of the science of law is a legal fact. The goal of the law is to give a person the free expression by law.

The law, as a social institute has bilateral meaning:

1. Law is a flexible tool for maintaining the state life of the society, its unity and integrity;
2. Law is transformation mechanism of social life, from its optimization viewpoint.

---

<sup>7</sup> რეიმონდ უექსი. სამართლის ფილოსოფია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012. გვ.XVIII

<sup>8</sup> Ж. Карбонье \_ “Юридическая социология”. М , 1986, გვ.38.

<sup>9</sup> .გ.ხუბუა. სამართლის თეორია. თბ., 2004, გვ.17

---

## Резюме

Интересы философии и права пересекаются в отношении «человека». Сферой изучения права является правовое бытие человека. Объектом изучения правовой науки является правовой факт. Задачей права является присвоение человеку законом права на свободу выражения.

Право, как социальный институт имеет двойное значение:

1. Право является гибким инструментом поддержания государственной жизни общества, его единства и целостности;
2. Право является механизмом трансформации социальной жизни с точки зрения её оптимизации.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჩიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010;
2. კაკაბაძე ზ., ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1987.
3. კაუფმანი ა., სამართლის ფილოსოფიის განსჯისათვის პარლამენტის უწყებანი, N2, თბ., 1997;
4. ნანიშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992
5. უექსი რ., სამართლის ფილოსოფია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012.
6. ცაცანაშვილი მარიამ, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013;
7. ლობჯანიძე გ., სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნები, სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, თბ., 2003;
8. ხუბუა გ., სამართლის თეორია. თბ., 2004;
9. Ж Карбонье \_ “Юридическая социология”. М , 1986;
10. Рьюз М. Уилсон Э. Дарвинизм и этика //Вопосы философии. #1, 1987;
11. ნყარო:<https://cyberleninka.ru/article/n/filosofiya-pravo-filosofiya-prava/viewer>

XXI საუკუნეში, საზოგადოებრივი ცვლილებები გლობალურ გამოწვევებთან პირისპირ მიმდინარეობს. იცვლება საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და შესაბამისად იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობები. ეპოქალური გამოწვევები და მასზე საპასუხო რეაქციები გამოხატულებას პოულობს სოციალურ ინსტიტუტებში, სახელისუფლო სტრუქტურებში, საზოგადოებრივ დანესებულებებში, და საბოლოოდ, ამ თუ იმ სახელმწიფოს სამართლებრივ ცხოვრებაში. ამ პროცესებთან პარალელურად იცვლება და ყალიბდება ქვეყნების, ხალხების, ერების, ეთნოსების, სოციალური ჯგუფების, ინდივიდების სამართლებრივი კულტურა.

იკვეთება აუცილებლობა, როცა სამართლებრივმა ინსტიტუტებმა – როგორც ცალკე სახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, პლანეტარულ გამოწვევებს უნდა უპასუხოს. მაგრამ თვალსაჩინოა, კაცობრიობის როგორც წარსულ, ასევე თანამედროვე ცივილიზებულ სამართლებრივ სამყაროში, ჯერჯერობით არ ასრებობს საყოველთაოდ მიღებული ფილოსოფიურ-სამართლებრივი პარადიგმა.

ისტორიის ამ „უცნაურ“ პარადოქსს არაერთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი ინვესს. მათი გამოვლენისა და დარეგულირების საჭიროება, როგორც არასდროს, თანამედროვე სწრაფადცვალებადი მსოფლიოსათვის აუცილებელია.

საყოველთაო მნიშვნელობის ფილოსოფიურ-სამართლებრივი პარადიგმის არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „მართალი სამართლის“ შემუშავებაში. თანამედროვეობაში ამ იდეას ემსახურება ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნის აუცილებლობა, და ამ „სივრცის შიგნით“, სამართლებრივი პრობლემების გააქტიურება. ფილოსოფიას და იურისპრუდენციას ამ საქმიანობაში თავიანთი წვლილი აქვთ. საკითხების გაშუქებას ისინი ცალკე-ცალკე, სპეციფიკური მეთოდებითა და ხერხებით ცდილობენ. რაც შეეხება სამართლის ფილოსოფიას, ის ცოდნის ორივე სფეროში დაგროვილი პრობლემატიკის ფილოსოფიურ-სამართლებრივი გადაწყვეტის შესაძლებლობებს იკვლევს.

ამ მიზნით, წარმოდგენილ სახელმძღვანელოში ძირითადი აქცენტები კეთდება სამართლიანობასთან დაკავშირებული პარადიგმების განსხვავებულ შინაარსებზე და ფორმებზე, – ისტორიული ეპოქების ცვლილებების შესაბამისად. ამ პოზიციიდანაა განხილული და შეფასებული ფილოსოფიურ-სამართლებრივი თეორიები. მათი ანალიზი სახელმძღვანელოში მოცემულია ცალკე თავებად.

**ფილოსოფია, სამართალი და სამართლის ფილოსოფია** – ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ამასთანავე, ერთმანეთთან „გენეტიკურად“ დაკავშირებული ცოდნის განსაკუთრებული სისტემებია. თითოეულს საკუთარი შესწავლის სფერო და ე.ი. თავისი საგანი აქვს. შესწავლის საგნის სპეციფიკურობა მათი სამეცნიერო მიზნებისა და შედეგების თავისებურებებს უზრუნველჰყოფს.

ცოდნის სამივე სისტემას მსგავსებაც ახლავს. ამ მსგავსებას ქმნის მათ წინაშე წამოჭრილი საკითხების სპეციფიკურობა და მათ მიმართ ინტერესთა ერთიანობა. ეს ერთიანობა, განსხვავებულთა ერთიანობაა, რომელიც მათივე საკვლევ სივრცეში ახალი მიმართულებების, ახალი დარგების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის წინაპირობებს ამზადებს. სამართლიანად წერს თ.ბუაჩიძე: „მართლაც, მხოლოდ თავისი საგნის მქონე მეცნიერება შეიძლება იყოს კავშირში სხვა მეცნიერებასთან. დამოუკიდებლობა კავშირის აუცილებელ-

\* პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი



ლი ლოგიკური პირობაა“.<sup>11</sup> ფილოსოფიასა და სამართალს, საერთო საკითხების გარდა, კვლევის მეთოდოლოგიაც მსგავსი აქვთ. მათი ანალიზი, ამ ორი დარგის ერთიანობის შესწავლის ყველაზე ლოგიკური გზაა. ორივე დისციპლინის შუაგულში იკვეთება არსობრივი მნიშვნელობის საკითხები, რომელთა ახსნა, შეფასება ან გადანყვეტა, ცალკე-ცალკე, მათი მსოფლმხედველობრივი ან მეცნიერული შესაძლებლობებიდან ვერ ხერხდება, ისინი სამართლის ფილოსოფიაში იყრიან თავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფილოსოფიაში და სამართალში, მათ ერთიან სივრცეში დაგროვილი, ერთი შეხედვით, “გადაუჭრელი“ საკითხების დაძლევის აუცილებლობა, სამართლის ფილოსოფიის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბების ხელშემწყობი პირობა აღმოჩნდა. ასთანავე, ამ ვითარებამ განაპირობა მისი მეცნიერული „შესაძლებლობების“, მისი ადგილისა და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა, როგორც ფილოსოფიურ, ასევე, სამართლებრივ მეცნიერებათა სისტემაში.

მაგრამ, მიუხედავად მისი მსოფლმხედველობრივი და მეცნიერული საჭიროებისა, სამართლის ფილოსოფიისათვის ერთმნიშვნელოვანი ადგილის გამოკვეთა და მისი „შენარჩუნება“, ფილოსოფიურ და სამართლებრივ მეცნიერებათა სისტემაში, გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება. ამის მიზეზი გლობალური სამყაროს ტენდენციების განუწყვეტელი ცვლილებებია, რაც განაპირობებს წარმოდგენების ცვლილებებს სამართლისა და ფილოსოფიური ცოდნის სტრუქტურაზე, და შესაბამისად, ამ სტრუქტურაში სამართლის ფილოსოფიის ადგილზე.

რასაკვირველია, სახელმწიფოებრივი მოწყობის ფართო, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში, ადამიანს სამართლებრივი რეალობის შეფასება განუწყვეტლივ უწევდა, მისი ფილოსოფიური წვდომით ადამიანური ცნობიერება ყოველთვის იყო დაკავებული. შესაბამისად, ყალიბდება ცოდნის გამოხატვის კონცეპტუალური ფორმები სოციალურ სამყაროზე, სახელმწიფოს როლზე, მოქალაქის უფლება-მოვალეობებზე და მათთან მიმართებით, სამართლის ადგილზე. ეს პროცესები ანტიკურობიდან მომდინარეობს.

ადამიანის ცხოვრებაში სამართლის და მასთან დაკავშირებული ფილოსოფიური ხედვის საჭიროება, ანუ, ფილოსოფიურ-სამართლებრივი მოტივების გაჩენა, სამართლის ისტორიული საფუძვლების არსებობაზე მიუთითებს, მას ფესვები საუკუნეების სიღრმეში აქვს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ სამართლის ისტორიული საფუძვლების არსებობა სამართლის ფილოსოფიის ჩამოყალიბების ისტორიას დროში არ ემთხვევა. მათ შორის მრავალსაუკუნოვანი მანძილია. პირველი აქცენტებს აკეთებს სამართლის ფილოსოფიური საფუძვლების ისტორიულ წარმომავლობაზე, მათ დროულ-ვრცულ მახასიათებლებზე და თავისებურებებზე, ის ხანიერია. ხოლო მეორე, ფოკუსირდება მეცნიერული და ზოგადფილოსოფიური ცოდნის სისტემაში დისკუსიების ისტორიაზე, რომელიც უკავშირდება სამართლის ფილოსოფიის ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბების პროცესს.

ახალ დროში, კერძოდ, მე-19 საუკუნეში, კონკრეტული მეცნიერებების დიფერენციაციის ხანგრძლივი პროცესი დასრულდა კაცობრიობის ისტორიაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების წესის რადიკალური ცვლილებებით, რომელიც უკავშირდება სიახლეებს ადამიანის გონით მოღვაწეობაში. ექსპერიმენტალური ცოდნის განვითარებამ რადიკალურად შეცვალა მეცნიერების ბუნება და მისი მიღწევები, რასაც ადამიანის ცხოვრებაშიც დიდი ცვლილებები მოჰყვა. სამართლის ფილოსოფიის გამოყოფა ფილოსოფიური და სამართლებრივი ცოდნის სისტემიდან და მისი ცალკე დარგად ჩამოყალიბება ფაქტობრივად, ამ გზაზე მოხდა.

თუ „წინა ფილოსოფიურ კონცეფციებში – პლატონიდან და არისტოტელედან ფიხტემდე, ჰეგელამდე, მარქსამდე – და თანამედროვე ფილოსოფიის მრავალ კონცეფციებში ჩვენ ვპოულობთ თვალსაზრისების სისტემას საკმაოდ ფართო რეკომენდაციებით პრაქტიკული

<sup>11</sup> ბუაჩიძე თ., ფილოსოფიური ანთროპოლოგია. გამომცემლობა „კოლორი, თბილისი, 2003, გვ.3

პოლიტიკური მოქმედებებისათვის<sup>12</sup>, ახალ დროში, ამ რეკომენდაციებმა იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ცოდნის სისტემებში გადაინაცვლა. დაიწყო წარმოდგენებისა და თვალსაზრისების მეცნიერული დამუშავება. სახელმწიფოს სამართლებრივ-პოლიტიკური მონყობის

პრობლემატიკა ცალკე დისკუსიის საგანი გახდა. სამართალზე, სახელმწიფოს მონყობაზე დაგროვებული რაოდენობრივი ცოდნა თვისებრივში გადავიდა და ის ახალი მეცნიერულ-ფილოსოფიური სისტემების წარმოშობის ნყაროდ იქცა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები, სამართლის ფილოსოფიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებაში, გარდამტეხი აღმოჩნდა.

სამართლებრივი და სოციალური ყოფიერების ფუნდამენტალური საკითხების კვლევისას თანაზიარობაში აღმოჩნდნენ განსხვავებული დარგის წარმომადგენლები. სახელმწიფოს მონყობის მეცნიერულ-სამართლებრივ თეორიების შემუშავებაში, მაგალითად, გარდა იურისტებისა და პოლიტიკოს-სპეციალისტებისა, სამართლის კვლევაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ფილოსოფიური ცოდნის ისეთმა დიდმა ავტორიტეტებმა, როგორებიც არიან, ახალი დროში, ი.კანტი, გ.ვ.ჰეგელი, კ.მარქსი და სხვები.

სამართლის ფილოსოფია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა, გერმანელმა ფილოსოფოსმა და სამართალმცოდნემ, გ.ვ.ჰეგელმა (1770-1832) დააფუძნა. მას ეკუთვნის ასევე, ფილოსოფიური ცოდნის მძლავრი სისტემის შექმნა. ფილოსოფიას მან მეცნიერებათა მეცნიერება, მეცნიერებათა დედოფალი უწოდა და ამას თავისებური ახსნა მისცა. ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებული ფილოსოფიური სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ სამყაროს ცალკეული მხარეების, არამედ სამყაროს არსის შემეცნებაზე. სამართლის ფილოსოფიასაც იგივე მიზანი აქვს – სამართლის არსის ახსნა.<sup>13</sup> ჰეგელის ფილოსოფიური შრომა, მოკლე სახელწოდებით: „სამართლის ფილოსოფია“, 1820 წელს იგი გამოქვეყნდა ორი სათაურით: „ბუნებით სამართალზე და სახელმწიფოზე მეცნიერება ნარკვევების სახით. სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები“.

ისტორიამ აჩვენა, რომ სამართლის ფილოსოფიის საკითხების შემეცნებაში იურისტები და ფილოსოფოსები მსოფლმხედველობრივ და მეცნიერულ წვლილს თითქმის თანაბრად ინანილებენ. ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის სამართლის ფილოსოფია ცალკე საგნად ისწავლება, ხოლო მას, ფილოსოფოსიის სწავლულები კითხულობენ.

სამართლის ფილოსოფიის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, საგულისხმოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. „დამოუკიდებლობის მიღებისთანავე“ მის მიმართ „შეტევები“ დაიწყო, „გამოუჩნდნენ კონკურენტები“, როგორც ფილოსოფიური ასევე სამართლის მეცნიერული ცოდნის სისტემებიდან. და მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი სამართლის ფილოსოფიასთან დიალექტიკურ კავშირშია, მისი დამოუკიდებლობის საჭიროება, არც თუ იშვიათად, დავის საგანია.

სოციალური ცხოვრების შემსწავლელი დარგები არა ერთია. სამართლის ფილოსოფიასთან მონათესავეა: სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, კულტურის ფილოსოფია. იურიდიული მეცნიერული ცოდნის სფეროებიდან: სახელმწიფოსი და სამართლის თეორია, სამართლის სოციოლოგია, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფოსი და სამართლის ისტორია.

წარმოდგენილი დარგების მიმართებას სამართლის ფილოსოფიასთან სახელმძღვანელოში ცალკე თავი ეთმობა.

**სფ „შესაძლებლობების“** გასაცნობად აუცილებელია ფილოსოფიურ-სამართლებრივი

<sup>12</sup> Алексеев П.В., Панин А.В. Философия: Учебник. 4-е изд., перераб. и доп. М., 2008. С. 9.

<sup>13</sup> სალომე ხიზანიშვილი, ირაკლი გაბისონია ალექსანდრე ტალიაშვილი. სამართლიანობა, ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019, გვ.167

აზროვნების ტრადიციების, მისი შედეგების ერთიანობაში წარმოდგენა. ხოლო ამ „შესაძლებლობების“ შესწავლისას დაინტერესებულ მკითხველს ერთგვარ მეგზურობას გაუწევს ფილოსოფიისა და სამართლის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინების წინაშე წამოჭრილი საკითხების მოკლე ანალიზი.

ფილოსოფია პოზიტიურ „სამართალს სჭირდება“, არა უბრალოდ, როგორც მსოფლმხედველობრივი ბჭობის ხელოვნება, არამედ სწორედ როგორც მსოფლმხედველობრივი ორიენტირი, შემეცნების სპეციფიკური საკითხებითა და მეთოდოლოგიით. და რაც მთავარია, საკითხთა იმ ფართო წრით, რაც ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მოცემულობებში ადამიანის სამართლებრივი ცხოვრებისათვის გადამწყვეტია. ფილოსოფიიდან სამართალში „შემოტანილი“ სპეციფიკური საკითხები, რაც ეხება სამყაროს ერთიანობის, ადამიანის არსის გარკვევას, და რომელიც არსობრივად, ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტალურ შრეებს მთლიანად მოიცავს, სამართლის ფილოსოფიაში მსჯელობის მთავარი საგანია, კიდევ უფრო მეტი დატვირთვითა და სირთულეების ჩვენებით. საკითხების სიმწვავეს განაპირობებს ერთი მხრივ, ადამიანის სამართლებრივი ყოფიერების საფუძვლებისა და პრინციპების შეცნობის სიძნელეები და მეორე მხრივ, მუდმივი ცვლილებები ადამიანის ისტორიულ ცხოვრებაში, – პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კუთხით. სამართლის ფილოსოფია ამ პრობლემატიკაზე აკეთებს ძირითად აქცენტებს.

აღნიშნულ ვითარებასთან მიმართებაში განიხილება ფილოსოფიის სამართლისადმი დაქვემდებარების საკითხიც. ფილოსოფიის შემეცნების არეალში შემავალი თემატიკა, – შინაარსობრივი წინააღმდეგობებისა და სირთულეების წარმოდგენით, გაგრძელებასა და დასაბუთებას იურისპრუდენციაში პოულობს. იქ, პოზიტიურ სამართალში ვლინდება მისი მრავალფეროვანი ნახნაგები. ფილოსოფიური პრობლემატიკა, როგორც სამართლებრივი ცნობიერების შინაარსი, ფორმალურ გამოხატულებას სამართალში იძენს.

უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, სამართლებრივი აზრის არგუმენტირებული დასაბუთება ხორციელდება სამართლებრივი ფაქტთან მიმართებაში, მასთან დაპირისპირებაში იკვეთება სამართლებრივი აზრის სამართლიანად გადაწყვეტის სწორი გზა, სამართლიანობის იდეის საფუძველზე, კანონის ძალითა და მის შესაბამისად. „სამართალში განხორციელებული სამართლიანობა ღებულობს ნორმატიულ ხასიათს, ხოლო სამართალი – ზნეობრივ დასაბუთებულობას“. <sup>14</sup>

საბოლოოდ, სამართლებრივი აზრისა და სამართლებრივი ფაქტის, სამართლებრივი ყოფიერებისა და სამართლებრივი ცნობიერების ურთიერთმიმართების, მათი ურთიერთგანპირობებულობის საკითხებზე ბჭობა სამართლის ფილოსოფიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს.

„...სამართლის ფილოსოფია, ზოგადად არა არის მიმართული პირდაპირ სამართლებრივ გამოცდილებაზე, სამართლებრივი ფაქტების ანალიზზე, სამართლებრივ ობიექტზე, საგანზე. ეს სამართლის სოციოლოგიისა და სამართლის თეორიის პრეროგატივად რჩება. სამართლის ფილოსოფია მიმართულია განსჯაზე და ანიჭებს მას მრავალფეროვან ცოდნას სამართლებრივი ფაქტებისა და ცნებების შესახებ აპრიორულ ერთიანობას, რასაც გონების იდეალური ერთიანობა შეიძლება ეწოდოს. ის გაცილებით უფრო მაღალი, იდეალური ერთიანობაა და სრულიად განსხვავდება განსჯისეული, ემპირიული ცნებებისაგან,<sup>15</sup> მას შეიძლება გონების რეგულარული პრინციპების, და რაც იგივეა იდეების უნარი ეწოდოს. სწორედ ამ პრინციპებს ეხება სამართლის ფილოსოფია“<sup>16</sup>. ეს პრინციპებია: სიკეთე, სამარ-

<sup>14</sup> სალომე ხიზანიშვილი, ირაკლი გაბისონია ალექსანდრე ტალიაშვილი. სამართლიანობა, ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019, გვ.168

<sup>15</sup> იქვე

<sup>16</sup> ა. ბურჯალიანი., სამართლის ფილოსოფია. ჩარპე დიემ, თბ., 2012, გვ.27



თლიანობა, თავისუფლება, თანასწორობა, – პოზიტიური სამართლის, კანონმდებლობის საფუძვლადმდებარე ფენომენები, „რომელთა შემეცნება სრულიად სხვა რამ არის, ვიდრე წმინდა განსჯის შემეცნება“<sup>17</sup>. ამ სიბრტყეზე დასტურდება ფილოსოფიასა და სამართალს შორის, გარდა დროულ-ვრცეულისა, გენეტიკური კავშირი. ეს კავშირი სამართლის ფილოსოფიის ფუნქციონირებისათვის მზაობას აჩენს, რომლის მიზანია „მართალი სამართლის“ (სამართლიანობის იდეის განხორციელების ნიშნულით!) ჩამოყალიბებისათვის წინაპირობების შემუშავება და მათი განუწყვეტელი კონტროლი. შესაბამისად იმისა, თუ როგორ იცვლება საზოგადოების სამართლებრივი ყოფიერება და რა ტენდენციებს ავლენს ის. სამართლის ფილოსოფია ამ რთული პროცესების გაშუქების სამსახურშია.

სამართლის ფილოსოფიაში, როგორც განსაკუთრებული ტიპის ფილოსოფიურ დისციპლინაში შემეცნებითი და კვლევითი საქმიანობა მიმდინარეობს ძირითადად ფილოსოფიური მიმართულებით. ამ სიბრტყეზე ვლინდება სამართლისათვის გარკვეული ფილოსოფიური კონცეპციების შემეცნებითი და მეთოდური მნიშვნელობა, მათი იდეური შესაძლებლობები, სამართლის ობიექტთან დაკავშირებული რთული და კომპლექსური ამოცანების გადასაჭრელად.

რაც შეეხება იურისპრუდენციის მიერ შემუშავებულ კონცეფციებს, იქ ცენტრალურ ადგილს იკავებს კვლევის სამართლებრივი მიზანდასახულობა, მოტივები, მიმართულებები. ამდენად სამართლის „ფილოსოფიურობას“ განაპირობებს მისი დისციპლინარული ხასიათი, სამართლებრივ დარგში საკვლევი საკითხების ფილოსოფიური გააზრების მოთხოვნილება. აქედან გამომდინარეობს უპირატესი დაინტერესება ისეთი თემატიკით, რაც ფილოსოფიურ მოძღვრებათა სისტემებში არსობრივისია. ასეთია, მაგალითად: სამართლის, სამართლიანობის არსის, ნორმათა ერთიანობის უმაღლესი პრინციპების, სიკეთის, თავისუფლების, თანასწორობის იდეების, ამასთანავე, სამყაროს, ადამიანის არსის, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებისა და წესების, შემეცნების გზებისა და მეთოდების, ღირებულებათა სისტემისა და სხვა მსგავსი საკითხების კვლევა. საკითხთა ამ წრესთან დიალოგის თავისებურებებით იხსნება იურისპრუდენციის ადგილი და დანიშნულება ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში; გარდა ამისა, სამართლის ფილოსოფიის თეორიისა და პრაქტიკისათვის მათი ფუძემდებლური მნიშვნელობის გამო, ხშირად ფილოსოფიურ ანალიზს ექვემდებარება ტრადიციული იურიუსპრუდენციის უფრო კონკრეტული საკითხებიც: იურიდიული კვლევების მეთოდები და ამოცანები, იურიდიული დასაბუთების ხერხები და იურიდიული მტკიცებულების ბუნება, სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა, სამართალი, როგორც ნორმების სისტემა, ნება და ინტერესი სამართალში, მართლშეგნება, სამართალური თიერთობა, ხელშეკრულება, უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობა, მართლწესრიგი და სამართალდარღვევა, დანაშაულისა და პასუხისმგებლობის საკითხები და ა. შ.

**დასკვნის** სახით, შეიძლება ითქვას: ფილოსოფიური შემეცნება, ფილოსოფია (თავისი საგნით, მეთოდებით და სხვ.) განეკუთვნება საყოველთაოს, სამართალი და სამართალმცოდნეობა – განსაკუთრებულს, ხოლო სამართლის ფილოსოფიის საძიებელი ჭეშმარიტება სამართლის შესახებ, როგორც ყოველი ჭეშმარიტება – კონკრეტულს. აქედან გამომდინარეობს სამართლის ფილოსოფიის მიმართ ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის მიდგომების არსობრივი სხვადასხვაობა: „გზა ფილოსოფიიდან სამართლის ფილოსოფიამდე იწყება საყოველთაოდან, გაივლის განსაკუთრებულს და მიდის კონკრეტულამდე (სამართლის შესახებ საძიებელ ჭეშმარიტებამდე), ხოლო გზა იურისპრუდენციიდან სამართლის ფილოსოფიამდე იწყება განსაკუთრებულიდან, გაივლის საყოველთაოს და მიდის კონკრეტულამდე. ფილოსოფიის ინტერესი სამართლის მიმართ, აგრეთვე სამართლის ფილოსოფიის, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებათა სისტემაში განსაკუთრებული მეცნიერების არსებობა

<sup>17</sup> ი.კანტი. წმინდა გონების კრიტიკა. თბ., 1979, გვ.222.

---

გამართლებულია, უპირველესად, თვით ფილოსოფიის შინაგანი მოთხოვნილებით – თავად დარწმუნდეს იმაში, რომ მისი საყოველთაოა (საგნობრივი, მეთოდოლოგიური, შემეცნებითი და ა. შ.).

ნამდვილად საყოველთაოა, რომ ის ვრცელდება ისეთ განსაკუთრებულ სფეროზეც, როგორც სამართალია. ასევე, იურისპრუდენციაში (მის მოძრაობაში სამართლის ფილოსოფიისაკენ) არსებობს შინაგანი მოთხოვნილება – თავად დარწმუნდეს იმაში, რომ მისი განსაკუთრებულობა (საგნობრივი, მეთოდური და ა. შ.) არის საყოველთაოს ნამდვილი განსაკუთრებულობა, მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, ესე იგი, რაღაც აუცილებელი და გონიერი, და არა თვითნებური და შემთხვევითი საყოველთაოში<sup>18</sup>.

ასეთია სამართლის ფილოსოფიისაკენ მიმავალი გზა. ფილოსოფიაც და იურისპრუდენციაც სამართლის შესახებ ჭეშმარიტების განუწყვეტელ ძიებაში იმყოფებიან. პირველი ამას აკეთებს უმთავრესად მსოფლმხედველობრივი, ხოლო მეორე, პოზიტიური სამართლის მეცნიერული პოზიციებიდან. ამ სივრცეში ფილოსოფიაც და სამართალიც რამდენადაც შორდებიან ერთმანეთს, იმდენადვე უახლოვდებიან, მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გზებითა და ხერხებით.

## რეზიუმე

თანამედროვე ცივილიზებულ სამართლებრივ სამყაროში, ჯერჯერობით არ ასრულებს საყოველთაოდ მიღებული ფილოსოფიურ-სამართლებრივი პარადიგმა. ფილოსოფიურ-სამართლებრივი პარადიგმის არსებობა განსაკუთრებულ. მნიშვნელობას იძენს „მართალი სამართლის“ შემუშავებაში.

სამართლის ფილოსოფია, „მართალი სამართლის“ შემუშავებისათვის არკვევს, ქმნის და აწესებს გონისმიერ წინაპირობებს. სამართლის ფილოსოფია იკვლევს თავისუფლებას, როგორც სამართლის განხორციელების იმანენტური საფუძვლს. სამართლის ფილოსოფია იკვლევს სამართლის იდეას, ცნებას, ფაქტს მათ ურთიერთმიმართებებს.

სამართლის ფილოსოფია იკვლევს სამართლის უმაღლეს პრინციპებს, რის საფუძველზეც სამართალი „სამართლიანია თავისთავად“.

## Resume

In the modern civilized legal world there is no universally acknowledged philosophical-legal paradigm. Existence of philosophical-legal paradigm acquires special significance in development of “righteous law”.

Philosophy of law clarifies, creates and establishes rational prerequisites for development of “righteous law”. Philosophy of law examines freedom as the immanent basis for implementation of law.

Philosophy of law examines the idea, the notion of law, the fact of their interrelations. Philosophy of law examines the superior principles of law, on the basis of which the law is “fair in itself”.

---

<sup>18</sup> წყარო:<https://cyberleninka.ru/article/n/filosofiya-pravo-filosofiya-prava/viewer>

---

## Резюме

В современном цивилизованном правовом мире всё ещё не существует всеобщей принятой философско-правовой парадигмы. Существование философско-правовой парадигмы приобретает особую значимость в разработке «справедливого права».

Философия права выясняет, создает и учреждает разумные предпосылки для развития «справедливого права». Философия права исследует свободу, как имманентную основу реализации права.

Философия права исследует идею, понятие, факт права, их взаимоотношения. Философия права исследует высшие принципы права, на основе которых право является «справедливой сама по себе».

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუაჩიძე თამაზ. ფილოსოფიური ანთროპოლოგია. გამომცემლობა „კოლორი, თბილისი, 2003;
2. ბურჯალიანი ა., სამართლის ფილოსოფია. ჩარპე დიემ, თბ., 2012;
3. გ.თოდრია. სამართლის ფილოსოფია – როგორც პრობლემა. „პარლამენტის უწყებანი“, № 2.
4. თევზაძე გურამ. ანტიკური ფილოსოფია. გამომცემლობა Carpe diem, თბ., 2015;
5. კანტი ი., წმინდა გონების კრიტიკა. თბ., 1979.
6. კაუფმანი ა., სამართლის ფილოსოფია განსჯისათვის „პარლამენტის უწყებანი“, 31-2, თბ., 1997;
7. ნანეიშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის საკითხები. თბ., 1992;
8. რეიმონდ უექსი, სამართლის ფილოსოფია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012;
9. სიზანიშვილი ს., გაბისონია ი., ტალიაშვილი ა., სამართლიანობა, ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019;
10. Алексеев П.В., Панин А.В. Философия: Учебник. 4-е изд., перераб. и доп. М., 2008;
11. Гегель. Философия Права. Соч. Т. VII. М \_ Л., 1934;
12. Нерсесянц В.С. Философия права: учебник. 2-изд., Перераб. и доп. М.: Норма, 2008;
13. Философия права. Коллектив авторов. «Статут», 2018;
14. წყარო:<https://iphlib.ru/library/collection/newphilenc/doc./HASH01e9028a4d3e136afed-6f1e>
15. წყარო: <https://cyberleninka.ru/article/n/filosofiya-pravo-filosofiya-prava/viewer>.

# არჩევნების ინსტიტუტის განვითარების ისტორიული ექსკურსი

მარიამ ჯიქია \*

სოფიო დემეტრაშვილი \*

## 1. არჩევნების კონცეპტის ჩამოყალიბება და მისი როლი ანტიკურ ეპოქაში

არჩევნების, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი კონცეპტის ჩამოყალიბება ადრეულ პერიოდს უკავშირდება, კერძოდ კი ძველ საბერძნეთსა და რომს.

ძველი ბერძნული დემოკრატია მნიშვნელოვნად განსხვავდება დღევანდელი პერიოდის დემოკრატიის ცნებისგან. ანტიკური დემოკრატია პირდაპირი მმართველობის სისტემას წარმოადგენდა, რომლის დროსა თავისუფალი მოქალაქეები კოლექტიური კანონმდებლის როლში გამოდიოდნენ. მსგავსი მმართველობა შესაძლებელი იყო ძველი ბერძნული სახელმწიფოების მცირე ზომის გამო, კერძოდ ქალაქი-პოლისის მოქალაქეობის რაოდენობა 10000-2000 არ აღემატებოდა.<sup>21</sup>

ქალაქ-სახელმწიფოებში მოქალაქეები უშუალოდ მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე პოლისის მართვაში, ეკავათ სხვადასხვა არჩევითი თანამდებობები, მაგრამ ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი არ იყო ყველასთვის. ქალაქ-სახელმწიფოს მართვაში ჩაბმის უფლება ჰქონდა მხოლოდ მამრობითი სქესის თავისუფალ მოქალაქეს.

პირდაპირი დემოკრატიის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია რამდენიმე პირობის არსებობა, მათ შორის მცირერიცხოვანი მოსახლეობა, პოლიტიკური დიფერენციაციის არარსებობა საზოგადოებაში, მოქალაქეთა თავისუფლება.<sup>22</sup>

ათენში დემოკრატია სახალხო კრების სახით ვლინდებოდა, სწორედ ის იღებდა ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. კრება სულ მცირე წელიწადში ორჯერ მაინც იკრიბებოდა, საჯარო მოხელეებს მოქალაქეთა რიგებიდან ირჩევდა გარკვეული ვადით. თანამდებობის ვადის განსაზღვრას ის მიზანი ჰქონდა, რომ რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს მიეღო მონაწილეობა მმართველობაში. სახალხო კრების აღმასრულებელი საკრებულო 500 მოქალაქისგან შედგებოდა და მას 50 კაცისგან შემდგარი საბჭო წარუდგენდა განსახილველ საკითხებს.<sup>23</sup>

ძველ საბერძნეთში, არჩევნების ორი უმნიშვნელოვანესი ფორმა არსებობდა. არჩევნები ლოტით და არჩევნები სახალხო კენჭისყრის საფუძველზე.<sup>24</sup> მაგალითად, ათენის მაღალჩინოსნების უმრავლესობა შერჩეულია ლოტის საფუძველზე.<sup>25</sup> არისტოტელეს მოსაზრებით, „ლოტის გამოყენება თანამდებობის დასაკავებლად წარმოადგენს დემოკრატიულ ფორმას და ნიშნავს ოლიგარქის ხმის მითვისებას“.<sup>26</sup> თუმცა, არსებობდა ძალიან ცუდი საარჩევნო

\* სამართლის დოქტორი, სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

\*- სამართლის დოქტორი, სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

<sup>21</sup> მ. მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003, გვ. 24

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> ე. ჰეიუდი, პოლიტიკა, მესამე გამოცემა, 2008, გვ. 110

<sup>24</sup> Avasthi Rajendra., Elections and Electioneering in Ancient Greece., The Indian Journal of Political Science Vol. 19, No. 3 (July-September 1958), pp. 276-281.

<sup>25</sup> A. Merrills, P. Rhodes., Election and Lot in Democratic Athens., HESPERIA 76 (2007)., Page 323.

<sup>26</sup> See Headlam 1933; Hansen 1990; Bers 2000; Daverio Rocchi 2001; Demont 2001 For areas outside Athens, see Cordano 2001; di Salvatore 2001.

პრაქტიკა, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებდა ქრთამის აღების ფაქტებსა და არჩევნების გაყალბების მცდელობებში.<sup>27</sup>

პირდაპირი დემოკრატიის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილები ანტიკური ხანის მოაზროვნეები, რადგან მიაჩნდათ რომ დემოკრატიული მმართველობის დროს აუცილებელი იყო მმართველი ელიტის არსებობა, გარკვეული ჯგუფებისათვის დემოკრატიული უფლებების მინიჭება მათი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

პლატონის მოსაზრებით, ათენის პირობებში პოლიტიკური თანასწორობის იდეა ჯერ მხოლოდ იმიტომ იყო უარყოფითი, რომ ადამიანთა უმრავლესობას არ გააჩნდა მართვისთვის აუცილებელი ინტელექტი და გამოცდილება.<sup>28</sup> ათენურ დემოკრაციას სხვა ნაკლებიც გააჩნდა: მმართველობის პროცესში მონაწილეობდა მხოლოდ ათენში დაბადებული 20 წელს გადაცილებული მამაკაცები. მონებს, ქალებს და უცხოტომელებს საერთოდ არანაირი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ.<sup>29</sup>

მე-13 საუკუნეში, ძველ რომში არჩეულ იქნა იმპერატორი, რომელიც იმპერიის უდიდესმა მთავრებმა და თავადმა ამომრჩევლებმა აირჩიეს.<sup>30</sup> 1356 წელს, იმპერატორმა ჩარლზ IV გამოაქვეყნა კანონი სახელწოდებით „ოქროს ხარი“, რომელიც გახდა ფუნდამენტური კანონი. აღნიშნული კანონის მიხედვით ხდებოდა შემდგომში მეფეებისა და იმპერატორების არჩევა.<sup>31</sup>

არჩევნების პროცესი შედგებოდა ორი ეტაპისაგან. აღნიშნული სისტემა გრძელდებოდა 1530 წლამდე, სანამ იმპერატორების ტახტზე კურთხევა პაპის მიერ არ იქნა შემოღებული. მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მაგალითს მონარქიული სისტემისა, 1453 წლიდან 1740 წლამდე, ჰაბსბურგი წარმოადგენდა ისეთ სახელმწიფოს, სადაც ტახტის გადაცემა ხდებოდა მემკვიდრეობით. სწორედ აღნიშნულ პერიოდში, იმპერატორი ჰაბსბურგის სახლში იქნა არჩეული.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური პერიოდის დემოკრატია და მმართველობის ფორმები, გარკვეულწილად ეფექტური შედეგისგან შორსაა, ძველი საბერძნეთისა და რომის არჩევნების გამოცდილება საკმაოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამ პერიოდიდან იღებს დასაბამს არჩევნების ჩატარების მარეგულირებელი ნორმების წერილობითი დაფიქსირება, არჩევითი თანამდებობები, დროითი შუალედების განსაზღვრა, ხმის მიცემის სახეები.<sup>32</sup>

## 2. არჩევნების განვითარების ტენდენციები XVII-XIX საუკუნეებში

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ინსტიტუტი პირველად ჩამოყალიბდა და გამოიყენებოდა უძველეს ათენსა და რომში, თანამედროვე არჩევნების საფუძველი დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის XVII საუკუნეს უკავშირდება.<sup>33</sup> ამ პერიოდში გაჩნდა ტერმინი „წარმომადგენლობითი დემოკრატია“.

<sup>27</sup> აღნიშნულის შესახებ ასამბლეაშიც ყოფილა საუბარი. h. Pol. 62.1 mentions corruption in the appointment to portative offices organized by demes, in which they seem to have been illegally sold. The remedy for this, however, was the removal of office allocation from the demes to the whole tribe, suggesting that there was less opportunity for this kind of corruption at tribal level. Aischines (3.62) alleges that Demosthenes bribed fellow demes men not to stand for the Boule in order that he be selected (by lot).

<sup>28</sup> იქვე

<sup>29</sup> იქვე

<sup>30</sup> T.F.X. Noble, B. Strauss, D. Osheim, K. Neuschel, E. Accampo, *Western Civilization: Beyond Boundaries*, 7th Edition, 2013, p. 20

<sup>31</sup> The Golden Bull of Charles IV 1356, [ordham.edu](http://ordham.edu). Retrieved 2017, 11-22

<sup>32</sup> მ. მაცაბერიძე, *არჩევნები და საზოგადოება*, თბილისი, 2003, გვ. 26

<sup>33</sup> L. G. Sabato, H.R. Ernst, *Encyclopedia of American Political Parties and Elections*, New York, 2007, p. 123



ამ პერიოდში დემოკრატია აღიქმებოდა მოქალაქეების მიერ ხელისუფლების მოთოკვის საშუალებად და პიროვნული თავისუფლების სამოქმედო არეალის გაფართოებას ისახავდა მიზნად.<sup>34</sup>

XVII-XVIII საუკუნეში არჩევნების ინსტიტუტსა და დემოკრატიაზე საუბრისას აუცილებელია შევეხოთ შობის, ჟან-ჟაკ რუსოსა და ჯონ ლოკის თეორიებსაც.

ლოკს მიაჩნდა, რომ ხმის მიცემა მხოლოდ მესაკუთრეებს უნდა შესძლებოდათ, რადგან სწორედ მათ საკუთრებას უქმნიდა საფრთხეს ხელისუფლების თავგასულობა.<sup>35</sup>

შობის თანახმად, ხელისუფლება ხალხის წარმომადგენელი უნდა იყოს და თითოეულმა მოქალაქემ საკუთარი ნება უნდა დაუქვემდებაროს საერთო ნების მატარებელ პერსონას. სწორედ ამ ერთ პერსონაში გაერთიანებულ ადამიანთა ერთიანობას ეწოდება სახელმწიფო.<sup>36</sup> აღნიშნულის მიღწევა შეიძლება ორი გზით: ძალის გამოყენებით ან მოქალაქეების ნებაყოფლობითი ხელშეკრულების დადებით. ამ უკანასკნელის შედეგად კი მივიღებთ პოლიტიკურ სახელმწიფოს.<sup>37</sup>

ჟან-ჟაკ რუსოს თანახმად, დემოკრატია არის იარაღი, რითაც ადამიანმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს. მისი მოსაზრებით, ხელშემწყობი დემოკრატის რადიკალური გამოვლინება მოითხოვს პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანასწორობის მაღალ ხარისხს.

XVIII საუკუნეში, პოლიტიკური ასპექტის ხელმისაწვდომობა დიდწილად არისტოკრატიულ წევრობაზე იყო დამოკიდებული და არჩევნებში მონაწილეობა ძირითადად ადგილობრივი საბაჟო შეთანხმებებით რეგულირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნებმა არაერთი რევოლუციის შედეგად აღიარეს, რომ თითოეული მოქალაქის ხმა მნიშვნელოვანი და ერთმანეთის თანასწორი იყო, ხმის მიცემის ფაქტი, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ინსტრუმენტი, ძალიან ფორმალურ ხასიათს ატარებდა.<sup>38</sup>

XVIII-XIX საუკუნეში წარმომადგენლობითი დემოკრატისადმი მიდგომა შეიცვალა, **ბრიტანეთის პარლამენტი** აღარ წარმოადგენდა კორპორაციების ინტერესებს, ის დაფუძნებული იყო ადამიანების ინტერესთა დაცვაზე. XIX საუკუნეში გატარდა სამი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლის თანახმადაც გაუქმდა ისეთი პატარა საარჩევნო უბნები, სადაც მთელ ძალაუფლებას ერთი ადამიანი ან ერთი ოჯახი ფლობდა.<sup>39</sup>

1832 წლის რეფორმის შედეგად, ქონებრივი ცენზის გამო დიდი ბრიტანეთის 24 მილიონი ამომრჩევლიდან მხოლოდ 1 მილიონი იღებდა მონაწილეობას თემთა პალატის არჩევნებში. 1838 წელს მუშათა ლონდონის ასოციაციამ წარმოადგინა საარჩევნო რეფორმის შესახებ ბილის პროექტი, რომლის თანახმადაც, ინგლისი უნდა დაეყოთ თანაბარი მოსახლეობის მქონე ერთმანდატიან ოლქებად, აქტიური საარჩევნო უფლება უნდა ჰქონოდა 21 წლის მამაკაცს, საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო ყოველწლიურად, უნდა განსაზღვრულიყო პარლამენტის წევრთა ფულადი ანაზღაურება. აღნიშნული პროექტი მთავრობამ არ მიიღო, თუმცა 1858 წელს გააუქმა ქონებრივი ცენზი. ქონებრივი ცენზის გაუქმებას არსებითი ცვლილებები არ მოჰყოლია.<sup>40</sup>

აქტი სახალხო წარმომადგენლობის შესახებ ინგლისში ორჯერ იქნა მიღებული: 1867 და 1884 წელს, თუმცა ვერცერთი მათგანი რელევანტურად ვერ წყვეტდა მანდატების

<sup>34</sup> ე. ჰეივუდი, პოლიტიკა, მესამე გამოცემა, 2008, გვ. 111

<sup>35</sup> იქვე

<sup>36</sup> მ. ბიჭაშვილი, პოლიტიკური თეორია, თბილისი, 2006, გვ. 52

<sup>37</sup> იქვე

<sup>38</sup> H. Eulau, R. Gibbins, P.D. Webb, Elections <https://www.britannica.com/topic/election-political-science>

<sup>39</sup> Reform Act of 1832

<sup>40</sup> მ. მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003, გვ. 60

პროპორციულად განაწილების პრობლემას. 1885 წელს მიიღეს აქტი ადგილების გადანაწილების შესახებ. შეიქმნა 33 ახალი საქალაქო ოლქი, საგრაფოები და ქალაქები დაიყო თანაბარი მოსახლეობის მქონე უბნებად, საიდანაც თითო პარლამენტის წევრს ირჩევდნენ. ამგვარად 1885 წლის აქტს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს თანაბარი მანდატების სისტემის ჩამოყალიბებაში.<sup>41</sup>

**საფრანგეთში** ნაპოლეონის მოსვლის შემდეგ ახალი კონსტიტუციის შემუშავება დაევა-ლა სიეისს. მის მიერ შემუშავებული საარჩევნო სისტემის თანახმად, ყველა სრულწლოვანი მამაკაცი თვისი რიგებიდან ირჩევდა ერთ მეათედ ნაწილს. არჩეულებს კი ეწოდებოდათ კომუნალური ნოტაბლები. მათი რიგებიდან კი მთავრობა ნიშნავდა კომუნის თანამდებო-ბის პირებს.<sup>42</sup>

სიეისის მიერ შემუშავებული საარჩევნო სისტემა სულაც არ წარმოადგენდა თანა-მედროვე გაგებით დემოკრატიულს, კერძოდ: საყოველთაო საარჩევნო უფლება მხოლოდ იმიტაცია იყო, სინამდვილეში ხელისუფლების ორგანოების ფორმირება მთლიანად მთავ-რობაზე იყო დამოკიდებული; ხალხის ზეგავლენა სახელმწიფოს საქმეებზე მხოლოდ თეო-რიულ ხასიათს ატარებდა.<sup>43</sup>

ბურჰონების დაბრუნების შემდეგ მიღებული 1814 წლის ქარტიის საფუძველზე, აღმას-რულებელი ხელისუფლება მთლიანად მეფის ხელში ყო მოქცეული. ამ ქარტიის საფუძველ-ზე ნაპოლეონის კონსტიტუციის მსგავსად, საარჩევნო უფლება დაკავშირებული იყო გა-დასახადებთან, რაც თავის მხრივ, ზღუდავდა მუშების, გლეხებისა და საშუალო შეძლების მქონე ადამიანების მონაწილეობას არჩევნებში.<sup>44</sup>

საფრანგეთის მოსახლეობის ზრდა სამწუხაროდ არ განაპირობებდა ელექტორატის რაოდენობის ზრდას, პირიქით ხანდახან ის მცირდებოდა კიდევ. 1817 წელს საარჩევნო უფლება ჰქონდა 110 000 მოქალაქეს, 1820 წელს – 105 000, 1827 წელს – 89 000.<sup>45</sup>

1831 წლის 31 აპრილის ქარტიით კონკრეტული ცვლილებები იქნა შეტანილი საარჩევნო წესში, კერძოდ გადასახადის სავალდებულოობა 300 ფრანკიდან შემცირდა 200 ფრანკამ-დე, გაუქმდა ორმაგი ვოტუმი და სხვა.<sup>46</sup> საარჩევნო სისტემის რეფორმამ ხელი შეუწყო ელექტორატის რაოდენობის ზრდას.

**გერმანიაში** საარჩევნო კანონმდებლობა XIX საუკუნეში ფრანგული კანონმდებლო-ბის ზეგავლენას განიცდიდა. ვესტფალიის სახელმწიფოს შექმნამ და მისმა კონსტიტუციამ საკმაოდ დიდი ზეგავლენა იქონია გერმანიის კანონმდებლობის შემდგომ განვითარებაზე.<sup>47</sup>

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში გერმანიაში ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნის პროცესი რთული და წინააღმდეგობრივი იყო. 1848 წლის რევო-ლუციამ ხელი შეუწყო პროგრესული საარჩევნო ნორმების შექმნას, კერძოდ 1849 წლის კანონი სახალხო პალატაში არჩევის თაობაზე აუქმებდა ქონებრივ ცენზებს და აწესებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას, რომლითაც სარგებლობდნენ 25 წლის მამრობითი სქე-სის გერმანელები. ეს ეხებოდა როგორც აქტიურ, ასევე პასიურ საარჩევნო უფლებას.<sup>48</sup> ამ პერიოდის გერმანიაში საარჩევნო ოლქების მოსახლეობა შედგებოდა 100 000 ადამიანისგან

<sup>41</sup> იქვე: გვ. 62

<sup>42</sup> იქვე: გვ. 49

<sup>43</sup> იქვე: გვ. 50

<sup>44</sup> აქტიური საარჩევნო უფლება ჰქონდათ 30 წელს მიღწეულ პირებს, რომელთა წლიური პირდაპირი გადასახა-დი შეადგენდა არანაკლებ 300 ფრანკს. აღნიშნული გარემოება კი ზღუდავდა ელექტორატს, რომელიც 15000 კაცზე ნაკლები გამოდიოდა.

<sup>45</sup> მ. მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003, გვ. 52

<sup>46</sup> იქვე

<sup>47</sup> იქვე: გვ. 62

<sup>48</sup> იქვე: გვ. 63

და არჩევნები ტარდებოდა ყველა გერმანულ სამეფოში ერთ დღეს. მიუხედავად იმისა, რომ 1849 წლის საარჩევნო კანონს არ ჰქონდა პირდაპირი მოქმედების ძალა, ის იყო ყველა გერმანულ სახელმწიფოში საარჩევნო ნორმების ლიბერალიზაციის საფუძველი.<sup>49</sup>

გერმანიის გაერთიანებისა და 1871 წლის კონსტიტუციის მიღების შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა ახალი წესი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად, კერძოდ რეის-სტაგი აირჩეოდა საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების მეშვეობით ფარული კენჭისყრით.<sup>50</sup>

**ამერიკის შეერთებული შტატების** დამფუძნებელმა მამებმა შექმნეს ისეთი საარჩევნო სისტემა, სადაც ამერიკელ ხალხს მიენიჭა უფლება და დაეკისრა პასუხისმგებლობა, აერჩიათ თავიანთი ლიდერი. აღნიშნული სისტემის შესაბამისად, 1789 წელს არჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი. ამ პერიოდში, მხოლოდ თეთრკანიან მამაკაცებს, რომლებიც ფლობდნენ ქონებას, შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობა.<sup>51</sup>

1868 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში მე-14 შესწორების საფუძველზე ფერადკანიანები გათანაბრებული იქნა თეთრკანიანებთან. აღნიშნული შესწორების რატიფიცირებაზე სამხრეთის შტატებიდან მხოლოდ ტენესის შტატი იყო თანახმა. 1870 წელს მიიღეს მე-15 შესწორება, რომლის თანახმადაც, აშშ მოქალაქეს არ შეეძლებოდა შეზღუდვოდა საარჩევნო უფლება რასის, კანის ფერის ან ადრე მონობაში ყოფნის გამო.

### 3. არჩევნების განვითარების ტენდენციები XX საუკუნეში

დემოკრატიის თანამედროვე განმარტება განსხვავდება წინა ეპოქების დროს არსებული განმარტებისგან და მისი განმაპირობებელი ინსტიტუციებიც მეტწილად სხვაგვარადაა განმარტებული. დემოკრატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას სწორედ საყოველთაო, თანასწორი და თავისუფალი არჩევნები წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპების უფრო დახვეწა რა მაქსიმალურად სრულყოფილებამდე ჩამოყალიბება სწორედ XX საუკუნეს უკავშირდება.

როდესაც ვსაუბრობთ არჩევნების საყოველთაობაზე, ვგულისხმობთ, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება გააჩნია ყველა სრულწლოვან მოქალაქეს. განმარტება ზოგადი ხასიათისაა, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში სრულწლოვანების ასაკი განსხვავებულია, თუმცა XX საუკუნეში დემოკრატიულ სახელმწიფოებში აქტიური საარჩევნო უფლების ასაკი მერყეობს 16-21 წლამდე. რა თქმა უნდა არის გამონაკლისები, თუმცა ამ გამონაკლისების დაწესების დისკრეცია თვითონ სახელმწიფოებს გააჩნიათ. ქვეყნები, რომელთა აქტიური საარჩევნო უფლების ზღვრული ასაკობრივი ცენზი 18 წელია, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უმრავლესობას შეადგენს, დაახლოებით 100-მდე სახელმწიფოს. პასიური საარჩევნო უფლების ზღვრული ასაკი განსხვავდება აქტიური საარჩევნო უფლებიდან, რაც განპირობებულია პასუხისმგებლობით. ამ მხრივ ასაკობრივი ზღვარი მერყეობს 21-45 წლამდე.

საყოველთაობის პრინციპთან მიმართებით უფრო ნათლად იქნა ჩამოყალიბებული მოქალაქეობისა და ბინადრობის ცენზები. თუ ადრეულ პერიოდში მოქალაქეობის ცენზი საკმაოდ გარკვევით იყო ხაზგასმული, მას XX საუკუნის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში ბინადრობის ცენზიც დაემატა. ბინადრობის ცენზს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების დროს, მაგალითად, ამერიკის

<sup>49</sup> იქვე: გვ. 65

<sup>50</sup> P. Marschalck, Bevölkerungsgeschichte Deutschlands im 19. und 20. Jahrhundert, Frankfurt am Main, 1984, p. 173

<sup>51</sup> Presidential Elections <https://www.history.com/topics/us-presidents/presidential-elections-1>

შეერთებული შტატების პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას დაბადებით აშშ-ს მოქალაქე, რომელიც 14 წელი ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.<sup>52</sup>

მსგავსად წინა საუკუნეებისა, ზოგიერთ ქვეყანაში დღესაც შემორჩენილია ქონებრივი და განათლების ცენზი. თუმცა ქონებრივი ცენზი ძირითადად სიმბოლური ხასიათის მატარებელია.

საყოველთაობასთან ერთად დემოკრატიული არჩევნების განმაპირობებელი პრინციპი თანასწორობაა. საყოველთაო და თანასწორი უფლების ჩამოყალიბებისა და განხორციელების მცდელობის მიუხედავად, ყველა ქვეყანაში ვერ იქნა მიღწეული და პრაქტიკაში ვერ ჰპოვა დამკვიდრება იდეამ “one person, one vote”. ზოგიერთ ქვეყანაში გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს საარჩევნო უპირატესობა მიენიჭა. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომლებიც ოლქებში ბიზნესსაც ფლობდნენ, 1948 წლამდე ერთზე მეტი ხმის უფლება ჰქონდათ.<sup>53</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებში 1965 წელს მიღებული „არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესახებ“<sup>54</sup> კანონის ამოქმედებამდე, ფერადკანიან ამერიკელებს არ შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. Civil Right Movement-ის<sup>55</sup> მთავარი დანიშნულება და მიზანი სამხრეთ-აღმოსავლეთის მასშტაბით ამომრჩეველთა რეგისტრაცია იყო, რათა აფრიკელ ამერიკელებს პოლიტიკური ძალაუფლება მიეღოთ, ან ჰქონოდათ არჩევნებში საკუთარი კანდიდატის წარდგენის უფლება.<sup>56</sup> 1950-იან წლებში მისისიპიში ადგილობრივი მინისტრის კანდიდატად დარეგისტრირდა ფერადკანიანი ამერიკელი რევერენდ ლი, რომელიც შემდგომში დახვრიტეს.<sup>57</sup>

თანასწორობის პრინციპთან მიმართებით ძალიან საინტერესოა ქალთა საარჩევნო უფლებები და ასევე კონკრეტული კვოტები, რომელიც მათ პრივილეგიებს ანიჭებს, ისევე როგორც ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს. გასული საუკუნე ამ მხრივ საკმაოდ გამოირჩევა, რადგან სხვადასხვა ქვეყნებმა სწორედ მეოცე საუკუნეში მიანიჭეს ქალებს უფლება მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. დიდი ბრიტანეთი იყო გამონაკლისი, რომელმაც 1888 წელს ქალებს მისცა ხმის უფლება საგრაფოების საბჭოების არჩევნებისას, სამრევლო არჩევნებში კი – 1894 წელს. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება კი XIX საუკუნის მიწურულს მიიღეს; ახალ ზელანდიაში – 1893 წელს, ხოლო ავსტრალიაში – 1900 წელს. დანარჩენი ქვეყნების კანონმდებლობებში მსგავსი ცვლილება შევიდა XX საუკუნეში.<sup>58</sup>

ამერიკაში ქალთა მოძრაობა გენდერული თანასწორობისთვის XX საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო და მათი მთავარი მიზანი პოლიტიკური თანასწორობის მოპოვება იყო.<sup>59</sup> „სუფრაჟისტების“ მოძრაობა არ იყო ერთსულოვანი, მათ შორის განსხვავება იგრძნობოდა რასის, კანის ფერის, რელიგიის, პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით. აფრო-ამერიკელი სუფრაჟისტები, რომელთაც ხშირად არ იღებდნენ თეთრკანიან სუფრაჟისტთა რიგებში, ჩამოყალიბდნენ ცალკე ორგანიზაციად და პოლიტიკური უფლებების მოპოვებასთან ერ-

<sup>52</sup> ო. მელქაძე, საარჩევნო სამართალი: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2012, 31

<sup>53</sup> <https://www.merriam-webster.com/dictionary/constituencies>

<sup>54</sup> Voting Rights Act, U.S. legislation., August 6, 1965. See: <https://www.britannica.com/event/Voting-Rights-Act>

<sup>55</sup> <https://www.history.com/topics/black-history/civil-rights-movement>

<sup>56</sup> Voting Rights <https://www.loc.gov/collections/civil-rights-history-project/articles-and-essays/voting-rights/>

<sup>57</sup> Robert G. Clark, Jr., oral history interview conducted by John Dittmer in Pickens, Mississippi, 2013-03-13. See: [https://www.loc.gov/item/afc2010039\\_crhp0075/](https://www.loc.gov/item/afc2010039_crhp0075/)

<sup>58</sup> მ. მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003, გვ. 68

<sup>59</sup> J. Z. Gale, Two Paths to Women's Equality: Temperance, Suffrage, and the Origins of Modern Feminism (New York: Twayne Publisher), 1995, pp. 45–46, 54–56, 63



თად ხშირად აპელირებდნენ რასიზმის აღმოფხვრაზე.<sup>60</sup> 1920 წელს რატიფიცირებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-19 შესწორება, რომელიც თანახმად-აც ქალთა საარჩევნო უფლების შეზღუდვა დაუშვებელია როგორც ფედერალურ, ასევე შტატების დონეზე.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ბრიტანეთი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქალებმა XX საუკუნეში მიიღეს, კერძოდ:

- 1918 წელს – მიღებულ იქნა კანონი, რომელიც 30-მე მეტი წლის ქალს აძლევდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას;
- 1928 წელს – აღნიშნული ასაკობრივი ცენზი ჩამოვიდა 21 წლამდე;
- 1969 წელს – ასაკობრივი ცენზია დაინია 18 წლამდე.<sup>61</sup>

ქალებს პოლიტიკური უფლებები მიენიჭა ესპანეთში 1931 წელს, საფრანგეთში 1944 წელს, იტალიაში – 1946 წელს, შვეიცარიაში – 1971 წელს, პერუში – 1955 წელს და ა.შ.

ქალთა პოლიტიკური უფლებების განვითარების მომდევნო ეტაპი შეიძლება გამოიხატოს კონკრეტული კვოტების დანერგვაში. ნებაყოფლობითი პარტიული კვოტები ნორვეგიაში 1975 წელს, ხოლო შვედეთში 1978 წელს იქნა შემოღებული.

გენდერული კვოტირება დანერგულია ბელგიის, საფრანგეთისა და ავსტრიის კანონმდებლობითაც. საფრანგეთის კონსტიტუციის თანახმად, ქალსა და მამაკაცს უნდა გააჩნდეს თანაბარი წვდომა არჩევით თანამდებობაზე. აღნიშნული დებულების დარღვევის შემთხვევაში პოლიტიკურ პარტიას ეკისრება ფინანსური სანქცია.<sup>62</sup>

XX საუკუნისათვის გენდერულ კვოტებთან ერთად დამახასიათებელია ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობათა კვოტები. მსგავსი სისტემა მოცემულია უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, თურქეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ეთნიკურ უმცირესობათა ცალკეული პარტიები აკრძალულია, უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლები პარლამენტში ირჩევიან მხოლოდ სხვა პოლიტიკური პარტიების შემადგენლობაში, რაც ერთადერთი გზაა პარლამენტში მანდატის მოსაპოვებლად.<sup>63</sup>

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია არჩევნების წარმოშობა და მისი განვითარების ტენდენციები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

არჩევნების წარმოშობისა და განვითარების პირველ ეტაპზე მოცემულია ძველი ათენისა და რომის მაგალითები, საიდანაც იღებს სათავეს პირდაპირი დემოკრატია. აღნიშნული მოდელები თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს რელევანტურ მოდელს, თუმცა სწორედ ათენიდან და რომიდან დაიწყო ამ ინსტიტუციის განვითარება.

XVII-XIX საუკუნეში მიმდინარეობდა მთელი რიგი ცვლილებები, რომელიც თავის მხრივ პოლიტიკური კონიუქტურით იყო განპირობებული. XIX საუკუნეში საარჩევნო სისტემები და კანონმდებლობა ხასიათდება მთელი რიგი პროგრესული ცვლილებებით, კერძოდ:

- ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ შეამცირა ქონებრივი ცენზი, ან საერთოდ გააუქმა ის, რამაც ხელი შეუწყო ელექტორატის გაზრდას, რაც თავის მხრივ გულისხმობდა საარჩევ-

<sup>60</sup> Glenn, Daughters of the Shtetl, pp. 215–216

<sup>61</sup> Fact File: Votes for Women <https://www.parliament.uk/education-resources/stories-from-parliament/SfP-Factfile-Votes-forWomen.pdf>

<sup>62</sup> Constitution of France (04/10/1958)

[https://www.constituteproject.org/constitution/France\\_2008.pdf?lang=en](https://www.constituteproject.org/constitution/France_2008.pdf?lang=en)

<sup>63</sup> C.C. Alionescu, Parliamentary Representation of Minorities in Romania, Southeast European Politics, June 2004, Vol. V, No.1, 61 <http://www.seep.ceu.hu/archives/issue51/alionescu.pdf>

---

ნო პროცესში უფრო მეტი ადამიანის ჩართულობას. XIX საუკუნეში ქონებრივი ცენზი მთლიანად გაუქმდა საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, ხოლო ბელგიაში, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში შემცირდა. ქონებრივი ცენზი ამ პერიოდში შენარჩუნებულ იქნა იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში.

- ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საარჩევნო სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა განათლების ცენზს. საარჩევნო პროცედურებთან მიმართებაში მუშაობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ იმ ადამიანებს ვინც წერა-კითხვა იცოდა (ინგლისი, იტალია). ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს დამატებითი 2 ხმა ჰქონდათ.
- XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ასაკობრივი ცენზის საკითხი საკმაოდ აქტიური იყო. უმეტესობა ქვეყნებში 20-21 წელი მიიჩნეოდა საარჩევნო უფლების რელევანტურ ასაკად, ზოგიერთ ქვეყანაში – 25, ხოლო ყველაზე მაღალი ასაკობრივი ცენზი ჰქონდა დანიას – 30 წელი.
- საყოველთაო და თანასწორი არჩევნების პრინციპი ეხებოდა არა მხოლოდ აქტიურ საარჩევნო უფლებას, არამედ პასიურსაც. აქ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პასიური საარჩევნო უფლებები განხორციელებისთვის გაუქმდა აუცილებელი ქონებრივი ცენზი.<sup>64</sup> აღნიშნული ფაქტი გულისხმობდა რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს.
- ევროპის ქვეყნებში სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ღია და ფარული კენჭისყრა.

XX საუკუნის პირველი ნახევარი გამოიჩინა საარჩევნო სისტემასა და კანონმდებლობაში არსებული მრავალფეროვნებით. თუმცა მეორე მსოფლიო ომს, 1989-90 წლებამდე, აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ერთპარტიული კომუნისტური რეჟიმის პირობები მოჰყვა, რაც საკმაოდ განსხვავდებოდა იმ მიზნებისაგან, რომელიც თავდაპირველად იყო დასახული.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საარჩევნო უფლების საყოველთაობისა და თანასწორობის პრინციპის გამყარების ერთ-ერთი საფუძველი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, რომლის 21-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხის ნებაა: ხალხის ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის უფლებით, ფარული კენჭისყრა თუ სხვა თანაბარ მნიშვნელოვანი თავისუფალი ხმის მიცემის პროცედურების გამოყენებით.<sup>65</sup>

---

<sup>64</sup> 1830 წელს – შვეიცარიაში; 1831 წელს – ბელგიაში, 1848 წელს – საფრანგეთში, 1871 წელს – გერმანიაში.

<sup>65</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (10/121948) <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>

---

## რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საარჩევნო სისტემის შექმნისა და მისი განვითარების ისტორია; მოცემულია არჩევნების კონცეპტის ჩამოყალიბება და მისი როლი ანტიკურ ეპოქაში, კერძოდ ათენსა და რომში. ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა არჩევნების ინსტიტუტის განვითარებას XVII-XIX საუკუნეების ეპოქაში, ხოლო ბოლო ნაწილი XX საუკუნის ტენდენციებს. დეტალურად არის მიმოხილული რა სახის პროგრესი განიცადა უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთმა ძირითადმა ელემენტმა, განსაკუთრებით კი არჩევნების საყოველთაობისა და თანასწორობის პრინციპის თვალსაზრისით.

## Resume

Presented paper discusses the history of the creation and development of Electoral system; the concept of elections and its significance in ancient times, in particular Athens and Rome. The second part of the paper deals with the progress of given institution in the XVII-XIX centuries, and the last part concerns the electoral trends of XX century. Author outlines progressive development of the elections as main part of direct democracy, especially in regard with universality and equality principles.

## Резюме

Представленная статья посвящена истории создания и развития избирательной системы, Концепций выборов и значению в древние времена, в частности в Афинах и в Риме. Вторая часть статьи посвящена прогрессу данного института в XVII-XIX веках, а последняя \_ электоральным тенденциям XX века. В работе подчеркивается прогрессивное развитие выборов как основной части прямой демократии, особенно в отношении принципов универсальности и равенства.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ბიჭაშვილი, პოლიტიკური თეორია, თბილისი, 2006
2. მ. მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003
3. ო. მელქაძე, საარჩევნო სამართალი: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2012
4. ე. ჰეივუდი, პოლიტიკა, მესამე გამოცემა, 2008
5. A. Merrills, P. Rhodes., Election and Lot in Democratic Athens, 2007
6. T.F.X. Noble, B. Strauss, D. Osheim, K. Neuschel, E. Accampo, Western Civilization: Beyond Boundaries, 7th Edition, 2013
7. L. G. Sabato, H.R. Ernst, Encyclopedia of American Political Parties and Elections, New York, 2007
8. P. Marschalck, Bevölkerungsgeschichte Deutschlands im 19. und 20. Jahrhundert, Frankfurt am Main, 1984
9. J. Z. Gale, Two Paths to Women's Equality: Temperance, Suffrage, and the Origins of Modern Feminism (New York: Twayne Publisher), 1995

- 
10. A. Rajendra., Elections and Electioneering in Ancient Greece, *The Indian Journal of Political Science* Vol. 19, No. 3, July-September, 1958
  11. H. Eulau, R. Gibbins, P.D. Webb, Elections <https://www.britannica.com/topic/election-political-science>
  12. Presidential Elections <https://www.history.com/topics/us-presidents/presidential-elections-1>
  13. Voting Rights <https://www.loc.gov/collections/civil-rights-history-project/articles-and-essays/voting-rights/>
  14. C.C. Alionescu, Parliamentary Representation of Minorities in Romania, *Southeast European Politics*, June 2004, Vol. V, No.1 <http://www.seep.ceu.hu/archives/issue51/alionescu.pdf>
  15. Universal Declaration of Human Rights (10/121948) <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>  
Reform Act of 1832
  16. Voting Rights Act, U.S. legislation., August 6, 1965. <https://www.britannica.com/event/Voting-Rights-Act>
  17. Constitution of France (04/10/1958)
  18. [https://www.constituteproject.org/constitution/France\\_2008.pdf?lang=en](https://www.constituteproject.org/constitution/France_2008.pdf?lang=en)
  19. R. G. Clark, Jr., Oral history interview conducted by John Dittmer in Pickens, Mississippi, 2013-03-13. [https://www.loc.gov/item/afc2010039\\_crhp0075/](https://www.loc.gov/item/afc2010039_crhp0075/)
  20. Fact File: Votes for Women <https://www.parliament.uk/education-resources/stories-from-parliament/SfP-Factfile-VotesforWomen.pdf>



## შრომის სამართალი სპორტში

## თარგმანი და კომენტარები ბიორბი ბორაჰის \*

## ნაწილი II \*

## ხელშეკრულება სპორტში და გარიგებების შეზღუდვა

გარიგების შეზღუდვის დოქტრინა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტში შრომითი ხელშეკრულებების კონტექსტში. მისი ერთ-ერთი ასპექტი არის ის, რომ კლუბი მენეჯერებს ხელშეკრულებით უწესებს შეზღუდვას ხანმოკლე პერიოდით (ე.წ. "garden leave"), რომლის გასვლამდეც ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ კლუბიდან წასვლა, რათა დანიშნოს შეხვედრა სხვა კლუბთან.<sup>69</sup> თუ შეზღუდვის ეს პერიოდი ძალიან დიდია, ეს იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული დაუსაბუთებელი შეზღუდვა და ვერ შესრულდება. საქმეში „შპს საფეხბურთო კლუბი კრისტალ პალასი ბრიუსის წინააღმდეგ (Crystal Palace FC Ltd v Bruce. 2000, unreported), briuss undoda daetovebina klubi da gamxdariyo birmingemis safexbur-To klubis (Birmingham FC) ხელმძღვანელი. კრისტალ პალასი ეცადა სასამართლოს მემგობრით უზრუნველყო შეზღუდვის პირობის („garden leave“) შესრულება, რათა ხელი შეეშალა ბრიუსისათვის. მოსამართლე ბარტონმა (Burton J.)<sup>70</sup> გადანყვიტა, რომ კრისტალ პალასს ნამდვილად ჰქონოდა ამის ლეგიტიმური ინტერესი, რადგან ორივე კლუბი იმყოფებოდა პირველ დივიზიონში და შესაძლოა, ყოფილიყვნენ ერთმანეთის მეტოქეები ფლეი ოფში 2001/02 სეზონის ბოლოს. ამდენად, სტივ ბრიუსის გადასვლა ბირმინგემის მენეჯერის თანამდებობაზე, საზიანო იქნებოდა კრისტალ პალასისთვის სეზონის დასასრულამდე. უფრო მეტიც, ხშირია შემთხვევა, როდესაც მენეჯერის სხვა კლუბში გადასვლის შემდეგ მას მალე უერთდებიან სამწვრთვებლო შტაბის წევრები და მოთამაშეები. სასამართლომ გამოსცა შუალედური აქტი სასამართლო შეზღუდვის დაკისრების შესახებ მცირე ვადით (დაახ-

<sup>66</sup> Robert Welch – არის სამართლის დოქტორი, პორტსმუთის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) სამართლის სკოლის ემერიტუსი. 2010 წლიდან ჩამოშორდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას და ძირითადად დაკავებულია სამეცნიერო საქმიანობით. მისი სამეცნიერო ნაშრომები მოიცავს შრომისა და სპორტის სამართლის პრობლემურ საკითხებს.

\*სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მონვეული ლექტორი, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სპორტის სამართლის“ პროექტის ხელმძღვანელი.

<sup>67</sup> ნაწილი იხ. ჟურნალი „იურისტი“, 2020 წ. №8, გვ. 86-96.

<sup>69</sup> გარდენ ლეავე, ფაქტობრივად, უთანაბრდება საქართველოს შრომის კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ნორმას, რომლის თანახმადაც, „შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვის მოქმედების პერიოდში დამსაქმებელი დასაქმებულს გადაუხდის ანაზღაურებას არანაკლებ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას არსებული ოდენობით.“ (მთარგმნელი)

<sup>70</sup> Sir Michael John Burton (დაბ. 1946) – ცნობილი მოსამართლე, ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოს წევრი, შრომის სააპელაციო ტრიბუნალის ყოფილი პრეზიდენტი. (მთარგმნელი)

ლოებით ორი თვით), რაც უკრძალავდა ბრიუსს კრისტალ პალასის დატოვებას შრომითი ხელშეკრულების დარღვევით. კრისტალ პალასს რომ მოეთხოვა შეზღუდვა 2001-2002 სეზონის დასრულების მერეც, შეიძლებოდა გვეწინასწარმეტყველა, რომ ეს არ იქნებოდა გონივრული.

საქმეში ისტჰემი საფეხბურთო კლუბ ნიუკასლ იუნაიტედის წინააღმდეგ (*Eastham v Newcastle United Football Club [1964] Ch. 413*), მოსამართლე უილბერფორსმა (*Wilberforce J*)<sup>71</sup> დაადგინა, რომ სატრანსფერო სისტემა, რომელიც მოქმედებს ბრიტანულ ფეხბურთში, არ წარმოადგენს კომერციული საქმიანობის დაუსაბუთებელ შეზღუდვას და ეს გადანყვეტილება დღემდე უაღრესად მნიშვნელოვანია პროფესიული ფეხბურთისთვის და სხვა ნებისმიერი სპორტისთვის, რომელშიც მოქმედებს სატრანსფერო სისტემა, როგორცაა რაგბის ლიგა და კალათბურთი. იმისათვის, რომ გავიგოთ უილბერფორსის გადანყვეტილების არსი, აუცილებელია სატრანსფერო სისტემის მოკლე განმარტება. ჩვეულებრივ, როდესაც დასაქმებულის მიმდინარე შრომით ხელშეკრულებას ვადა ეწერება, მას აქვს სრული თავისუფლება მოძებნოს სამუშაო ახალ დამსაქმებელთან. პროფესიულ ფეხბურთში მოთამაშეს უფლება აქვს ითამაშოს მხოლოდ იმ გუნდში, სადაც ის ირიცხება, ხოლო კლუბი ვალდებული არ არის გააუქმოს მისი რეგისტრაცია, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადა ამოიწურება. მოთამაშეს შეუძლია თავისუფლად მოელაპარაკოს ახალ კლუბს მასთან გადასვლაზე მხოლოდ მაშინ, თუ მისი ამჟამინდელი კლუბი დართავს ამის ნებას. ასეთ შემთხვევაში ის თავისუფალი აგენტია, რომელსაც შეუძლია ახალ კლუბში გადასვლა ნებისმიერი პირობით, რაზეც ის (ან მისი აგენტი) მიაღწევს შეთანხმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბს შეუძლია შეინარჩუნოს იგი, როგორც რეგისტრირებული მოთამაშე და შესთავაზოს მას ახალი შრომითი ხელშეკრულება იმაზე არანაკლები პირობებით, ვიდრე წინა ხელშეკრულება იყო. ეს შეთავაზება უნდა გაკეთდეს მაისის მესამე შაბათს – შიდა სეზონის დასრულებისთანავე. მოთამაშეს უფლება აქვს უარი თქვას შემოთავაზებაზე და, ამგვარად, იგი ხდება „თავისუფალი“, მოელაპარაკოს სხვა კლუბს მასთან გადასვლაზე, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, თანახმანი არიან თუ არა კლუბები გადაიხადონ სატრანსფერო თანხა. თუ ამ თანხის ოდენობაზე ვერ შეთანხმდება ორი კლუბი, მოთამაშე ჩაირიცხება ახალ კლუბში იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი გადაიხდის პროფესიული ფეხბურთის საკომპენსაციო კომიტეტის (წროფესიონალ ჭოოტბალლ ჩომპენსაციონ ჩომ-მიტტეე) მიერ დადგენილ მოსაკრებელს. პრაქტიკაში, მოთამაშის სხვა კლუბში გადასვლის სურვილი შეიძლება ვერ განხორციელდეს, თუ სხვა კლუბი არ არის მზად გადაიხადოს მოთხოვნილი თანხა ან დაეთანხმოს იმას, რომ მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვროს საკომპენსაციო კომიტეტმა.

## ბოსმანის საქმე

მიუხედავად იმისა, რომ დეტალები განსხვავებულია, ეს სატრანსფერო სისტემა მუშაობს გლობალურ დონეზეც. მიუხედავად ამისა, ამ სისტემის კანონიერება კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ გამოიტანა გადანყვეტილება საქმეზე ბელგიის სამეფო საფეხბურთო ასოციაცია ბოსმანის წინააღმდეგ (*Union Royale Belge des Societes de Football Association (ASBL) v Bosman (C415/93) [1996] All E.R. (EC)*). თავისმა საფეხბურთო კლუბმა „ლიეჟმა“ ბოსმანი შეიყვანა სატრანსფერო სიაში მაშინვე, როდესაც მან უარი განაცხადა, ხელი მოეწერა კონტრაქტზე უფრო დაბალი ანაზღაურებით. ბოსმანს უნდოდა აშშ-ის ფრანგულ კლუბ დანკირკში გადასვ-

<sup>71</sup> Baron Richard Orme Wilberforce (1907-2003) – ცნობილი ბრიტანელი მოსამართლე, 1964-1982 წლებში მოსამართლე ლორდი. მისი გადანყვეტილებები სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით. (მთარგმნელი)

ლა, მაგრამ ლიეჟმა საბოლოოდ ჩაშალა ტრანსფერის პროცესი, რადგან ეჭვობდა, რომ ამერიკული დანკირკი ვერ შეძლებდა გადაეხადა შეთანხმებული თანხა. შედეგად, ბელგიის საფეხბურთო ასოციაცია და უეფა გახდნენ საქმის მონაწილეები, რადგან ორივე ორგანო ამტკიცებდა, რომ მათი წესები სატრანსფერო მოსაკრებლების მიღებასთან დაკავშირებით კანონიერი იყო. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სატრანსფერო წესები პირდაპირ ზღუდავს სხვა წევრი სახელმწიფოების შრომის ბაზარზე წვდომას, რადგან არსებული წესების თანახმად, მოთამაშე შეიძლება გადავიდეს საზღვარგარეთ, თუ ახალ კლუბს (ან თავად მოთამაშეს) შეუძლია და მზადაა გადაიხადოს მოთხოვნილი სატრანსფერო თანხა. თუ ეს ასე არ მოხდა, მოთამაშეს არ შეუძლია საზღვარგარეთ გადასვლა. სატრანსფერო სისტემას მოსარჩელე ამართლებდა მცირე კლუბების დაცვისა და მოთამაშის განვრთნის გამო კლუბებისათვის კომპენსაციის მიცემის აუცილებლობით. ეს არგუმენტები უარყოფილი იქნა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ლეგიტიმური იყო, ისინი არ შეესაბამებოდნენ თანაზომიერების მოთხოვნას, ვინაიდან მათი მიღწევა შესაძლებელი იყო მსხვილი კლუბებიდან მცირე კლუბებისთვის შემოსავლების გადანაწილებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ნებისმიერი კანონიერი ინტერესი შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვა საშუალებებით, ვიდრე ამ სატრანსფერო სისტემით, რომელიც ხელყოფს გადაადგილების თავისუფლებას.

ცხადია, ეს გადანყვეტილება მოიცავს ისეთ სიატუაციას, როდესაც კონტრაქტის არმქონე მოთამაშეს სურვილი აქვს ერთი წევრი ქვეყნის კლუბიდან გადავიდეს სხვა წევრი სახელმწიფოს კლუბში, მაგრამ არასოდეს განმარტებულა, ეს გადანყვეტილება ეხება თუ არა ისეთ შემთხვევებს, როდესაც უკონტრაქტო მოთამაშეს სურს ერთი კლუბიდან ადგილობრივი ლიგის სხვა კლუბში გადასვლა. მიუხედავად ამისა, რათა გამოერიცხათ სასამართლო განხილვის შესაძლებლობა, ბრიტანეთის შესაბამისმა მარეგულირებელმა ორგანოებმა ნებაყოფლობით შეიტანეს ცვლილებები ეროვნულ სატრანსფერო სისტემაში, რომლითაც იგი შეზღუდეს 24 წლის მოთამაშეებით. „ბოსმანის გადანყვეტილება“ პირდაპირ არ ეხებოდა და არ ეხება მოთამაშეებს, რომლებიც ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის საზღვრების გარედან არიან. მაგალითად, მოთამაშეები ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის არაწევრი ევროპული სახელმწიფოებიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკიდან, აფრიკის უმრავესი სახელმწიფოებიდან, აზიიდან და ავსტრალიიდან დაცულნი არ არიან „ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულების 45-ე მუხლით. ისტორიული თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ფიფამ<sup>72</sup> მიიღო გადანყვეტილება და 1997 წლის პირველი აპრილიდან შეცვალა თავისი წესები, რომლითაც კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ მოთამაშეს ევროკავშირის ფარგლებში მიეცა უფლება უფასოდ გადასულიყო სხვა კლუბში. ამგვარად, შესაძლოა, ბრიტანულ კლუბს ჯერ კიდევ მოუწევს თანხის გადახდა მოთამაშის იმპორტირებისათვის, მაგალითად, ავსტრალიური კლუბიდან. თუმცა, თუ მას ეს მოთამაშე ეყოლება კონტრაქტის ვადის ამონურვამდე, ამ მოთამაშის ევროკავშირის ფარგლებში სხვა კლუბში გადასვლისათვის თანხის გადახდას ვერ მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანელი ელექტორატის მიერ 2016 წლის ივნისის რეფერენდუმზე მიღებული გადანყვეტილების შედეგად ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ შესაძლებელია, ბრიტანეთი არ იქნება შეზღუდული „ბოსმანის გადანყვეტილებით“ და ბრიტანელი მოთამაშეები იქნებიან ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც არიან ფეხბურთელები ევროკავშირის ფარგლებს გარედან. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიტანელ მოთამაშეებს დასჭირდებათ ნებართვა შრომის უფლებაზე, რათა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კლუბში ჩაირიცხოს. ზუსტად ასევე, ევროკავშირის მოქალაქე სპორტსმენებს დასჭირდებათ მუშაობის ნებართვა, რათა ითამაშოს ბრიტანულ ლიგაში. ბრიტანეთში თამაშისათვის საჭირო მუშაობის ნე-

<sup>72</sup> FIFA \_ Fédération Internationale de Football Association (ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია).

ბართვის გაცემა ხდება ახალი სისტემით, რომელიც შემოღებული იქნა 2015/2016 წლების სეზონის დასაწყისში. ეს სისტემა ეფუძნება ფეხბურთელის ეროვნული ნაკრების ფიფას რეიტინგის საუკეთესო 50 გუნდს შორის ყოფნის პირობას და იმ თამაშების პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებშიც მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა ამ გუნდის შემადგენლობაში. მაგალითად, თუ მომავალში იმ ფეხბურთელებს, რომლებიც არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, დასჭირდებათ მუშაობის ნებართვა, ფეხბურთელს, რომლის ეროვნული ნაკრებიც არის, ვთქვათ, გერმანია, პორტუგალია ან ესპანეთი, რომელიც შედის ფიფას 2017 წლის მსოფლიო რეიტინგის ათეულში, ამ გუნდის შემადგენლობაში ნათამაშები უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30% ბოლო ორი წლის განმავლობაში. ეს პერიოდი ერთ წლამდეა შემცირებული 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელებისთვის. თუ მოთამაშე არის საბერძნეთიდან, რომელიც არსებული მსოფლიო რეიტინგის საუკეთესო 50-დან 47-ე ადგილზეა, მაშინ მას თავისი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ნათამაშები უნდა ჰქონდეს არანაკლებ 75%-სა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მეტი გადწყვეტილება არ მიუღია სატრანსფერო სისტემის კანონიერებაზე, ევროკომისიამ შემდგომში სადაო გახადა ის იმ საფუძვლით, რომ ის არღვევდა ევროკავშირის კონკურენტულ სამართალს. ამის გამო ფიფამ ნებაცხოვლობითი შეცვალა თავისი წესები. მოქმედი წესები, რომლებიც გამოიყენება იმ საერთაშორისო ტრანსფერების მიმართ, როდესაც მოთამაშემ აწარმოა მოლაპარაკება სხვა ნაციონალური ასოციაციის კლუბში გადასვლაზე, ამოქმედდა 2005 წელს. საერთაშორისო სატრანსფერო სისტემა სრულად გამოიყენება მხოლოდ 23 წლამდე მოთამაშეების მიმართ. სატრანსფერო სისტემა შესუსტებულია 23 წელზე მეტი ასაკის მოთამაშეებისათვის, რაც სპორტსმენს შესაძლებლობას აძლევს დაცული პერიოდის გასვლის შემდეგ გააუქმოს თავისი კონტრაქტი და სხვა კლუბში გადავიდეს. ეს დაცული პერიოდი შეადგენს სამ სეზონს, თუ კონტრაქტი ხელმოწერის მომენტისთვის მოთამაშე არ იყო 28 წლის, და ორ სეზონს იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი დადებულია მას შემდეგ, რაც მოთამაშეს 28 წელი. წესების ადგენს იმასაც, რომ კონტრაქტი არ შეიძლება დაიდოს 5 წელზე მეტი ვადით. ფიფას წესების მე-17 მუხლი მუხლის თანახმად, დაცული პერიოდის გასვლის შემდეგ ფეხბურთელს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რათა გადავიდეს სხვა კლუბში იმ პირობით, თუ ის თავის ამჟამინდელ კლუბს გადაუხდის კომპენსაციას. ეს კომპენსაცია უნდა იყოს მინიმუმ კონტრაქტის დარჩენილი ნაწილის ღირებულების ტოლი. ამასთან ერთად, ფიფას წესები დამატებით უფლებას აძლევს მოთამაშეს შეწყვიტოს კონტრაქტი, თუ მას აქვს სათანადო ან „უსპორტული“ („sporting just“) მიზეზი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამით მოთამაშეს შეუძლია შეწყვიტოს კონტრაქტი იმ შემთხვევაშიც კი, თუ კლუბის მოქმედებები არ იყო მიმართული მისი დარღვევისაკენ. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს შემთხვევა, როდესაც ფეხბურთელი რეგულარულად არ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

პრაქტიკაში ფიფას წესები უფრო მკაცრი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, რადგან სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილება მოითხოვდა კომპენსაციის დიდი ოდენობის გადახდას, ხოლო დროის მონაკვეთი, როდესაც მოთამაშეს შეუძლია შეწყვიტოს კონტრაქტი სეზონის ბოლოს, ძალიან მცირეა. ამან გამოიწვია ფეხბურთელთა პროფკავშირებისა (FIFPro)<sup>73</sup> და ევროკავშირის ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2013 წელს<sup>74</sup> და მოითხოვდა ფეხბურთის სატრანსფერო სისტემის შემდგომ სერიოზულ გადახედვას. ამას გარდა, 2015 წლის სექტემბერში ფეხბურთელთა პროფკავშირებმა

<sup>73</sup> FIFPro \_ Fédération Internationale des Associations de Footballeurs Professionnels (პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია). (მთარგმნელი)

<sup>74</sup> იხ. <http://ec.europa.eu/sport/library/documents/cons-study-transfers-final-rpt.pdf>



გადაწყვიტა ოფიციალურად გაესაჩივრებინა ფიფას წესები, რის გამოც, ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობის შესაბამისად, საჩივარი შეიტანა ევროკომისიაში.

როგორც გარდინერი და უელჩი ამტკიცებენ (2007), ამ ტიპის კონფლიქტის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა, რომელითაც შესაძლებელი იქნებოდა სასამართლო განხილვის თავიდან აცილება, არის სოციალური კანონმდებლობის პროცედურის გამოყენება, რასაც შეიცავს „ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულების (TFEU) 154-ე და 155-ე მუხლები, რათა ფეხბურთელთა პროფკავშირების, უეფასა<sup>75</sup> და ფიფას ჩართულობით მიღწეული შეთანხმება არსებულ სატრანსფერო სისტემაში სამართლებრივად მბოჭავი ცვლილებების განხორციელების შესახებ. რეფლექსური სამართლის ასეთი სისტემა უზრუნველყოფდა კომპრომისს კონკრეტული სტანდარტების დაცვასა და ფეხბურთის მარეგულირებელი ორგანოების ავტონომიურობას შორის, რათა შემუშავდეს ის წესები შემუშავები, რომლებიც ასახავენ კონკრეტულ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს ფეხბურთისა, როგორც პროფესიული სპორტის, რომელსაც თამაშობენ ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. თუ ასეთი კოლექტიური შეთანხმება მიღწეული ვერ იქნება, მაშინ სოციალურ დიალოგზე დაფუძნებული ევროკავშირის დირექტივამ ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციებს შესაძლოა მოსთხოვოს ფიფას სატრანსფერო წესების მოდიფიცირებული და უფრო მოქნილი ვერსიის მიღება, რომელიც იქნება მათი ეროვნული წესების ნაწილი და ასახავს ადგილობრივ თავისებურებებს.<sup>76</sup>

## გადაბირება

ბრიტანეთის ნაციონალურ ლიგებში ფეხბურთელთა კონტრაქტების მარეგულირებელი წესების სხვა სადაო ასპექტი დაკავშირებულია გადაბირების პრობლემასთან. ეს წესები, რომელსაც, მაგალითად, შეიცავს პრემიერ ლიგის წესების „თ“ ნაწილი, რაც კონტრაქტის მქონე ფეხბურთელს და მის აგენტს უკრძალავს დაელაპარაკონ სხვა კლუბებს ან მათ მიმართონ სხვა კლუბებმა ფეხბურთელის მოქმედი კლუბის თანხმობის გარეშე. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია ფეხბურთელის მოქმედი კონტრაქტის ვადის ბოლო წელს, რადგან მათ არ შეუძლიათ განიხილონ სხვა კლუბში თავიანთი გადასვლის საკითხი მანამ, სანამ მათი კონტრაქტის ვადა არ ამოიწურება, თუ ფეხბურთელს თავისი მოქმედი კლუბი არ დართავს ამის გაკეთების ნებას.

ეს განსხვავდება ზოგადად დასაქმებულებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, თავისუფალნი არიან ნებისმიერ დროს ელაპარაკონ ახალ პოტენციურ დამსაქმებლებს და ამით შეასრულონ თავიანთი მიმდინარე კონტრაქტი, რამდენადაც კონტრაქტის პირობები ეხება მის შეწყვეტას. გადაბირების ყველაზე გახმაურებული ინციდენტი ბრიტანეთში დაკავშირებულია ეშლი კოულისა (Ashley Cole) და საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ დაჯარიმებასთან იმისათვის, რომ ისინი ერთმანეთთან აწარმოებდნენ ფარულ მოლაპარაკებას მაშინ, როდესაც კოული ჯერ კიდევ „არსენალის“ მოთამაშე იყო. თუმცა ეს ინციდენტი არ მისულა სასამართლომდე, მაგრამ იყო და არის არგუმენტები იმის დასადასტურებლად, რომ ეს წესები წარმოადგენს ვაჭრობის გაუმართლებელ შეზღუდვას და არღვევს გადაადგილების თავისუფლებას, რაც უზრუნველყოფილია „ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულების 45-ე მუხლით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის ადგილობრივ ლიგებში მოქმედი წესები, გაც-

<sup>75</sup> UEFA \_ the Union of European Football Associations (ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირი). (მთარგმნელი)

<sup>76</sup> დაწვრილებით იხ. Gardiner S. and Welch R., “the Contractual Dynamics of Team Stability Versus Player Mobility: Who Rules “the Beautiful Game”?”, ჟურნალი “Entertainment and Sports Law”, 2007, 5(1).



ილებით უფრო შემზღუდავია, ვიდრე ფიფას წესები, რომლებიც ფეხბურთელებს უფლებას აძლევს თავიანთ კონტრაქტის ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მიმართონ სხვა კლუბებს სეზონისწინა შეთანხმებების გაფორმების მიზნით. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის კლუბების მოთამაშეებს ამ წესების გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ მათ სურთ სხვა ქვეყნის კლუბში გადასვლა. ეს პრობლემები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფეხბურთით, რადგან ანალოგიური წესები გამოიყენება კლუბებისა და სპორტსმენების მიმართ ინგლისის რაგბის ლიგაშიც. მაგალითად, რაგბის საფეხბურთო ლიგამ<sup>77</sup> გადაწყვიტა პოლ კუკისთვის (Paul Cooke) მიეცა დისკვალიფიკაცია მას შემდეგ, რაც მოქმედი წესების ტრიბუნალმა (Operational Rules Tribunal) დაადგინა, რომ სპორტსმენმა დაარღვია არსებული წესები, დაიწყო რა მოლაპარაკება ჰოლ კინგსტონ როვერსთან (Hull Kingston Rovers) მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ჰქონდა მოქმედი კონტრაქტი ამ კლუბის (Hull Kingston Rovers) ადგილობრივ კონკურენტ გუნდთან. რა არ უნდა გამტკიცოთ, რომ ეს წესები ზღუდავენ ვაჭრობას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რაგბის ლიგის მოთამაშემ შეძლოს ეს წესები წარმატებით გაასაჩივროს ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე. ეს იმიტომ, რომ რაგბილიგა<sup>78</sup> არ არის სპორტის ის სახეობა, რომელსაც ჩვეულებრივ თამაშობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ამიტომ რთული იქნებოდა იმის დადგენა, დარღვეულია თუ არა „ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულების 45-ე მუხლით გარანტირებული გადაადგლების თავისუფლება ან ინგლისის რაგბის საფეხბურთო ლიგას უკავია თუ არა დომინანტური პოზიცია ევროპის ბაზარზე და/ან მისი წესები გავლენას ახდენენ ვაჭრობაზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, რაც არღვევს 102-ე მუხლს.

## ანტიდისკრიმინაციული სამართალი და პროფესიული სპორტი

შრომის სამართლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, რომელიც გამოიყენება პროფესიული სპორტის ყველა მონაწილის მიმართ, იმათი ჩათვლით, ვინც არ მუშაობს დაქირავებით, არის ანტიდისკრიმინაციული სამართალი, რომელსაც ახლა მოიცავს 2010 წლის კანონი „თანასწორობის შესახებ“. ამგვარად, სპორტში ჩართული პირები დაცულნი არიან პირდაპირი და ირიბი უკანონო დისკრიმინაციული მოპყრობისგან ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერული ცვლილების, ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის, ფეხმძიმობისა და დედობის, რასის, რელიგიისა და რწმენის, სქესისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. კანონის დებულებები, რომელიც კრძალავს უკანონო შევიწროვებას, განსაკუთრებით აქტუალურია სპორტული შეჯიბრებების მონაწილეებისათვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ რასისტული და ჰომოფობიური ხასიათის შეურაცყოფებს, რასაც სპორტსმენები ისტორიულად განიცდიდნენ გულშემატკივრების, მწვრთნელებისა და სხვა მოთამაშეების მხრიდან სათამაშო მოედანზე თუ მის ფარგლებს გარეთ.

არც თუ შორეულ წარსულში მომხდარი ინციდენტები მოედანზე ჯონ ტერისა (John Terry) და ლუის სუარესის (Louis Suarez) მონაწილეობით, რომლებიც საფეხბურთო ასოციაციამ დამნაშავეებად სცნო შესაბამისად ანტონ ფერდინანდისა (Anton Ferdinand) და პატრიკ ევრას (Patrice Evra) შეურაცყოფაში რასობრივი ნიადაგზე, აგრეთვე მენეჯერის მალკი მაკეისა (Malky Mackay) და მისი ხელმძღვანელის დეივ უილენის (Dave Whelan) დადანაშაულება ანტისემიტიზმში აჩვენებს, რომ რასიზმის პრობლემა არ ატარებს წმინდა ისტორიულ ხასიათს.<sup>79</sup> ასევე ფაქტია, რომ პროფესიული სპორტის კლუბებში მოთამაშე

<sup>77</sup> The Rugby Football League – ინგლისის პროფესიული რაგბის ლიგის მმართველი ორგანო. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ორგანიზაციის ვებგვერდზე: [https://www.rugby-league.com/the\\_rfl](https://www.rugby-league.com/the_rfl) (მთარგმნელი)

<sup>78</sup> იგულისხმება 13 კაციანი რაგბი. (მთარგმნელი)

<sup>79</sup> დამატებითი ინფორმაცია ამ ინციდენტების შესახებ იხილეთ; <https://www.theguardian.com/football/2012/>

მამაკაც სპორტსმენთა მხოლოდ უმცირესი ნაწილი გახდა გეი.თუ მოთამაშე ხდება რასისტული ან ჰომოფობიური ხასიათიანის შეურაცხყოფების ან ძალადობის სხვა ფორმის მსხვერპლი კლუბის სხვა თანამშრომლების მხრიდან, ხოლო კლუბი არ დგამს შესაბამის ნაბიჯებს თავისი მოთამაშის მსგავსი ქმედებებისგან დასაცავად, მაშინ კლუბი პირდაპირ ან არაპირდაპირ აგებს პასუხს, თანახმად „თანასწორობის შესახებ“ კანონის 26-ე და 109-ე მუხლებისა. მიუხედავად ამისა, ტერიისა და სუარესის ინციდენტებმა აჩვენა, რომ ეს კანონი ვერ უზრუნველყოფს იმ მოთამაშეთა ეფექტური დაცვის მექანიზმს, რომლებიც მატჩის დროს მონინალმდევე გუნდის წევრის მხრიდან გახდნენ დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი. ამ მხრივ, მსგავსი რასისტული ან ჰომოფობიური აქტის შემთვევაში ეფექტური შემაკავებელი საშუალება იქნებოდა დამნაშავეის ავტომატური გაძევება, ხოლო კლუბი დაჯარიმდებოდა ქულების ჩამოკლებით, თუ მისი მოთამაშეები რეგულარულად იქნებოდნენ მხილებულნი მსგავს სამართალდარღვევებში.<sup>80</sup>

დისკრიმინაციულ სამართალს ეხება „ბოსმანის გადაწყვეტილების“ მეორე ნაწილი, რომელიც უკავშირდება ევროკავშირის სამართალთან იმ ეროვნული წესების თავსებადობას, რომელიც ადგენს მატჩში მონაწილე უცხოელი მოთამაშეების ზღვრულ ოდენობას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუ ეს მოთამაშეები არიან ევროკავშირის მოქალაქეები, მაშინ კვოტირების ასეთი სისტემა უკანონოა. საზღვარგარეთ მოთამაშე ფეხბურთელების რაოდენობასთან დაკავშირებით მზარდი ნუხილის გამო, 2006 წელს უეფამ აამოქმედა თავისი წესები ადგილობრივი მოთამაშეების შესახებ. ეს წესები ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასის ტურნირებში მონაწილე კლუბებისგან მოითხოვს, ჰყავდეთ ადგილობრივი ფეხბურთელების მინიმალური რაოდენობა. ადგილობრივში იგულისხმება მოთამაშე, რომელმაც, მიუხედავად მისი ეროვნული კუთვნილებისა, 15-დან 21 წლამდე ასაკის პერიოდში მინიმუმ სამწლიანი წვრთნა გაიარა თავის კლუბში ან იმავე ეროვნული ასოციაციის სხვა კლუბში. დადგენილი მინიმუმი 25 ფეხბურთელისგან დაკომპლექტებულ გუნდში შეადგენს 8 მოთამაშეს.<sup>81</sup> ასეთივე წესები იქნა მიღებული ინგლისის პრემიერ ლიგასა და საფეხბურთო ლიგაში.

ნებისმიერი პოლიტიკა ან წესი, რომელმაც შესაძლოა ფაქტობრივად მეტი გავლენა მოახდინოს მიგრანტ მშრომელებზე, ვიდრე ადგილობრივებზე და, ამგვარად, შეუქმნას დაბრკოლებები შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობისა და თავისუფალი გადაადგილების თვალსაზრისით, არის არაპირდაპირი დისკრიმინაცია. ცხადია, რომ უეფას წესები სწორედ

---

sep/27/fa-john-terry-luis-suarez; <https://www.theguardian.com/football/blog/2014/dec/31/dave-whelan-fa-farce-wigan-racism-charge> რასიზმის ბოლო შემთხვევა უკავშირდება ინგლისის ქალთა საფეხბურთო ნაკრების მაშინდელ მენეჯერ მარკ სემპსონის (Mark Sampson) რასისტულ კომენტარებთან მოთამაშეების ენიოლა ალუკოსა (Eniola Aluko) და დრიუ სპენსის (Drew Spence) მიმართ. ეს დასრულდა სემპსონის სამსახურიდან გათავისუფლებით და ასევე საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელების მკაცრი კრიტიკით, რადგან ისინი საჩივრებს სემპსონის წინააღმდეგ სერიოზულად არ იღებდნენ. მაგალითად, გრეგ კლერკი (Greg Clarke), საფეხბურთო ასოციაციის თავმჯდომარე იძულებული იყო ბოდიში მოეხადა იმისათვის, რომ მან არ დააკმაყოფილა ალუკოს საჩივარი ინსტიტუციური რასიზმის შესახებ, როგორც უმნიშვნელო. ქალ მეკარეთა მწვრთნელის ლი კენდელის (Lee Kendall) მიმართ ასევე მიმდინარეობს საფეხბურთო ასოციაციის გამოძიება მას შემდეგ, რაც ენიოლა ალუკომ მისცა ჩვენება, რომ მწვრთნელი მას დამცინავი კარიბული აქცენტით ესაუბრებოდა. იხ. <https://www.theguardian.com/football/2017/oct/18/fa-apologises-eni-aluko-drew-spence-mark-sampson-racial-remarks>

<sup>80</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. S. Gardiner & R. Welch, "Football, Racism and the Limits of "Colour Blind" Law: Revisited", pp.222-236 in D. Burdsey (ed.) Race, Ethnicity and Football, Abingdon, Routledge, 2011.

<sup>81</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მკაცრი „ბრეკსიტის“ შემთხვევაში უეფას წესები პრობლემებს შეუქმნის ევროტურნირებში მონაწილე ბრიტანულ კლუბებს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ბრიტანული კლუბები უკვე აღარ განთავისუფლდებიან ფიფას წესებისაგან, რომელიც კრძალავს 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელების ტრანსფერს. მაგალითად, დღეისათვის ევროკავშირის 16 წლის მოქალაქე შესაძლოა გადაყვანილი იქნეს ბრიტანულ კლუბში და სამი წლის შემდეგ ის ჩაითვლება ადგილობრივ ფეხბურთელად.

ამ კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა ის კანონიერი იქნება, თუ შესაძლებელია მისი გამართლება. მიუხედავად ამისა, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბოსმანის პრეცედენტის საფუძველზე მისი გამართლება შეუძლებელია თანაზომიერების პრინციპთან მიმართებაში, რადგან შემოსავლების გადანაწილება ყველაზე ეფექტური და სამართლიანი საშუალებაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფულის უდიდეს მსხვილი კლუბებიდან გადანაწილდეს მცირე კლუბებშიც. ეს ერთდროულად ზრდის როგორც კონკურენციული ბალანსის პოტენციალს, ისე უზრუნველყოფს ახალგაზრდული აკადემიები განვითარებას და ეროვნული სკაუტური ქსელის შექმნას.<sup>82</sup>

## პოსტ-ბოსმანის ნაციონალური კვოტები

ბოსმანის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებიდან წლების შემდეგ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კლუბებს გუნდის სელექციისათვის ჰქონდათ ეროვნებათა ფართო არჩევანი. აქ ჩანს იმ სატრანსფერო წესების თანდათანობითი შესუსტება, რასაც ითხოვს ბოსმანის პრეცედენტული გადაწყვეტილება და ბოლო პერიოდში – ევროკომისია. ნამდვილად, ერთადერთი რეალური დაბრკოლება დაკავშირებული იქნება წევრი სახელმწიფოს ინდივიდუალურ საიმიგრაციო წესებთან. მაგალითად, ევროპულ ფეხბურთელებს, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების (ასევე ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი სახელმწიფოების – ლიხტენშტეინის, ისლანდიისა და ნორვეგიის) მოქალაქეები, აგრეთვე მოთამაშეებს ევროპის ფარგლებს გარედან კვლავ მოეთხოვებათ ნებართვა შრომით საქმიანობაზე, თუ მათ უნდათ ინგლისის პრემიერ ლიგისა და საფეხბურთო ლიგის კლუბებში თამაში. ანალოგიურად, ეროვნული სპორტული ასოციაციებს კვლავ შეუძლიათ დაადგინონ მატჩში მონაწილე იმ უცხოელი მოთამაშეების ზღვრული ოდენობები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან. ასეთი მიდგომა ფართოდ არის გავრცელებული ევროპაში, თუმცა ის არ გამოიყენება ინგლისურ ლიგებში.

თუმცა, რაც შეეხება ამგვარ კვოტებს, მოთამაშეთა შემდგომი მობილობის საკითხი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე (№ C-438/00) „გერმანიის ხელბურთის გუნდი მარკოს კოლპაკის წინააღმდეგ“ (Deutscher Handballbund eV v Maros Kolpak [2003] ECR I-4135). ფაქტები კოლპაკის შესახებ მარტივია. კოლპაკი იყო გერმანიის ხელბურთელთა კლუბ ოსტრინგენის (TSV Ostringen eV Handball) სლოვაკი მეკარე. გერმანიის ხელბურთის ასოციაციის წესების თანახმად, გერმანიის ხელბურთის ფედერაციის კლუბს ეკრძალება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის ორზე მეტი წარმომადგენლის მოედანზე გამოყვანა. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ეთხოვა, მიეღო წინასწარი გადაწყვეტილება იმის შესახებ, ევროკავშირსა და სლოვაკეთს შორის არსებული ასოციაციების ხელშეკრულების 38-ე მუხლის საფუძველზე, სლოვაკ მუშებს აქვთ თუ არა ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მოქალაქის თანაბარი მოპყრობის მოთხოვნის უფლება. დაეყრდნო რა ბოსმანის პრეცედენტს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გადაწყვიტა, რომ იმ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებსაც ევროკავშირთან ასოციაციების ხელშეკრულება აქვთ დადებული, სპორტის წესების მიზნებისთვის აქვთ ევროკავშირის მოქალაქის თანაბარი უფლება. მოკლედ, ისინი არ შეიძლება დანუნებულიყვნენ გუნდის დაკომპლექტებისას იმ საფუძველით, რომ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეთათვის დაწესებული იყო ლიმიტი. ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმეში (№ C-265/03) იგორ სიმუტენკოვი აბოგადო დელ ესტადოს, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისა და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ (Igor Simutenkov V Abogado del Estado, Real Federacion Espanola de Futbol and Min-

<sup>82</sup> იხ. Gardiner S. და Welch R., 2011 და 2016.



isterio Fiscal [2005] ECR I-2579), რომელიც ეხებოდა ესპანეთში მოთამაშე პროფესიონალ რუს ფეხბურთელს. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ ფეხბურთელი დაცული იყო ანტიდისკრიმინაციული დებულებით, რომელსაც შეიცავდა ევროკავშირისა და რუსეთის ფედერაციას შორის 1994 წელს გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ფაქტობრივად, მრავალმა სახელმწიფომ ევროკავშირთან დადო ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს, რაც შესაძლოა განიმარტოს როგორც უშუალოდ მოქმედი. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები აღნიშნული ქვეყნების მათთან დასაქმებულ მოქალაქეებს თავიანთი მოქალაქეების თანაბრად უნდა მოეპყრონ. ამდენად, შეზღუდვა „უცხოელი მოთამაშეებზე“ არ ვრცელდება მათზე, რადგან ასეთი შეზღუდვები „შრომის პირობების“ ნაწილს წარმოადგენს, რაც დაცულია შესაბამისი შეთანხმებების ანტიდისკრიმინაციული პუნქტებით. ცალკეულ სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის დადებული ყველა ხელშეკრულება არ შეიცავს ასეთ დებულებებს, მაგრამ კოლპაკის პრეცედენტმა ფეხბურთის გარდა გავლენა მოახდინა სპორტის სხვა სახეობების, რაგბისა და კრიკეტის კოდექსებზე. ამ თამაშებზე ბოსმანის საქმემ მხოლოდ მინიმალური გავლენა იქონია, რადგან ევროპაში ისინი არ არის ფართოდ გავრცელებული, როგორც პროფესიული სპორტის სახეობა. ასეთი მოთამაშეებს შეარქვეს მოთამაშე „კოლპაკები“. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2016 წლის ივნისის რეფერენდუმის შედეგებისა და 50-ე მუხლის ამოქმედების გათვალისწინებით ბრიტანეთის მომავალი ურთიერთობა ევროკავშირთან უცნობი და ბუნდოვანია. თუმცა სავარაუდოა, რომ ბრიტანეთი ევროკავშირთან მინიმუმ ასოცირების ხელშეკრულებას მაინც გააფორმებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოსმანის თუ არა, კოლპაკის პრეცედენტული გადაწყვეტილება კვლავ იმოქმედებს ბრიტანულ ლიგაში. თუმცა, თუ განხორციელდება „ხისტი“ ბრექსითი, ბრიტანულ ფეხბურთს ვერაფერი დააბრკოლებს ისევე გამოიყენოს შეზღუდვები მოქალაქეობაზე, რაშიც მოექცევიან როგორც ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის მოქალაქეები, ისე მოთამაშე „კოლპაკები“.<sup>83</sup>

## დასკვნა

როგორც აღნიშნული იყო, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მომავალში პოტენციური კონფლიქტის გადაჭრის საუკეთესო საფუძველი არის რეფლექსურ სამართალზე გადასვლა და პარადიგმის სახით ევროკავშირის სოციალური სამართლის მეთოდის გამოყენება. კერძოდ, პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციას, უეფასა და ფიფას შორის კოლექტიური ხელშეკრულების მეშვეობით ან მისი არ არსებობის შემთხვევაში, სოციალური დიალოგისაგან გამომდინარე დირექტივით, ევროკავშირის კანონმდებლობას შეუძლია ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციებს მოთხოვოს ფიფას სატრანსფერო წესების უფრო მოქნილი ვერსიების მიღება, რაც მათი უფრო დეტალური და ეროვნულ თავისებურებებზე მორგებული წესების ნაწილი იქნება.

ფიფას მოქმედი წესების ცვლილების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი იქნებოდა, კონტრაქტით განსაზღვრული დაცული პერიოდის გასვლის ან საპატიო მიზეზით ხელშეკრულების

<sup>83</sup> მართლაც, როგორც ჩანს, ამ საკითხში საფეხბურთო ასოციაცია ეწინააღმდეგება პრემიერ ლიგას, რადგანაც საფეხბურთო ასოციაცია თვლის, რომ შეზღუდვები მოქალაქეობაზე დადებითად აისახება ბრიტანულ ნიჭიერ ფეხბურთელებსა და ბრიტანულ ეროვნულ გუნდებზე. იხ. <https://www.telegraph.co.uk/football/2017/04/06/brexit-premier-league-fa-odds-immigration-exemptions-foreign/> მეორე მხრივ, ბრიტანულ მოთამაშეებს, ალბათ, გაუჭირდებათ ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოების კლუბებში გადასვლა, რომლებსაც მოქალაქეობაზე კვოტები აქვთ დანესებული, რისი მაგალითიც არის ესპანეთი, რადგან აქ ისინი ჩაითვლებიან უცხოელ ფეხბურთელებად ისევე, როგორც სხვა ქვეყნის მოთამაშეები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები და არც შესაბამისი ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული მასთან.

შენწყვეტის შემდეგ ფეხბურთელს მიეცეს უფლება, სეზონის განმავლობაში გააუქმოს თავისი კონტრაქტი, თუ ის გადასვლას აპირებს სხვა ლიგის გუნდში, რის გამოც ის მოქმედი კლუბის კონკურენტად ვერ ჩაითვლება. წესები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ მოთამაშესთან, რომელიც შეზღუდულია, მონაწილეობა მიიღოს ტურნირში რომელიმე კლუბის სახელით, რადგან იმავე ტურნირში უკვე მონაწილეობდა სხვა კლუბის სახელით, შესაძლოა კვლავ გამოყენებული იქნეს შიდა თუ ევროპულ ტურნირებში. მოსალოდნელია, ასეთმა ცვლილებებმა შეამციროს ფიფას წესების მე-17 მუხლის შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელებს კონტრაქტით შესაძლოა ჰქონდეთ მისი გაუქმებისა და სხვა კლუბში გადასვლის ძალზედ შეზღუდული შესაძლებლობა. კიდევ ერთი ცვლილება მოქმედ წესებში შეიძლება იყოს იმ კომპენსაციის აბსოლუტური შეზღუდვა, რომელიც უნდა მიიღოს კლუბმა, რომელშიც ფეხბურთელი სარგებლობს კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებით, იმ ფაქტობრივი ფინანსური ზარალისათვის, რაც ამ კლუბმა განიცადა. იმის ანალოგიურად, თუ როგორ ხდება ზარალის გამოთვლა ინგლისის სახელშეკრულები კანონმდებლობაში, კლუბი მიიღებს ისეთ ფინანსურ მდგომარეობას, რაც მას ექნებოდა ისეთ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელი ბოლომდე დაასრულებდა კონტრაქტს.

ასევე, ჯუსტ cause-ს საფუძველზე კონტრაქტის გაუქმების კონცეფცია, რასაც შეიცავს ფიფას წესები, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა კოლექტიურ ხელშეკრულებასა და დირექტივაში. ეს შეიძლება განისაზღვროს ისეთ გარემოებებად, როდესაც ფეხბურთელი, თუმცა შეესაბამება, მაგრამ X რაოდენობის მატჩებში არ იქნა შერჩეული ძირითადი გუნდის შემადგენლობაში და როდესაც ფეხბურთელი ინფორმირებულია ან აქვს მყარი საფუძველი იფიქროს, რომ თავის გუნდს ის აღარ სჭირდება. უნდა მოხდეს იმ წესების ლიბერალიზება, რომლებიც კრძალავენ „გადაბირებას“ და მოთამაშეებს მიეცეთ უფლება მათი კონტრაქტის ბოლო ეტაპებზე ან დაცული პერიოდის ბოლოს მიმართონ ნებისმიერი ეროვნული ან ევროპული ასოციაციის სხვა კლუბს. კოლექტიური ხელშეკრულება ან დირექტივა შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს მოქალაქეობის კვოტებს შიდა ლიგებში.

## რეზიუმე

„შრომის სამართალი სპორტში“ არის ბრიტანელი მეცნიერის, სამართლის დოქტორის, პორტსმუთის უნივერსიტეტის ემერიტუსის როჯერ ველჩის სტატია, რომელიც წარმოადგენს 2015 წელს გამოქვეყნებული სტატიის 2017 წელს განახლებულ ვარიანტს.

თარგმანი დაყოფილია ორ ნაწილად. ეს არის თარგმანის მეორე ნაწილი. მასში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები, როგორიცაა შრომითი კონტრაქტი, გადაბირება და ანტიდისკრიმინაციული წესები სპორტში, განსაკუთრებით კი ფეხბურთში. სტატიაში უხვად არის მოცემული პრაქტიკული მაგალითები და პრეცედენტული საქმეები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ბოსმანის საქმეზე მიღებულ პრეცედენტულ გადაწყვეტილებას.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ე.წ. „მშრალი“ თარგმანი. სტატიაში სქოლიოების სახით წარმოდგენილია მთარგმნელის კომენტარები ისეთ საკითხებზე, რაც უცხოა ქართული სამართლისთვის. მოცემულ კომენტარებში ახსნილია ბრიტანული სამართლისთვის დამახასიათებელი ცალკეული ტერმინები და დებულებები, რაც ქართველ მკითხველს გაუადვილებს სტატიის გაგებას.



---

## Resume

“Employment Law in Sport” is an article by Roger Welch, a British academic, Doctor of Law and an Emeritus at the University of Portsmouth. This paper is the updated (in October 2017) version of the paper published in 2015.

This translation is divided into two parts. This is a second part is more general and deals with such important and problematic issues that employment contract, tapping up and discrimination law in sport, especially in football. The article is full of practical examples and case law. Particular attention is paid to the Bosman ruling of ECJ.

It has to be said that this is not a so-called “Dry” translation. The article contains footnotes to the translator’s comments on issues that are foreign to Georgian law. These comments explain some of the terms and clauses specific to British law that will make it easier for Georgian readers to understand the article.

## Резюме

«Трудовое право в спорте» \_ статья Роджера Уэлча, британского ученого, доктора юридических наук и Эмеритуса Университета Портсмут. Эта статья является обновленной (в октябре 2017 года) версией статьи, опубликованной в 2015 году.

Этот перевод делится на две части. Эта вторая часть, где рассмотрены такие важные и проблематичные вопросы, как договор найма, переманивание и антидискриминационное законодательство в спорте, особенно в футболе. Статья полна практических примеров и прецедентного права. Особое внимание уделяется решению Суда Европейского Союза по делу Босмана.

Надо сказать, что это не так называемый «сухой» перевод. Статья содержит комментарии переводчика по вопросам, чуждым грузинскому законодательству. В этих комментариях разъясняются некоторые термины и положения, относящиеся к британскому законодательству, что облегчит Грузинским читателям понимание этой статьи.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქმე №-415/93 Union Royale Belge des Societes de Football Association & others v Jean-Marc
2. Bosman [1995] ECR I-4921
3. Premier League Rules, pp 75-229; Football League and Premier League Player Employment
4. Contracts, pp 274-294, Premier League Handbook 2015/16
5. The Economic and Legal Aspects of Transfers of Players, published by the Centre for the
6. Law and Economics of Sport <https://ec.europa.eu/assets/eac/sport/library/documents/cons-study-transfers-final-rpt.pdf>
7. Blanpain R. and Inston R., The Bosman Case The End of the Transfer System?, 1996, London: Sweet & Maxwell, Leuven: Peeters.
8. Gardiner S. and Welch R. “The Contractual Dynamics of Team Stability Versus Player Mobility: Who Rules “The Beautiful Game”?”, Entertainment and Sports Law Journal, 2007, 5(1).
9. Gardiner S. and Welch R., “Player trades, free agents and transfer policies in professional sport”, in M. Barry, J. Skinner, J and T. Engelberg (eds.), Research Handbook of Employment Relations

---

in Sport, Cheltenham UK and Northampton USA: Edward Elgar, 2016, 333-354.

10. Gardiner S. and Welch R., "Nationality Based Playing Quotas and the International Transfer System Post-Bosman", in A. Duval and B. Van Rompuy (eds.), *the Legacy of Bosman*, ASSER International Sports Law Series, 2016, 51-80.

11. McCutcheon P., "Negative Enforcement of Employment Contracts in the Sports Industries", *Legal Studies*, 1997, 17(1), 65-100.

12. O'Leary J. (ed.), *Drugs and Doping in Sport*, Cavendish, London, 2000.

13. Parrish R., "Article 17 of the FIFA Regulations on the Status and Transfer of Players: Compatibility with EU Law", *Maastricht Journal of European and Community Law*, 2015.

14. Pearson G., *Sporting Justifications under EU Free Movement and Competition Law: The case of the football "transfer system"*. *European Law Journal*, 2015, 21:2:220-238.

## ფარული გამოძიების ტექნიკურ – პროცესუალური

### ნოვატივა

#### შოთა ფაფიაშვილი \*

დანაშაულის გამოვლინების, მისი გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის სწორ თანმიმდევრულ განხორციელებას. ასეთსავე ძირითად მიზანს ემსახურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რგლამენტირებული ფარული გამოძიება და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რომლის მთავარი ინიციატორია პროკურორი, მათი უშუალო განმახორციელებელი კი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურები მათთვის განკუთვნილ კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან, ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობა კიდევ უფრო ფართო წრეს მოიცავს და მთელ თავის საქმიანობას აწარმოებს ფარული და ღია – სპეციალური ხერხებითა და მეთოდებით.

ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის უმთავრესი მიზანია, კანონით დადგენილი წესით, ხერხებით, მეთოდებითა და სამეცნიერო ტექნიკური საშუალებებით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოონ დამნაშავეობასთან აქტიური ბრძოლა; მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ მიღებული ინფორმაციის შემოწმება; დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება; დანაშაულის ჩამდენ პირთა ცხელკვალზე მიდევნება; საგამოძიებო ორგანოებისათვის სათანადო დახმარების განწვევა; გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებისა და ამოღებისათვის საჭირო მოსამზადებელი პირობების შექმნა; გამოძიებით დასადგენი [საძიებო] საგნებისა და ობიექტების აღმოჩენა და ამოღება; უგზო – უკვალოდ დაკარგულ პირთა ძებნა; იმ პირების ძებნა, დაკავება და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომლებიც ემალებიან გამოძიებასა და სასამართლოს და თავს არიდებენ სასამართლოს მიერ მათთვის დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიების მოხდას და სხვ.

დანაშაულთა დროული გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით 2014 წლის 1 აგვისტოს კანონით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 243-ე 1-7 პრიმა მუხლები ფარული საგამოძიებო მოქმედებების წარმოების შესახებ, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო დაიხვეწა 2014 წლის 30 ნოემბრის, 2017 წლის 23 აპრილის და 2018 წლის 21 ივლისის კანონით შეტანილი ცვლილებებით. ამჟამად იგი ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე პრიმა [1-7] მუხლებში და ამ გზით მოპოვებული მონაცემები მიჩნეულია მტკიცებულებად ყოველგვარი დამატებითი შემოწმებების გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ მუხლებში ფაქტობრივად ასახული და ღია ლეგიტიმური სახითაა წარმოჩენილი ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის წარმოების ზოგიერთი სახეობა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაბამისი ახსნა-განმარტებებით.

ზოგიერთი ავტორის აზრით, საგამოძიებო – სასამართლო რეფორმით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამგვარი ცვლილების შეტანა ამ რეფორმის წარმოების დიდი მონაპოვარია, რადგან ამით კიდევ უფრო ეფექტური ხდება დამნაშავეობასთან ბრძოლა და შემცირდება გაუხსნელ დანაშაულთა რიცხვითი რაოდენობა. ეს უდაოდ სწორია, მაგრამ ნათქვამია: „მედალს ორი მხარე აქვსო“ და, ცხადია, ამ პრობლემას მეც გვერდს ვერ აუვლი,

\* პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

რადგან მიმაჩნია რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების წარმოება თავისთავად ქმნის ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის რეალურ საფრთხეს და ამკარად იკვეთება ინტერესთა შეუთავსებლობა. ამასთან, ამ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-112 მუხლებით დადგენილ საგამოძიებო მოქმედებებისათვის დამახასიათებელი არავითარი ნიშანი არ გააჩნია. ამიტომ მოცემული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-112 მუხლებით დადგენილი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესი.

ამასთან დაკავშირებით, მართებულად შენიშნავს ალექსანდრე ტაბატაძე, რომ ფარული გამოძიების დროს დაშვებულია შეილახოს ან რაიმე ფორმით შეიზღუდოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ფუნდამენტური იდეები: პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის, სატელეფონო საუბრების და სხვა ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინების ხელშეუხებლობა.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143-ე პრიმა მუხლით ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე მიჩნეულია:

1. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა;

2. ინფორმაციის მოსმენა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან [კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით], კომპიუტერული სისტემიდან [როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად] და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

3. საფოსტო – სატელეგრაფო გზავნილის [დიპლომატიური ფოსტის გარდა] კონტროლი;

4. ფარული ვიდეო ჩანერა ან აუდიო ჩანერა, ფოტოგადაღება;

5. ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოებას.

ამავე მუხლით რეკომენდებულია აგრეთვე გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა. მაგრამ, მისი გამოყენება – ამოქმედება გათვალისწინებულია 2020 წლის 30 მარტიდან.

კანონით დასაშვებადაა მიჩნეული აგრეთვე ერთდროულად რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.<sup>85</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143—ე მეორე პრიმა მუხლით რეგლამენტირებულია აგრეთვე ფარული საგამოძიებო მოქმედების პრინციპები და ასეთად მიჩნეულია:

1. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მხოლოდ კანონით განსაზღვრული სახის დანაშაულთა გამოსაძიებელ საქმეებზე;

2. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად;

3. ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მამინ, როცა „მისი ჩატარება გამონაკლისად გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა“;

<sup>85</sup> ალექსანდრე ტაბატაძე, ფარული გამოძიება [საჯარო ინტერესები და ადამიანის უფლებები]. ჟურ. „იურისტი“, თბ., 2018, 4, გვ. 105.

4. ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ მაშინ, „როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს“;

5. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები [ინტენსივობა] უნდა იყოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.

ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება იმ რაიონის სასამართლოს განჩინებით, სადაც ტარდება გამოძიება. განჩინების გამოსატანად საჭიროა პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობა. სახელმწიფო – პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ კი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭიროა საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინება.

კანონში მოცემული რედაქციის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოცემულ პირს ჩადენილი აქვს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული ან სსსკ 143—ე მესამე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილ დანაშაულთანააგან რომელიმე, ან როცა პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდივარე ინფორმაციას, ან როცა დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს.

სასამართლოს განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ან მის ჩატარებაზე უარისთქმის შესახებ დგება ოთხ ეგზემპლიარად. აქედან ერთი რჩება სასამართლოს, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიენიშნება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, და ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიენიშნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ელექტრონული ეგზემპლიარის სახით. მეოთხე ეგზემპლიარი კი განჩინების გამოტანისთანავე, არაუგვიანეს 48 საათისა, რეკვიზიტებისა და სარეზოლუციო ნაწილით გადაეცემა ზედამხედველ მოსამართლეს.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშეც პროკურორის მოტივირებული დადგენილებით. მაგრამ, ესეთ დროს პროკურორი ვალდებულია ეს დადგენილება ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არა უგვიანეს 24 საათისა გაუგზავნოს სასამართლოს, რომელიც ესევე არაუგვიანეს 24 საათისა, ჩატარებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სცნობს კანონიერად ან უკანონოდ. კანონიერად ცნობის შემთხვევაში მის ჩატარებას აგრძელებს 48 საათამდე. უკანონოდ ცნობის შემთხვევაში კი მოპოვებულ მონაცემებს თვლის დაუშვებელ მტკიცებულებად და უზრუნველყოფს მოპოვებული მასალისა და მიღებული შედეგების განადგურებას.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის შესახებ მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად უნდა მიეთითოს : შუამდგომლობის წარმდგენი პირი; საქმის ნომერი, რომელზეც ტარდება ან უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება; დრო, რა მონაკვეთში უნდა ჩატარდეს ეს მოქმედება; ჩატარების ობიექტი; ჩატარების ადგილი; პირი ვისზეც ვრცელდება ეს მოქმედება; სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს ამ მოქმედებას; ის საგამოძიებო ორგანო ვისაც უნდა გაეცნოს და გადაეცეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგები; ფარული საგამოძიებო მოქმედების გაგრძელებისათვის საჭირო რეკვიზიტები და სხვა მთელი რიგი მონაცემები.



ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ერთთვის ვადას გასცემს ის მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ვრცელდება გამოსაძიებელი შემთხვევა. პროკურორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოს განჩინებით არა უმეტეს 2 თვისა. საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობით ეს დადგენილი ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ გაგრძელდეს არა უმეტეს სამი თვისა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიერ. ფარული საგამოძიებო მოქმედების შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

თუ პირისათვის ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, მას უფლება აქვს ერთჯერადად გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. ამ უკანასკნელის მიერ სასამართლოს განჩინების უკანონოდ ცნობა იწვევს ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული მონაცემების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველს და მომჩივანს ეძლევა უფლება იდაოს მისი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვის ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკური საშუალებები შესაბამისი სამსახურის სპეციალისტებს შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა ფორმით, ხერხებითა და საშუალებებით სხვებისაგან შეუმჩნეველად აწარმოონ ფარული მოსმენები და ფარული ჩანაწერები არა მარტო მათ სამუშაო კაბინეტებში, საცხოვრებელ ბინებში, მათ კუთვნილ ტრანსპორტსა და სხვა ადგილსამყოფელში ჩამონტაჟებული სამეცნიერო ტექნიკური საშუალებებით, არამედ ეს ფარული მოქმედებები მთელი სიზუსტით შეიძლება სხვადასხვა შორი მანძილიდანაც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შესრულდეს. რა დროსაც, ცხადია, მთელ რიგ შემთხვევებში ვლინდება ოჯახის წევრთა არასასიამოვნო, საიდუმლო ინტიმური კავშირის ფაქტები, და ეს, ზოგიერთმა შეიძლება ბოროტადაც გამოიყენოს.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით და ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე წყვეტს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას.

სსსკ 143—ე მუხლზე პრიმა მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება შეაჩეროს აგრეთვე პერსონალური მონაცემების დაცვის ისპექტორმა და ზედამხედველმა მოსამართლემ კონტროლის ელექტრონული სისტემით.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, პროკურორის ან მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ მოქმედების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია გასცეს შუალედური ოქმი.

თუ ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერებიდან სამ დღეში არ აღმოიფხვრება მისი შეჩერების საფუძველი, ამ მოქმედებით მოპოვებული მასალა ნადგურდება კანონით დადგენილი წესით. პროკურორის გადაწყვეტილებით დაუყონებლივ ნადგურდება ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული მონაცემები, თუ მას არა აქვს გამოძიებისათვის ღირებულება. განადგურებას ექვემდებარება აგრეთვე ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული ის მასალაც, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი, ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ. სასამართლოს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული მონაცემების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შემთხვევაში, მისი განადგურება ნებადართულია მხოლოდ მოცემულ საქმეზე „საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ“.

ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე ამ მოქმედების შედეგად მოპოვე-

---

ბული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს, თუ იგი დაკავშირებულია მათ მიერ განსახილველ საკითხთან. დაცვის მხარეს ფარული საგამომძიებო მოქმედებით მიღებული მონაცემები მიენოდება სსსკ 83-ე მუხლით დადგენილი წესით.

ფარული საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების დამთავრების შემდეგ, ამის შესახებ უნდა ეცნობოს პირს ვის მიმართაც იგი ტარდებოდა, მაგრამ [სსსკ —ის 143ე მუხლის მეცხრე პუნქტის თანახმად], თუ პროკურორი მიიჩნევს, რომ ფარული საგამომძიებო მოქმედების ჩატარებიდან 12 თვის ვადაში პირს არ უნდა ეცნობოს მის მიმართ ამ მოქმედების ჩატარების შესახებ, იგი ვალდებულია ამ ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 72 საათისა დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლემაც მიიღო განჩინება ფარული საგამომძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე და მოითხოვოს ფარული საგამომძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისათვის მიწოდების გადავადება არა უმეტეს 12 თვისა.

ისევე როგორც ფარული საგამომძიებო მოქმედებების, ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიების ჩატარების დროსაც აკრძალულია ისეთი მოქმედების წარმოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ირიდიული პირის უფლებებს. აგრეთვე ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა რაც დაკავშირებულია პირის მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან ან სხვა რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.

ფარული საგამომძიებო მოქმედებებისაგან განსხვავებით ოპერატიულ —სამძებრო ღონისძიებების ჩატარებით მოპოვებული მასალები შეიძლება გამოყენებული იქნას დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილებისა და გახსნისათვის საჭირო საგამომძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედებების ჩატარების მოსამზადებლად და სხვ.

მამასადამე, ოპერატიულ სამძებრო საქმიანობისა და ფარული საგამომძიებო მოქმედების წარმოების ხერხები და მეთოდები, ტაქტიკურ – კრიმინალისტიკური თვალთახედვით, ერთიმეორისაგან დიდად არ განსხვავდება, მაგრამ იურიდილ – სამართლებრივი შეფასებით მათ შორის დიდი ზღვარია. ფარული საგამომძიებო მოქმედებით მიღებული მონაცემები მტკიცებულებითი მნიშვნელობისაა, რადგან მათი ჩატარება , როგორც დამოუკიდებელი საგამომძიებო მოქმედებები, რეგლამენტირებულია სისხლის საპროცესო კანონმდებლობით. ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებით [რომელიც ასევე ფარული ხასიათისაა], მოპოვებულ მონაცემებს კი, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, მას პირდაპირ, რომელიმე სახის პროცესუალური მოქმედებით დამაგრების გარეშე, მტკიცებულებითი მნიშვნელობა არა აქვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული კანონმდებლობით ოპერატიული სამსახური უფლებამოსილია დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების მიზნით ჩაატაროს ისეთი ფარული მოქმედებები, როგორცაა: საკონტროლო შესყიდვა, კონტროლირებადი მიწოდება, კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა, დანაშაულებრივ დაჯგუფებაში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა და სხვ. მაგრამ მას უფლება არა აქვს მოახდინოს ამ ფარული ოპერატიული ღონისძიების წარმოების პროცესში რომელიმე მნიშვნელოვანი ფაქტის ან გარემოების ფარული ფოტო გადაღება ან ფარული ვიდეო ჩანერა და ფარული მიყურადებით მიღებული ინფორმაციის ფარული ფიქსაცია, რადგან ეს ქმედებები მიჩნეულია ფარულ საგამომძიებო მოქმედებად. ვფიქრობ, კანონის ესეთი მოქმედება არასწორია. ოპერატიულ სამსახურსაც უნდა მიეცეს უფლება თავისმხრივ წარმოებული საკონტროლო შესყიდვის ან კონტროლირებადი მიწოდების და სხვა ფარული ღონისძიების წარმოების პროცესი შეიძლებისდაგვარად ფარულად აღბეჭდოს კრიმინალისტიკურ ტექნიკაში შემუშავებული ფარული ფოტო გადაღებებ-

---

ითა და აუდიო—ვიდეო ჩანერის ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში ეს ფოტოილუსტრაციები და ჩანაწერი მასალა საქმეს თან დაერთოს. მით უმეტეს, როგორც ავლნიშნეთ, ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებით მოპოვებული მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების დასადგენად და მტკიცებულებათა მოსაპოვებლად სხვა საჭირო რთული საგამოძიებო [ ჩხრეკის, ამოღების, დაკავების, დაკითხვის და სხვ.] მოქმედებების ჩატარების მოსამზადებლად. ამ გზით მოპოვებული მონაცემები შეიძლება საფუძვლად დაედოს არა მარტო ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, არამედ თვით დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიების დაწყებას და საქმეზე საჭირო სხვა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას.

მაგალითად, თუ პროკურორმა მიიღო ინფორმაცია ტერორიზმის, ბანდიტიზმის, ყაჩაღობის ან ამა თუ იმ მოხელე თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღების, ან ნარკოტიკული საშუალებების ყიდვა – გაყიდვის ფაქტების არსებობის შესახებ, ჩადენილი ქმედების სრული მოცულობით წარმოჩინების მიზნით პროკურორმა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მისცა სპეციალური დავალება მოცემულ პირთა საქმიანობაზე ფარული თვალთვალის, მიყურადების, ფარული ფოტო – ვიდეო გადაღებების წარმოების შესახებ და სხვა სახის ფარული საგამოძიებო მოწმედებების ჩატარებებით დროულად გამოავლინონ ამ დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები და მოახდინონ დანაშაულებრივ ფაქტზე მხილებულ პირთა დაკავება, სპეციალური სამსახურის უფროსმა უნდა შეარჩიოს შესაბამისი პირები, გამოიტანოს დადგენილება ფარულ საგამოძიებო მოქმედებაში მათი ჩართვის შესახებ და უზრუნველყოს მათი აღჭურვა კრიმინალისტიკის შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით.

პროცესუალური კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების არ არსებობის დროსაც, ზემოაღნიშნული სახის საინფორმაციო მონაცემებზე, პროკურორი უდაოდ ასეთსავე დავალებასა და მითითებებს მისცემდა ოპერატიულ – სამძებრო სამსახურის სახელმწიფო დაწესებულებას, მაგრამ ფარული საგამოძიებო მოქმედებებისაგან განსხვავებით ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებით მოპოვებულ მონაცემებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ ებოდა. ზემოაღნიშნული პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებით მიღებულ მონაცემებს კი პირდაპირ ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

საქართველოში ზემოაღნიშნული წესით ფარული გამოძიებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ცხადია, ქართველ კანონმემომქმედთა აღმოჩენა არაა. იგი კიდევ უფრო რთული ფორმებითაა დამკვიდრებული საზღვარგარეთის მთელ რიგ სახელმწიფოებში. მათ შორის ევროკავშირის სახელმწიფოებში.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების არსი მარტოდენ იმაში კი არ გამოიხატება, რომ იგი ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედების ნიშნებისა და მის ჩამდენ პირთა დროულ გამოვლინებას, არამედ ამით ფაქტობრივად იწყება გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო მტკიცებულებითი მონაცემების მოპოვება და მის საფუძველზე პირისადმი ბრალდების წარდგენა და, მთელ რიგ შემთხვევებში, მხარეების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედების ნიშნებისა და მასში მონაწილე პირთა მხილებას, საერთო იურიდიული, სამართლებრივი თვალთახედვით მაინც გარკვეულ შეკამათებას იწვევს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საგამოძიებო მოქმედებების და, მით უმეტეს, ფარული საგამოძიებო მოქმედებების წარმოება გამოძიების დაწყებამდე.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების საპროცესო კანონმდებლობის რანგში აყვანა და

ფარული გამოძიების წარმოება გარკვეულ წილად იწვევს პიროვნების პირადი ცხოვრების საიდუმლოებაში შეჭრას, მისი უფლებებისა და თავისუფლების კონფლიქტური, შეუთავსებელი გარემოებების შექმნას და ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად სწორი და მიზანშეწონილია საქმეზე გამოძიების დაწყებამდე ფარული საგამოძიებო მოქმედებებით მიღებული მონაცემებით [ფარული მოსმენებით, მიყურადებით, ფოტო – ვიდეო გადაღებებით და კანონში აღწერილი სხვა საშუალებებით] ბრალდების წარდგენა, პიროვნებისაგან ფარულად, მის მიერ ჩადენილ ან ჩასადენ მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივ ქმედების მონაცემების მოპოვების მიზნით მათ პირად ცხოვრებაში, მათ სულიერ სამყაროში შეჭრა და მათ დაუკითხავად მათი ცხოვრების საიდუმლოების გამოაშკარავება?

დანაშაულებრივი ფაქტების ნიშნების გამოვლინების მიზნით, თითქმის ყველა კატეგორიის და არა მარტო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე, საშიშ დანაშაულთა ნიშნების გამოვლინებისათვის ესოდენ ხანგრძლივი [თვეობითა და მეტი ვადით] პიროვნებისაგან შეუმჩნეველად, მის მიმართ ფარული გამოძიების წარმოება და ამით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების თუნდაც “ მცირეოდენი” შელახვა?

მეჩვენება, რომ სისხლის საპროცესო კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებათა რანგში აყვანა, ცალკე ფარული გამოძიების წარმოება და ამ გართულებული გზით მოპოვებული მონაცემების მტკიცებულებად მიჩნევა, არასწორია, რადგან ეს, როგორც ავლნიშნეთ ისედაც თავსდება ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის კანონით მოწესრიგებულ სისტემაში. ამიტომ, ჩემი აზრით, **გამჭვირვალობისა და საქმის შემდგომი გამოძიებისა და გახსნის თვალთახედვით, უკეთესი იქნება, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ფარული გამოძიების მაგიერ კვლავ აღდგენილი იქნება მრავალი ათეული წლებით შემონმებული მოკვლევისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ინსტიტუტი.**

უკიდურეს შემთხვევაში, დანაშაულთა გამოძიების, გახსნისა და თავიდან აცილების მიმართებაში სრულიად საკმარისი იქნება, თუ იგივე პროკურორის, [რომელსაც ამჟამად მინიჭებული აქვს ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის საიდუმლოებაზე დაშვების უფლება], დადგენილებით ან სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით სასამართლოსაგან მიღებული ნებართვით [განჩინებით] ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის სწორი, თანმიმდევრული განხორციელებით მოპოვებულ მონაცემებს მივიჩნევთ დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებად. ამისათვის საკმარისია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მტკიცებულების ამსახველ 13-ე მუხლს მესამე პუნქტად დაემატოს შემდეგ გარემოებაზე მითითება:

**3. მტკიცებულებად ითვლება პროკურორის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით ჩატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული მონაცემები.“**

## რეზიუმე

ნაშრომში გამოკვლეულია ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობითა და სისხლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების წარმოების წესი, მათი არსი და მნიშვნელობა. ავტორს არასწორად მიაჩნია ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ფარული გამოძიების განხორციელების ხერხებისა და მეთოდების დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებათა რანგში აყვანა. ავტორის აზრით, აჯობებს, თუ ფარული გამოძიების მაგიერ აღდგენილი იქნება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და მოკვლევის ინსტიტუტი და ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებით მოპოვებულ მონაცემებსაც მიეცემა მტკიცებულებითი მნიშვნელობა.



---

## Resume

The paper examines the rules of conducting covert investigative activities regulated by operative-investigative activities and criminal procedure law, their essence and significance. The author mistakenly considers the concealment of covert investigative actions and methods of conducting covert investigations as independent investigative actions. According to the author, it is better if the institute of initiating and investigating a criminal case is restored instead of a secret investigation, and the data obtained by the operative-investigative measure will be given probative value.

## Резюме

В работе исследована сущность и значение правил проведения оперативно \_ розыскных деяний и тайно \_ следственных действий предлагаемых УПК Грузии. Автор считает неправильным признание уголовно \_ процессуальным кодексом Грузии проведение тайно \_ следственных действия и тайного расследования. Вместе с тем, автор предлагает восстановить институт дознания и возбуждения уголовного дела.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 2018 წ.;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი, 2018 წ.;
3. საქართველოს „კანონი ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის შესახებ,“ თბილისი. 2016 წ.;
4. ჯემალ გახოკიძე, ირაკლი გაბისონია, მიხეილ მამნიაშვილი, — „საგამოძიებო სამართალი“, თბილისი 2018 წ.;
5. მიხეილ მამნიაშვილი, გემალ გაბელია, „ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის მტკიცებულებათა მოპოვებაში“, ჟურნალი „იურისტი“, 1, თბილისი, 2016 წ.;
6. მ. ლეკიაშვილი, „ზოგადი მოსაზრებები საპროცესო და არასაპროცესო მოქმედებების თაობაზე. „სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკა“, თბილისი, 2012 წ.;
7. ალექსანდრე ტაბატაძე, – „ფარული გამოძიება {საჯარო ინტერესები და ადამიანის უფლებები}. ჟურნალი „იურისტი“, 4, თბილისი, 2018 წ.



**ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული  
ნივთიერებების საერთაშორისო კონტროლის  
სისტემის შედარებითი ანალიზი**

**ჯეჰალ ჯანაშია\***

**1. საერთაშორისო თანხმობის ჩამოყალიბების დინამიკა**

ნარკოტიკების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშუალოდ ყოველ ათწლეულში საერთაშორისო საზოგადოებრიობა რწმუნდება და უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების კორექტირების, დაზუსტების, კონტროლისა და მათი ნუსხის შევსების საჭიროებაში. პირველი ცდა იყო საერთაშორისო კონტროლის ღონისძიებებით ნარკოტიკების<sup>87</sup> გამოყენების ეროვნული რეგულირების საკითხებზე, შანხაის 1909 წლის ოპიუმის კონფერენციის მოწვევა. შანხაის კონფერენციამ შეიმუშავა სარეკომენდაციო ხასიათის ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო ოპიუმის მოწვევის შეზღუდვა და შემცირება. მიზანშეწონილია ცოტა ვრცლად განვიხილოთ ეს უმნიშვნელოვანესი ისტორიული მნიშვნელობის საკითხი.

საუკუნეზე მეტი გავიდა 1909 წლის შანხაის “ოპიუმის” პირველი კონფერენციიდან 1988 წლის 17 დეკემბერს ვენაში მიღებული „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კონვენციამდე.

შთამბეჭდავია ამ პერიოდში ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ჭიდილში დახარჯული დრო და ენერჯია. და მაინც, განუვლი მრავალმხრივი მუშაობის მიუხედავად ჯერჯერობთ ვერ ხერხდება ამ პრობლემის გადასაჭრელად ერთიანი საერთაშორისო თანხმობის მიღწევა. მჭიდრო მთავრობათაშორისი თანამშრომლობის გარეშე ბრძოლა გამოცდილ კრიმინალურ ორგანიზაციებთან, ფაქტობრივად მსოფლიოში ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვის მონოპოლისტებთან, იმის მცირე იმედს გვიტოვებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობამ დამოუკიდებლად შეძლოს ნარკოტიკების გავრცელების აღკვეთა.

1990 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის მე-17 საგანგებო სესიაზე ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით მიღებული ყოველწლიური სარგებელი 500 მლრდ აშშ დოლარით შეფასდა, რომელიც მსოფლიო ვაჭრობაში ადგილს მხოლოდ შეიარაღებისთვის დახარჯულ თანხას უთმობდა<sup>88</sup>. ეს ციფრები კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება

დღესდღეობით მსოფლიოს ყველა ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ნარკოტიკების საკითხი უპირველესია მათი მუშაობის დღის წესრიგში. მშვიდობის განვითარების, გარემოს დაცვის და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გვერდით.

მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირება და ვაჭრობა მრავალმხრივ საშიშროებას უქმნის ძირითად ინსტიტუციონალურ მოწყობას, არა-იშვიათად, სახელმწიფოს სტაბილურობას, მთავრობათაშორის დამოკიდებულებას და თვით ხალხის კეთილდღეობასაც კი. ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირება ოპერაციითა რთული ჯაჭვია დაწყებული ნარკოტიკების მწარმოებლიდან მისი მომხმარებლით დამ-

\* პროფესორი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

<sup>87</sup> აქ და შემდგომში ტერმინი „ნარკოტიკები“ განზოგადოებული სახით მოიცავს ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ცნებებს, როგორც ეს განსაზღვრულია 1961 წლის ნარკოტიკული საშუალებების და 1971 წლის ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ ერთიანი კონვენციით.

<sup>88</sup> .Основы борьбы с организованной преступностью. “ИНФРА”. Москва. 1996.

თავრებული. ჯაჭვი, რომელიც იშვიათად შემოიფარგლება ერთი ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებით- ხშირად ერთი ქვეყნის პროდუქცია მეორეში ნარკოტიკულ თუ ფსიქოტროპულ ნივთიერებად გარდაიქმნება, რათა მოხმარებამდე საბაზრო ან დანაწილებული ქსელებით მიაღწიოს.

ამოღებული სარგებელი თითქმის ყველა სტუმართმოყვარე ქვეყანაში ინვესტირდება. მრავალი მილიარდი დოლარის მომცვლი ეს არალეგალური „ბნელი“ ბიზნესი კრიმინალური სინდიკატების კონტროლქვეშ იდგამდა ფესვებს და რამდენადაც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის სფერო და გავლენა საშიშ მასშტაბებამდე იზრდებოდა, იგი იმდენად მეტად ექცეოდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში.

უდიდესმა სარგებელმა მოისყიდა პოლიტიკური ელიტა და ეკონომიკური ნათლიმამები, კორუმპირებული მთავრობები და სახელმწიფო აპარატი. უკანასკნელ ათასწლეულში მსოფლიო წესრიგისთვის ნარკოტიკები უკვე მრავალასპექტიანი პრობლემა გახდა. მისმა ბოროტად გამოყენებამ და ტრანსპორტირებამ მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროზე მოახდინა გავლენა, რის გამოც ბოლო საუკუნის მთელ პერიოდში ყოველი პროგრესული საზოგადოება ცდილობდა ქვეყნებშორის ისეთი ეფექტური ჩარჩოებისა და მექანიზმების შექმნა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობისგან თავდაცვა<sup>89</sup>.

მაგრამ ეს უაღრესად რთული განსახორციელები საქმე გამოდგა, ბევრმა სახელმწიფომ პირველ რიგში დიდმა ბრიტანეთმა გააანალიზა, რომ მათ ეკონომიკურ ვითარებაში, დიდი წვლილი ოპიუმის ვაჭრობასაც შეეძლო შეეტანა. მან კი თავის მხრივ, ინგლისის პრიორიტეტის ქვეშ მყოფ ჩრდილოეთში და სამხრეთში დასახამი მისცა ოპიუმის ყაყაჩოს მოშენებას. რადგან ადგილობრივი მოსახლეობის ოპიუმზე გაზრდილ მოთხოვნილებას ინდოეთი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა. სწორედ ამ პერიოდში ჩინეთში ნარკოტიკების პლანტაციების გაშენებამ და მისმა ინდუსტრიამ უდიდეს მასშტაბებს მიაღწია.

ამას უდავოდ ხელი შეუწყო დასავლეთის ქვეყნების, პირველ რიგში კი ინგლისის „ოპიუმის ომებში“ შედარებით იოლმა გამარჯვებებმა, შედეგად ჩინეთში ოპიუმის მომხმარებელთა რიცხვმა 100 მილიონს გადააჭარბა და მსოფლიო დიდი ჩინელი ერის კოლექტიური ინტოქსიკაციის მოწმე გახდა, ქვეყანა ოპიუმის კვამლში გაეხვია<sup>90</sup>.

სწორედ ოპიუმის მოწვევა იქცა, როგორც ქვეყანაში ისე მის ფარგლებს გარეთ, მცხოვრებ ჩინელთა კულტურის განუყოფელ ნაწილად. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ ოპიუმის მოწვევა ფართოდ გავრცელდა ჩინურ სათვისტომოებში, განვითარდა ოპიუმის ფერმერთა სისტემა, რომელიც იავაზე და სინგაპურში მთლიანად აკმაყოფილებდა მწვეველთა მოთხოვნებს, ეს სანარმოები ოპიუმის მცირე მონოპოლიები, რეგიონის პოლიტიკური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. მალე ოპიუმი მთელ მსოფლიოს მოედო.

## რას გვეუბნება ისტორია ?

სულ მალე მრავალი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პლანეტა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გათავისუფლებულიყო ოპიუმის სენისგან.

სწორედ ამისკენ მიაპყრობდა ეპისკოპოსი ჩარლზ ბრენტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ტეოდორ რუზველტის ყურადღებას: თუმა ცხოვრებამ აჩვენა, რომ იმ ხანად კაცობრიობამ ეს ამოცანა უფრო გაიცნობიერა, ვიდრე განახორციელა.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სულ უფრო მეტად და მეტად რწმუნდებოდნენ იმაში,

<sup>89</sup> . ჯ.ჯანაშია. „XXI საუკუნის გამოწვევა“, თბილისი 2002წ.

<sup>90</sup> . Jonathan Spence. „Opium Smoking in China“, in, ed. Frederic Wakeman, Jr., and Carolyn Grant, Conflict and control in late Imperial China (Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1975).

რომ საჭირო იყო ჩინეთის ოპიუმისგან დახსნა, რადგან ქვეყანა სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და დინასტიას გაქრობა ელოდებოდა.

1911 წელს მოვლენები კიდევ უფრო გააღრმავა ჩინეთის სამოქალაქო ომმა, რომელმაც ნაწილებად დაშალა მსოფლიო ოპიუმის უდიდესი მწარმოებელი და მომხმარებელი პირველი სახელმწიფო.

გარდა დიდი ბრიტანეთისა მსოფლიო სხვა ძლიერ სახელმწიფოებსაც გაუჩნდა პოლიტიკური ინტერესები და აღმოსავლეთ აზიაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს.

დაიწყო დასავლეთის გავლენების ზრდა აზიაზე. ცალსახად მომზადდა საფუძველი ოპიუმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო შეხვედრისთვის.

1909 წელს შანხაიში აშშ-ს პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის ინიციატივით შედგა ზემოთ აღნიშნული პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც „ოპიუმის შანხაის კონფერენციის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მასში მსოლიოს 13 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა (აშშ, ჩინეთი, დიდიბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, პორტუგალია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, იაპონია, სიამი და სპარსეთი)

ამერიკელები და ჩინელები ევროპელებს ჯიუტად უტყვევდნენ, რომლებიც თავისი კოლონიური ინტერესების გამო ოპონირებას აკეთებდნენ და უარს ამბობდნენ შემოთავაზებულ წინადადებაზე-ოპიუმის კომერციის აკრძალვაზე. კონფერენციამ მაინც დააყენა მთავარი ფუნდამენტური პრინციპი: ნარკოტიკები კომერცია უნდა გაკონტროლებულიყო და ლიმიტირებული უნდა გამხდარიყო მედიცინისა და მეცნიერების საჭიროებისთვის და კიდევ ერთი-კონფერენციის უმთავრეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს რომ ოპიუმი კერძოდ კი მისი მოწვევა აღიარეს, როგორც პოლიტიკური და სოციალური პრობლემა.

მიუხედავად ჩინეთ-ბრიტანეთის მცდელობისა, ბოლო მოეღოთ ინდოეთის ოპიუმით ვაჭრობისთვის, შანხაის კონფერენციის მონაწილეებმა თავი აარიდეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან დაბრკოლებები შეექმნებოდა საერთოდ ვაჭრობას აღმოსავლეთ აზიაში, შეხვედრაზე არ გაიზიარეს ის მოსაზრება, რომ ოპიუმი სამრეწველო საქონელია და მას ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

აზიის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ მხარი დაუჭირა მოთხოვნას წინ აღდგომოდნენ ოკეანის გაღმა მცხოვრებ ჩინელი მოსახლეობის კულტურულ თუ ფსიქოლოგიურ მოთხოვნას ოპიუმზე. ამასთან გამოითქვა ძლიერი ეჭვი-აიკრძალებოდა თუ არა ოპიუმი თვით ჩინეთში. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელსაც წარმოადგენდა ეპისკოპოსი ჩარლზ ბრენტი და შორეული აღმოსავლეთის ტროპიკულ დაავადებათა მკვლევარი დოქტორი ჰამილტონ რაიტი, შანხაის ოპიუმის წარმოების გაფართოებაში დიდი ბრიტანეთი დაადანაშაულა. აშშ-ს ბრალდებით სწორედ დიდ ბრიტანეთს მიუძღვოდა დიდ წვლილი ჩინეთში ოპიუმთან დაკავშირებულ პრობლემებში.

1911-1912 წლებში ჰააგის კონფერენციაზე ამჯერად დიდმა ბრიტანეთმა დაადანაშაულა ამერიის შეერთებული შტატები ჩინეთისთვის ვაშინგტონის გავლენის თავზე მოხვევისთვის. დიდმა ბრიტანეთმა კონფერენციაზე შემოიტანა პროექტი, რომელშიც შეეცადა მოეცა ფორმალური მონახაზი ნედლეულისა და მზა ოპიუმის არალეგალურ ტრანსპორტირების შემცირებისა და აღკვეთის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობის ამოცანა უფრო შორს მიდიოდა, კერძოდ მათი სურვილი იყო კონფერენციის ჩარჩოებში კოკაინისა და მორფინის მოქცევა, ისინი მიღწეულითაც დაკმაყოფილდნენ. ჰააგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზებას პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი.

სულ მალე ომი გამოცხადდა, სადაც ნარკოტიკებმა ისტორიულად ცნობილი მასტიმულირებელი და აღმგზნები საშუალების ფუნქცია შეასრულა. მკვეთრად გაიზარდა მისი

ნარმოება და ფართოდ გაუხსნა გზა სამხედრო ფარმაკოთერაპიაში. ცის გმირები-მფრინავები (1914-1918 წლებში) ისევე, როგორც მესამე რეიხის მომავალი მარშალი ჰერმან გერინგი მას შესანიშნავ რეკლამას უკეთებდნენ.

1920-იან წლების დასაწყისამდე გერმანიის ჰოლანდიისა და იაპონიის უდიდესი ლაბორატორიები ნარკოტიკებს ასეული ტონობით ანარმოებდნენ. ამაზე ცოტა დაწვრილებით შევჩერდეთ.

დიდი მიღწევა იყო, რომ 1911 წელს, ჰააგის კონფერენციაზე თორმეტმა დაინტერესებულმა სახელმწიფომ საჭიროდ სცნო იმ დროს ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკების სავალდებულო საერთაშორისო რეგულირების ნორმების და კონტროლის შემოღება.

შემდგომში ჰააგის 1912 წლის საერთაშორისო კონვენციამ – ნარკოტიკების კონტროლის პირველმა მრავალმხრივმა საერთაშორისო შეთანხმებამ – რეგულირების საგნად სცნო ნარკოტიკული ნივთიერების სამი ძირითადი კატეგორია:

1. ნედლი ოპიუმი (ოპიუმის ყაყაჩოს თავთავებიდან მიღებული, დამოუკიდებლად კოაგულირებული წვენი).

2. დამზადებული ოპიუმი (ნედლი ოპიუმის პროდუქტი, მიღებული გარკვეული ოპერაციების გზით, კერძოდ მისი მოხმარებისათვის ვარგის ექსტრაქტად გადაქცევის მიზნით გახსნის, დუღილის, დაშლის, დადუღების მეთოდებით, ასევე მოწეული ოპიუმის შლაკი და სხვა ნარჩენები).

3. სამედიცინო ოპიუმი, მორფინი, კოკაინი და ა.შ.

ჩვენი შეხედულებით, 1912 წლის კლასიფიკაცია დღესაც საინტერესოა, რამდენადაც ნარკოტიკული საშუალებების განსაზღვრის, დიფერენცირების და სისტემატიზაციის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების პირველი მაგალითია, რომელმაც შემდგომში, 70-80-იან წლებამდეც კი, ზეგავლენა მოახდინა საკითხისადმი მიდგომაზე. ამის გაუთვალისწინებლად გაჭირდებოდა შემდგომ ეტაპზე ნარკოტიკების, როგორც საერთაშორისო კონტროლის ობიექტის დაყოფა ნარკოტიკულ საშუალებებად (1961 წლის ერთიანი კონვენციის საფუძველზე) და ფსიქოტროპულ ნივთიერებებად (1971 წლის კონვენციის შესაბამისად).

ნარკოტიკების გავრცელების მსოფლიო ისტორია გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის უფლებას, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, ჰქონდა ნოყიერი წინაისტორიული პირობა რათა ქვეყანაში ნარკოტიკებისადმი გარკვეული ლიბერალური დამოკიდებულება გამოეჩინათ. სწორედ ისტორიის ფილოსოფიური ხედვა მიგვანიშნებს, რომ უმიზეზოდ ბუნებასა და საზოგადოებაში არცერთი მოვლენა არ ხდება.

ამ მოსაზრებით საინტერესოა ნიდერლანდების დამოკიდებულება მცენარე კოკასა და კოკაინის მიმართ. ჯერ კიდევ 1854 წელს დოქტორმა პასკარლიმ მთავრობის დაკვეთით ლათინურ ამერიკაში ქინაქინის მცენარე და მარცვლები შეიტანა. მოგზაურობის დროს მან ანდელ მოსახლეობაში<sup>91</sup> კოკას ფოთლისადმი ტრადიციული დამოკიდებულება გამოავლინა. თავისი მისიის ანგარიშში იგი ხოტბას ასხამდა ღვთიური მცენარის ღირსებებს და თავისი ქვეყნის ხელისუფალთ კოლონიურ იავაზე მისი გაშენება შესთავაზა. ხელისუფლებამ მეცნიერს უარით უპასუხა ისევე, როგორც ადრე ყაყაჩოს კულტურასთან მიმართებაში მოიქცნენ; მათ იფიქრეს, რომ იავაზე ახალი მასტიმულირებლის ყავაზე დამატება ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამლუპველ შედეგს გამოიღებდა. მათ მიიჩნიეს, რომ „იამაიკელთა მორალური მდგომარეობა არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რათა თავი შეეკავებინათ კოკას გადაჭარბებული მიღებისაგან, როცა ამ მცენარის მაგიურ თვისებებს შეიგრძნობდ-

<sup>91</sup>ჯ.ჯანაშია. „XXI საუკუნის გამოწვევა, ნარკოკონტროლის ფილოსოფია“ თბილისი. 2002წ. ანდები მთების სისტემა სამხრეთ ამერიკაში, რომელზეც 700-1000 მეტრის სიმაღლეზე ხარობს კოკას ბუჩქი.



ნენ“. იმ წლებში ნაკლებად კეთილსინდისიერმა ინგლისელებმა ცეილონიდან ინდოეთში ((კერალის შტატი ) ორი სახეობის კოკა შეიტანეს – ტრუქსილო და ჰუანაკო.

1903 წელს ჰოლანდიელი ტრომბ დე ჰაასი ნაშრომში „ტასმანია“ ინგლისელთა ამ გადაწყვეტილებას ნანობს: „ამით ინგლისელებს შესაძლებლობა მიეცათ მაშინვე წამოეწყოთ კოკას კულტურის ცეილონზე მოყვანა, როგორც კი ამ პროდუქტის თერაპევტული ღირსება შეიცნეს“.

მოგვიანებით ჰოლანდიურმა მთავრობამ შეხედულება შეიცვალა და დოქტორ პასკარ-ლის წარმოების გაშლაზე დაეთანხმა; იგი აქამდე ლიმიტირებული იყო მხოლოდ ნიდერლანდელი ბოტანიკოსების საკვლევი სამუშაოებისათვის.

სწორედ ცეილონიდან, ქიუს ბოტანიკური ბაღიდან გაიგზავნა 1870 წელს იავასათვის განკუთვნილი პირველი კოკაიერი და სწორედ ამ პირველი ტვირთიდანაა მიღებული შემდგომი იქ მოშენებული ყველა მცენარე<sup>92</sup>. 1876 წელს კომპანია „ჰერმან ლინდერის“ მიერ უკვე მცენარის რამდენიმე საექსპერიმენტო ექსპონატი ახალი მიზნისათვის ამსტერდამში გაიგზავნა. შედეგი სასურველი გამოდგა, იავას ბოტანიკურმა ბაღმა მთელს არქიპელაგზე გაავრცელა ერთოქსილონის (ECS) მარცვლები, მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა ბრაზილიაში რიო-ნეგროს წარმომავლობისაა. ადგილობრივი მცენარე უფრო დაბალი ხარისხისა და ძნელად გამოსაწერი იყო, ვიდრე პერუს კოკა, ამიტომ ეს ექსპერიმენტი ჩატარდა მასში კოკაინის შემცველობითი პროცენტის ამაღლების მიზნით. 1890 წლისათვის ჰოლანდიელები აღწევნენ ისეთ შედეგს, როგორცაა ეთერიზებული ეკგონინის მიღება, რომელიც მისგან წარმოებულ სხვა ალკალოიდებს კოკაინად გადრაქმნის<sup>93</sup>.

იავას ჰავა საშუალებას იძლევა პერუს მსგავსად წელიწადში ორის ნაცვლად საშუალოდ სამჯერ მოიწიონ ფოთოლი. 1884 წელს კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევის შედეგად განადგურდა კულტურის უმეტესი ნაწილი და მხოლოდ 1891 წელს, კატაკლიზმის შვიდი წლის შემდეგ მიიღო ამსტერდამის ბაზარმა პირველი პროდუქცია- დაახლოებით 20 ტ.

1892-1895 წლებში ამსტერდამში დაფუძნდა კოკაინის პირველი ფაბრიკები. აღარ ხდებოდა კოკას ფოთლის რეექსპორტი ჰამბურგისა და სხვა გერმანული ქალაქებისკენ – ფოთოლი საწყობებში იყო და ადგილზე მოიხმარებოდა `Kina \_ Etablissements“ მიერ, რომელიც უკვე ქინქინის მონოპოლიას ფლობდა და რაფინირებული კოკაინი საექსპორტოდ გაჰქონდა.

1894-1900 წლებში იავაზე კოკას კულტურა ისევ მნიშვნელოვანი აღმავლობის ტაღიაში იყო. 1919 წელს დოქტორი ემა რიინსი აღწერს, რომ „ ნიდერლანდებს არა მხოლოდ ევროპული ბაზრისაგან დამოუკიდებლობა, არამედ მასზე გავლენაც სურდათ“<sup>94</sup>.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ 1926 წელს ჰოლანდია იავას კოკას უდიდესი იმპორტიორი გახდა – წელიწადში 600ტ.

დღეს ნიდერლანდები ევროპაში კანაფისებრთა გავრცელებისა და რეკონდიციონირების (გადახალისება, გასუფთავება, რაფინირება და ა.შ. ) მამოძრავებელი ღერძია და გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საკუთარი პროდუქციით აკმაყოფილებენ როგორც თავისი ისე მეზობელი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

ჰოლანდიამ ბოლო წლებში მკვეთრად შეამცირა იმ ადგილების რაოდენობა, სადაც დაშვებულია ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვა და მოხმარება. ხოლო ე.წ „კოფი-შოპებში“ და განსაკუთრებით მის გარე ტერიტორიაზე მოხმარებაზე გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული. დღეისათვის გასაყიდი პორციები მინიმუმამდეა შემცირებული, ხოლო ძლიერი ნარ-

<sup>92</sup> C.A. Backer, R.C. Bakhuizen Van Der Brink, Flora of Java, vol. I, Groningen, N. V. P. Nordhoff. 1963.

<sup>93</sup> T. Plowman. The origin, evolution and diffusion of coca, erythoxylum spp., in South and Central America , in Papers of the Peabody Museum of Archelological and Ethnology; Pre-Colombian Plant Migration. vol. 76. Cambridge, Mass., DA 1984

<sup>94</sup> E. Reens, la coca de iava, monographie, Paris, 1919.



კოტიკები კვლავინდებურად აკრძალულ ნივთიერებათა რიცხვს მიეკუთვნება<sup>95</sup>. ყოველივე კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიდი ზენოლის შედეგად მოხდა, რადგან ჰოლანდიის ამ სარისკო ექსპერიმენტს არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰქონდა ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების მხრიდან.

ოპიუმის ომების სახელწოდებით ცნობილი მოვლენების, ასევე სხვა სახელმწიფოების მიერ ნარკოტიკების ქვეყნის ლეგალურ ეკონომიკაში ჩართვამ და ამ პროცესების ანალიზის შედეგებმა ნათელყო, რომ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება და ვაჭრობა ტრანსეროვნული მოვლენაა, რომლის ეფექტური კონტროლქვეშ მოსაქცევად, უპირველესად მთავრობა-თაშორისი მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო.

ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო-სამართლებრივი სტრუქტურების ფორმირების სანყის და კოდიფიკაციის ეტაპზე მიღებული პრაგმატული მიდგომები, მისი შემდგომი განვითარებისა და საკითხების სრულყოფის ყველა ეტაპზე ვლინდებოდა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების კოდიფიკაციის სფეროში.

ნარკოტიკების კონტროლის უნივერსალური ხასიათის მეორე საერთაშორისო-სამართლებრივი აქტია ოპიუმის შესახებ 1925 წლის საერთაშორისო კონვენცია. **ეს კონვენცია ერთა ლიგის ჟენევის კონფერენციაზე მიიღეს.** მან თავის მთავარ ამოცანად გამოაცხადა ჰააგის კონვენციით განხორციელებული ღონისძიების ეფექტურობის გაზრდა, ამავე დროს არსებითად გააფართო-ოვა და შეასწორა რეგულირების ობიექტი.

განამტკიცა რა ჰააგის კონვენციის ძირითადი დებულებები, 1925 წლის ჟენევის კონვენციამ კონტროლის ღონისძიებები დამატებით გაავრცელა **ინდურ კანაფზე**, ნედლ კოკაინზე, კოკაინის ფოთლებზე და ა.შ.

1925 წლის კონვენცია ნარკოტიკებს ყოფს სამ ძირითად კატეგორიად:

- 1) **ნედლი ოპიუმი და კოკაინის ფოთლები;**
- 2) **დამზადებული ნარკოტიკული საშუალებები;**
- 3) **ინდური კანაფი.**

ეს კატეგორიები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც კონტროლის ხარისხით, ასევე მიზნებით. თანაც სამედიცინო და მეცნიერული მიზნებით ნარკოტიკების გამოყენების საკანონმდებლო შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ „დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე“.

1925 წელს ჟენევის ოპიუმის მეორე კონფერენციის შემდეგ მსოფლიოს ყურადღება კვლავ ამ პრობლემის ირგვლის კონცენტრირდება: ქვეყნები რომელთაც ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ აქციებთან ჰქონდათ შეხება, კვლავ უშედეგოდ ითხოვდნენ კოკაინის წარმოების წინააღმდეგ ადეკვატური ზომების მიღებას, რასაც ნიდერლანდებისა და სხვა ქვეყნების მთავრობები პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა.

ერთა ლიგამ განაგრძო მავნე ნარკოტიკების ლიმიტირების სისტემის ძიება და **„ნარკოტიკების მწარმოებელთა საერთაშორისო კარტელის „შექმნის იდეა წამოაყენა.**

იდეა მაშინვე აიტაცა მსოფლიოს ქვეყნების დიდმა ნაწილმა და 1921-23 წლებში იგი ინტენსიურ კომერციულ მოლაპარაკებათა ცენტრში მოექცა.

მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ფრონტალური ოპოზიციისა იუგოსლავიების პოლონელების, იტალიელებისა და ესპანელების ყოყმანისა, ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა (საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი) მაინც მიიღეს ოპიუმის შემცველთა საერთაშორისო კონვენცია. იგი ეფუძნებოდა საექსპერტო კვებებს – ლეგა-

<sup>95</sup> ჯ.ჯანაშია. „საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი“. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საერთა-შორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის კრებული. „საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები“. თბილისი 2018წ.

ლური კონტროლი-რებადი ვაჭრობის მსოფლიო სისტემის ნაირსახეობას. ჟენევის 1925 წლის კონვენცია წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, ახალი ნივთიერებების კონტროლს დაქვემდებარების მექანიზმის შემუშავება, თვით კონვენციის შეუცვლელად, რაც „ოპერატიული რეაგირების“ საშუალებას იძლეოდა ახალი ნარკოტიკების წარმოშობაზე, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების და გავრცელების პარამეტრებზე და ა.შ.

1929-33 წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ნარკოტიკებით სპეკულაციას გარკვეულ მკაცრ შეზღუდვებს უწესებდა, ამან კი სახელმწიფოებს საბაჟო ბარიერებს მიღმა მოქმედებისაკენ უბიძგა. **დაიწყო კონტრაბანდის აღ-ზევება.**

ერთა ლიგის მიერ, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართული ზომების რეკლამამ და კარტელის მიერ შეთანხმებით მიღწეულმა ტარიფების ფიქსირებას, საქმონებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღება მომგებიანი ნარკოტიკების ინდუსტრია-რიისაკენ მიმართა.<sup>96</sup>

ოპიუმის მწარმოებელი იუგოსლავია და თურქეთი, ასევე პოლონეთი თანმიმდევრობით ჩაერთო ალკალიიდების ინდუსტრიის კონკურენციაში. ბუდაპეშტში ყაყაჩოს ჩალი-დან მორფინის წარმოება დაიწყო. უნგრელებს წარმოებული პროდუქცია ავსტრიაში, ფინეთსა და ესტონეთში გაჰქონდათ

მაგრამ ამავე პერიოდში კარტელმა უკანონო კომერციის წინააღმდეგ ზენოლა გაძლიერა. ამას პირდაპირი შედეგები მოჰყვა, მისმა აქციამ 1930 წლის იანვრიდან 1933 წლის ოქტომ-ბრამდე ოპიუმის ნომინალური ფასი 600 პროცენტამდე დააგდო, რამაც ახლო აღმოსავლეთის მრავალი მენარმე გააკოტრა.

საერთაშორისო ორგანიზაციები და ქვეყანათა მთავრობები გამაბრუებელთა კონტროლისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებებს ახორციელებდნენ. მაგალითად, პოლიტიკოსებმა მხარი დაუჭირეს 1929 წელს ფილიპინებსა და აზიის სხვა ქვეყნებში (ჩინეთის გარდა) ლიგის კომისიის ვიზიტს, რომლის მიზანიც ოპიუმის მოწვევის მავნებლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება იყო. ლიგის წევრმა ქვეყნებმა უკმაყოფილება გამოთქვა იაპონიის ხელისუფლების მიერ „კვანტუნის არმიის“ გათავისუფლებულ ტერიტორიაზე განხორციელებულ ღონისძიებათა შეფასებისას.

იაპონიის ხელისუფლება მცდარ ინფორმაციას ავრცელებდა ამ ტერიტორიაზე ნარკონ-არმოების შესახებ. როგორც მოგვიანებით, ლიგის ვიზიტის დროს გაირკვა, ამ ტერიტორიაზე სიტუაცია გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ეს ანგარიშში ჩანდა.

იმის გამო, რომ წარმოების შეზღუდვის შესახებ მიღებული კონვენციის გად-ანყვეტილებები სათანადოდ არ სრულდებოდა, ლიგის საბჭომ 1931 წლის ნოემბერში ბანგ-კოკში მოი-წვია კონფერენცია დევიზით – „ოპიუმის მწველთა რაოდენობის შემცირება“

კონფერენციის მუშაობაში არ მონაწილეობდა ჩინეთი, რამაც კონფერენციის შედეგებზე იქონია ზეგავლენა.

ბანგკოკის შემდეგ აზიის სიტუაციის განსახილველად პოლიტიკოსები იძულებულნი გახდნენ კიდევ რამდენჯერმე მისხდომოდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას – ჯერ ვაშინგ-ტონში, შემდეგ კი ლონდონში.

განვითარებულმა მოვლენებმა, რა თქმა უნდა, შეცვალა მსოფლიო ქვეყნების ნარკო-პოლიტიკაც. ნათელი გახდა, რომ ოპიუმზე მკაცრი კონტროლის განხორციელებას მხოლოდ ის ქვეყანა შეძლებდა, რომელიც ნარკოტიკებზე ეკონომიურად არ იყო დამოკიდებული. ჩინეთის „პოლიტიკურ ეკონომიკაში“ ოპიუმი ბატონობდა<sup>97</sup>, რასაც მეორე მსოფლიო ომის

<sup>96</sup> ზ. ბეროზაშვილი. "ნარკობიზნესის ინდუსტრია". თბილისი 2002წ.

<sup>97</sup> Great Britain, Foreign Office, The Opium Trade, 1910-1941, FO415: Correspondence Respecting Opium, 6 vols, (Wilmington, DE: Scholarly Resources, 1974), 2 : v, January-june, 1912, no. 81.

მიჯნაზე იაპონიის მილიტარისტულმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი. ასეთი სტრატეგიით მანჯურიაში არალეგალური გზით სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობის მორფინი შედიოდა. ჩინეთი თანდათან მოექცა იაპონიის ეკონომიკური გავლენის ქვეშ.

1868 წლიდან დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებზე დაწვევის მიზნით იაპონიამ ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი აიღო. მოდელის ამ კოპირებამ იგი აიძულა ექსპანსიური პოლიტიკის გზას დადგომოდა, რომელიც იდეოლოგიურად, ადგილობრივი პირველადი მასალის რესურსების სიმცირის გამო, ნედლეულის სხვა წვეყვებში მოპოვებას აკანონებდა.

ევროპული იმპერიალიზმის მსგავსად, იაპონური იმპერიალიზმის ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი ნარკოტიკები გახდა.

ვერსალის ტრაქტატის თანახმად ტერიტორიული მატებით გაძლიერებული და გათამამებული იაპონია მორფინის ჩინური ბაზრის მთავარი მწარმოებელი გახდა.

შედეგი: 1915 წელს 45 კილოგრამიანი წარმოებიდან იაპონური მორფინის წარმოება 1921 წლისათვის 5 ტონამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში მკვეთრად დაეცა ჩინეთში ნარკოტიკების ინგლისური იმპორტი.

სამაგიეროდ, იაპონური ინდუსტრია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული გახდა ოპიუმის იმპორტზე.

1932 წელს მანჯურიაში და 1941 წელს ჩინეთის სანაპიროზე შეიარაღებული შეჭრის წინ იაპონელებს უშუალოდ მხოლოდ ტაივანისა და კორეის ოპიუმზე მიუწვდებოდათ ხელი. ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ ქვეყანაში გარედან შეეტანათ ოპიუმი, კერძოდ, თურქული, რომლის პროცენტული მაჩვენებელი სარეკორდო იყო და ნაცვლად 11-12 პროცენტისა, 14 პროცენტ მორფინბაზას შეიცავდა.

იაპონიამ ნარკოტიკების ექსპორტის კიდევ ერთი ქსელი გააბა კალკუტასთან, სადაც 1920 წლის დასაწყისიდან იაპონელები ბენგალიის გადაუმუშავებელი ოპიუმის პირველ მყიდველებად გვევლინებოდნენ. ოპიუმის ჰეროინად გადამუშავება კობესა და ოსაკაზე მდებარე საიდუმლო ლაბორატორიებში ხდებოდა, საიდანაც ნარკოტიკები კენგდაოში – შინდონგის დიდ პორტში იგზავნებოდა<sup>98</sup>.

მიუხედავად ყველაფრისა, იაპონელები არ ცდილობდნენ ნარკოტიკების გავრცელების ოფიციალური ქსელების შექმნას. ჩინეთში დასავლეთიდან შემოტანილი ტექნიკის გამოყენებით და საოკუპაციო არმიასთან თანამშრომლობით ინტენსიურად ავითარებდა საიდუმლო, დახურულ ნარკოკომერციას, რასაც მათთვის დიდი მოგება მოჰქონდა.

ტაივანიდან შემოტანილი ოპიუმით, მორფინით და ჰეროინით მოიწყა სუატოკა და ჰონკონგი, სადაც **ტრიალებმა**, სუსტი წინააღმდეგობების განწვევის შემდეგ იაპონურ მმართველ წრეებთან თანამშრომლობა დაიწყო.

იაპონელი სპეკულანტები ასევე ძლიერი ევროპული ფირმების ლეგალური იმპორტის დიდი ნაკადით სარგებლობდნენ, 1925 წელს შვეიცარიის დიდი ფარმაცევტული ფირმა „სანდოზი“ ტონა ნახევრამდე მორფინის ექსპორტირებას ეწეოდა იაპონიაში.

1925 წელს ჟენევის კონვენციის შედეგად გაჩნდა რა ლეგალური ჰეროინისა და მორფინის ნაკადის შეწყვეტის საფრთხე, იაპონელმა ქიმიკოსებმა საჭიროდ ჩათვალეს აღნიშნულ კონვენციასთან მიერთება. იაპონელი სტუდენტები ევროპაში (გერმანიაში) ჰეროინის ინდუსტრიის შესასწავლად გაგზავნეს, ხოლო 1927 წელს სტამბულში ჰეროინის ფაბრიკა ააშენეს – “The Orient Products Co”, რომელიც აზიაში გაფანტული იაპონელი დისტრიბუტორების მოსამარაგებლად იყო განკუთვნილი.

დასავლეთის ნახევარსფეროში კი ჰააგის კონვენციის გაფართოების თაობაზე, ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობას წინ აღუდგა პერუ და ბოლივია. ამ ქვეყნებში

<sup>98</sup> .A. W. McCoy, The Politics of Heroin: CIA Complicity in the Global Drug Trade, New York, Brooklyn, Lawrence Hill, 1991.

ჩამოყალიბდა აზრი, რომ თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები მათი ქვეყნების შინაურ პოლიტიკაში ერეოდა, კერძოდ ტრადიციული კოკაინის წარმოებაში და მაინც, ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიაში შანხაის 1909 წლის, ჰააგას 1912 წლის და ჟენევის 1925 წლის კონფერენციები წინააღმდეგული ნაბიჯი იყო ნარკოტიკებთან ბრძოლის საქმეში. ისინი ოპიუმით ვაჭრობის წინააღმდეგ მსოფლიოს სახელმწიფოთა ნებას გამოხატავდა და გარკვეულ ვალდებულებებსაც კისრულობდა. კერძოდ, კონფერენციებმა დააკანონა საბაჟო სამსახურის წამყვანი როლი ოპიუმის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებებში.

ამ პირველი გაუბედავი ნაბიჯების შემდგომ, საერთაშორისო საზოგადოებამ 1920-46 წლებში საფუძველი ჩაუყარა იმ სამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლებიც დღეს მოქმედი საერთაშორისო კონვენციების საფუძველია. ესენია:

-1925 წლის საერთაშორისო კონვენცია ოპიუმის შესახებ;

-1931 წლის კონვენცია ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებისა და გავრცელების მონესრიგების შესახებ;

-1931 წლის კონვენცია სახიფათო ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების აღკვეთის შესახებ<sup>99</sup>.

არსებული საერთაშორისო კონვენციათა გადანყვეტილებებიდან გამომდინარე განსახილველი საკითხები შეთანხმებული უნდა იყოს, ან შეთანხმდეს ერთა ლიგის წევრ ქვეყნებთან, რომელთაც ზედამხედველის როლი უნდა ეკისრათ კონვენციის იმ შეთანხმებათა შესრულებაზე, რომლებიც ოპიუმსა და სახიფათო ნარკოტიკების ტრანსპორტირებას ეხებოდა.

ეს სამი კონვენცია თანდათან აფართოებდა ერთა ლიგისა და მისი სააგენტოების უფლებამოსილებას უკანონო ნარკოტიკების საერთაშორისო ტრანზიტის აღსაკვეთად. ამ დოკუმენტებმა ნარკოტიკების პრობლემასთან ბრძოლის პირველი მრავალმხრივი ადმინისტრაციული მექანიზმი ჩამოაყალიბა.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო 1936 წლის კონვენცია, როგორც პირველი საერთაშორისო მცდელობა ნარკოტიკების კანონიერი და უკანონო ტრანზიტის ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და იმ სანქციების აქცენტირებაში, რომლებიც აუცილებელია უკანონო ტრანზიტის ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და იმ სანქციების აქცენტირებაში, რომლებიც აუცილებელია უკანონო ტრანსპორტირების ასალაგმავად.

ეს იყო პირველი მრავალმხრივი კონვენცია ამ უკანონო ბიზნესში ჩართულ პირთა კრიმინალური დასჯის უზრუნველსაყოფად, ვინც დოკუმენტში ჩამოთვლილი ნარკოტიკების უკანონო წარმოებას, გადამუშავებას, ექსტრაქციას (მინარეგებისაგან გასუფთავების), მომზადებას, გავრცელებას, შესყიდვას, გაყიდვას ტრანსპორტირებასა და გადაზიდვას ეწეოდა. კონვენცია 1939 წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და ერთა ლიგის დე ფაქტო გარდაცვალების შემდეგ.

შეიძლება აღინიშნოს, რომ 40-იანი წლებისათვის ჩამოყალიბდა ნარკოტიკების კონტროლის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც შეიცავდა საერთაშორისო მასშტაბით ამ პერიოდში ცნობილი ნარკოტიკული საშუალებების წარმოების, დამზადების, ბრუნვისა და განაწილების რეგლამენტაციას.

მეორე მსოფლიო ომმა მეომარი მხარეები ნარკოტიკების პრობლემებიდან სხვა საკითხებზე გადართო, ხოლო ომის შემდგომი პერიოდის დაპირისპირებას ყოფილი მტრების ორ შეიარაღებულ ბანაკად დაყოფილი მოკავშირეების ახალი დაჯგუფებები მოჰყვა. **ჩვენი საუკუნის 90-იან წლებამდე, ეგრეთწოდებული ცივი ომის პერიოდში დიდი ძალაუფლების**

<sup>99</sup> United Nations Documents E/CN. 7/1991/1 Rev. 1, of December 20, 1990, prepared for the thirty-fourth session in which the history and functions of the Commission on Narcotic Drugs are summarized. The Commission was created by the United Nations Economic and Social Council (ECOSOC) in resolution 9 (1) of February 16, 1946, as the successor to the Advisory Committee on Traffic in Opium and other Dangerous Drugs.



---

## **მოპოვებისათვის კონკურენცია დომინირებდა: ნარკოტიკების პრობლემაც საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა.**

ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის რესპუბლიკაში ოპიუმის წარმოებისა და ჰეროინის დამზადებასთან წარმოქმნილი პოლიტიკური დაპირისპირება

50-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჰეროინის ექსპორტისა და ნარკოტიკებით ნაღდი ფულის მოპოვების მიზნით ჩინეთი მტრებისათვის ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა.

60-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის განხეთქილება ჩამოვარდა, საბჭოთა კავშირმა მაოისტების საწინააღმდეგო იგივე კამპანია წამოიწყო, რაზეც ადრე პრეტენზია ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა.

ყველას გასაოცრად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩინეთს დაუჭირა მხარი და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი ცილს სწამებდა დიდ ჩინელ ხალხს. ცხადია საერთაშორისო დებოშის მთავარი ფაქტორი ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის მიმდინარე ცივი ომის პოლიტიკა იყო<sup>100</sup>.

ამ დროისათვის სუვერენული ქვეყნები იგნორირებას უკეთებდნენ ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის მოთხოვნებს, რადგან ნარკოტიკების სფეროში ძირითადი მონაწილენი სულ სხვა, ნარკოტიკებზე უფრო დიდი საფიქრალით იყვნენ დაკავებული.

აღნიშნულის მიუხედავად, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებმა მაინც გაიცნობიერეს ნარკოტიკების საშიშროება და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოაყალიბეს მასთან ბრძოლის საერთაშორისო ინსტიტუტები.

ომის შემდეგ მოხდა ერთა ლიგის დელეგირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, რომლის სტრუქტურაშიც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1946 წლის თებერვალში ნარკოტიკებთან დაკავშირებული კომისია ჩამოაყალიბა.

1946-60 წლებში კომისიამ მხოლოდ ერთი დამატებითი ოქმი მოამზადა, კერძოდ, 1953 წლის ოქმი ყაყაჩოს გაშენების შეზღუდვისა და მოწესრიგების, ოპიუმის წარმოების, საერთაშორისო საბითუმო ვაჭრობისა და მოწესრიგების, ოპიუმის წარმოების, საერთაშორისო საბითუმო ვაჭრობისა და გამოყენების შესახებ.

### **2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამი უმთავრესი კონსტიტუციური დონის დოკუმენტი (კონვენცია)**

50-იანი წლების ბოლომდე გაეროს კომისიის ყურადღება გადატანილი იყო ურთიერთ-გამომრიცხავი წინააღმდეგობების, სხვადასხვა შეთანხმებათა, კონვენციებისა და ოქმებს შორის იდენტურობისა და გაურკვევლობის თავიდან აცილებაზე. საუბარია იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მოგვიანებით შევიდა ძალაში. ამის წყალობით 1960-61 წლებში მომზადდა ახალი სრული დოკუმენტების პაკეტი, რომელიც ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებას იძლეოდა.

ნარკოტიკების ლეგალური და არალეგალური ბრუნვის სფეროში ყველა გადაწყვეტილებებს ერთა ლიგის ფარგლებში იღებდნენ. 1945 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქმიანობის პრაქტიკულად პირველსავე წლებში თავის გამგებლობაში მოაქცია ნარკოტიკებზე ერთა ლიგის შეთანხმებების და მათი შესრულების მიზნით შექმნილი ნარკოტიკული საშუალებების კომისიის ფუნქციები, საჭიროდ მიიჩნია კონტროლისა და რეგულირების ღონისძიებების გავრცელება ნარკოტიკული ნედლეულის წყაროებზე, უწინარესად ბუნებრივი წარმოშობის ასეთ ნედლეულზე. ამ მიზნით 1946 წელს გაეროს სტრუქტურაში შეიქმნა ნარკოტიკების კონტროლის კომიტეტი, რომელიც ნარკოტიკებთან ბრძოლის მთავარი სუბიექტია.

---

<sup>100</sup> ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, საფრანგეთის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პარიზი 1996წ.



პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელმაც სცადა ნარკოშემცველი ნათესებისთვის მკაცრი კონტროლის დანერგვა, იყო ნიუ-იორკის 1953 წლის აქტი, კერძოდ, ყაყაჩოს კულტივირების, ოპიუმის წარმოებისა და სხვა შეზღუდვისა და რეგლამენტირების შესახებ. მაგრამ ეს დოკუმენტი სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის ნარკოტიკული ნედლეულის მწარმოებელი ქვეყნების პრობლემების გამო, სიცოცხლიუნარია-ნი ვერ აღმოჩნდა და ძალაში არ შესულა.

**40-50 წლებში** ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების პრობლემის გამწვავებამ, სხვადასხვა დებულებების უკმარისმა ეფექტურობამ და ურთიერთნინააღმდეგობამ, რომელიც ამ დროისათვის მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებების გამოყენებისას გამოვლინდა, გარკვეული დაპირისპირება გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურების პრაქტიკულ საქმიანობაში;

ამასთან, ქიმიისა და ფარმაცოლოგიის მნიშვნელოვან განვითარებას მოჰყვა, როგორც ცნობილი ნივთიერებების ახალი ფორმების, ასევე პრინციპულად ახალი ნარკოტიკული საშუალებების გამოჩენა და სხვადასხვა რეგიონებში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების ხასიათში ცვლილებების შეტანა<sup>101</sup>. ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ისეთი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტის შემუშავების საჭიროება, რომელიც უნივერსალურ საფუძველზე გააერთიანებდა სახელმწიფოთა პრაქტიკას.

ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის ერთიანმა კონვენციამ, რომელსაც ნიუ-იორკში მოეწინააღმდეგებოდა ხელი, შეცვალა ამ დროისათვის ხსენებულ სფეროში მოქმედ მრავალრიცხოვან შეთანხმებათა უმრავლესობა. იგი მათი გამოყენების პრაქტიკის განზოგადებით შემუშავდა ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის არსებული სისტემების გაერთიანებისა და გამარტივების მიზნით.

ასე მაგალითად 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის ნარკოტიკებზე კონტროლის შესახებ, ერთიანი კონვენციის 44-ე პუნქტი 1912 წლიდან ძალაში მყოფ საერთაშორისო დოკუმენტებს ზღუდავდა<sup>102</sup>.

ერთიანმა კონვენციამ შემოიტანა ნარკოტიკული ნედლეულის როგორც კულტივირებადი, ასევე ველურად მზარდი ნარკოშემცველი მცენარეების – ოპიუმის ყაყაჩოს, ნედლი ოპიუმის, ყაყაჩოს ნამჯის, კოკაინის ბუჩქებისა და ფოთლების, კანაფის კონტროლისა და რეგულირების სავალდებულო ღონისძიებათა სისტემა და ამით დამთავრდა საერთაშორისო კონტროლის სისტემაში შექმნილ წინააღმდეგობათა ხანა. დაფუძნდა კონტროლის უნიფიცირებული ორგანოები. განისაზღვრა ბოროტად გამოყენების საგნად გამხდარი იმ ნივთიერებების შერჩევის კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც კონტროლს ექვემდებარება როგორც ნარკოტიკი და განამტკიცა კონტროლირებად ნივთიერებათა ნუსხის პერიოდული განხილვის მექანიზმი.

## დასკვნა

ამგვარად, საბოლოოდ გაფორმდა ახლანდელი კონტროლის მოქნილი სისტემა, რომელიც ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების საშუალებას იძლევა. ასევე შესაძლებელი გახდა ახლად გამოჩენილი, სახემეცვლილი და მისი

<sup>101</sup> ნარკოტიკების არაკანონიერად (იატაკქვეშ) დამზადებისას გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები. ამერიკის შერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაცია. 1996წ.

<sup>102</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „1961 წლის 1972 წლის ოქმით შესწორებული ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ“ მუხლი 44 „ადრინდელი საერთაშორისო ხელშეკრულებების შეწყვეტა“. ნიუ-იორკი 1977.

---

მსგავსი იმ ნივთიერებების, რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ბოროტად გამოყენების საგანია ან შეიძლება ასეთი გახდეს.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მთლად ლოგიკურად არ მოგვეჩვენოს ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ 1971 წლის კონვენციის, როგორც დამოუკიდებელი აქტის მიღება. მართლაც, 1961 წლის ერთიანი კონვენციისა და 1971 წლის კონვენციის ძირითადი პარამეტრები, მათი მიზნები და ამოცანები, რეგულირების მექანიზმები და რაც მთავარია, კრიტერიუმები ე.ი. ამა თუ იმ ნივთიერების კონტროლს დაქვემდებარების ობიექტური მიზეზები ძირითადად ანალოგიურია, ანდა ემთხვევიან ერთმანეთს (ტექსტობრივადაც კი).

რით შეიძლება აიხსნას ახალი, სპეციალური ტერმინის „ფსიქოტროპული ნივთიერებების“ შემოტანა იმ ნივთიერებებისათვის, რომელთა კონტროლის მეთოდები და ფორმები იმავე ერთიან საერთაშორისო კონტროლის მექანიზმის ფარგლებში ანალოგიურია ნარკოტიკული საშუალების კონტროლისა. ეს გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ორი ტერმინი საერთაშორისო-სამართლებრივ დონეზე წმინდა იურიდიული საკონვენციო ცნებაა და არ ემყარება წმინდა სამედიცინო, ფარმაკოლოგიურ ანდა ქიმიურ განსაზღვრებას.

პირველი ორი კონვენციის ამოქმედების შენდგომი ნაბიჯი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1988 წლის 20 დეკემბერს ვენაში მიღებული „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბძოლის კონვენცია“, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემებზე. პირველ-მა ორმა კონვენციამ კი განსაზღვრა ის მექანიზმები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით შეზღუდვად კონტროლირებად ნივთიერებათა ლეგალურ კულტივირებას, წარმოებას და გადამუშავებას. ამ კონვენციებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო მექანიზმების გა-მოყენებით ვალდებულებანი დააკისრეს კონვენციის მონაწილე ქვეყნებს მითითებათა შესას-რულებლად. ამ მრავალწლიანი მუშაობის შედეგი კი ის იყო, რომ ამ იურიდიულ სისტემას უდიდესი მხარდაჭერა გამოუცხადა ერთიანი კონვენციის მონაწილე 135 ქვეყანამ (მათ შორის 108 ქვეყანამ 1972 წლის ოქმის რატიფიცირება მოახდინა), 107-მა დაამტკიცა ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე მიღებული 1961 წლის კონვენცია; 1988 წელს 77 ქვეყანამ ხელი მოაწერა ახალ კონვენციას, რომელიც ძალაში 1990 წლის ნოემბერში შევიდა მას შემდეგ, რაც აღნიშნული კონვენცია 20 ქვეყანამ 1992 წლის ივლისში დაამტკიცა, ხოლო დამატებით 62 ქვეყანამ და ევროგაერთიანებამ მიიღო და მოიწონა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მოხდა აკრძალულ ნივთიერებათა დოკუმენტირება, მათი შესაბამის ცხრილში მოქცევა, ეს კი თანაბრად სავალდებულო გახდა პლანეტის ყველა იმ სახელმწიფოსთვის, რომლებიც შეუერთდნენ აღნიშნულ კონვენციებს. მათი რიცხვი სულ უფრო მატულობს 90-იან წლებისათვის 150-ს გადააჭარბა, ხოლო XXI საუკუნეში მათი რიცხვი 200-ს მიუახლოვდა, რადგან პლანეტის თითქმის ყველა სახელმწიფომ გააცნობიერა, რომ თავისი სამართალდამცავი სისტემის და იურისდიქციის ფარგლებში ერთ თუნდაც ზე სახელმწიფოსაც არ ძალუძს დამოუკიდებლად შეაჩეროს და კონტროლს დაუქვემდებაროს ნარკოტიკების გამოყენების, წარმოებისა და ტრანსპორტირების მასშტაბები.

---

## რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საერთაშორისო კონტროლის სისტემის შედარებითი ანალიზი.

შესწავლილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამი უმთავრესი კონსტიტუციური დონის დოკუმენტი: „1961 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, „1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“, 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ასევე, მიმოხილულია ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა მექანიზმები და რეგულაციები.

## Resume

The article analyzes the comparative analysis of the international control system of drugs and psychotropic substances.

The three main constitutional documents for the fight against drugs have been studied by the United Nations: „the 1961 Convention for the fight against drugs“, „the 1971 Convention on Psychotropic Substances“, „the 1988 Convention on Combating Illicit Trafficking in Drugs and Psychotropic Substances“. Other mechanisms and regulations for international cooperation in this area are also discussed.

### Резюме

В статье анализируется сравнительный анализ международной системы контроля над наркотиками и психотропными веществами.

Были изучены три основных конституционных документа Организации Объединенных Наций по борьбе с наркотиками: Конвенция 1961 года о наркотиках, Конвенция 1971 года о психотропных веществах, Конвенция 1988 года о борьбе с незаконным оборотом наркотиков и психотропных веществ. Обсуждаются также другие механизмы и нормы международного сотрудничества в этой области.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ.ჯანაშია. „XXI საუკუნის გამოწვევა“, თბილისი 2002წ.
2. ჯ.ჯანაშია. „საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი“. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის კრებული. „საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები“. თბილისი 2018წ.
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „1961 წლის 1972 წლის ოქმით შესწორებული ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ“ მუხლი 44 „ადრინდელი საერთაშორისო ხელშეკრულებების შეწყვეტა“. ნიუ-იორკი 1977.
4. ზ. ბეროზაშვილი. „ნარკობიზნესის ინდუსტრია“. თბილისი 2002წ.

---

5. Jonathan Spence. "Opium Smoking in Ch'ing China", in, ed. Frederic Wakeman, Jr., and Carolyn Grant, *Conflict and control in late Imperial China* (Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1975).

6. C.A. Backer, R.C. Bakhuizen Van Der Brink, *Flora of Java*, vol. I, Groningen, N. V. P. Nordhoff. 1963.

7. T. Plowman. The origin, evolution and diffusion of coca, *Erythroxylum spp.*, in *South and Central America*, in *Papers of the Peabody Museum of Archaeological and Ethnology; Pre-Colombian Plant Migration*. vol. 76. Cambridge, Mass., DA 1984

8. E. Reens, *la coca de iava*, monographie, Paris, 1919.

9. Great Britain, Foreign Office, *The Opium Trade, 1910-1941*, FO415: Correspondence Respecting Opium, 6 vols, (Wilmington, DE: Scholarly Resources, 1974), 2 : v, January-june, 1912, no. 81.

10. Основы борьбы с организованной преступностью. "ИНФРА". Москва. 1996.

A.W. McCoy, *The Politics of Heroin: CIA Complicity in the Global Drug Trade*, New York, Brooklyn, Lawrence Hill, 1991.

11. United Nations Documents E/CN.7/1991/1 Rev. 1, of December 20, 1990, prepared for the thirty-fourth session in which the history and functions of the Commission on Narcotic Drugs are summarized. The Commission was created by the United Nations Economic and Social Council (ECOSOC) in resolution 9 (1) of February 16, 1946, as the successor to the Advisory Committee on Traffic in Opium and other Dangerous Drugs.

# იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ზოგიერთი

## ინსტიტუტის მიმოხილვა

თეიმურაზ დარსანია \*

ანა ჯოჯუა \*

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი რომანულ-გერმანული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელ მოდელს წარმოადგენს, ხოლო სპეციალური სისხლის სამართლის კანონები უმეტესწილად ანგლოსაქსური სისტემის მახასიათებლებით გამოირჩევა. იაპონური სისხლის სამართალი ორი განსხვავებული სისტემის საკმაოდ სპეციფიკური ნაზავია.<sup>105</sup> იაპონიის სისხლის სამართლის პოლიტიკა (იაპონიაში განვითარებულ ქვეყანათა შორის დამნაშავეობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია) ზოგადად დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ძალიან მცირე დროში სოციალ-ეკონომიკური წყობილების შეცვლა ავტორიტარიზმიდან დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრისკენ გვირგვინებს მთელი რიგი დასკვნების უნივერსალობას, რომელიც მართებულია პოსტსაბჭოური რეალობისათვის.<sup>106</sup> იაპონიაში დანაშაულობის ძალიან დაბალი დონე, იაპონელი და უცხოელი მკვლევარების აზრით, განაპირობა ქვეყნის განვითარების მაღალმა სოციალ-ეკონომიკურმა მიღწევებმა, საზოგადოების რეალური დემოკრატიის პირობებში ცხოვრებამ და მოსახლეობის საერთო კულტურის მაღალმა დონემ. დამნაშავეობის შეკავებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს პრაქტიკული სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელიც ამ ქვეყანაში აშენებულია დანაშაულთან ბრძოლის სოციალური და სამართლებრივი ხერხების, ფორმალური კონტროლის ჩართვაში ტრადიციულ არაფორმალურში.<sup>107</sup> იაპონიაში შექმნილია დანაშაულთან ბრძოლის საერთო ნაციონალური სისტემა, რომელიც შეიცავს მოქალაქეების აქტიურად მოქმედი საზოგადოებრივი ფორმირებების მთელ ქსელს. რაც ყველაზე მთავარია, ფაქტობრივად ჩამოყალიბდა საერთო იაპონური კონსენსუსი იმაზე, რომ შეუძლებელია, როგორც საზოგადოების განვითარება სოციალური ფასეულობების დანაშაულისგან დაცვის, ასევე თითოეული მოქალაქის მასში მონაწილეობის გარეშე.<sup>108</sup>

დღეს იაპონიაში მოქმედებს ჯერ კიდევ 1907 წლის 24 აპრილს (კანონი N45) მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც შეიქმნა 1871 წლის გერმანიის სისხლის სამართლის დებულების მიხედვით. იაპონიის სამართლის სისტემის განვითარება და, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის ახალი ეტაპი დაიწყო 1946 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა იაპონიის ახალი კონსტიტუცია.<sup>109</sup> შესაბამისად, ამას მოჰყვა არაერთი მცდელობა, რომ შემუშავებულიყო და მიეღოთ ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ ყველა ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. კოდექსის ბოლო რედაქტირება განხორციელდა 1995 წლის 12 მაისს (კანონი N 91) (შესწორდა არა მარტო წმინდა სამართლებრივი ნორმები,

\* სამართლის დოქტორი, პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

\* სამართლის ბაკალავრი

<sup>105</sup> იხ.: Еремин В.Н. Характеристика источников уголовного права Японии // Уголовное право буржуазных стран. Общая часть. М., 1990. С. 273–293, да Уголовный кодекс Японии. СПб., 2002. С. 7.

<sup>106</sup> Комар П.М., Коробов Л.М. Уголовная политика Японии // Развитие российского права и права стран АТР в условиях конституционного реформирования: Материалы конференции, 29 ноября 2003 г. Владивосток, 2004. С. 63-76.

<sup>107</sup> Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010, с. 523

<sup>108</sup> Белявская О.А. Уголовная политика Японии // Актуальные вопросы борьбы с преступностью в России и за рубежом. М., 1991. С. 3-4.

<sup>109</sup> Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СП., 2013, с. 96



არამედ დაიხვეწა თვითონ ენა, რომელზეც დაწერილი იყო კოდექსი). აღსანიშნავია, რომ დღეს იაპონური სისხლის სამართლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს: 1) იაპონიის 1946 წლის კონსტიტუცია; 2) იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1907 წლის 24 აპრილს (კანონი N 45) (1995 წლის 12 მაისის (კანონი N 91) რედაქციით), რომელიც მიიჩნევა, როგორც სისხლის სამართლის ძირითადი წყარო; 3) დელეგირებული საკანონმდებლო აქტები; 4) სასამართლო პრეცედენტები; 5) სპეციალური სისხლის სამართლის კანონები; 6) არასისხლისსამართლებრივი კანონები, რომლებშიც მოცემულია სისხლისსამართლებრივი დასჯის ღონისძიებები; 7) აშშ შეიარაღებული ძალების იაპონიაში განლაგების სტატუსის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, 1952 წლის განსაკუთრებული სისხლის სამართლის კანონი და 1954 წლის კანონი თავდაცვის საიდუმლოების შესახებ.<sup>110</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იაპონური სისხლის სამართლის ძირითად წყაროს მაინც სისხლის სამართლის კოდექსი წარმოადგენს. ტერმინი სისხლის სამართლის კოდექსი ითარგმნება „კეიხო“ იეროგლიფების შერწყმით. მაგრამ ეს თარგმანი არასწორია, რადგან არ შეიცავს ტერმინ „კოდექს“-„ხოტენ“, რომელიც, შესაბამისად, ნიშნავს „სისხლის სამართლის კანონს“.<sup>111</sup> იაპონური სისხლის სამართლის კოდექსი შედგება ორი ნაწილისაგან, როგორცაა საერთო დებულებები (ზოგადი ნაწილი) (საერთო დებულებებში ცალკე შეიძლება გამოიყოს დებულებები სასჯელის შესახებ) და დანაშაულები (კერძო ნაწილი). დანაშაულები (კერძო ნაწილი) შეიძლება დაიყოს სამ ბლოკად, როგორცაა დანაშაულები სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ; დანაშაულები ადამიანის წინააღმდეგ და დანაშაულები საკუთრების წინააღმდეგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იაპონიაში სისხლის სამართლის ნორმები მოთავსებულია, გარდა უშუალოდ სისხლის სამართლის კოდექსისა, სხვა კანონებშიც, როგორცაა სპეციალური სისხლის სამართლის ნორმები (ტოკუბეცუ კეიხო), სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც მოცემულია სხვა კანონებსა და მუნიციპალური კრებების დადგენილებებში. ისინი ქმნიან ე. წ. სისხლისსამართლებრივ-ადმინისტრაციულ სამართალს, სისხლისსამართლებრივ-სამეურნეო სამართალს, სისხლისსამართლებრივ-შრომით სამართალს და სხვ. აქედან გამომდინარე, იაპონური სისხლის სამართალი ძალიან ვრცელი და პრაქტიკულად ყოვლისმომცველია. აღსანიშნავია იაპონური სისხლის სამართლის ერთი თავისებურება, როგორცაა კოდექსის მე-8 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ “მოცემული კანონის ზოგადი დებულებები გამოიყენება იმ დანაშაულთა მიმართაც, რომელთათვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სხვა კანონმდებლობაში, თუ ამ კანონებში უშუალოდ არ არის გათვალისწინებული სხვა სპეციალური დებულებები”.<sup>112</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ იაპონურ სისხლის სამართლის კოდექსში დასათაურებულია მხოლოდ თავები. უშუალოდ მუხლები სახელწოდების გარეშე და მხოლოდ ნუმერაციას შეიცავს (მიუხედავად ამისა, იაპონელი ავტორები კომენტირებისას მუხლებს აძლევენ დასახელებას, ამიტომაც ისინი (მუხლები) სხვადასხვა ავტორთან შეიძლება განსხვავებული სახელწოდებით შეგვხვდეს).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მხოლოდ ზოგიერთ ინსტიტუტს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში არ მოიპოვება ძირითადი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტების ცნებები და განმარტებები: არ არის დანაშაულის ცნება, ბრალის ფორმების

<sup>110</sup> Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СП., 2013, с. 97

<sup>111</sup> Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010, с. 526

<sup>112</sup> იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, კანონი N 45, 1907 წლის 24 აპრილი, N 91 კანონის რედაქციით, 1995 წლის 12 მაისი (2018 წლის 11 იანვრის მდგომარეობით). <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1241616&subID=100097517,100097519,100097546,100097651#text>

ცნება, სასჯელისა და მისი მიზნების ცნება და სხვა. კოდექსი არ იცნობს, მაგალითად, ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნებას, ასევე მასში არ ვხვდებით დანაშაულთა კატეგორიებს არც მათი სიმძიმის და არც სხვა რაიმე კრიტერიუმების მიხედვით. ძალიან მწირედ არის წარმოდგენილი დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხები (ყველა პირი, ვინც ამა თუ იმ ფორმით ერთობლივად ჩადის დანაშაულს მიიჩნევა ამსრულებლად).<sup>113</sup> იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი არ იცნობს დანაშაულის მომზადების ცნებასაც, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მომზადებისათვის გათვალისწინებულია კერძო ნაწილის მუხლებში (მაგალითად, 201 მუხლი მკვლელობის მომზადება).<sup>114</sup>

პირველი, რასაც განვიხილავთ იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებიდან, ეს არის დანაშაულის ცნება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დანაშაულის ცნების საკანონმდებლო განმარტება არ არსებობს იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში, რასაც ავსებს ასეთი განმარტების ჩამოყალიბების უამრავი დოქტრინალური მცდელობა, როგორცაა “სისხლის სამართლის კანონი – ეს არის კანონი, რომელიც ეხება დანაშაულს და მისთვის დაწესებულ სანქციას; რადგან ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი (იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი თ.დ.) არ შეიცავს დანაშაულის საერთო ცნებას, შესაბამისად არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ ეს პრობლემა გადაწყდეს მეცნიერულ თეორიაში”.<sup>115</sup> იაპონელი მეცნიერები ცდილობენ დანაშაულის ცნების მახასიათებელი ნიშნები გამოიყვანონ სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა ნორმების შინაარსიდან. ძირითადად ეს ნორმებია ბრალეულობის შესახებ (მუხლი 38), შეურაცხაობის შესახებ (მუხლი 39), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შესახებ (მუხლი 41), გარემოებების შესახებ, რომლებიც გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (მუხლები 35-37). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იაპონური სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედება ეს არის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, შეურაცხადი პირის მიერ ბრალეულად ჩადენილი ქმედება, რომლის დროსაც არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები. დანაშაულის ნიშნების არსებობის წინაპირობად განიხილება ქმედება. დანაშაულებრივი ქმედება სპეციალურ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც “მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი ქმედება, რომელიც ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობას”.<sup>116</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ იაპონურ სისხლის სამართალში გამოიყოფა დანაშაულის ოთხი ნიშანი, როგორცაა ქმედება, დანაშაულის შემადგენლობისადმი შესაბამისობა, მართლსაწინააღმდეგობა და პასუხისმგებლობა. მოკლედ განვიხილავთ მათ. იაპონიის სისხლის სამართლის თეორიაში აღიარებულია, რომ დანაშაული ეს არის ქმედება, რომელმაც პოვა თავისი ასახვა ადამიანის კონკრეტულ, ობიექტურ ქცევაში. ფიქრები, დანაშაულის ჩადენის განზრახვის წარმოშობა, განზრახვის გამომჟღავნება მესამე პირისთვის ქმედებად არ მიიჩნევა. თუ არ არსებობს ქმედება, არ არსებობს დანაშაული. იაპონელი იურისტები ქმედებას ორ ფორმად ყოფენ, როგორცაა მოქმედება (საკუი) და უმოქმედობა (ფუსაკუი). უმოქმედობისთვის პასუხისმგებლობა კი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც ის პირდაპირ გათვალისწინებულია კონკრეტულ მუხლებში.<sup>117</sup> როგორც იაპონელი ავტორები სუგაიმა და ვატი აღნიშნავენ, “ქმედება ეს არის სხეულის დინამიკა

<sup>113</sup> Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010, с. 528

<sup>114</sup> Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СП., 2013, с. 100

<sup>115</sup> Кида Дзюньити, Нихон кэйхо сорон (Общая часть Японского уголовного права), К. 1977 с. 49

<sup>116</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т. 1994 с. 162

<sup>117</sup> Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010, с. 534

და სტატიკა. საკუთარი ნებით მოსალოდნელი მოქმედებისაგან თავის შეკავებაც ქმედებაა. მას უწოდებენ ქმედებას უმოქმედობით, ხოლო დანაშაულს, რომელიც მისი შედეგია – უმოქმედობის დანაშაულს. უმოქმედობის დანაშაული ეს ისეთი დანაშაულია, რომელშიც თვითონ დანაშაულის შემადგენლობა თავისი შინაარსით წარმოადგენს უმოქმედობას”.<sup>118</sup>

დანაშაულის შემადგენლობისადმი ქმედების შესაბამისობა იაპონურ დოქტრინაში დანაშაულის აუცილებელი ელემენტია. ეს ნიშნავს, ქმედება უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის შემადგენლობას იმისათვის, რომ საერთოდ ვალიაროთ დანაშაულის არსებობა და ასევე საუბარია მხოლოდ იმ შემადგენლობებზე, რომელიც დაფიქსირებულია კანონმდებლობაში და დაკავშირებულია კანონიერების პრინციპის რეალიზაციასთან. თვითონ შემადგენლობა კი ხასიათდება, პირველი – ქმედების რეალიზაციით და შედეგით, მეორე – დანაშაულის ტიპოლოგიური, აბსტრაქტული მოდელით“. დანაშაულის არსებობის პირველი პირობა არის – ქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი. აქ საუბარია იმაზე, რომ კონკრეტული ქმედება ემთხვევა ტიპოლოგიურ, წარმოსახვითი ქმედების მოდელს, რომელიც აკრძალულია, როგორც დანაშაული. ქმედების ეს ტიპი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობას. ქმედების შემადგენლობა გვეუბნება ქმედების რეალიზაციასა და შედეგზე..., რომელიც კონკრეტულად მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ყოველ მუხლში. შეიძლება ითქვას, რომ ესაა "NULLA CRIMEN, NULLA POENA SINE LEGE" პრინციპის მოთხოვნა”.<sup>119</sup> ზოგიერთი იაპონელი მეცნიერის აზრით, დანაშაულის შემადგენლობის ფუნქცია მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ტიპოლოგიზაციას, რომლებიც ინვევენ პასუხისმგებლობას, ამიტომაც შესაძლებელია დანაშაულის ცნების ნიშნების ჩარჩოს გაფართოება: დანაშაულს წარმოადგენს ქმედება, რომელიც ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობას, რომლითაც ხორციელდება კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ტიპოლოგიზაცია და ინვევენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>120</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია “მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პრობლემა. იმისათვის, რომ ქმედება იყოს მიჩნეული დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად, ქმედების რეალიზაციასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება. ასეთი კავშირი მოითხოვს განპირობებულ ურთიერთობებს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თუ არა წინა ფაქტი, არ დადგებოდა შესაბამისი შედეგი. მაგალითად, რომ არ ყოფილიყო ა-ს ქმედება, ჯანმრთელობის დაზიანების მიყენება, არ დადგებოდა შედეგი ბ-ს გარდაცვალების სახით. მაგრამ თუ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს შევხედავთ უფრო ფართოდ, ადამიანის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ამ კავშირში მოიაზრება განპირობებულია წინა ფაქტით, ამიტომაც დილემაში შეიძლება თუ არა პირის ბრალეულობაზე საუბარი იურიდიული მნიშვნელობით სანქსის ქმედებისათვის, აუცილებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შუალედური როლის არსებობა.”<sup>121</sup>

იაპონურ დოქტრინაში მართლწინააღმდეგობა გაგებულია, როგორც მისი გამომრიცხველი გარემოების არარსებობა. დანაშაულის არსებობისათვის აუცილებელია, რომ ქმედება დანაშაულის შემადგენლობას ემთხვეოდეს და იყოს ნამდვილად მართლწინააღმდეგო. “ნამდვილი” მართლწინააღმდეგობის ქვეშ იგულისხმება მატერიალური მართლწინააღმდეგობა, ანუ, როდესაც ის არც ერთი გარემოებით არ შეიძლება იქნას გამართლებული. მართლწინააღმდეგობა მისი ფართო გაგებით, რათქმაუნდა, გულისხმობს სოციალურად მავნე ქმედებას. რადგან დანაშაულის შემადგენლობა ახდენს ქმედების ტიპოლოგიზაციას, რომელიც თავისი შინაარსით სოციალურად მავნეა, ითვლება, რომ ქმედებას თუ ემთხ-

<sup>118</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т. 1994 с. 163

<sup>119</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т., 1994, с. 16

<sup>120</sup> Ито Макото, но кэйхо нюмон (Введение в уголовное право от Ито Макото). Т., 1998, с. 38

<sup>121</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т., 1994, с. 164



ვევა, დანაშაულის შემადგენლობას აუცილებლად აქვს მართლსაწინააღმდეგო ხასიათი (ფორმალური მართლსაწინააღმდეგობა). იმ ქმედებათა შორის, რომლებიც დიდი ალბათობით მართლსაწინააღმდეგოა და ასევე ფორმალურად ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს არის ისეთები, რომლებიც კარგავენ მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. მაგალითად, ექიმის ქმედება ოპერაციისას ფორმალურად იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის (ჯანმრთელობის დაზიანების მიყენება) შემადგენლობას ემთხვევა, მაგრამ სინამდვილეში ეს ქმედება სოციალურად სასარგებლოა და ამიტომაც კარგავს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, შესაბამისად, არ ქმნის დანაშაულს (როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებასთან). მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები არ ამოიწურება მხოლოდ კანონში რეგლამენტირებული შემთხვევებით, არამედ არსებობს, რა თქმაუნდა, ზეკანონური გარემოებებიც.<sup>122</sup>

იაპონელი მეცნიერების სუგამას და ვატის მოსაზრებით, „არსებობს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ქმედება იმ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, რომელიც ფორმალურად ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ უარყოფს მასში მართლსაწინააღმდეგობის არსებობას, იმის საფუძველზე, რომ ამ ქმედებაში არ არის ნამდვილი მართლსაწინააღმდეგობა იმ ხარისხით, როგორსაც ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობა. ასეთ პრობლემას ვაწყდებით სისხლის სამართლის საქმეებზე უმნიშვნელო ზიანით, საქმეებში, რომელიც დაკავშირებულია შრომით კონფლიქტებთან, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან და სხვა. ამ კონცეფციის თანახმად, მართლსაწინააღმდეგობას უნდა ჰქონდეს ისეთი ხარისხი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დანაშაულისთვის დაინიშნოს სასჯელი. ამ კონცეფციის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მას შემოაქვს შედარებითი მართლსაწინააღმდეგობის ცნება, განსხვავებით მართლსაწინააღმდეგობის ზოგადი ცნებისა“.<sup>123</sup>

იაპონურ დოქტრინაში პასუხისმგებლობა გაგებულია, როგორც პასუხისმგებლობის პირობების ერთობა, რომელიც შედგება პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობისა და განზრახვისაგან, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტი, გაუფრთხილებლობისაგან, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტი და პირის შესაძლებლობა იმოქმედოს კანონის ფარგლებში. პირის შესაძლებლობის ქვეშ იმოქმედოს კანონის ფარგლებში, გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც მოქმედს გააჩნია შესაძლებლობა იმოქმედოს კანონიერად, მაგრამ ის მიუხედავად ასეთი შესაძლებლობისა, ირჩევს უკანონო ქმედებას (ამის აღსანიშნავად გამოიყენება სპეციალური ტერმინი, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „იმედოვნების შესაძლებლობა“, რომ პირი აირჩევს ქცევის კანონიერ ვარიანტს).<sup>124</sup>

იაპონური დოქტრინა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის აუცილებლად მოითხოვს პასუხისმგებლობის ელემენტის არსებობას, რომელშიც ცენტრალური ადგილი იურიდიული მნიშვნელობით გაკიცხვას უკავია. გასაკიცხად მიიჩნევა პირის გადანყვეტილება, ჩაიდინოს დანაშაული. პასუხისმგებლობის ინსტიტუტი გამოიყენება, როგორც ადამიანის ფსიქოლოგიური სფეროს რეგულირების ინსტრუმენტი, რაც გაკიცხვის შესაძლებლობას აძლევს უმაღლეს მნიშვნელობას, როგორც სისხლის სამართლის მეორე უმნიშვნელოვანეს პრინციპს. მოგვყავს სუგამას და ვატის მოსაზრებები ამ საკითხზე: „მაშინაც კი, თუ ქმედება ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობას და მართლსაწინააღმდეგოცაა, ჯერ კიდევ არ გვაქვს დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს სასჯელი. დანაშაულთან საქმე გვაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც იქმნება შესაძლებლობა მოქმედი პირის სამართლებრივი გაკიცხვის იმ ქმედებისათვის, რომელ-

<sup>122</sup> Уголовное право зарубежных государств, Общая часть, ред. И. Д. Козочкина, М. 2001, с. 439-440

<sup>123</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т., 1994, с. 165

<sup>124</sup> Хорицу ёго дзитэн (Словарь терминологии законодательства). Т., 1996 с. 54

იც მან ჩაიდინა. მოქმედის გაკიცხვის შესაძლებლობას ჰქვია პასუხისმგებლობა (სეკინინ), პასუხისმგებლობის არსებობა (იუსეკისეი) კი არის დანაშაულის აუცილებელი პირობა. სამართლებრივი გაკიცხვის შესაძლებლობა თავისი შინაარსით ნიშნავს იმას, რომ მოქმედი იურიდიულად იკიცხება იმისათვის, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება ჩაიდინოს დანაშაული. სისხლის სამართალი გვაფრთხილებს, რომ ზოგიერთი ქმედება აკრძალულია და მისი დამრღვევი პირებისათვის დაინიშნება სასჯელი. ასეთი გაფრთხილებით ის ცდილობს აკონტროლოს ადამიანის ფსიქოლოგიური საქმიანობა. ის კიცხავს იმას, რომ მოქმედი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას მყარად მიჰყვებოდა კანონსაწინააღმდეგო გზას, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა კანონის შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობა. კონცეფციას, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი გაკიცხვის შესაძლებლობა არის სასჯელის წინაპირობა, ჰქვია პასუხისმგებლობის პრინციპი. ეს “NULLA CRIMEN, NULLA POENA SINE LEGE” პრინციპთან ერთად არის ახალი დროის სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც ნიშნავს, რომ მოქმედის გაკიცხვის შესაძლებლობის სრული არარსებობისას არ შეიძლება არსებობდეს მისი პასუხისმგებლობაც, შესაბამისად, არ გვექნება დანაშაული. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ „თუ არ არის პასუხისმგებლობა არ არის სისხლისსამართლებრივი სასჯელი“. სამართლებრივი გაკიცხვის შესაძლებლობის დასაბუთების ელემენტებად განიხილება, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობის უნარი (სეკინინ ნორიოკუ) და მეორე განზრახვის ან გაუფრთხილებლობის არსებობა”.<sup>125</sup>

იაპონური დოქტრინა და პრაქტიკა სრულად აღიარებს სუბიექტური შერაცხვის პრინციპს. ამის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ინდივიდუალური პასუხისმგებლობა“ (კოდზინტეკი სეკინინ), რაც იმას ნიშნავს, რომ „პასუხისმგებლობა მოქმედი პირის მიმართ შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ მის ინდივიდუალურ ქმედებასთან დაკავშირებით”.<sup>126</sup> ვასედას სემინარის წიგნში ტერმინი “სეკინინ“-ის (პასუხისმგებლობა) ორი მნიშვნელობით ასრებობაზეა საუბარი: “ინდივიდუალური”, ანუ, როდესაც “sekinin“-ის არსებობა შეიძლება ვალიაროთ მოქმედი პირის მიმართ მხოლოდ მის ინდივიდუალურ ქმედებასთან დაკავშირებით და „სუბიექტური“, როდესაც გაკიცხვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედს აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნარი და ჩაიდინა ქმედება განზრახ ან გაუფრთხილებლობით.<sup>127</sup>

ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ დანაშაულის შემადგენლობაზე, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს პირის ქმედება, რაც დანაშაულის ცნების აუცილებელი ელემენტია. ძალიან მოკლედ შევეხებით საკითხს, საერთოდ როგორ არის გაგებული დანაშაულის შემადგენლობა იაპონურ სისხლის სამართალში და დავახასიათებთ მას ზოგადად. დანაშაულის შემადგენლობის სრული გაგებისათვის აუცილებელია დანაშაულის შემადგენლობის პირობების ახსნა, რომელშიც ცენტრალური ადგილი „დანაშაულის შემადგენლობის პირობების ელემენტებს“ უკავია (kosei ioken ioso). დანაშაულის შემადგენლობა (შემადგენლობის პირობები) გაგებულია, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და სისხლის სამართლის დოქტრინაში დამკვიდრებული სუბიექტური და ობიექტური ნიშნების ერთობლიობა, რომლითაც ქმედება შეიძლება დახასიათდეს, როგორც დანაშაული. შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები იყოფა ობიექტური და სუბიექტური ნიშნით. დანაშაულის შემადგენლობის პირობების ობიექტურ ელემენტებს (kiakanteki kosei ioken ioso) მიეკუთვნება “მარეალიზებული ქმედება” (დზიკო კოი), „შედეგი“ (კეკკა),

<sup>125</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т., 1994 с. 167-168

<sup>126</sup> Кэйхо-но кисо тисики. I. Сорон. Васэда сихо сикэн сэмина хэн. (Основы знаний уголовного права. I. Общая часть. Составлено семинаром Васэда для сдающих экзамены на право занятия юридической деятельностью.) Т., 1997 с. 50

<sup>127</sup> Кэйхо-но кисо тисики. I. Сорон. Васэда сихо сикэн сэмина хэн. (Основы знаний уголовного права. I. Общая часть. Составлено семинаром Васэда для сдающих экзамены на право занятия юридической деятельностью.) Т., 1997 с. 50



„მიზეზ-შედეგობრივი კავშირი“ (inga kankei). ამასთან „დანაშაულის ობიექტი“ (კაკუტაი) და „დანაშაულის სუბიექტი“ (siutai) ხშირად გადმოცემულია მახასიათებელი ნიშნებით „მარეალიზებული ქმედების“ ანალიზის ფარგლებში. დანაშაულის შემადგენლობის პირობების სუბიექტურ ელემენტებს (სიუკანტეკი კოსეი იოკენ იოსო) მოეკუთვნება „განზრახვა, როგორც შემადგენლობის ელემენტი“ (kosei ioken teki koi) და „გაუფრთხილებლობა, როგორც შემადგენლობის ელემენტი“ (kosei ioken teki kasicu).<sup>128</sup> აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი ობიექტს და სუბიექტს განიხილავს მარეალიზებული ქმედების ფარგლებში ან სხვაგვარად მიაკუთვნებს მათ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს,<sup>129</sup> ზოგიერთი კი ობიექტს და სუბიექტს განიხილავს დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებელ ელემენტებად.<sup>130</sup> იაპონურ დოქტრინაში ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის უმნიშვნელოვანესია მისი შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი. „დანაშაულისათვის უპირველესად აუცილებელია, რომ ის იყოს ქმედება, რომელიც ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობას. ის, რაც არ არის ქმედება, არ არის დანაშაული, მაგრამ ის რაც არის ქმედება, მაგრამ არ შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას (კოსეი იოკენ გაიტოსეი), გატანილი უნდა იყოს დანაშაულის ფარგლებიდან“.<sup>131</sup>

აქვე გვინდა ავლნიშნოთ, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარე იაპონურ დოქტრინაში გაგებულია, როგორც პირის ფსიქიკური აქტივობა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან – დანაშაულის ფსიქოლოგიური შინაარსი; ხოლო იურიდიული ნიშნები, რომლებიც ახასიათებს სუბიექტური მხარის შინაარსს არის ბრალი (განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით). შესაბამისად, ბრალი არის სუბიექტური მხარის ძირითადი ნიშანი, რომელიც უნდა ახასიათებდეს ნებისმიერ დანაშაულს, ხოლო მოტივი და მიზანი მისი ფაკულტატური ნიშნებია. იაპონელი მეცნიერი კიდა, როდესაც საუბრობს პასუხისმგებლობაზე, აღნიშნავს მას როგორც “სეკინინ”, ხოლო ბრალს, როგორც “seki-in”, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს პასუხისმგებლობის მიზეზს.<sup>132</sup> ანუ გამოდის, რომ ბრალი, კიდას მოსაზრებით, არის გასაკიცხაობის მიზეზი. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ბრალის ცნებას. ბრალი, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრების შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არ არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი, არამედ მაინც სახელმწიფოს მხრიდან გამოთქმული გაკიცხვაა, რომელიც მიმართულია ბოროტმოქმედისადმი.<sup>133</sup> იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლში მოცემულია მხოლოდ განზრახვის, გაუფრთხილებლობის და შეცდომის ძალიან ზოგადი ცნება (თავისთავად არანაირი მითითება არ არსებობს განზრახვის და გაუფრთხილებლობის ფორმებზე).<sup>134</sup> განზრახვა გულისხმობს დანაშაულის ფაქტის გაცნობიერებას ან დამწვებას, უფრო კონკრეტულად კი ფაქტისა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ ელემენტს ემთხვევა. განზრახვა განისაზღვრება, როგორც ნება ჩაიდინოს დანაშაული – პირდაპირი განზრახვაა, ხოლო თუ პირი აცნობიერებდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს და უშვებდა ასეთ საფრთხეს, სახეზეა ევენტუალური განზრახ-

<sup>128</sup> Уголовное право зарубежных государств, Общая часть, ред. И. Д. Козочкина, М. 2001, с. 450

<sup>129</sup> Нисихара Харуо. Кэйхо сорон (Общая часть уголовного права). Т., 1977. с. 75, 86

<sup>130</sup> Кида Дзюньити. Нихон кэйхо сорон (Общая часть японского уголовного права). К., 1977 с. 61, 63

<sup>131</sup> Хорицу ёго дзитэн (Словарь терминологии законодательства). Т., 1996 с. 44

<sup>132</sup> Кида Дзюньити. Нихон кэйхо сорон (Общая часть японского уголовного права). К., 1977 с. 122

<sup>133</sup> Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010, с. 533

<sup>134</sup> იხ. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, კანონი N 45, 1907 წლის 24 აპრილი, N 91 კანონის რედაქციით, 1995 წლის 12 მაისი (2018 წლის 11 იანვრის მდგომარეობით). <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1241616&-subID=100097517,100097519,100097546,100097651#text>

ვა. გაუფრთხილებლობა, როგორც დანაშაულის შემადგენლობის პირობა განისაზღვრება დანაშაულის შემადგენლობას მიკუთვნებული მოქმედებით ან უმოქმედობით დანაშაულის ფაქტის გაცნობიერების ან მისი დაშვების გარეშე, უყურადღებობის მიზეზით.<sup>135</sup>

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს დანაშაულის კატეგორიებად დაყოფის ინსტიტუტი, მაგრამ დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა კლასიფიკაციას ახდენს სხვადასხვა საკმაოდ მრავალფეროვანი მახასიათებლების მიხედვით. უპირველესად გამოიყოფა დანაშაულის ორი კატეგორია მძიმე დანაშაულები (*dziudzai*) და ნაკლებად მძიმე დანაშაულები (*კეინდზაი*), ასევე აქვე მოიაზრება, ეგრეთ წოდებული, პოლიციური დელიქტები. დანაშაულის კლასიფიკაციის სხვა კრიტერიუმებად გამოიყენება მათი დაყოფა სუბიექტის მიხედვით, ქმედების ფორმის და შინაარსის მიხედვით (ფაქტიური, ფორმალური და ფინალური, დამამძიმებელი, გაერთიანებული, ქცევითი, ზიანის მიმყენებელი, საფრთხის შემცველები), დანაშაულებრივი ქმედებების ძირითადი და კორექტირებული ტიპების ურთიერთკავშირის მიხედვით (დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაული, ერთი პირის მიერ ჩადენილი და დანაშაული თანამონაწილეობით), ბრალის ფორმის მიხედვით (განზრახი და გაუფრთხილებელი), კრიმინალიზაციის გენერალიზაციის მიხედვით (ბუნებრივი და კანონით დადგენილი), ხელყოფა სამართლებრივი სიკეთის სახის მიხედვით (ამ შემთხვევაში ძირითადად სამი სახის სამართლებრივ სიკეთეზეა საუბარი: სახელმძიფო ინტერესი, როგორც სამართლებრივი სიკეთე, საზოგადოებრივი ინტერესი, როგორც სამართლებრივი სიკეთე და პირადი ხასიათის სამართლებრივი სიკეთე).<sup>136</sup> იაპონელი მეცნიერები აღიარებენ რა დანაშაულთა კლასიფიკაციის მნიშვნელობას, თვლიან, რომ ეს ჩამონათვალი სრული არ არის და საჭიროებს დახვეწა-გაფართოვებას.

იაპონურ სისხლის სამართალში არ არსებობს დანაშაულის ჩადენის სტადიის განმარტება, მისთვის უცხოა ტერმინი „წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობა“, მაგრამ არსებობს მოძღვრება ინდივიდუალურად მოქმედი პირის დამთავრებულ დანაშაულებრივ საქმიანობაზე (ტანდოკუხანნო კისუიხან) და მოძღვრება ეგრეთ წოდებულ კორექტირებულ შემადგენლობებზე. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება დანაშაულის შემადგენლობათა ორი სახე, როგორცაა 1) დროში კორექტირებული შემადგენლობები (დანაშაულის მომზადება და მცდელობა); 2) და კორექტირებული პირთა წრის მიხედვით (თანამონაწილეობა). დამთავრებულ დანაშაულად მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელშიც შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა პირობა.<sup>137</sup>

კორექტირებული შემადგენლობებიდან ჯერ განვიხილავთ დროში კორექტირებულ შემადგენლობებსა და დანაშაულის **მომზადებისა და მცდელობის** ინსტიტუტებს იაპონურ სისხლის სამართალში. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში დამკვიდრებულია დანაშაულის მომზადების სისხლისსამართლებრივი წესით დაუსჯელობის პრაქტიკა. არ არის, ამ მხრივ, გამონაკლისი არც იაპონია, მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველა დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება საერთოდ სისხლისსამართლებრივი რეაგირების გარეშე რჩება. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგად ნაწილში არ შეიცავს მოსამზადებელი დანაშაულებრივი ქმედების არანაირ მოხსენიებას, კოდექსის კერძო ნაწილში ადგენს პასუხისმგებლობას არაერთი მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის. არაერთი იაპონელი მეცნიერის აზრით, ეს განპირობებულია თვითონ დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედების სპეციფიკით, ანუ ის იმდენად დაშორებულია საბოლოო დანაშაულებრივ შედეგს, ასევე ისეთი მცირე საფრთხის შემცველია, რომ აზრს მოკლებულია მისთვის

<sup>135</sup> Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СП., 2013, с. 99

<sup>136</sup> Гэндай кейхогаку генрон (Основы современной науки уголовного права), Т., 1985 с. 70

<sup>137</sup> Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010, с. 548

პასუხისმგებლობის დაწესება და უფრო პრაგმატული იქნებოდა ასეთ შემთხვევებში პროფილაქტიკური ღონისძიებების გამოყენება. ხშირად თვითონ მოსამზადებელი მოქმედაც საკმაოდ ორაზროვანი შეიძლება იყოს, მაგალითად, ძლიერმოქმედი ქიმიკატის (მომწამვლელი ნივთიერების) ყიდვა შეიძლება იყოს, როგორც მკვლელობის მომზადება, ასევე მომზადება სახლის დეზინფექციისათვის. ასეთ შემთხვევაში საკმაოდ რთულია და მეტწილ შემთხვევებში კი ჩაწვდეთ ბოროტმოქმედის განზრახვას. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთ დროს სისხლისსამართლებრივად დასაცავი ობიექტი არ განიცდის არანაირ საფრთხეს ან ის იმდენად მცირეა, რომ მისი (საფრთხის) უგულებელყოფა შეიძლება. როგორც ვთქვით, იაპონურ სისხლის სამართალში, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დანაშაულის მომზადების დასჯადობის განმარტება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ფარგლებში, ასეთი ქმედება დასჯადია ცალკეული, კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების სახით, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილში. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ არსებობს დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს დასჯადი დანაშაულის მომზადებას. მაგალითად, იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე მუხლი (მკვლელობის მომზადება) ადგენს პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისათვის, როგორც დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის. ასევე დანაშაულის მომზადება დასჯადია შემდეგ კონკრეტულ შემთხვევებში 113-ე მუხლი ცეცხლის ნაკიდების მომზადება, 153-ე ფულის გაყალბების მომზადება, 228-III მუხლი ადამიანის მოტაცების მომზადება, 237-ე მუხლი ყაჩაღობის მომზადება და სხვა. იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში არ არსებობს დანაშაულის მომზადების განმარტება, ხოლო კერძო ნაწილში ის წარმოდგენილია, როგორც დამთავრებული დანაშაული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პრაქტიკულად გამოდის, თუ პირი ხელს აიღებს დანაშაულის მომზადებაზე ნებაყოფლობით ის ვერ განთავისუფლდება ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, როგორც ეს შესაძლებელია დანაშაულის მცდელობისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ გათვალისწინებულია შესაბამის მუხლში, მაგალითად, როგორც არის 228-III მუხლი (ადამიანის მოტაცების მომზადება), სადაც ასევე ნათქვამია, რომ პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან უმსუბუქდება სასჯელი, თუ ის ბრალის აღიარებით გამოცხადდება.

თუ დანაშაულის შემადგენლობის ყველა პირობა დაკმაყოფილებულია, სახეზეა დამთავრებული დანაშაული; ამის საპირისპიროდ თუ ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია დანაშაულის შემადგენლობით იქნა დაწყებული ან გრძელდება, მაგრამ გარკვეული შედეგი არ დადგა, საქმე გვაქვს დანაშაულის მცდელობასთან. დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება შემსუბუქდეს მოსამართლის შეხედულებისამებრ, ხოლო დანაშაულის მცდელობისათვის დასჯადობა შემოიფარგლება შედარებით მძიმე, კოდექსში პირდაპირ მითითებული დანაშაულებით.<sup>138</sup>

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის მცდელობას ეხება მერვე თავი (მცდელობა), რომელიც შედგება ორი მუხლისაგან: 43—ე მუხლი, დანაშაულის მცდელობა და ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ხელის აღება და 44—ე მუხლი, დანაშაულის მცდელობის დასჯის შემთხვევები. 43—ე მუხლის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის მცდელობა გვაქვს მაშინ, როდესაც პირმა უშუალოდ დაიწყო დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ვერ შეძლო მისი ბოლომდე მიყვანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუხლში არაა ნახსენები გარემოებაზე, თუ რატომ ვერ მიიყვანა პირმა დანაშაული ბოლომდე, თუმცა ნაწილობრივ ამაზე საუბარია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განმარტებისას (თუ პირმა თავისი ნებით შეწყვიტა დანაშაული, სასჯელი შეიძლება შემსუბუქდეს ან პირი საერთოდ

<sup>138</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т., 1994 с. 163



განთავისუფლდეს სასჯელისაგან). გამოდის, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირს დანაშაული ბოლომდე არ მიჰყავს თავისი ნებით, ხოლო დანაშაულის მცდელობისას შედეგი არ დგება მისი ნების სანინააღმდეგოდ.<sup>139</sup> დანაშაულის მცდელობა იაპონურ სისხლის სამართალში შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულებზე.

იაპონურ სისხლის სამართლის დოქტრინაში განასხვავებენ სამი სახის დანაშაულის მცდელობას, როგორცაა ხელშეშლილი (siogai misuixan), როდესაც შედეგი არ დადგა სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მიზეზით; შეწყვეტილი (ტიუსიხან) როდესაც შედეგი არ დადგა თვითონ სუბიექტის ნებით (დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება) და განუხორციელებელი (funoxan), ანუ უვარგისი მცდელობა (მცდელობა უვარგისი საშუალებით და უვარგისი ობიექტზე). რაც შეეხება დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის საკითხს, არსებობს ორი თეორია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური თეორიის მიხედვით, დანაშაულის მცდელობის პასუხისმგებლობის საფუძველი არის დანაშაულებრივი განზრახვა. თუ პირის განზრახვა მიმართული იყო გარკვეული შედეგის დადგომაზე და აშკარაა, რომ პირს სურდა ამ შედეგის მიღწევა, მაგრამ ეს შედეგი ვერ იქნა მიღწეული, სახეზეა დანაშაულის მცდელობა. შესაბამისად, ძალიან ვრცელია პასუხისმგებლობის ფარგლები და ის გადაწვდება მოსამზადებელ მოქმედებასაც. ამ თეორიის მინუსად მიიჩნევა ის, რომ პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევა მხოლოდ განზრახვის შედეგზე მიმართვის არსებობა და არა დანაშაულებრივი ქმედების სიახლოვე სასურველ შედეგთან და, შესაბამისად, შექმნილი საფრთხე. განსხვავებით ამისაგან ობიექტური თეორია პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხეს. ასეთი საფრთხის პრაქტიკული კრიტერიუმები კი უნდა ვეძიოთ ფორმალურ-ობიექტურ და რეალურ-ობიექტურ თეორიებში. ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით, საფრთხის კრიტერიუმს განსაზღვრავს დანაშაულის შემადგენლობა, ხოლო ქმედების დასაწყისს წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილი დანაშაულებრივი ქცევა ან დანაშაულებრივი ქცევა, რომელიც მასთან (დანაშაულის შემადგენლობასთან) ძალიან ახლოს დგას. რეალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედების საწყის მომენტად მიიჩნევა ქმედება, რომელიც სამართლებრივ სიკეთეს რეალურ საფრთხეს უქმნის. ობიექტური თეორიების ძირითადი კრიტიკა მდგომარეობს სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედების მკაფიო კრიტერიუმების არარსებობაში.<sup>140</sup>

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მნიშვნელოვან სისხლის სამართლის ინსტიტუტთან მიმართებაში იაპონელი ავტორები აღნიშნავენ, რომ იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, ზედმეტად აძლევს სასამართლოს არჩევანის უფლებას. როგორც ამ მუხლშია ხსენებული, სასამართლოს უფლება რჩება ორი შესაძლო ვარიანტიდან ერთ—ერთის არჩევა ნებაყოფლობით ხელის აღებისას ან შეამსუბუქოს პირის სასჯელი ან სრულად გაანთავისუფლოს ის ასეთისგან. როგორც აღნიშნავენ უფრო სწორი იქნებოდა, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ყველა შესაძლო კრიტერიუმი იმისათვის, რომ რეალურად არსებობს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება (განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში არის მოქმედის გადაწყვეტილება არ მიიყვანოს დანაშაული ბოლომდე) პირი განთავისუფლდეს სასჯელისაგან და ეს დებულება დამაგრდეს საკანონმდებლო წესით.<sup>141</sup>

იაპონური სისხლის სამართლებრივი დოქტრინა განიხილავს ორი სახის თანამონაწილეობას — „აუცილებელი თანამონაწილეობა“ (xicueteiki kioxan) და „ნებაყოფლობითი თანამონაწილეობა“ (sicueteiki kioxan).

<sup>139</sup> Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010, с. 550

<sup>140</sup> Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010, с. 552

<sup>141</sup> Уголовное право зарубежных государств, Общая часть, ред. И. Д. Козочкина, М. 2001, с. 479



ილეობა” (niniteki kioxan); პირველი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია თანამონაწილეობის გარეშე, ხოლო მეორეს განეკუთვნება დანაშაულები, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია ერთი პირის მიერაც. ამჯერად ჩვენ შევეხებით მხოლოდ „ნებაყოფლობითი თანამონაწილეობის” შემთხვევებს, რომლის ფორმებსაც განეკუთვნება თანაამსრულებლობა (kiedo xeixan) (იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-60-ე მუხლი), წამქეზებლობა (kiosaxan) (იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-61-ე მუხლი) და დახმარება (xodzioxan) (იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-62-ე მუხლი).<sup>142</sup> როგორც ვხედავთ, იაპონური კანონმდებლობა არ იცნობს დანაშაულის ორგანიზატორს. იაპონელი მეცნიერი იტო თანამონაწილეობის ამ ფორმებს განიხილავს, როგორც პირთა წრის მიხედვით კორექტირებულ დანაშაულთა შემადგენლობებს.<sup>143</sup> ხოლო მათი გამოიყენება ერთმანეთისაგან სუგამა და ვატი აზრით, უნდა მოხდეს თანამონაწილეობის ხარისხის მიხედვით: „პირი, რომელიც ინდივიდუალურად ასრულებს დანაშაულებრივ ქმედებას არის ამსრულებელი, თუ დანაშაული ჩადენილია რამდენიმე პირის მიერ სახეზეა თანამონაწილეობა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მასში თანამონაწილეობის ხარისხის მიხედვით, იყოფა თანაამსრულებლობად, წამქეზებად და დახმარებად დანაშაულში”.<sup>144</sup>

თანაამსრულებლობად იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლის მიხედვით, მიიჩნევა ორი ან მეტი პირის მიერ დანაშაულის ერთობლივი განხორციელება, ყველა მიიჩნევა ამსრულებლად. დოქტრინაში თანაამსრულებლობასთან მიმართებაში არსებობს ორი მიდგომა: დანაშაულის ერთობლიობის თეორია, რომლის მიხედვითაც მონაწილეები ერთობლივად ჩადიან გარკვეულ აქციას და ერთობლივი ქმედების თეორია, რომელიც გულისხმობს, რომ მონაწილეები ერთიანდებიან, მაგრამ ყოველი მათგანი ასრულებს თავის აქციას. თანაამსრულებლობის პირობები კი იყოფა სუბიექტური და ობიექტური ნიშნით. სუბიექტური ნიშნით ორი ან მეტი პირი უნდა მოქმედებდეს ერთიანი დანაშაულებრივი განზრახვით, ხოლო ობიექტური ნიშანი გულისხმობს ქმედების ერთობლიობას.<sup>145</sup>

საინტერესო არის იაპონურ სისხლის სამართალში შუალობითი ამსრულებლობის ინსტიტუტი. როგორც სუგამა და ვატი წერენ: „შუალობითი ამსრულებლობა არის, შემთხვევები, როდესაც პირი ჩადის დანაშაულს სხვა გაუთვითცნობიერებელი პირის მეშვეობით. მაგალითად, ექიმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მკვლელობის თაობაზე, გაუთვითცნობიერებელ მედდას დაავალებს მსხვერპლისთვის მომწამვლელი ნივთიერების შემცველი ინექციის გაკეთებას. ერთი შეხედვით ექიმს მკვლელობის მსგავსი არავითარი ქმედება არ ჩაუდენია, მაგრამ მან განახორციელა ქმედების რეალიზაცია მედდის, როგორც იარაღის, გამოყენებით (საშუალების თეორია). შესაბამისად, ეს ექიმი არის მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი”.<sup>146</sup> იგივე ავტორები შუალობით ამსრულებლობად განიხილავენ ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც პირმა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მიიღო შერაცხად მდგომარეობაში, ხოლო განახორციელა ის შეურაცხად მდგომარეობაში, სანამდეც მან თვითონ მიიყვანა თავი. „მაგალითად, მძიმე ალკოჰოლური თრობისას ჩადენილი დანაშაული არ არის დაფუძნებული პირის ნებაზე, შესაბამისად, არ განიხილება ქმედებად და არ ქმნის დანაშაულს. მაგრამ ითვლება, რომ თუ პირმა გამოიყენა ასეთი სიტუაცია და დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილება აღმოუცენდა ალკოჰოლური სასმელის მიღებამდე, მაგრამ ქმედების რეალიზაცია შეძლო უკვე თრობის ქვეშ, სახეზეა დანაშაული, რადგან პირი თავის თავს ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყენებს, როგორც

<sup>142</sup> Уголовное право зарубежных государств, Общая часть, ред. И. Д. Козочкина, М. 2001, с. 481

<sup>143</sup> Ито Макото, но кэйхо нюмон (Введение в уголовное право от Ито Макото). Т., 1998, с. 95

<sup>144</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т., 1994 с. 163

<sup>145</sup> Уголовное право зарубежных государств, Общая часть, ред. И. Д. Козочкина, М. 2001, с. 482

<sup>146</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т., 1994 с. 164

იარაღს შუალობითი ამსრულებლობისას”.<sup>147</sup>

იაპონური სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლი ეხება დანაშაულის ნაქეზებას, ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც პირი აღუძრავს სხვა პირს დანაშაულის ჩადენის სურვილს (დანაშაულებრივი ქმედების რეალიზაციის სურვილს). საინტერესოა, რომ არსებობს ნაქეზების დასჯადობაზე ორი შეხედულება: პირველის (აქცესორული თეორიის) მიხედვით, ნამქეზებელი პასუხისგებაში მიეცემა, თუ ჩადენილი იქნება ის დანაშაული, რომლისკენაც მან ნააქეზა პირი, ხოლო დამოუკიდებელი დანაშაულის თეორია კი გულისხმობს თვითონ ნაქეზების დასჯას, მიუხედავად ნაქეზებელი დანაშაულის რეალიზაციისა. პრაქტიკაში ისევე როგორც თეორიაში, ნამყვანი ადგილი უჭირავს აქცესორულ თეორიას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დასჯადია თვითონ ცალკე აღებული ნაქეზებაც.<sup>148</sup> რაც შეეხება დახმარებას, ის გათვალისწინებულია იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლში. დანაშაულში დახმარებად მიიჩნევა როგორც დანაშაულის რეალიზაციაში ხელშეწყობა, ასევე მისი გაადვილება. საინტერესოა, რომ დახმარების ნაქეზება, ამ მუხლის მიხედვით, გათანაბრებულია დახმარებასთან. დანაშაულში დახმარება შეიძლება განხორციელდეს ფიზიკურად (მატერიალურად) ან ფსიქიკურად (სულიერად), როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. დახმარების ფორმის მიუხედავად, ის აუცილებლად უნდა განხორციელდეს ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენამდე ან მასთან ერთად. დამხმარის პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია დანაშაულებრივი აქტის რეალური განხორციელება, ასევე დამხმარის მხრიდან მისი გაცნობიერება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იაპონური კანონმდებლობა არ იცნობს დანაშაულის ორგანიზატორის ინსტიტუტს.

ჩვენ განვიხილეთ იაპონური სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მხოლოდ ზოგიერთი ინსტიტუტი, რომელმაც აღგვიძრა ინტერესი მათი ქართულ მოქმედ კანონმდებლობასა და მეცნიერულ შეხედულებებთან შედარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ იაპონური სისხლის სამართალი უმეტესწილად განსხვავებულია ქართული სისხლის სამართლისაგან, როგორც თავისი სისტემით, ასევე შინაარსით და სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტებისადმი მიდგომით, მაინც რჩება გარკვეული ველი ამომავალი მზის ქვეყნის მეცნიერთა ზოგიერთი შეხედულების გაზიარებისათვის ან როგორც მინიმუმ სამეცნიერო დისკუსიისათვის.

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია იაპონიის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები რაც იძლევა იმის საშუალებას მოხდეს მათი შედარება ქართულ კანონმდებლობასთან და მეცნიერთა შეხედულებებთან.

ასევე ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ მიუხედავად განსხვავებისა შესაძლებელია იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის შინაარსისა და სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტების მიდგომების გათვალისწინება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

## Resume

The article discusses the separate institutions of the general criminal part of Japan, which allows them to be compared with Georgian legislation and the views of scientists.

Attention is also drawn to the fact that despite the differences, it is possible to take into account the

<sup>147</sup> Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т., 1994 с. 164

<sup>148</sup> Уголовное право зарубежных государств, Общая часть, ред. И. Д. Козочкина, М. 2001, с. 483

---

content of the Criminal Code of Japan and the approaches of criminal institutions in the further improvement of the Georgian Criminal Code.

## Резюме

В статье рассматриваются отдельные институты общеуголовной части Японии, что позволяет сопоставить их с законодательством Грузии и взглядами ученых.

Обращает на себя внимание также тот факт, что, несмотря на различия, можно принять во внимание содержание Уголовного кодекса Японии и подходы криминальных учреждений при дальнейшем совершенствовании Уголовного кодекса Грузии.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, კანონი N 45, 1907 წლის 24 აპრილი, N 91 კანონის რედაქციით, 1995 წლის 12 მაისი (2018 წლის 11 იანვრის მდგომარეობით). <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1241616&subID=100097517,100097519,100097546,100097651#text>
2. Еремин В.Н. Характеристика источников уголовного права Японии // Уголовное право буржуазных стран. Общая часть. М., 1990.
3. Уголовное право зарубежных стран, Общая и особенная части, учебник, 3-е издание, переработанное и дополненное, ред. И. Д. Козочкина, М. 2010.
4. Белявская О.А. Уголовная политика Японии // Актуальные вопросы борьбы с преступностью в России и за рубежом. М., 1991.
5. Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СП., 2013.
6. Кида Дзюньити, Нихон кэйхо сорон (Общая часть Японского уголовного права), К. 1977.
7. Сугияма Е., Вати К. Гэндай хогаку гаирон (Общий очерк современной науки права). Т. 1994.
8. Ито Макото, но кэйхо нюмон (Введение в уголовное право от Ито Макото). Т., 1998.
9. Уголовное право зарубежных государств, Общая часть, ред. И. Д. Козочкина, М. 2001.
10. Кэйхо-но киси тисики. I. Сорон. Васэда сихо сикэн сэмина хэн. (Основы знаний уголовного права. I. Общая часть. Составлено семинаром Васэда для сдающих экзамены на право занятия юридической деятельностью.) Т., 1997.
11. Нисихара Харуо. Кэйхо сорон (Общая часть уголовного права). Т., 1977.
12. Хорицу ёго дзитэн (Словарь терминологии законодательства). Т., 1996.
13. Гэндай кейхогаку генрон (Основы современной науки уголовного права), Т., 1985.
14. Комар П.М., Коробов Л.М. Уголовная политика Японии // Развитие российского права и права стран АТР в условиях конституционного реформирования: Материалы конференции, 29 ноября 2003 г. Владивосток, 2004.
15. Hayashi M. General Overview Criminal Law. Tokyo, 2000.
16. Maeda M. General Overview Criminal Law. Tokyo, 1998.
17. Yasuda T. Koubundou judgment and the nature of the ability of criminal responsibility. Tokyo, 2006.
18. keiichi yamanaka, Einführung in das japanische Strafrecht, Strafrecht auf der Basis der japanischen Sozialstruktur B. 2018.

---

**„არსებითი ინტერესების აღვილი“ ცნება  
ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მიხედვით**

**ჯუზო ტურაშვილი \***

## **შესავალი**

სამეცნიერო ნაშრომი მიზნად ისახავს მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების აღვილი“ რაობის განსაზღვრას. აღნიშნული საკითხი ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს და შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესის აღვილთან დაკავშირებული საკითხები ნათლად იქნას წარმოჩენილი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის ძირითადი ნაწილი და ზოგადად ევროპული ვალაუვალობის სამართალი, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების აღვილის ირგვლივ ტრიალებს და აპელირებს მის დანიშნულებასა მნიშვნელობაზე, როგორც თეორიული დაშვების, ასევე პრაქტიკული გამოცენების თვალსაზრისით.

როდესაც ევროკავშირის წევრი რომელიმე ქვეყნის სასამართლო, იმ ფაქტობრივი გარემოებების წინაშე დგას, რომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოების დაწყების შესახებ თუ არა, პირველი შეკითხვა, რომელიც ჩნდება, არის მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების აღვილის არსებობა და შესაბამისად მისი ადგილმდებარეობა.

როდესაც საუბარია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების აღვილის „მდებარეობაზე“, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მოიცავს, როგორც გეოგრაფიულ, ასევე ეკონომიკურ მდებარეობას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია მოიცავს, როგორც იურიდიული პირების, ასევე ფიზიკური პირების გადახდისუნარობის საკითხებს, რაც ნიშნავს იმას, რომ განსხვავებით ქართული სამართლებრივ სივრცეში არსებული ნორმებისა, რომლის მიხედვით გადახდისუნარობის სუბიექტები არიან მენარმე სუბიექტები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, არარეგისტრირებული კავშირები და ამხანაგობები<sup>150</sup>, ევროპული რეგულაცია გვთავაზობს ფიზიკური პირების მიმართ ვალაუვალობის წარმოების დაწყების შესაძლებლობას.

## **1. მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების აღვილი“**

როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი საკითხი, რომლის წინაშეც გადახდისუნარობის წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი სასამართლო დგება, არის ის, რომ გამოარკვიოს, თუ სად მდებარეობს მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების აღვილი<sup>151</sup>.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია, ფიზიკურ პირებთან მიმართებით, ერთმანეთისგან მიჯნავს საცხოვრებელსა და ფაქტობრივ ადგილსამყოფელს

---

<sup>149</sup> კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

<sup>150</sup> საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 2; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=29>

<sup>151</sup> European Insolvency Regulation Recast \_ 2015/848, Art 1 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R0848&from=en>



და შესაბამისად, მათი პრაქტიკული დანიშნულებაც და გამოყენებაც მათ შორის არსებული განსხვავებულობიდან გამომდინარეობს.

ევროპული რეგულაციის მიხედვით, ფაქტობრივი საცხოვრებელი, არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც ფიზიკური პირის ადგილსამყოფელი, მაგრამ ამავდროულად, აღნიშნული შესაძლებელია აღქმულ იყოს, როგორც ფიზიკური პირის სურვილის მიხედვით არსებული სამყოფელი, სადაც იგი სტაბილურად ახორციელებს ყოფა – ცხოვრებას.<sup>152</sup>

რაც შეეხება მენარმე სუბიექტის არსებითი ინტერესების ადგილის დადგენის კრიტერიუმებს, უნდა ითქვას, რომ ევროპული ვალაუვალობის რეგულაცია, შეიცავს ვარაუდს, რომლის მიხედვით, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობს იქ, სადაც მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართია<sup>153</sup>.

თუმცა, აქვე ჩნდება კითხვა, შესაძლებელია, თუ არა, რომ მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი და მისი არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობდეს ერთსა და იმავე ადგილას, ანუ მათი ადგილმდებარეობა ერთმანეთს ემთხვეოდეს და მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომელიც

აუცილებელია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსასაზღვრელად?

ბუნებრივია, რომ მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი, შესაძლებელია და ობიექტურია, რომ აღქმულ იყოს მენარმე სუბიექტის ძირითადი აქტივობის ადგილად, თუმცა, სამართლებრივი პრაქტიკა შედარებით განსხვავებულ სურათს იძლევა და ამბობს, რომ ის თეორიული დაშვება, რომლის მიხედვით მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი და მისი არსებითი ინტერესების ადგილი ერთსა და იმავე ადგილას მდებარეობს, შესაძლოა იყოს არასწორი ან სადავო.

ევროპული ვალაუვალობის რეგულაციისა და შესაბამისად, ევროკავშირში არსებული პრეცედენტების მიხედვით, როდესაც საუბარია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესები ადგილის განსაზღვრასა და მის რაობაზე<sup>154</sup>, მნიშვნელოვანია მოვალე საზოგადოების ის ეკონომიკური, ფინანსური აქტივობა, რომელსაც იგი ახორციელებს, რამდენად ემთხვევა მოვალე საზოგადოების რეგისტრირებულ მისამართს.

აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, ევროკავშირი წარმოადგენს საერთო სივრცეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, რაც თავის მხრივ, წევრ სახელმწიფოში არსებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აძლევს უფლებას, თავისუფალი გადაადგილებისა და თავისუფალი ეკონომიკური აქტივობისა. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მოვალე საზოგადოება, ერთი მხრივ, რეგისტრირებული იყოს ევროკავშირის წევრ ერთ სახელმწიფოში, ხოლო ეკონომიკურ აქტივობას ფლობდეს/ენეოდეს რომელიმე სხვა წევრ ქვეყანაში.

მნიშვნელოვანია, რომ მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი ვარაუდის დონეზე ჰქონდა განსაზღვრული ევროკავშირის 2002 წლის ვალაუვალობის რეგულაციას<sup>155</sup> და შესაბამისად, გარდა სხვა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა, მნიშვნელოვანი იყო მოვალე საზოგადოების კრედიტორების

<sup>152</sup> Dario Latella, The COMI concept in the revision of the European insolvency regulation, <https://www.degruyter.com/view/j/ecfr.2014.11.issue-4/ecfr-2014-0479/ecfr-2014-0479.xml>

<sup>153</sup> European Insolvency Regulation Recast \_ 2015/848, Art 1 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R0848&from=en>

<sup>154</sup> Francisco Garcimartin, Scope and Rules on Jurisdiction, EU insolvency regulation recast:, Madrid, (12-25) \_ [http://www.ejtn.eu/PageFiles/6333/Rules\\_on\\_jurisdiction.pdf](http://www.ejtn.eu/PageFiles/6333/Rules_on_jurisdiction.pdf)

<sup>155</sup> European Insolvency Regulation, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2000:160:0001:0018:en:PDF>

როლიც, თუ როგორ იყო აღქმული მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი მოვალე საზოგადოების კრედიტორების მიერ. მაგალითად:

„მენარმე სუბიექტს, რომელიც დაარსებული და მოქმედია პირობითად ჰოლანდიის კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ჰყავდეს კაპიტალის 100% – იანი წილის მესაკუთრე ესპანელი ფიზიკური პირი, რომელიც მართავს საზოგადოებას, უძღვება საზოგადოების ფინანსურ სიძნელებებს, ცდილობს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები და აშ. ევროპული რეგულაცია ამბობს, რომ შესაძლებელია, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ესპანელი ფიზიკური პირი უძღვება ჰოლანდიის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ და მოქმედ საზოგადოებას, კრედიტორების მიერ აღქმულ იყოს, რომ მოვალე საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის ადგილი არა ჰოლანდია, არამედ ესპანეთია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოვალე საზოგადოების ეკონომიკური აქტივობა იმართება და რეგულირდება ესპანეთიდან. შესაბამისად, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი, გარდა სხვა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა, აღიარებული უნდა იყოს მოვალე საზოგადოების კრედიტორების მიერ“.

ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით, შეიძლება, ითქვას, რომ ევროკავშირის ვალაუვალობის 2002 წლის რეგულაცია, არ იძლეოდა ნათელ ინტერპრეტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ სად მდებარეობდა მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი, რაც თავისმხრივ, სამართლებრივ გარემოს აყენებდა იმ პრაქტიკული სიძნელების წინაშე, რომელსაც არსებითი ინტერესების ადგილი დაუდგენლობა ერქვა და რაც შესაბამისად, წარმოშობდა პრობლემებს ვალაუვალობის პირველადი წარმოების ეტაპზე.

## 2. „არსებითი ინტერესების ადგილი“ – პრაქტიკა

ვალაუვალობის 2002 წლის ევროპული რეგულაციის მიხედვით<sup>156</sup>, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი, წარმოადგენს ადგილს, სადაც მოვალე საზოგადოება ფლობს საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას<sup>157</sup>. ამავე რეგულაციის მიხედვით, იმისათვის, რათა მოვალე საზოგადოების მიმართ გაიხსნას ვალაუვალობის პირველადი წარმოება, აუცილებელია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის მდებარეობის განსაზღვრა<sup>158</sup>, რომელიც ხშირად არცთუ ისე მარტივ ამოცანას წარმოადგენს.

როდესაც მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი უკვე დადგენილია, ლოგიკური და ბუნებრივია, რომ აღნიშნული ადგილი, განმარტებული და განსაზღვრულია, როგორც კონკრეტული მდებარეობა, სადაც და საიდანაც მოვალე საზოგადოება ახორციელებს საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას და გადანაცვებების მიღებას.

საერთაშორისო კერძო სამართლის მიზნებისთვის<sup>159</sup>, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი წარმოადგენს კონკრეტულ მდებარეობას იმისათვის, რათა განისაზ-

<sup>156</sup> European Insolvency Regulation, 1346/2000, Art 3, <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2000:160:0001:0018:en:PDF>

<sup>157</sup> Dario Latella, The COMI concept in the revision of the European insolvency regulation, <https://www.degruyter.com/view/j/ecfr.2014.11.issue-4/ecfr-2014-0479/ecfr-2014-0479.xml>

<sup>158</sup> James Kirkbridge and Geraint Howells, International Journal of Law and Management \_ Volume 50, Number 2, 2008, Emerald Group publishing, ISSN 1754-243 X, (57-79) <http://www.emeraldgroupublishing.com/products/journals/journals.htm?id=ijlma>

<sup>159</sup> Paul Michael Veder, Cross-border Insolvency proceedings and Security rights \_ A comparison of Dutch and German law, the EC insolvency regulation and the UNCITRAL model law on cross-border insolvency \_ Kluwer Legal Publishers, 2004, (309-320),

<http://www.insol.org/INSOLfaculty/pdfs/BasicReading/Session%206/Cross-Border%20Insolvency%20Proceedings%20and%20Security%20Rights,%20Paul%20Michael%20Veder.pdf>

ღვროს უფლებამოსილი სასამართლო. ეს კი, თავისმხრივ, ნიშნავს იმას, რომ იმისათვის, რათა უფლებამოსილმა სასამართლომ დაიწყოს ვალაუვალობის პირველადი წარმოება<sup>160</sup>, აუცილებელია სახეზე იყოს მოვალე საზოგადოების სათანადო ეკონომიკური აქტივობა<sup>161</sup>, რათა დაადგინდეს კონკრეტული სასამართლოს უფლებამოსილება.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპული ვალაუვალობის რეგულაცია წარმოადგენს ქართული ვალაუვალობის კანონმდებლობის საორიენტაციო სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, ვინაიდან საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, ევროკავშირთან მიღწეული ასოციაციის შეთანხმების ფარგლებში, აიღო გარკვეული ვალდებულებები. ერთ – ერთი ასეთი ვალდებულებაა ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული ნორმების ევროკავშირის ნორმებთან ჰარმონიზაცია. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფების მიერ მიმდინარეობს გარკვეული სამართლებრივი ნორმების პროექტების შემუშავება ევროკავშირის რეგულაციების გათვალისწინებით და გამონაკლისს არ წარმოადგენს არც ვალაუვალობის, ანუ საქართველოში დღეს ადაპტირებული და დამკვიდრებული სახელნოდებით არსებული „გადახდისუუნარობის“ სამართალიც.

### 3. „არსებითი ინტერესების აღზილის“ ინტერპრეტაცია

„გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი“<sup>162</sup> ამ ეტაპზე არ იცნობს მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების აღზილს“, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ გადახდისუუნარობის სამართლებრივი ნორმები განახლდება, ვფიქრობ, აუცილებლად აისახება განახლებულ კანონპროექტში, ვინაიდან, გადახდისუუნარობის განახლოებული კანონპროექტი მიღებულ იქნება ევროკავშირის ვალაუვალობის რეგულაციის საფუძველზე, ამ უკანასკნელისთვის კი მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების აღზილი ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც უცხო ენიდან თარგმნილი ტექსტები პირდაპირ თარგმანს განიცდიან, რაც გარკვეულწილად წარმოშობს ისეთ ფაქტობრივ გარემოებას, რომ არათუ არ იკითხება ქართულ თარგმანში კონკრეტული სამართლებრივი ნორმის მიმღები ქვეყნის კანონმდებლის ნება, არამედ სცდება კონკრეტული ტექსტის აღქმა სამართლებრივ სივრცეს.

აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ევროპული რეგულაციის ფუნდამენტური საკითხი – აღზილი, სადაც მოვალე საზოგადოება ახორციელებს ეკონომიკურ აქტივობას – „Debtor’s Center of Main Interest“ (COMI)<sup>163</sup> <sup>164</sup> – ქართულ ენაში გადმოთარგმნილ იყოს პირდაპირ, როგორც მოვალე საზოგადოების „მთავარი ინტერესების ცენტრი“.

შესაძლებელია, რომ ერთი შეხედვით არსებულმა ჩანაწერმა არ გამოიწვიოს მკითხველის გაღიზიანება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კონკრეტული ჩანაწერი იქნება ახალი,

<sup>160</sup> European Parliament \_ Report with recommendations to the commission on insolvency proceedings in the context of EU company La \_ 20112006 (INI) <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=REPORT&reference=A7-2011-0355&language=EN>

<sup>161</sup> James Kirkbridge and Geraint Howells, International Journal of Law and Management \_ Volume 50, Number 2, 2008, Emerald Group publishing, ISSN 1754-243 X, (57-79) [www.emeraldgroupublishing.com/products/journals/journals.htm?id=ijlma](http://www.emeraldgroupublishing.com/products/journals/journals.htm?id=ijlma)

<sup>162</sup> საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=29>

<sup>163</sup> European Insolvency Regulation Recast \_ 2015/848, Art 1 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R0848&from=en>

<sup>164</sup> Francisco Garcimartin, The EU insolvency regulation recast: scope and rules on jurisdiction by, Madrid, (12-25) [http://www.ejtn.eu/PageFiles/6333/Rules\\_on\\_jurisdiction.pdf](http://www.ejtn.eu/PageFiles/6333/Rules_on_jurisdiction.pdf)

---

შესაბამისად, არგუმენტად წარმოდგენილ იქნება ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციაში არსებული ჩანაწერი, თუმცა მნიშვნელოვანია ნება კანონმდებლისა, რომელმაც კონკრეტული ნორმის შინაარსის მოფიქრებისას მას ჰქონდა.

ქართულ კანონმდებლობაში თითქმის არ მახსენდება სამართლებრივი ნორმის არც შინაარსობრივი და არც შემდგომში სამართლებრივი ნორმის განმარტებითი ტექსტი, სადაც შევხვდებით სიტყვა „ცენტრს“. სამაგიეროდ, ქართული კანონმდებლობა კარგად იცნობს სიტყვა „ადგილს“. ასევე კარგად იცნობს სიტყვა „არსებითს“ (არსებითი განხილვა, არსებითი მტკიცებულებები და ა.შ.). ამიტომ, არ იქნება ურიგო, იმ შემთხვევაში, თუ ქართული ვალაუვალობის სამართლებრივი სივრცე, დადგება იმ მოცემულობის წინაშე, რომ უზრუნველყოს ევროკავშირის ვალაუვალობის რეგულაციის საფუძველზე, ვალაუვალობის ქართული ნორმების განახლება, მოვალე საზოგადოების ინგლისური ტერმინი – „center of main intersets (COMI) ადაპტირებულ იქნას ქართულ სივრცეში, როგორც „არსებითი ინტერესების ადგილი“.

## დასკვნა

არსებითი ინტერესების ადგილი ერთის მხრივ ამოსავალი წერტილია ვალაუვალობის წარმოების დაწყებისთვის, თუმცა მეორეს მხრივ, იმის განსაზღვრა, თუ რეალურად სად მდებარეობს მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი ხშირად საკმაოდ რთულია. სწორედ აღნიშნულმა (და არამარტო) პრობლემურმა საკითხმა განაპირობა ვალაუვალობის 2002<sup>165</sup> წლის რეგულაციის განახლების აუცილებლობა. ევროპელი კანონმდებელი, როგორც იქნა მიხვდა, რომ არ შეიძლება ამოსავალი წერტილი შეიცავდეს პრობლემურ საკითხს და რომ ნებისმიერი ფუნდამენტური წინაპირობა ვალაუვალობის წარმოებისთვის უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და ერთადერთი საკითხი, რომელზეც სასამართლო უნდა მსჯელობდეს ვალაუვალობის წარმოების დაწყებამდე, არის ის, თუ რამდენად არის კონკრეტული სასამართლო უფლებამოსილი დაიწყოს ვალაუვალობის წარმოება კონკრეტული მოვალე საზოგადოების მიმართ.

ვალაუვალობის განახლებულმა რეგულაციამ მანამდე არსებული თეორია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის შესახებ ასახა სამართლებრივ ნორმად და შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, თუ სად ფლობს მოვალე საზოგადოება ეკონომიკურ აქტივობის ადგილს და სად ახორციელებს ფაქტობრივ ადმინისტრირებას ბევრად უფრო ადვილია, როგორც სასამართლოსთვის, ასევე მესამე პირებისათვის (კრედიტორების). განახლებული რეგულაციის მიხედვით კი, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი, წარმოადგენს ადგილს, სადაც მოვალე საზოგადოება რეგულარულად ეწევა ეკონომიკურ აქტივობას და აღნიშნული აქტივობა იმ კონკრეტულ ადგილას აღიარებულია მესამე პირების მიერ.<sup>166</sup>

---

<sup>165</sup> European Insolvency Regulation, 1346/2000 <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2000:160:0001:0018:en:PDF>

<sup>166</sup> European Insolvency Regulation Recast \_ 2015/848, Art 1 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R0848&from=en>



---

## რეზიუმე

ევროპული ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია, არ წარმოადგენს არსებითად ახალ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას ევროპულ ვალაუვალობაში, თუმცა, იგი მოიცავს ისეთ განახლებულ ნორმებს, რომლებიც თავისმხრივ ცვლიან, არამხოლოდ ნორმის შინაარსს, არამედ მიდგომას, განახლებულ რეგულაციაში არსებული ნორმის ინტერპრეტაციის აღქმის ნაწილში. აღნიშნული მსჯელობა, წარმოადგენს საფუძველს იმ თეორიული დაშვებებისა, რომლებსაც იცნობს ევროპული ვალაუვალობის სამართლებრივი პრაქტიკა მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ ინტერპრეტაციებთან დაკავშირებით.

ევროპული ვალაუვალობის რეგულაცია, ითვალისწინებდა მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ არსებობას, თუმცა, მისი მდებარეობის განსაზღვრისა და შემდგომში, მისი დადგენისთვის საჭირო კრიტერიუმების საკითხი კვლავ ღია რჩებოდა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განახლებული რეგულაციის მიღების საჭიროება დღის წესრიგში დააყენა, არამხოლოდ საკანონმდებლო სივრცეში არსებულმა პასუხგაუცემელმა კითხვებმა, არამედ ქაოსმა, რომელიც უხვად წარმოშვა ევროპულ კავშირში არსებულმა მიმდინარე პრაქტიკულმა მაგალითებმა. წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს ზემოაღნიშნულ პრობლემურ საკითხებს, რომელიც დეტალურად არის შესწავლილი ავტორის მიერ, თეორიული და პრაქტიკული მასალის გაანალიზების საფუძველზე იდენტიფიცირებულია პრობლემები და მათი მოგვარების გზები.

## Resume

Debtor's Centre of Main Interests (COMI) represents the starting point for commencement of main insolvency proceedings, but on the other hand, it is often hard to determine where the debtor's COMI is located. European legislators finally realized that any fundamental prerequisites for insolvency proceedings commencement should be clearly defined and therefore, the only thing the court should have discussed is how the court entitled to start the main insolvency proceedings.

It can be said that the presumption related to the debtor's center of main interest location that was adopted before has reflected as the new rule in accordance to the Insolvency Regulation Recast and therefore, according to article (1) of the EIR recast "the center of main interests shall be the place, where the debtor conducts the administration of his interests on a regular basis and which is ascertainable by third parties." More specifically, this definition reformulates the concept laid down in recital 13 of the 2000 European Union insolvency regulation.

## РЕЗЮМЕ

Место основных интересов, с одной стороны, является отправной точкой для начала банкротства, но, с другой стороны, трудно определить, где находятся реальные интересы должника. Именно этот (и не только) проблемный вопрос привел к необходимости обновления регуляции о Банкротстве 2002 года.

Европейские законодатели осознали, что любые фундаментальные предпосылки для начала производства по делу банкротства должны быть четко определены, и поэтому единственное, что подлежит обсуждению суда \_ уполномоченность суда на начало производства процедур о банкротстве должника определенного сообщества.

Презумпция, связанная с местоположением центра основных интересов должника,

---

которая была принята ранее, отразилась в качестве нового правила в соответствии с Пересмотром нормативного акта о несостоятельности, и, следовательно, согласно статье 1 ОДП: `центром основных интересов является место, где компания-должник регулярно занимается экономической деятельностью, и эта деятельность в этом конкретном месте признается третьими лицами“.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. James Kirkbridge and Geraint Howells, International Journal of Law and Management \_ Volume 50, Number 2, 2008, Emerald Group publishing, ISSN 1754-243 X, (57-79) [www.emeraldgroup-publishing.com/products/journals/journals.htm?id=ijlma](http://www.emeraldgroup-publishing.com/products/journals/journals.htm?id=ijlma)

2. Robert Arts, Main and Secondary proceedings in the recast of the European insolvency regulation \_ (researcher at the Max Planck Institute Luxembourg for international, European and Regulatory procedural Law) (2-11) <https://www.iiiglobal.org/sites/default/files/media/Arts%20-%20Main%20and%20Secondary%20Proceedings.pdf>

3. Francisco Garcimartin, The EU insolvency regulation recast: scope and rules on jurisdiction by, Madrid, (12-25)  
[http://www.ejtn.eu/PageFiles/6333/Rules\\_on\\_jurisdiction.pdf](http://www.ejtn.eu/PageFiles/6333/Rules_on_jurisdiction.pdf)

4. Dario Latella, The COMI concept in the revision of the European insolvency regulation [www.degruyter.com/view/j/ecfr.2014.11.issue-4/ecfr-2014-0479/ecfr-2014-0479.xml](http://www.degruyter.com/view/j/ecfr.2014.11.issue-4/ecfr-2014-0479/ecfr-2014-0479.xml)

5. Paul Michael Veder, Cross-border Insolvency proceedings and Security rights \_ A comparison of Dutch and German law, the EC insolvency regulation and the UNCITRAL model law on cross-border insolvency \_ Kluwer Legal Publishers, 2004, (309-320), <http://www.insol.org/INSOLfaculty/pdfs/BasicReading/Session%206/Cross-Border%20Insolvency%20Proceedings%20and%20Security%20Rights,%20Paul%20Michael%20Veder.pdf>

6. European Insolvency Regulation, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2000:160:0001:0018:en:PDF>

7. European Insolvency Regulation Recast \_ 2015/848, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R0848&from=en>

## სიცოცხლის უფლება – კონსტიტუციის თეთრი სამოსი

ირინა ბათიაშვილი\*

„კონსტიტუციები, დაწერილიც და პირობითად აღიარებულიც, განხილულია, როგორც დამფუძნებელი შიშის ქმნილებები. კონსტიტუციების ფუნქციაა მოათვინიეროს დემოკრატია, ხალხის სუვერენიტეტი და სახელმწიფოს სუვერენიტეტი. მაგრამ კონსტიტუციონალიზმი და მისი მსახური კონსტიტუცია უფრო მეტია ვიდრე უბრალო დაპირება“. – ანდრამ შაიო.<sup>168</sup>

კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ქარტეხილებთან ერთად ვითარდება, იცვლება და რეფლექსიის საგანს წარმოადგენს დღემდე. ამ სტატიის სათაურზე საკმაოდ დიდხანს ვფიქრობდი... არ მოვიტყუები ჩემთვის მარტივია, ცარიელი ფურცლების ბრტყელ ბრტყელი, მოქნილი, ცოტა დემაგოგიური, ცოტა იმპერატიული და ცოტაც პათოსით და მოდერნისტული ხედვებით გავსება. მაგრამ, თემის შინაარსი იმდენად თავისთავადი და ფაქიზი სიკეთეა, მხოლოდ რამოდენიმე ცარიელი ფურცელი შავად ამოტვიფრული ასოებით სიფრთხილით უნდა შეივსოს.

ეს იყო ჩემი, როგორც ერთი სიცოცხლით სავსე 30 წლის ქალის ლირიული გადახვევა. ამ სტროფების შემდგომ, კი მსჯელობას წარმართავს ერთი 30 წლის ლექტორი ძირითად უფლებებში.

სიცოცხლე ადამიანის უზენაესი ღირებულებაა. იგი განმსაზღვრელია ყველა დანარჩენი იმ უფლებების, რომელიც კონსტიტუციის ფურცლებზე წარმოიშვა და განაგრძობს წარმოშობას. სიცოცხლის გარეშე არ არსებობს თავისუფლება, ადამიანის სულიერი, გონებრივი, კულტურული განვითარება თუ ადამიანური ბედნიერება. სიცოცხლის უფლება ადამიანის ბუნებრივ არსებობას იცავს და ამით სხვა ადამიანური სიკეთეებით სარგებლობის უტყუარ წინაპირობას ქმნის. ლოგიკურია, რომ სიცოცხლის უფლება ხელშეუვალი უფლებაა. იგი ადამიანისათვის თანდაყოლილია და არა კანონით ბოძებული. ყველა იურისტმა იცის, რომ შინაარსობრივად სიცოცხლის უფლება დამცავი უფლებების კატეგორიაშია. სიცოცხლის უფლება აქვს ყველა ადამიანს, ის ჩასახვისთანავე ჩნდება და გარდაცვალებისთანავე ნყდება.

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის პირველი მერცხალი, 1776 წლის ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, აცხადებს<sup>169</sup>:

„ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილი არიან როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა; რომ ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ; რომ, თუ განმგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება

\*სამართლის მაგისტრი, ლექტორი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის კომიტეტის წევრი

<sup>168</sup> „სახელმწიფოს თვითმუზღუდვა“ ანდრამ შაიო (კონსტიტუციონალიზმის შესავალი) თარგმანი ინგლისურიდან თევდორე ნინიძე

<sup>169</sup> ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულა. ქართული ვერსია – ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო; შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო საინფორმაციო პროგრამების ბიურო.

შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა, დააფუძნოს იგი ისეთ პრინციპებზე და ისეთი ძალაუფლებით აღჭურვოს, როგორც, მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქმნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისთვის“.

\*\*\*

სანამ დავიწყებთ სიცოცხლის უფლების ბუნდოვან სიღრმეებში შესვლას, უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპულ კონვენციას და პარლამენტის მიერ კონვენციის რატიფიცირების შედეგად იგი ძალაში შევიდა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტიან საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელმაც დაარსა განვითარებული საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმი – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც ზედამხედველობს სახელმწიფოების მიერ კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანიშნულებები კი, პრეცედენტული სამართლის უმნიშვნელოვანესი და მსუყვე ნაწილია. კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანას ეკისრება ვალდებულება, ყველა უზრუნველყოს თავისი იურსდიქციის ფარგლებში კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით და რაც მთავარია თავად დაიცვას და არ შელახოს კონვენციით დადგენილი ღირებულებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით დაცულია ადამიანის სიცოცხლე და ეს დაგვჭირდება თვალსაჩინოებისთვის, რომ მკითხველმა დაინახოს სახელმწიფოს ქმედების კონსტიტუციური გამართლების ის გამონაკლისი შემთხვევები, რომლის დადგომის დროსაც დაცულ სფეროში ინტერვენცია არ ჩაითვლება კანონდარღვევად. იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს კონსტიტუციაში, მე-10 მუხლში არ იქნა გამონაკლისები აღნიშნული, რაც ცოტა უცნაურადაც მეჩვენება, ჩვენზე, როგორც ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოზე, ვრცელდება აღნიშნული გამონაკლისები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი: „ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.“

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი:

„ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.“

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვამს ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

ბ) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად“. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველამ ვიცით, რომ სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლიტური უფლება, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ აბსოლიტური აუცილებლობის დროს ლეგიტიმურ მიზანთან თანაზომიერი, პროპორციული ძალის გამოყენების შემთხვევაში მოეძებნება სახელმწიფოს ქმედებას – ადამიანის სიცოცხლის მოკვდინების შემთხვევაში – გამართლება. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს ვალდებულება ირღვევა, როცა პიროვნების წინააღმდეგ ძალის გამოყენება საერთოდ არ ისახავდა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2



პუნქტში ჩამოთვლილ რომელიმე კანონიერ მიზანს, ანდა ისახავდა, მაგრამ მის მისაღწევად ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა არ არსებობდა. ასევე, 1998 წლამდე მოქმედი ევროპული კომისიის მიერ განიმარტა აბსოლუტური აუცილებლობის დროს სიცოცხლის წართმევა, როგორც დამდგარი შედეგი ითვლება, თუ არა განზრახ შედეგად და ასე ჩამოაყალიბა ევროპულმა კომისიამ თავისი ხედვა პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით:

„მე-2 მუხლით დაშვებული გამონაკლისები კი უწინარესად იმას კი არ განსაზღვრავდა, თუ როდის ჩაითვლებოდა მართლზომიერად ადამიანის განზრახ მოკვლა, არამედ თუ როდის იქნებოდა გამართლებული ძალის გამოყენება, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სიცოცხლის მოსპობა, როგორც არაგანზრახული შედეგი.“

აქვე მოკლედ ავლნიშნოთ სახელმწიფოს ორი ვალდებულება: ნეგატიური და პოზიტიური. ჩემი მოსაზრებით, ნეგატიური ვალდებულება სახელმწიფოში დემოკრატიის საუკეთესო მაჩვენებელია. სახელმწიფოს მიერ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რომელსაც არ გააჩნია კონსტიტუციის შესაბამისი საფუძველი, შენიღბული ტირანის კონტურებს დაგვანახებს. ხოლო პოზიტიური ვალდებულება – სახელმწიფოში კორუფციის, პოლიტიკური ნების გამოამკარავების და სახელმწიფოს სამივე შტოს რეალური მუშაობის საზომია. მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, იქონიოს შესაბამისი კანონმდებლობა, რომლითაც დარეგულირდება ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობები. მაგალითისთვის გამოდგება, პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პირობების დარეგულირება, მათთვის სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარება ადამიანის წინააღმდეგ ყოველგვარი ძალის (მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღის) უსაფუძვლოდ ან გადაჭარბებულად გამოყენების აღკვეთის მიზნით. ინსტრუქციები უნდა ორიენტირებული იყოს მინიმალური ძალის გამოყენებაზე. სახელმწიფოს ევალეზა გაატაროს ადეკვატური და გონივრული ღონისძიებები მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით. ასევე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, იქონიოს საგზაო, შრომის უსაფრთხოების შესაბამისი კანონმდებლობა.

თუმცა, ბევრჯერ მომისმენია არა იურისტი ადამიანების შეფასება კანონების უსუსურობაზე, უფუნქციობაზე და უბრალოდ სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების მიმართ ნდობის დეფიციტზე. ისმის კითხვა: საკმარისია თუ არა ეფექტური კანონმდებლობის არსებობა, რომ დაცული იქნეს მე-10 მუხლით გარანტირებული უფლება და საერთოდ რა არის ამ ეფექტურობის განმსაზღვრელი?

დიახ, კანონმდებლობის ეფექტურობის, ახალ გამონვევებთან შესაბამისობის ფორმირების გარდა თანაბრად მნიშვნელოვანია მისი აღსრულების მექანიზმის არსებობა, სახელმწიფო ვალდებულია ქონდეს კანონის აღსრულების იმგვარი სისტემა, რომ უზრუნველყოს როგორც კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილება, ისე პასუხისმგებელ პირთა დასჯა. რაც შეეხება მეორე კითხვას, დამკვიდრებული სამართლებრივი პრაქტიკის თანახმად, კანონმდებლობის ეფექტურობისას მნიშვნელოვანია, რომ კანონი რომელიც სიცოცხლის უფლებას იცავს, იყოს განჭვრეტადი; აღნიშნული კანონი უნდა იყოს აშკარა, რომ ცხადად მისცეს ადამიანს განმარტება, როდის არის მისი ქმედება უკანონო ან არამართლზომიერი. აქვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამ კონკრეტულ უფლებასთან მიმართებაში ლეგიტიმური მიზნების სია, რომელთა მისაღწევადაც სიცოცხლის ხელყოფა შეიძლება მართლზომიერად ჩაითვალოს, უნდა იყოს ამომწურავი და ნათელი. ჩემი მოსაზრებით კი, ზუსტად ეს ტრიადა არის სიცოცხლის უფლების დამცავი და მამოძრავებელი წრე.

ზემოთ ჩვენ ვიმსჯელებთ ზოგადად სიცოცხლის უფლების არსზე და სახელმწიფოს როლზე ამ უფლების სწორად ფუნქციონირებაში. ახლა აუცილებელია ვისაუბროთ სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე პატიმართა სიცოცხლის დაცვის დროს.

სახელმწიფოს აკისრია პატიმართა სიცოცხლის დაცვის განსაკუთრებული პოზიტიური ვალდებულებები. იგი ყველა შემთხვევაში პასუხისმგებელია პატიმრობაში მყოფი პირის

უფლებების დარღვევისათვის, რამდენადაც პატიმარი მთლიანად სახელმწიფოს განკარგულებაშია. რა თქმა უნდა, სახელმწიფო პასუხისმგებელია თუ პატიმრისთვის არ იქნა განუღი და დროული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, რამაც ჯანმრთელობის გაუარესება ან პატიმრის სიკვდილი გამოიწვია (პოზიტიური ვალდებულების პრეზუმფიის დარღვევა). ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზეა. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას პატიმარი მესამე მხარის(სხვა პატიმრის) ძალადობისაგან.

ასევე, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პატიმრის სიცოცხლის უსაფრთხოება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს საშიშროება თავად პატიმრისგან წარმოდგება. ამის ყველაზე გავრცელებული მაგალითია: თუ ცნობილია პატიმრის სუიციდური მიდრეკილებების ან სხვა მიზეზთა გამო თვითმკვლელობის რეალური რისკის შესახებ, სახელმწიფო ავტომატურად ვალდებულია, პატიმარს შესაბამისი სამედიცინო ან ფსიქოლოგიური დახმარება აღმოუჩინოს. ხოლო, რაც შეეხება მოშიშრილ პატიმრის იძულებით კვებას – ორი ეტაპია. პირველ ეტაპზე სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს პატიმრის ნება-სურვილს, მაგრამ მეორე ეტაპზე თუ მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა ან თუ პატიმარი კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდა, ასეთ დროს აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა.

ნეგატიური ვალდებულება თავისთავად გულისხმობს, რომ სახელმწიფომ არ უნდა ხელყოს პატიმართა უფლებები. თუმცა, ამ ვალდებულებას ჩემ სტატიაში არ შეეხებით, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის პრაქტიკა, რომელზეც ქვემოთ ვიმსჯელებ, დაკავშირებულია სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან.

აქვე პატარა გადახვევას გავაკეთებ და აღვნიშნავ, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ეს იმას გულისხმობს, რომ საქართველოს არა აქვს უფლება, ვინმეს შეუფარდოს სიკვდილით დასჯა, ან აღასრულოს ასეთი სასჯელი. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს არა აქვს უფლება, მიიღოს კანონი და თუნდაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, სასჯელად დააწესოს სიკვდილით დასჯა.

ახლა კი გადავიდეთ სიცოცხლის უფლების დაცვის დროს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე პატიმრებთან მიმართებაში. ეს უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, მიმოვიხილოთ 2018 წლის სტრატეგიის სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>170</sup> მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე.

ფაქტობრივი გარემოება:

2007 წლის 6 მაისს მკვლელობის ფაქტზე დაიწყო გამოძიება;

2007 წლის 24 მაისს ჩატარდა პირის ამოცნობის პროცედურა;

დანაშაულის თვითმხილველმა მომჩივნის ვაჟი, გ.ტ., ამოიცნო დამნაშავედ. ეს უკანასკნელი დააკავეს და თბილისის N5 სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მოათავსეს;

2008 წლის 18 თებერვალს გ.ტ. დამნაშავედ ცნეს და მას ათი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს;

2008 წლის 23 ივნისს სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა მისი მსჯავრდება და სასჯელის ოდენობა;

2009 წლის 28 იანვარს გ.ტ-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

ციხეში მომჩივნის მკურნალობა:

2008 წლის 7 ივლისს გ.ტ. გადაიყვანეს რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში;

2008 წლის 1-ლ დეკემბერს გ.ტ-მ განაცხადა, რომ შეუძლოდ იყო. ის გასინჯა მორიგე ექიმმა, რომელმაც იეჭვა ტუბერკულოზის არსებობა;

<sup>170</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ. (საჩივარი N44973/09)

2008 წლის 8 დეკემბერს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში გ.ტ-ს ნახველის ანალიზი აუღეს.

აქედან იწყება მთელი რიგი დარღვევები, რომელიც შემდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც აისახა.

2008 წლის 17 დეკემბერს ანალიზის პასუხმა ცხადყო ტუბერკულოზის ბაქტერიის არსებობა. მომჩივანს ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტებზე მგრძობელობის ტესტი („პირველი მგრძობელობის ტესტი“) გაუკეთდა. იმავე დღეს რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმმა გ.ტ-ს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვა და რეკომენდაცია გასცა სპეციალურ დაწესებულებაში მისი გადაყვანის თაობაზე.

მომჩივანი ჩასვეს DOTS პროგრამაში, რომელიც წარმოადგენს ტუბერკულოზის აღმოჩენისა და მკურნალობის საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტრატეგიას.

გ.ტ-მ პირველი მგრძობელობის ტესტის პასუხის მოლოდინში, დაიწყო ტუბერკულოზის სამკურნალო სტანდარტული, პირველი რიგის მედიკამენტების მიღება. ზემოთ ხსენებული პროგრამა რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ფუნქციონირებდა 2008 წლის 21 დეკემბრიდან 29 იანვრის ჩათვლით. 2009 წლის 21 იანვარს ექიმმა გ.ტ-ს სამედიცინო ისტორიაში აღნიშნა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, მძიმე რჩებოდა და რეკომენდაცია გასცა სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში მისი გადაყვანის შესახებ.

2009 წლის 29 იანვარს გ.ტ. გადაიყვანეს ქსანში, ტუბერკულოზის მქონე პაციმრებისთვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იმ დღეს გაკეთებული სამედიცინო ჩანაწერი მომჩივნის შვილის დაავადებას მოიხსენიებს როგორც მულტირეზისტენტულს, ხოლო მის ჯანმრთელობის მდგომარეობას „მძიმედ“. გ.ტ. აგრძელებდა მკურნალობას DOTS პროგრამის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ის აღმოჩნდა რეზისტენტული პირველი რიგის წამლების მიმართ, ანუ დაავადება არ ექვემდებარებოდა პირველი რიგის მედიკამენტებს. 2009 წლის 26 თებერვალს გ.ტ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. იმ პერიოდის სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, მას კახექსია ჰქონდა და 2009 წლის მარტის დასაწყისიდან ის ჩიოდა, რომ არ შეეძლო სიარული. მდგომარეობის დამძიმების და დავადების ამკარად სწრაფი პროგრესირების მიუხედავად, გ.ტ. მეორე მგრძობელობის ტესტის პასუხის მოლოდინში, აგრძელებდა პირველი რიგის მედიკამენტების მიღებას.

2009 წლის 10 აპრილს ციხის საავადმყოფომ მიიღო მეორე მგრძობელობის ტესტის პასუხები, რომელთა მიხედვით დაავადება მეორე რიგის მედიკამენტებიდან ემორჩილებოდა ყველას, ერთის გარდა.

24 აპრილს გადაწყდა, რომ გ.ტ. უნდა ჩართულიყო DOTS+ პროგრამაში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალოდ. იგი ჩართეს ამ პროგრამაში მხოლოდ 4 მაისს და 2009 წლის 19 მაისს გ.ტ. ფილტვის მასიური ჰემორაგიის დიაგნოზით გარდაიცვალა.

რატომ ჩაერთო ასე დაგვიანებით პაციმარი DOTS+ პროგრამაში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალოდ?

პასუხს ამ კითხვაზე თავად საქმეშივე ვიპოვით DOTS+ პროგრამის შესახებ, ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქსნის სასჯელაღსრულების დეპარტამენტში და ციხის საავადმყოფოში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2009 წლის თებერვალსა და აპრილში, ხოლო მანამდე სახელმწიფო პაციმრებისთვის ვერ უზრუნველყოფდა ამ პროგრამით მკურნალობას.

ეს არის ის უტყუარი და ნათელი ფაქტობრივი გარემოება, სადაც ამკარად ვხედავთ ქვეყნის სოციალური განვითარების დაბალ დონეს, სახელმწიფო სტრუქტურების უფუნქციონირებას, ჯანდაცვის სისტემის არარსებობას და ქვეყანაში არსებული მმართველის



გუნდის შეხედულებებით გაუფასურებულ ადამიანთა სიცოცხლეს.

და რაც უფრო ყურადღებით და თანმიმდევრულად გავყვებით ამ საქმეს, 2007-2009 წლებში ქვეყანაში არსებულ მასშტაბურ პრობლემებს დავინახავთ, რომელიც არამარტო ჯანდაცვის სისტემით შემოიფარგლება, არამედ მის არეალში ხვდება საპროცესო უფლებები, რომლის შემადგენელი ნაწილია ეფექტური გამოძიების განხორციელება. 2009 წლის 19 მაისს სასჯელაღსრულების დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო წინასწარი გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით. იმავე დღეს ჩატარდა ექსპერტიზა გ.ტ-ს გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დადგენის მიზნით. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ მომჩივნის ვაჟი გარდაიცვალა დაავადების გართულების შედეგად, ფილტვის მასიური ჰემორაგიით. საგამოძიებო ორგანოებმა დაკითხეს რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულების მთავარი ექიმი, ტუბერკულოზის მქონე პაციმრებისთვის განკუთვნილი ქსნის დაწესებულების ექიმი და ციხის საავადმყოფოს ექიმი. მათ განაცხადეს, რომ პროგრამის მიხედვით გ.ტ-ს მკურნალობა ადეკვატური იყო. 2009 წლის 13 ოქტომბერს გამომძიებელმა უარი განაცხადა მომჩივნისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე. მომჩივანმა გაასაჩივრა გამომძიებლის უარი მისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე. 2010 წლის 22 თებერვალს მომჩივანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

პროკურორის მიერ ხელმოწერილი დაუთარილებელი დოკუმენტის მიხედვით, პროკურორმა გამომძიებელს დაავალა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ექსპერტების დაკითხვა და გ.ტ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ცნობების მოპოვება. 2010 წლის 5 თებერვალს დაიკითხა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ორი ექსპერტი. მათ დაადასტურეს, რომ DOTS პროგრამის მიხედვით გ.ტ-ს მკურნალობა ადეკვატური იყო და ზუსტად აქ ვხედავთ ერთ-ერთი ექსპერტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას DOTS+ პროგრამის არარსებობის შესახებ.

2010 წლის 4 ივნისს წინასწარი გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა. გამომძიებელი იმ დასკვნის გაკეთებისას, რომ გ.ტ. გარდაიცვალა ტუბერკულოზის ბუნებრივი გართულების შედეგად, დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას.

ჩვენც თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, პროგრამის მიხედვით მკურნალობის ადეკვატურობა არ ნიშნავს დაავადების აღმოსაფხვრელად სწორი ღონისძიებების გატარებას. ეს მარტივად ნიშნავს, რომ იმ დროში პაციმრებისთვის მხოლოდ ის ნამლები იყო გათვალისწინებული, რომელიც ქვეყანაში არსებულ ერთადერთ პროგრამაში იყო მოცემული.

და ბოლოს, მე წარმოგიდგინებ ორი მხარის და სტრასბურგის სასამართლოს საკვანძო პოზიციებს, თქვენ კი, ამ სტატიის წაკითხვის შემდგომ, შეგიძლიათ წამით დაფიქრდეთ, რამდენად ნორმალურია 21-ე საუკუნეში ქვეყნის პენიტენციურ დაწესებულებაში არასრული მკურნალობის შედეგად ტუბერკულოზის დაავადებით გარდაცვალების ფაქტი.

ევროპული სასამართლოს მიერ მოძიებული ეროვნული დოკუმენტების მიხედვით, განსახილველ პერიოდში ციხეების მართვა, მათ შორის პაციმრებისთვის სამედიცინო დახმარების მიწოდება, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ვალდებულებას წარმოადგენდა.

მომჩივანი ჩიოდა, რომ ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნათა სანინაალმდეგოდ, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მისი შვილის ჯანმრთელობის, ფიზიკური კეთილდღეობისა და სიცოცხლის დაცვა. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიება არ იყო ადეკვატური და ეფექტური.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ მოცემული საჩივრები განხილული უნდა იქნეს კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: 1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული...”



---

მთავრობამ ეს არგუმენტი გააპროტესტა და აღნიშნა, რომ საჩივარი დაუშვებელი იყო იმ საფუძვლით, რომ არ იყო ამონიურული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ვინაიდან მომჩივანმა შესაბამის ორგანოებს არ მოთხოვა მისი შვილის ციხის საავადმყოფოში გადაყვანა.

მომჩივანმა განაცხადა, რომ მან არაერთხელ მოითხოვა გ.ტ-ს სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანა და აღნიშნული რეკომენდაცია, აგრეთვე, ცალსახად გასცა რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმმა.

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება:

სასამართლომ შენიშნა, რომ მომჩივნის საჩივრის არსი ეხებოდა მისი შვილის მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ადეკვატური მკურნალობის ნაკლებობას, საბოლოოდ ციხის საავადმყოფოში მის გარდაცვალებას და შემდგომ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას. შესაბამისად, სპეციალურ დაწესებულებაში დაგვიანებით გადაყვანა მომჩივნის საჩივრის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, გ.ტ-მ ციხის ადმინისტრაციას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე აცნობა 2008 წლის 1-ლ დეკემბერს და 2008 წლის 17 დეკემბერს ციხის ექიმმა ცალსახად გასცა მისი სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანის რეკომენდაცია. ამრიგად, ციხის ადმინისტრაციას ადეკვატურად ეცნობა გ.ტ-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და სპეციალურ დაწესებულებაში მისი გადაყვანის საჭიროება.

აქედან გამომდინარე სასამართლო არ იზიარებს მთავრობის ამ მოსაზრებას. ჯანმრთელობის პრობლემის გართულების შედეგად პატიმრის გარდაცვალების კონტექსტში სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულების შესრულებასა და გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა დაადგინოს შეასრულა თუ არა სახელმწიფომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, სასამართლომ უნდა შეაფასოს, შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა კეთილსინდისიერად და დროულად მიიღეს თუ არა ზომა, რათა თავიდან აერიდებინათ ფატალური შედეგი, რადგან მომჩივნის შვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზით გარდაიცვალა. ასევე, მიიღო თუ არა სახელმწიფომ ყველა გონივრული ზომა საპრობლემაში მომჩივნის შვილის ეფექტური მკურნალობისთვის.

ნებისმიერ შემთხვევაში წინამდებარე საჩივრის ძირითად არსს წარმოადგენს ის, მიიღო თუ არა გ.ტ-მ ადეკვატური მკურნალობა მას შემდეგ, რაც ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ფილტვის ტუბერკულოზის, უფრო კონკრეტულად კი მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის, მკურნალობა განსახილველ პერიოდში საქართველოს ციხეების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა.

ფაქტია, რომ 2008 წლის 17 დეკემბრიდან, როცა პირველი რიგის მედიკამენტებზე მგრძნობელობის ტესტი გაკეთდა, მკვეთრად გაუარესდა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუმცა, ამისდა მიუხედავად, მეორე რიგის მედიკამენტებზე მგრძნობელობის ტესტი არ გაკეთებულა.

სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად 2009 წლის 10 აპრილს მიღებული მგრძნობელობის განმსაზღვრელი მეორე ანალიზის პასუხებისა, რომელთა თანახმად დაავადება რეაგირებდა მეორე ჯგუფის ყველა ნამალზე გარდა ერთისა, მკურნალობა DOTS+ პროგრამის შესაბამისად 2009 წლის 4 მაისამდე არ დაწყებულა.

დაკითხვის მთავარი მიმართულება შეზღუდული იყო მხოლოდ გ.ტ-ს სიკვდილის უშუალო მიზეზისა და ზოგადად, მისი მკურნალობის ადეკვატურობის დადგენით. საგამოძიებო ორგანოებმა არ გამოიჩინეს სათანადო მცდელობა, რათა დაეგინათ, იყო თუ არა შესაძლებელი იმის განჭვრეტა, რომ ტუბერკულოზი რეზისტენტული იყო და შედეგად, ჩატარებუ-

---

ლიყო მგრძობელობის განმსაზღვრელი მეორე ტესტი უფრო ადრე – განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, მკურნალობის მიუხედავად, გ.ტ-ს ჯანმრთელობის მკაფიო და სწრაფ გაუარესებას, როგორც ამაზე მიუთითებს შესაბამისი სამედიცინო ჩანაწერები.

ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის როგორც პროცედურული, ისე მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტის დარღვევას.

## დასკვნა

რა არის სახელმწიფოს ვალდებულებათა ნუსხა სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით პატიმრებთან მიმართებაში? ამ საკმაოდ რთულ კითხვაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ საქმეში არსებული მსჯელობით გვიპასუხა.

დაავადების ადეკვატური მკურნალობა და სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ადეკვატური მკურნალობა – ორი აბსოლიტურად განსხვავებული ტერმინია იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანაში ჯანმრთელობის სფერო ვერ პასუხობს მიმდინარე გამოწვევებს. ფაქტია, რომ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა ფატალური შედეგი, რომელიც ეფექტური მკურნალობისათვის საჭირო ღონისძიებების გაუტარებლობის, შესაბამისი ეროვნული ორგანოების კეთილსინდისიერად და დროულად ზომების მიუღებლობის ნაყოფია.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანს ცივილიზაციების შექმნის დღიდან გაუჩნდა ის ერთი უფლება – რასაც სიცოცხლის უფლება ჰქვია. ხოლო, კონსტიტუციების შემუშავების გარიჟრაჟზე ადამიანის ბუნებითი უფლებების ჩამონათვალი გავრცელდა ლოკისეულ სამ ისეთ მოთხოვნაზე, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. თავად ბუნებით სამართალს კი, მისი ხელშეუხებელი, განუსაზღვრელი და უპირობო უფლებამოსილებებით, არ შესწევს უნარი მოგვცეს ფუნქციონირებისთვის ვარგისი და განჭვრეტადი გადაწყვეტილებები. ზუსტად ამისათვის გახდა საჭირო, განსაზღვრულიყო იმ უფლებათა და თავისუფლებათა ნუსხა, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვის არეალში მოხვდებოდნენ. პირველსაწყისი ადამიანური ანუ ბუნებითი უფლებების ნაცვლად კონსტიტუციაში შეტანილ იქნა უნივერსალური ხასიათის პირადი უფლებები.

ხშირად ჩნდება კითხვა: რომელი ძირითადი უფლებები უნდა დაიცვას კონსტიტუციამ?

ამ კითხვაზე ანდრამ შაიოს შესანიშნავი პასუხი აქვს: „რამდენიცაა ავტორი, რამდენიცაა საზოგადოებრივი მდგომარეობა და ეპოქა, იმდენია ადამიანის უფლებაც. თანხმობა არ არსებობს თუნდაც იმ უფლებათა შესახებ, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა; არ არის თანხმობა კონსტიტუციონალიზმის „წინასწარმეტყველთა“ შორისაც კი“.

თუმცა, ჩემი მოსაზრება ინგლისელი დიდი მოაზროვნის თომას ჰობსის ნაშრომი „ლევიათანი“ ასახული მიდგომიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად, მარტივ ენაზე რომ ითქვას, ადამიანი საზოგადოებრივი ხელშეკრულების სახით (ანუ თანხმობით დაემორჩილოს სახელმწიფო ხელისუფლებას) ბუნებრივი მდგომარეობიდან ავტომატურად გადადის სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე და ამის ამოსავალი წერტილი უსაფრთხოებაა.

და მაინც, რა იგულისხმება ამ უსაფრთხოებაში? ზუსტად ეს არის დედააზრი, კვანძი და საწყისი მოჯადოებული წრის – უსაფრთხოდ არსებობის, უსაფრთხოდ ცხოვრების გაგრძელების, მამასადამე, სიცოცხლის უფლებით უსაფრთხოდ სარგებლობის!

ნაწყვეტი „ლევიათანიდან“<sup>171</sup>: „აქედან ცხადია, რომ სანამ ადამიანებს არა აქვთ საერთო ძალაუფლება, რომელიც ყველას მონივნების მდგომარეობაში ამყოფებს, ისინი ომად

<sup>171</sup> თომას ჰობსი „ლევიათანი“

წოდებულ ვითარებაში არიან და ეს არის ომი ყველა კაცისა ყველა სხვა კაცის წინააღმდეგ. რამეთუ ომი არ არის მხოლოდ ბრძოლის ან შერკინების მომენტი, ომი ჰქვია დროის იმ მონაკვეთს, როდესაც საკმარისად ცხადია ბრძოლის გზით დაპირისპირების ნება. მაშასადამე, დროის ცნება ისევე უნდა მივიჩნიოთ ომის ბუნების ნაწილად, როგორც ამას ამინდის შემთხვევაში ვაკეთებთ. როგორც ავდარს არ ვეძახით მხოლოდ ცალკეულ ჟინჟულს თუ თქორს, არამედ რამდენიმე დღის განმავლობაში წვიმიან ამინდს, ასევე ომის არსია არა მხოლოდ ბრძოლა, არამედ გამონახული მზაობა ბრძოლისთვის მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც მისგან დაცული არა ვართ. ყველა სხვა დროს კი მშვიდობა ჰქვია”.

ჩვენ, სამართალმცოდნეები, ვამბობთ, რომ კანონმდებელი ადგენს ადამიანის ძირითად უფლებათა ჩამონათვალს შებოჭვის იმედით და კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს იმ უფლებათა ჯაჭვი, რომელთაც თავადაც პატივს სცემს და მათ პატივისცემას სხვებსაც აიძულებს. თეორიულად კონსტიტუციის ლეგიტიმაცია საზოგადოების აქტიურად მონაწილეობის პირდაპირ პროპორციულია.

და ზუსტად აქ შებოჭვის იმედის გვერდით ჩნდება ხელისუფლების თვითშეზღუდვა. ხელისუფლების თვითშეზღუდვის დედააზრის გასაგებად ანდრამ შაიოს<sup>172</sup> ნაშრომით თაობები იზრდება. თუმცა, აღსანიშნავია გერმანელი მეცნიერის გეორგ ელინეკის მონოგრაფია “თანამედროვე სახელმწიფოს სამართალი” ხელისუფლების თვითშეზღუდვის ქრილში, რომელიც შაიოს წიგნის თეორიულ წყაროდ მიიჩნევა.

საინტერესოა დიდი მეცნიერის შეხედულება სახელმწიფოს ორმაგ ბუნებაზე და თვითშეზღუდვის არსზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მსჯელობით სახელმწიფო არამხოლოდ სამართლებრივი ინსტიტუტია, არამედ სოციალური მოვლენაც. ხოლო ხელისუფლების თვითშეზღუდვის პრობლემა არ არის წმინდა იურიდიული პრობლემა, იგი მეტაიურიდიულია. საჯარო სამართლის ძირითადი პოსტულატი კი, სახელმწიფოს შეზღუდვაა, ანუ ბოჭვა სამართლით.

გეორგ ელინეკის თეორია ქმნის ტრიადას ცივილიზაციებს, სამართალსა და ფილოსოფიურ დოგმებს შორის. რთულია უსიტყვოდ არ დაეთანხმო ლოგიკას, რომ კანონმდებლობის სფეროში თვითშეზღუდვა ვლინდება არა მხოლოდ საკანონმდებლო პროცედურის დაწესებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის გარანტირებული უფლებების აღიარების გზით. ყველა კულტურული ხალხის სამართალში არსებობდა და ახლა მეტი მოცულობით არსებობს უფლებათა ძირითადი კომპლექსი, რომლის მიმართ უძღურია კანონმდებლის ძალაუფლება. ადამიანის უფლებები ხალხის ისტორიული ევოლუციის ის დანალექია, რომელიც მყარად აღიბეჭდება სამართლებრივ ინსტიტუტებში, როგორც ხალხის მთელი ისტორიული ყოფიერების აუცილებელი პირობა. ეს დიდი მოაზროვნე ამ კომპლექსის კონტროლის კონცეფციასაც გვიყალიბებს „შიდასაკაცობრიო მოვლენის“ სახელით.

მე აბსოლიტურად ვეთანხმები ამ კონტექსტში ამ დიდ სამართლის თეორეტიკოსს. აუცილებელია ინდივიდმა შეიმეცნოს და განიცადოს ის სამართლის ნორმა, რომელიც ხელისუფლების შემოქმედებაა. ამ შეგნების და შემეცნების პროცესში მოდის ახალი ეტაპი რწმენის სახით. ამ კუთხით თუ ჩავუღრმავდებით ელინეკის მსჯელობას დავინახავთ, რომ ის სამართლის შეზღუდვის ბუნებას აკუთვნებდა არა ნორმატიულ-თეორიულ, არამედ „ვალდებულებათა შეგრძნების“ კატეგორიას. გეორგ ელინეკის ხედვით, სამართალი და მისგან შობილი კანონები ადამიანების თანდაყოლილი ფსიქოლოგიური ფენომენია. ამ თეორიის თანახმად, სამართლის ნორმის მოქმედება და ფუნქციონირება მთლიანად დამოკიდებულია იმ პირთა წრის რწმენაზე ვის მიმართაც იგი გამოიყენება.<sup>173</sup>

<sup>172</sup> „სახელმწიფოს თვითშეზღუდვა“ ანდრამ შაიო (კონსტიტუციონალიზმის შესავალი) თარგმანი ინგლისურიდან თევდორე ნინიძე

<sup>173</sup> “Georg Jellinek and the Origins of Liberal Constitutionalism in International Law” Jochen von Bernstorff; (pg.669) Goet-

---

ზუსტად რწმენა არის ის მუდმივობის და სიცოცხლის წყარო, რომელიც ნორმატიულ ძალას ჩუქნის სამართალს და თითოეული ჩვენგანის მოქმედების განმსაზღვრელი ხდება. რწმენა კი – ხვალინდელი დღის გათენებისა და სიცოცხლის გაგრძელების იმედით იწყება. ამგვარად, დავლუქეთ უკვე ბოლო გვერდი უსაფრთხოების და რწმენის შტამპით. ბოლოს კი დავასრულებ ფილოსოფიის სიმბოლოს პლატონის სიტყვებით: „სამართლიანი სამართალი არის ღვთიური წესრიგი“.

## რეზიუმე

ადამიანს ცივილიზაციების შექმნის დღიდან გაუჩნდა ის ერთი უფლება – რასაც სიცოცხლის უფლება ჰქვია. რა არის სახელმწიფოს ვალდებულებათა ნუსხა სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით პატიმრებთან მიმართებაში? ამ საკმაოდ რთულ კითხვაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ საქმეში არსებული მსჯელობით გვიპასუხა.

დაავადების ადეკვატური მკურნალობა და სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ადეკვატური მკურნალობა – ორი აბსოლიტურად განსხვავებული ტერმინია იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანაში ჯანმრთელობის სფერო ვერ პასუხობს მიმდინარე გამოწვევებს.

უსაფრთხოება არის დედააზრი, კვანძი და საწყისი მოჯადოებული წრის – უსაფრთხოდ არსებობის, უსაფრთხოდ ცხოვრების გაგრძელების, მაშასადამე, სიცოცხლის უფლებით უსაფრთხოდ სარგებლობის! ინგლისელი დიდი მოაზროვნის თომას ჰობსის ნაშრომი „ლევიათანში“ ასახული მიდგომის თანახმად, მარტივ ენაზე რომ ითქვას, ადამიანი საზოგადოებრივი ხელშეკრულების სახით (ანუ თანხმობით დაემორჩილოს სახელმწიფო ხელისუფლებას) სამოქალაქოდან სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე გადადის ავტომატურად და ამის ამოსავალი წერტილი უსაფრთხოებაა.

ჩვენ, სამართალმცოდნეები, ვამბობთ, რომ კანონმდებელი ადგენს ადამიანის ძირითად უფლებათა ჩამონათვალს შებოჭვის იმედით და კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს იმ უფლებათა ჯაჭვი, რომელთაც თავადაც პატივის სცემს და მათ პატივისცემას სხვებსაც აიძულებს. თეორიულად კონსტიტუციის ლეგიტიმაცია საზოგადოების აქტიურად მონაწილეობის პირდაპირ პროპორციულია.

და ზუსტად აქ შებოჭვის იმედის გვერდით ჩნდება ხელისუფლების თვითშეზღუდვა. დიდი გერმანელი მეცნიერის გეორგ ელინეკის თეორია ქმნის ტრიადას ცივილიზაციებს, სამართალსა და ფილოსოფიურ დოგმებს შორის. აუცილებელია ინდივიდმა შეიმეცნოს და განიცადოს ის სამართლის ნორმა, რომელიც ხელისუფლების შემოქმედებაა. ამ შეგნების და შემეცნების პროცესში მოდის ახალი ეტაპი რწმენის სახით. ზუსტად რწმენა არის ის მუდმივობის და სიცოცხლის წყარო, რომელიც ნორმატიულ ძალას ჩუქნის სამართალს და თითოეული ჩვენგანის მოქმედების განმსაზღვრელი ხდება.

ბოლოს კი დავასრულებ ფილოსოფიის სიმბოლოს პლატონის სიტყვებით: სამართლიანი სამართალი არის ღვთიური წესრიგი“.



---

## Resume

Since the creation of the civilization that one right has emerged for human \_ which is called Right to life. What is the list of the state's obligations with regard to the protection of prisoners' right to life? The European Court of Human Rights responded to this difficult question by discussing case of Maisuradze v. Georgia.

Adequate treatment of the disease and adequate treatment under the state program \_ are two completely different terms when the health sector in the country cannot meet the current challenges.

Security is the crucial concept, the knot, and the enchanted circle \_ to exist safely, to live safely, so to safely enjoy the right to life! According to the approach of the great English thinker Thomas Hobbes in Leviathan, so to speak in simple language the condition in which people give up some individual liberty in exchange for some common security is the Social Contract (the mutual transferring of the right).

We, the lawyers, say that the legislator establishes a list of basic human rights in hope of bounding government and that the constitution must define a chain of rights that it respects and compels them to respect. In theory, the legitimacy of the constitution is directly proportional to the active participation of society.

And here alongside the hope for bounding government appears term of self-limitation of the will of State. The theory of the great German lawyer Georg Jellinek creates a triad between civilizations, law and philosophical dogmas. It is necessary for an individual to understand and experience the rule of law that is the creativity of the government. In this process of awareness and cognition comes a new stage in the form of faith. Faith is precisely the source of life and constancy, which gives the normative force to law and determines the action of each of us.

Finally, I will conclude with the words of Plato the symbol of philosophy:

“Justice is divine order”

## Резюме

С момента создания цивилизаций у человека поивилас право - право на жизнь. Каков государственный перечень обязательств по защите права на жизнь заключенных ? Европейский суд по правам человека ответил на этот довольно сложный вопрос, обсудив дело Майсурадзе против Грузии.

Безопасность - это суть, узел и заколдованный круг - безопасно существовать, жить безопасно, а значит безопасно пользоваться правом на жизнь!

Мы, юристы, говорим, что законодатель составляет список основных прав человека в надежде на то, что его удержит, и что конституция должна определять цепь прав, которую он уважает, и заставляет их уважать. Теоретически легитимность конституции прямо пропорциональна активному участию общества.

В этом процессе сознания и познания наступает новый этап в форме веры. Вера как раз и является источником постоянство и жизни, которая является нормативной силой, которая придает справедливость и определяет действия каждого из нас.

Наконец, я завершу словами Платона символ философии: «Праведное правосудие - это божественный порядок».

---

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სახელმწიფოს თვითშეზღუდვა“ ანდრამ შაიო (კონსტიტუციონალიზმის შესავალი) თარგმანი ინგლისურიდან თევდორე ნინიძე.
2. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულა. ქართული ვერსია – ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო; შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო საინფორმაციო პროგრამების ბიურო.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ. (საჩივარი N44973/09).
4. თომას ჰობსი „ლევიათანი“.
5. Georg Jellinek and the Origins of Liberal Constitutionalism in International Law” Jochen von Bernstorff; (pg.669) Goettingen Journal of International Law 4 (2012) 3, 659-675

ახალ ტექნოლოგიებს შეუძლია წარმოქმნას განსაკუთრებული გამონვევები ინდივიდის პრივატული სფეროს დაცვის უფლების მიმართ, ასევე ახალი სირთულეები იმ მარეგულირებლისთვის, რომლებიც ცდილობენ განავითარონ პირადი სფეროს დაცვა და ტექნოლოგიური ინოვაციები. საზოგადოება დიდი ხნის მანძილზე ცდილობს განსაზღვროს თუ როგორ უზრუნველყოს პირადი სფეროს დაცვის უფლებისა და ტექნოლოგიური წინსვლის ურთიერთმანონასწორებელი წესების შემუშავება.

შორეულ 1890 წელს, როდესაც საგაზეთო და ფოტო ტექნოლოგიებმა დაიწყო აღმასვლა, სამართლის მეცნიერები პირადი ცხოვრების მეტ დაცვას ითხოვდნენ, მათ შორის, ამ უფლების განმტკიცებას სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით.<sup>175</sup>

პირადი ცხოვრების დაცვა, „ცივილიზირებული ადამიანის მიერ ყველაზე მეტად ღირებული უფლება“, ინოვაციების ნახალისების პარალელულად, არასდროს ყოფილა იმაზე მეტად ანგარიშგასაწევი ვიდრე ეს სახეზეა ონლაინ და ტექნოლოგიურ საშუალებებზე ორიენტირებულ სამყაროში. დღეს, ისე როგორც არასდროს, ინფორმაციას შეუძლია გადაკვეთოს მრავალი სახელმწიფოს საზღვარი დროის უმცირეს მონაკვეთში, ხოლო მომხმარებელთა გადაადგილება და მათი ქმედებები შესაძლებელია გაკონტროლდეს მათივე კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების მეშვეობით. ამავდროულად, ტექნოლოგიურ ინოვაციებს შეუძლია გადაარჩინოს სიცოცხლე, განამტკიცოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება, უზრუნველყოს კაპიტალის დაგროვება და ეფექტური გზების დადგენა შეზღუდული რესურსების გამოყენებისთვის. როგორი ღირებულებაც გააჩნია ინფორმაციას მკვლევართათვის, მარკეტოლოგებისთვის, კორპორაციებისთვის და ხელისუფლებისთვის, ისეთივე ღირებულების მქონეა იგი ინდივიდისთვის – პირადი ცხოვრების დაცვის მხრივ. შესაბამისად, პრივატული სფეროს დაცვისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მართვა მნიშვნელოვანია გლობალური ეკონომიკისთვის, რაც საუკეთესოდ მიიღწევა ყოვლისმომცველი და მოქნილი მიდგომის მეშვეობით.<sup>176</sup>

პირადი ცხოვრების სახელმწიფოებრივი დაცვა გაძლიერებული სისხლისსამართლებრივი ნორმებითა და ადმინისტრაციული რეგულირებით, მთლიანობაში, შესაძლოა ხელისშემშლელი აღმოჩნდეს ინოვაციებისთვის და გამოიწვიოს პირადი ცხოვრების უფლების გადამეტებული დაცვა. ფაქტობრივად, ამგვარი სახელმწიფოებრივი დაცვა, შესაძლოა გახდეს ერთგვარი ბარიერი როგორც ინდივიდის პრივატული სფეროსთვის, ისე ნაწილობრივ ინოვაციებისთვის, რამდენადაც ისინი, თავიანთი ბუნებით, არიან რეაქტიულები და ხშირ შემთხვევაში რთულად ცვალებადნი. ამავე დროს, გარკვეული სახელმძღვანელო სტანდარტების გარეშე, ტექნოლოგიის ინოვატორთათვის კონკურენტული თამაშის წესების განსაზღვრა და რისკებისა და მიღწევების ურთიერთბალანსის უზრუნველყოფა სირთულეს წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს გარკვეული ბალანსი რეგულაციისა და ინოვაციის შორის. ერთ-ერთ გზას ამგვარი ჰარმონიის მისაღწევად წარმოადგენს პირადი ცხოვრების დამცავი მექანიზმების დანერგვა სანყისი ეტაპიდან, ახალი ტექნოლოგიების არქიტექტურული თავისებურებების გათვალისწინებით, უფრო ზუსტად, Privacy by Design (PbD) კონცეფციის მიხედვით.

\* დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

<sup>175</sup> Privacy-Invasive Technologies and Privacy by Design Klitou, Demetrius.

<sup>176</sup> Louis D. Brandeis & Samuel D. Warren, The Right to Privacy. Harvard Law Review 4 (1890), 193-220.

PbD კონცეფცია სხვადასხვა სახით გვევლინება პრივატული სივრცის სფეროში. მაგალითად, აშშ-ში, ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ (ფთჩ) პრივატული სფეროს დაცვის აღნიშნულ მიდგომას გაუწია რეკომენდაცია. კომისიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „კომპანიებმა უნდა დანერგონ Privacy By Design (PbD) კონცეფცია თავიანთ ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობაში პირადი ცხოვრების დაცვის გაძლიერებისთვის. ამ მიზნით, კომისიამ ყურადღება გაამახვილა სრულიად ინტეგრირებული პირადი ცხოვრების დამცავი ზომების არსებობის აუცილებლობაზე, რომელიც იმოქმედებს მონაცემთა არსებობის სრულ პერიოდზე, ასევე, დასაქმებულთა გადამზადებისა და პირადი სფეროს დაცვის საკითხების დამუშავებაზე, პრივატულობის დამცავი წესების შემუშავებაზე, რომელიც დგინდება არსებული მონაცემების სენსეტიურობის გათვალისწინებით. ამგვარი კონცეფციები არ წარმოადგენს სიახლეს, თუმცა მოვიდა დრო, რომ კომპანიებმა ისინი სისტემატიურად დანერგონ.<sup>177</sup>

ექვგვარეშეა, რომ არსებობს მიზეზთა სიმრავლე, რისგამოც კომისიამ შეიმუშავა ეს რეკომენდაციები. ჩემი აზრით, PbD კონცეფციის ორგანიზაციულ სტრუქტურაში დანერგვის ყველაზე მეტად საყურადღებო მიზეზს წარმოადგენს მისი პროაქტიული მიდგომა პრივატული სფეროს დაცვის მიმართ. პირადი ცხოვრების დამცავი რეგულაციები, ტრადიციულად, მეტწილად რეაქტიულია, რაც გულისხმობს მის ამოქმედებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრივატული სივრცის დაცვის დარღვევაა სახეზე. საპირისპიროდ, პრივატულობის მიმართ პროაქტიული, თვითრეგულირებადი მიდგომის დანერგვით, ორგანიზაცია შეძლებს თავად აიცილოს მრავალი გართულება და უზრუნველყოს მექანიზმები პოტენციური დარღვევების საწინააღმდეგოდ.<sup>178</sup>

თუ ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებული სირთულეების პრევენცია, მას მაინც შეუძლია PbD კონცეფციის პრინციპთა დანერგვა დამცავ მექანიზმებში.

მაგალითად, 2010 წლის მარტში, Google-ი დათანხმდა სასამართლო მორიგებას, რასაც წინ უძღოდა კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიება. იგი ეხება ჩოოგლე-ის ახალი სოციალური ქსელის – Buzz-ის მიერ პრივატული სფეროს დაცვის წესების დარღვევას. მიმართვა დარღვევების შესახებ მოიცავდა გარემოებას, რომლის მიხედვითაც სოციალურმა ქსელმა ვერ უზრუნველყო გაეხადა სრულიად ხელმისაწვდომი პირადი ცხოვრების დამცავი მექანიზმები ახალი მომხმარებლებისთვის, ხოლო მომსახურებიდან გამოსვლის სისტემა არ ქმნიდა შესაძლებლობას, რომ მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია სრულიად ყოფილიყო წაშლილი სოციალური ქსელის ბაზრიდან. მორიგების ფარგლებში Google-ი დათანხმდა დაენერგა პირადი სივრცის დამცავი ყოვლისმომცველი პროგრამა, რაც გულისხმობდა კომპანიაში შესაბამისი წესების იმპლემენტირებასა და შესაბამისობაზე პასუხისმგებელ მომუშავეთა განსაზღვრას. Google-ს, ასევე, დაევალა, რომ გადაეხედა პირადი ცხოვრების დაცვის შესაბამისობის საკითხისთვის მომსახურების მომწოდებელთა არჩევისა და გამოყენების კუთხით. გარდა ამისა, შემდგომი 20 წლის განმავლობაში, Google-ის მიერ არჩეული, ხოლო კომისიის მიერ დანტკიცებული დამოუკიდებელი აუდიტორი, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ განახორციელებს Google-ის პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებული წესების შესაბამისობის შემოწმებას, ხოლო შედეგებს მიაწვდის კომისიას.

არსებობს მზარდი ტენდენცია, რათა მოხდეს PbD კონცეფციისა და მისი 7 ძირითადი პრინციპის დანერგვა პრივატულობის დამცავ რეგულაციებსა და მომწესრიგებელ დოკუმენტში.<sup>179</sup> თუმცა, სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებში PbD კონცეფციის ინკორპორირ-

<sup>177</sup> Privacy by Design: Take the Challenge, Paperback \_ 2009, by Ann Cavoukian (Author).

<sup>178</sup> ანა კავუკიანი, PH.D. ინფორმაციისა და პირადი ცხოვრების დაცვის კომისარი. ონტარიო, კანადა.

<sup>179</sup> Alan Westin, Privacy and Freedom. Atheneum, New York (1967).



რებას ახლავს შესაბამისი გამონვევებიც. სახელმწიფომ არამარტო უნდა განსაზღვროს, თუ რა სახის მექანიზმებია შესაფერისი, არამედ უნდა დაადგინოს ისიც, თუ როგორ უნდა მოხდეს PbD კონცეფციის განმარტება. ამ პროცესში, სახელმწიფოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ PbD კონცეფცია წარმოადგენს ბაზისს კანონმდებლობაში პირადი ცხოვრების დამცავი მიდგომების დასაწერად, ხოლო ამ კონცეფციის არსებობა მთელს ბიზნეს სამყაროში, სულ უფრო მეტად გვევლინება ნორმად.<sup>180</sup> როგორც კონცეფცია, იგი ეყრდნობა „დაშვებას, რომ პირის შესახებ ყველა ინფორმაცია არის უპირველესად მისი საკუთარი, მისი გადასაწყვეტია გაცემა და შენახვა, როგორც იგი მიიჩნევს საჭიროდ.“<sup>181</sup>

როგორ უნდა შევინარჩუნოთ და ხელი შევუწყოთ ტექნოლოგიური ინოვაციების მრავალფეროვან სარგებელს, როგორცაა ახალი უნიკალური მომსახურებების მიღება, მოსახერხებელი და ეფექტური პროდუქტებით სარგებლობა და ამავდროულად შევინარჩუნოთ პირადი სივრცის დაცვა, რომელიც ასეთი არსებითია ჩვენი თავისუფლებისა და ავტონომიურობისათვის.

არსებობს ცხადი მოთხოვნა იმ მექანიზმების დანერგვისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პირადი სივრცის რეალურ დაცვას და განამტკიცებს მოქნილობასა და ინოვაციურ მიდგომებს. Privacy by Design კონცეფცია, მისი ორმხრივი აქცენტით ორმაგად სარგებლიანი შედეგების თაობაზე, ვითარდება სწრაფად, როგორც „ოქროს“ სტანდარტი პირადი სივრცისა და მონაცემთა დაცვაში. იგი სთავაზობს გადანყვეტილების მიმღებებს იმის შესაძლებლობას, რომ PbD კონცეფციის უპირატესობათა მიღების მიზნით, განავითარონ პრინციპული და პროგრესული გადანყვეტილებები.

PbD კონცეფცია წარმოადგენს საგრძნობ წინ გადადგმულ ნაბიჯს პრივატული სივრცის დაცვის ტრადიციული მიდგომებისგან, რომელიც აქცენტირებულია ინფორმაციული მართვის წესებისთვის მინიმალური სტანდარტების დანესებაზე, ხოლო პირადი ცხოვრების წესების დარღვევებისთვის დაცვითი მექანიზმების შემოღებაზე, რომელიც მიღებულია კონკრეტული ფაქტის შემდგომ. PbD კონცეფცია პოლიტიკაში, მარეგულირებელ აქტებში, სარეკომენდაციო კოდექსებსა და სანიმუშო მაგალითებში დანერგვით, მოითხოვს იმ ხედვის ევოლუციას, თუ როგორაა პირადი ცხოვრების დაცვის წესების დადგენა განხილული პოლიტიკასა და სამართლებრივ ნორმებში.

PbD კონცეფცია არის მოქნილი, ინოვაციებზე დაფუძნებული მიდგომა პრივატული სივრცის დაცვისთვის, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ორგანიზაციებს მოახდინონ „პირადი სივრცის დაცვის მიზნების დანერგვა და გზების განსაზღვრა მათ მისაღწევად. ეს მიდგომა შეიძლება განვითარდეს, მაგალითად, როგორც მეორე თაობის მარეგულირებელი წესების ნაწილი. კომპლექსურ, სწრაფად განვითარებად ინფორმაციულ ეკონომიკაში, ეს სტრატეგია შესაძლებელია მოგვევლინოს ეფექტურ გზად, რათა მოხდეს პირადი სივრცის დაცვის გაძლიერება“.<sup>182</sup>

ამგვარი „მეორე თაობის“ მიდგომის გავლენის გათვალისწინებით, Privacy by Design კონცეფციის დანერგვით, კომპანიებს შეეძლება „გასცდნენ მარტოოდენ სამართლებრივ შესაბამისობას შეტყობინების, არჩევანის, წვდომის, უსაფრთხოებისა და აღსრულების მექანიზმების მეშვეობით.“<sup>183</sup> შესაბამისად, ისინი იქნებიან უფლებამოსილნი, რომ მოახდი-

<sup>180</sup> Ann Cavoukian, Don Tapscott, Who Knows: Safeguarding your Privacy in a Networked World. Random World. Random House, Toronto (1995).

<sup>181</sup> ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა 95/46/EC პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემთა თავისუფალი გადაადგილებისას ინდივიდთა დაცვის შესახებ. Official Journal L 281 of 23.11(1995).

<sup>182</sup> Information and Privacy Commissioner/Ontario, Creation of a Global Privacy Standard (2006), ვებ-გვერდი: [www.ipc.on.ca/images/Resources/gps.pdf](http://www.ipc.on.ca/images/Resources/gps.pdf).

<sup>183</sup> Department of Commerce (Internet Policy Task Force), Green Paper: Commercial Data Privacy and Innovation in the

---

ნონ მათი საკუთრი მიდგომების განსაზღვრა რისკ მენეჯმენტისა და პრივატული სივრცის დაცვასთან დაკავშირებული ინოვაციების კუთხით, პოლიტიკის ან მარეგულირებელი ნების მეშვეობით.

ზოგიერთი ინდუსტრიული ლიდერი უკვე მიისწრაფის Privacy by Design კონცეფციის დანერგვისკენ ორგანიზაციის ფარგლებში რაც გვევლინება ამ სფეროს დაცვისკენ მათი განწყობის აქტუალიზებად და ახდენენ მომხმარებლების მოთხოვნებთან მეტ თავსებადობასაც.<sup>184</sup> მონესრიგებასთან დაკავშირებული დისკუსიები აშშ-ში, ევროპულ კავშირსა და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში დანყებულია, რათა მოიცვას PbD კონცეფციის დებულებები, როგორც აუცილებელი კომპონენტი პირადი ცხოვრების დაცვის სამომავლო ხედვისთვის. მომეტებული მოთხოვნა, რაც არსებობს PbD კონცეფციის მიღმა, როგორც პირადი სივრცის დაცვის მეორე თაობისა, სულ უფრო ძლიერდება.

## რეზიუმე

*სტატია ეხება პირადი ცხოვრების სახელმწიფოებრივი დაცვის გარანტიებს. მასში გაანალიზებულია ამგვარი სამართლებრივი დაცვის, როგორც ერთგვარი ბარიერის, სავარაუდო გავლენა ინდივიდის პრივატულ სფეროზე.*

*თავად პირადი ცხოვრების დაცვა კი, ინოვაციების წახალისების პარალელულად, არასდროს ყოფილა იმაზე მეტად ანგარიშგასანევი ვიდრე ეს სახეზეა დღეს ონლაინ და ტექნოლოგიურ საშუალებებზე ორიენტირებულ სამყაროში.*

*საკვანძო სიტყვები: პირადი ცხოვრების დაცვა, პრივატული სივრცე.*

## Resume

The article is about the guarantees of the state protection of the private life. It analyzes the legal protection of the potential impact on the individual's privacy as the barrier.

Protecting privacy in itself, encouraging innovation, has never been more responsible than it is today in the world of online and technology-oriented media.

В статье рассматриваются гарантии государственной защиты частной жизни. В нем анализируется возможное влияние такой правовой защиты как барьера для личной жизни человека.

Защита частной жизни сама по себе, поощряя инновации, никогда не была более ответственной, чем сегодня в мире онлайн-овых и ориентированных на технологии СМИ.

## Резюме

В статье рассматриваются гарантии государственной защиты частной жизни. В нем анализируется возможное влияние такой правовой защиты как барьера для личной жизни человека.

Защита частной жизни сама по себе, поощряя инновации, никогда не была более ответственной, чем сегодня в мире онлайн-овых и ориентированных на технологии СМИ.

---

Internet Economy: A Dynamic Policy Framework (Dec. 2010), 31-32.

<sup>184</sup> Kenneth A. Bamberger & Deirdre K. Mulligan, Privacy on the Books and on the Ground \_ Draft, ვებ-გვერდი: [ssrn.com/abstract=1568385](https://ssrn.com/abstract=1568385). To be published in Stanford Law Review, vol. 63 (2011).

---

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Privacy-Invasive Technologies and Privacy by Design Klitou, Demetrius.
2. Louis D.Brandeis & Samuel D. Warren, The Right to Privacy. Harvard Law Review 4 (1890), 193-220.
3. Privacy by Design: Take the Challenge, Paperback \_ 2009, by Ann Cavoukian (Author).
3. ანა კავუკიანი, PH.D. ინფორმაციისა და პირადი ცხოვრების დაცვის კომისარი. ონტარიო, კანადა.
4. Alan Westin, Privacy and Freedom. Atheneum, New York (1967).
5. Ann Cavoukian, Don Tapscott, Who Knows: Safeguarding your Privacy in a Networked World. Random World. Random House, Toronto (1995).
6. ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა 95/46/EC პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემთა თავისუფალი გადაადგილებისას ინდივიდთა დაცვის შესახებ. Official Journal L 281 ოფ 23.11(1995).
7. Information and Privacy Commissioner/Ontario, Creation of a Global Privacy შტანდარდ (2006), ვებ-გვერდი: [www.ipc.on.ca/images/Resources/gps.pdf](http://www.ipc.on.ca/images/Resources/gps.pdf).
8. Department of Commerce (Internet Policy Task Force), Green Paper: Commercial Data Privacy and Innovation in the Internet Economy: A Dynamic Policy Framework (Dec. 2010), 31-32.
9. Kenneth A.Bamberger & Deirdre K.Mulligan, Privacy on the Books and on the Ground \_ Draft, ვებ-გვერდი: [ssrn.com/abstract=1568385](http://ssrn.com/abstract=1568385). To be published in Stanford Law Review, vol. 63 (2011).

---

## პოლიტიკური პარტიების გავლენა პირველ მსოფლიო ომზე და ომის შედეგად შეცვლილი მსოფლიო პოლიტიკური გარემო

გიორგი მურვანიძე \*

პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი, ზოგადად, დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტური ზრახვები იყო, თუმცა ლომის წილი კაცობრიობის ისტორიის ამ უდიდეს ტრაგედიაში მაინც გერმანიას მიუძღვის. გერმანელ ერში ნაციონალური თვითშეგნების ამალგება გამონვეული იყო ძირითადად წარსული დიდების აღდგენის სურვილით და ნაპოლეონისეული ომების შედეგებით, რომელმაც ბოლო მოუღო ათასწლოვან „გერმანელი ხალხის საღმრთო რომის იმპერიის“ არსებობას და გერმანელ ერს წაართვა შესაძლებლობა, ყოფილიყო რომის იმპერიის მემკვიდრე, გერმანიამ დაკარგა იმპერატორი და იმპერია, გადაიქცა დაქუცმაცებულ ქვეყანად. ქვეყანა იმდენად იყო დანაწევრებული, რომ მოკავშირეთა მიერ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ვენის კონგრესზე შეკრებილ ლიდერთა შორის თვით დამარცხებულ საფრანგეთს უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდა, ვიდრე გერმანიის დანაწევრებულ სახელმწიფოებს. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ევროპის გადანაწილების პროცესში გერმანია არ მონაწილეობდა აქტიურად და მას შედეგად არანაირი სარგებელი არ მიუღია. სწორედ ამან გამოიწვია ქვეყანაში ნაციონალური სულისკვეთების გაღვივება და ისეთი ნაციონალური კავშირის შექმნა, როგორც იყო პანგერმანული კავშირი. ამ კავშირმა უდიდესი ზეგავლენა იქონია მოსახლეობის ფართო მასებზე. პანგერმანული სახელმწიფოს იდეოლოგიას ძირითადად წარმოადგენდნენ კონსერვატორული და ნაციონალ-ლიბერალური მემარჯვენე ძალები. მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე საგარეო ურთიერთობებს გერმანიაში ბისმარკი აბალანსებდა, რათა გერმანიის ამბიციები არ გადაზრდილიყო ძლიერ სახელმწიფოებთან ომში. გახდა ამისა, ბისმარკის დიპლომატიური ნიჭის წყალობით გერმანიამ დროებით მონინავე პოზიცია დაიკავა ევროპაში, როცა 1881 წელს შეიკრა „სამ იმპერატორთა კავშირი“. როცა რუსეთმა, ავსტრიამ და გერმანიამ აიღეს ვალდებულება, ერთობლივი შეთანხმებით გამოსულიყვნენ ბალკანეთის საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ 1887 წელს ეს კავშირი დაიშალა, მან გერმანიასა და რუსეთს შორის ერგვარად გაამყარა ურთიერთობები. დაბალანსების პოლიტიკას ირჩევდა ბისმარკი ბრიტანეთთანაც. ამ ქვეყნებთან ურთიერთობის დაბალანსებით გერმანიამ მოუსპო საფრანგეთს რევანშისტული თავდასხმის შესაძლებლობა. დაბალანსების პოლიტიკა შეიცვალა 90-იანი წლებიდან, როცა 1888 წელს ტახტზე ავიდა ახალგაზრდა იმერატორი ვილჰელმ მეორე. მას და მის გენერალურ შტაბს არ მოსწონდათ ბისმარკის დაბალანსების პოლიტიკა, ვერ ეგუებოდა ბისმარკის მიერ სამეფო ძალაუფლების კონტროლს. სამხედრო ელიტაში კაიზერმა მალევე გამონახა მოკავშირეები, რომლებიც რადიკალურად იყვნენ განწყობილნი და ომში ხედავდნენ გერმანიის პრივილეგიების მოპოვების საფუძველს. ვილჰელმ მეორემ უარი უთხრა რუსეთს საიდუმლო შეთანხმების ვადის გაგრძელებაზე. ახალ მონარქს ურთიერთობები დაეძაბა ბრიტანეთთანაც. პირველი ბზარი გაჩნდა 1892 წელს თურქეთის გამო, როცა ბრიტანეთის ხელისუფლებაში ლიბერალები მოვიდნენ. გერმანიიდან მოვიდა ულტიმატუმი, რომ ინგლისს შეენწყვიტა კონკურენცია გერმანიასთან სარკინიგზო კონცესიებზე თურქეთში. ბრიტანეთთან შემდეგი დაპირისპირების მიზეზი სამხრეთაფრიკული ტერიტორიები იყო. კაიზერმა გადაწყვიტა ტრანსვაალის რესპუბლიკაზე (სამხრეთ აფრიკა) პროტექტორატის გავრცელება. როცა კანცლერმა გოგენლოემ კაიზერს უთხრა, რომ ეს ინგლისთან საომარ ვითარებას გამოიწვევდა, მან უპასუხა: „დიახ, მაგრამ

დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



მხოლოდ ხმელეთზე“. ორივე მხარეს დაიწყო მღელვარების გენერირება. გერმანია თვლიდა, რომ ბრიტანეთს ბევრი კოლონია ჰქონდა და გერმანიასაც უნდა მიეღო შესაძლებლობა, ჰქონოდა კოლონიები. შეიქმნა ურთიერთობების კრიზისი. გერმანიამ შესთავაზა რუსეთსა და საფრანგეთს, კოალიცია შეეკრათ ბრიტანეთის წინააღმდეგ, მაგრამ უარი მიიღო. ვილჰელმმა მარტომ ვერ გაბედა ბრიტანეთთან საომარი მოქმედების გაჩაღება. მიუხედავად იმისა, რომ ანტიბრიტანული კოალიციის შეკვრა ვერ მოახერხა, გერმანიამ სწრაფი ტემპით დაიწყო საზღვაო შეიარაღების გაძლიერება, რათა ბრიტანეთთან თანაფარდობისთვის მიეღწია. კაიზერის საომარმა განცხადებებმა, საომარმა პროპაგანდამ და ქმედებებმა ევროპაში დენტის სუნი დაატრიალა.<sup>186</sup>

მას შემდეგ, რაც საფრანგეთი და რუსეთი გერმანიამ ვერ ჩაითრია ბრიტანეთის წინააღმდეგ კოალიციაში, კაიზერმა დაიწყო მოქმედება საფრანგეთის წინააღმდეგ მაროკოში, სადაც საფრანგეთს დიდი ხანია ჰქონდა საკუთარი ინტერესები. თავისი აგრესიული, უხეში პოლიტიკის ნყალობით გერმანიამ ხელი შეუწყო ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ არც თუ ისე თბილი ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან. გერმანია მხოლოდ ავსტრიის იმედად დარჩა. გერმანიის ბედისწერა ასეთი იყო: ის საკუთრი ხელით უნდა დაღუპულიყო. დაძაბულობა უკიდურესად გამწვავდა 1908 წელს ბალკანეთზე, როცა თურქეთის რევოლუციით ისარგებლა ავსტრიამ და გამოაცხადა ბოსნია-ჰერცეგოვინიის ანექსიის შესახებ, რითაც ბალკანეთში რუსეთის ინტერესებს მიაყენა დარტყმა. რუსეთის მთავარი მიზანი კი ბალკანეთზე კონტროლის აღდგენა იყო და გზებს ეძებდა ამ მიზნის მისაღწევად. ამიტომ რუსეთმა მუშაობა დაიწყო რუმინეთის გადმოსაბირებლად, რითიც ცდილობდა ახალი ბალკანეთის კავშირის შექმნას. ამას მწვავედ აღიქვამდა ავსტრია. სიტუაცია დღითი დღე მწვავედებოდა უკვე ყოველი მხრიდან. „ომის პარტიის“ გავლენა გერმანიაში იმდენად დიდი იყო, რომ ისინი იმუქრებოდნენ კიდევ, რომ კაიზერის გადაყენებას მოითხოვდნენ, თუკი ის ამ პარტიას ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა.<sup>187</sup>

ერთი სიტყვით, მსოფლიო დაიწყო ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკად: რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთის რესპუბლიკა, ბრიტანეთი გაერთიანდნენ ანტანტის კავშირში და მეორე ბანაკი: გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთის იმპერია და ბულგარეთი. მართალია, გერმანია იყო ყველაზე მეტად მოწადინებული ომის დაწყებაში და აგრესიულად გამოხატავდა კიდევაც ამ სურვილს, მაგრამ მასზე ნაკლებად არც სხვა ქვეყნებს უნდოდათ ომის დაწყება. მაგალითად, საფრანგეთს რევანშის წყურვილი აწუხებდა იმ მარცხის გამო, რომელიც იწვნია 1871 წელს გერმანიასთან ომის შედეგად. ფრანკფურტის ზავით მას გერმანიამ წაართვა ელზასი და ლოთარინგია. გარდა ამისა, საფრანგეთს 5 მილიარდი ფრანკის გადახდა დაეკისრა, რომელმაც გერმანიის ეკონომიკის აღორძინებას ჩაუყარა საფუძველი. ეს ნაციონალური სირცხვილი და დამცირება საფრანგეთს აწუხებდა და 1914 წლისთვის უკვე ყველა იზიარებდა ამ იდეას: ფრანგი სოციალისტებიც, მონარქისტებიც და ცენტრისტებიც. ყველა ამ პარტიას აერთიანებდა გერმანიაზე შურისძიებისა და ელზასისა და ლოთარინგიის დაბრუნების წყურვილი. არც ბრიტანეთს მოსწონდა გერმანიის ეკონომიკური გაძლიერება და ევროპაში დომინირების სურვილი. 1890 წელს გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტი პირველ ადგილზე გავიდა და ბრიტანეთსაც კი გაუსწრო, (ბოლო რამდენიმე ასეული წლის მანძილზე მუდმივად ბრიტანეთი იყო) რის შგუებასაც ეს უკანასკნელი არ აპირებდა და ცდილობდა თავისი ადგილის დაბრუნებას. რუსეთისთვის მთავარი თემა ბალკანეთის საკითხი იყო, სადაც სლავური ერები მრავლად ცხოვრობდნენ. მე-19 საუკუნეში პანსლავური იდეის მოტივით რუსეთ-თურქეთის ომები იმართებოდა. ეს

<sup>186</sup> Бэзил Лиддел Гарт «История Первой мировой войны» 2014 -გვ 8

<sup>187</sup> Бэзил Лиддел Гарт «История Первой мировой войны» 2014 -გვ 14

საკითხი მე-20 საუკუნეშიც აქტუალური იყო. რუსეთისთვის მთავარი მიზანი იყო კონსტანტინეპოლის აღება და წმინდა სოფიას ტაძარზე ჯვრის აღმართვა, რაც გადაჭრიდა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაზე გასვლის საკითხსაც. ამ მიზნების განხორციელებაში რუსეთს გერმანია უშლიდა ხელს. ომის დაწყების ფორმალური საბაბი გახდა 1914 წელს სერბი ნაციონალისტების მიერ სარაევოში ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის ფრანც ფერდინანდის მკვლელობა სარაევოში.<sup>188</sup>

ფორმალური იმიტომ, რომ მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ომის მთავარ მიზეზებთან. ფრანც ფერდინანდის მკვლელობამდე მოკლეს რუსეთის იმპერატორი ალესანდრე მეორე, 1881 წელს აშშ-ს პრეზიდენტი გარფილდი, 1901 წელს მაკ-კინლი, 1894 წელს საფრანგეთის პრეზიდენტი მარი ფრანსუა კარნო, 1900 წელს იტალიის მეფე უმბერტო, 1911 წელს პრემიერ მინისტრი სტოლიპინი, თუმცა არც ერთი ამ საქმის გამო ომი არ დაწყებულა, მითუმეტეს მსოფლიო მასშტაბის. 1903 წელს ბალკანეთში რადიკალური დაჯგუფების წევრებმა მოკლეს სერბეთის მეფე ალესანდრე მეუღლესთან ერთად, მისი ძმები და მინისტრები (ამ მკვლელებიდან ზოგიერთი მონაწილეობდა ფრანც ფერდინანდის მკვლელობაში). ამ მკვლელობაზე ყველამ თვალი დახუჭა. მსოფლიო ომი დაიწყო არა უბრალოდ მონარქთა უთანხმოების ან ტერაქტების გამო, არამედ მისი მიზეზები მწიფდებოდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ტექნიკურმა პროგრესმა და ინდუსტრიულმა რევოლუციამ ხელი შეუწყო ეკონომიკის განვითარებას, რასაც მოჰყვა წამყვანი ქვეყნების შიში არ ჩამორჩენოდნენ ამ განვითარების ტემპს. ყირიმისა და საფრანგეთ-პრუსიის ომებმა ნათელი გახადეს, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ომში დამარცხებას: ასეულობით ათასი მოქალაქის დაკარგვა, ნაციონალური დამცირება და პოლიტიკური წონის დაცემა რამდენიმე ათეული წლით, კონტრიბუციები.<sup>189</sup>

1918 წელს ომი ანტანტის გამარჯვებით დასრულდა. ომის შედეგად ელზასი და ლოტარინგია საფრანგეთს დაუბრუნდა, ანტატამ დაიკავა რეინის მარცხენა სანაპირო. 1919 წელს ხელი მოეწერა პარიზის საზავო ხელშეკრულებას. გერმანიას აეკრძალა წყალქვეშა ფლოტის ყოლა, თანამედროვე იარაღის წარმოება და ფლობა, დაეკისრა რეპარაციების გადახდა საფრანგეთის სასარგებლოდ, რომელიც სამწლიანი კამათის შემდეგ 132 მილიარდი ოქროს მარკის ოდენობით განისაზღვრა. გერმანია გამოცხადდა ერთადერთ დამნაშავე ქვეყანად ომში. 1919 წლის ვერსალის საზავო ხელშეკრულება კატასტროფული იყო გერმანიისთვის. ვაიმარის რესპუბლიკის 14-წლიანი არსებობის პერიოდში ყველა პოლიტიკური ძალა მიზნად ისახავდა ვერსალის ხელშეკრულების გადახედვას. გერმანელები არ აღიარებდნენ აღმოსავლეთ საზღვრებს, რადგან გერმანიის ტერიტორია და გერმანელი ერი რამდენიმე ნაწილად გაიყო: ნაწილი დარჩა რეიხში, გერმანიაში, ნაწილი – ჩეხოსლოვაკეთში, ნაწილი – პოლონეთში და იმისთვის, რომ დაებრუნებინათ ნაციონალური ღირსება, საჭირო იყო გერმანელი ერის გაერთიანება. ეს მიზანი ედო საფუძვლად ნაციონალ-სოციალისტების, სოციალ-დემოკრატების, ზომიერი კონსერვატორებისა თუ სხვა ძალების პოლიტიკურ ლოზუნგებს. ნაციონალურ კატასტროფად იქცა ომში დამარცხება ავსტრია-უნგრეთისთვისაც, რამაც გამოიწვია მრავალნაციონალური ჰაბსბურგთა იმპერიის ნგრევა. მათ ადგილას წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები: ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, სერბეთის, ხორვატებისა და სლოვენების. თუმცა ტერიტორიული პრეტენზიები ახალ სახელმწიფოებს შორის კვლავ პრობლემად რჩებოდა. ყველა თვლიდა, რომ პირველი მსოფლიო ომი გადაწყვეტდა პრობლემებს, თუმცა პირიქით მოხდა, არსებული- გაღრმავდა და შექმნა ახალი პრობლემები.<sup>190</sup>

<sup>188</sup> Бэзил Лиддел Гарт «История Первой мировой войны» 2014 -480

<sup>189</sup> Е. Белаш \_ Мифы Первой мировой -2012 გვ. 7

<sup>190</sup> Н. W. Wilson, The War Guilt (1928) გვ 245

## პოლიტიკის გავლენა პირველ მსოფლიო ომზე:

ომის დაწყების პერიოდისთვის გერმანია გაერთიებული იყო პრუსიის მონარქიის ქვეშ. მონარქიამ და იუნკერებმა დიდი კვალი დატოვეს იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და სახელმწიფოებრივ მოწყობაზე. მიუხედავად იმისა, რომ რეიხსტაგში ყველაზე მეტ ადგილს სოციალ-დემოკრატები ფლობდნენ, რეალურად მონაქრისტული ძალები და კონსერვატორ-იუნკერები აკონტროლებდნენ სიტუაციას ქვეყანაში. ბისმარკი თავისი 20 წლიანი კანცლერობის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა იუნკერთა კლასის ხელში ხელისუფლების კონცენტრაციის გაძლიერებისთვის. უფრო მეტიც საიმპერიო კონსტიტუციაც უზრუნველყოფდა იუნკერთა კლასის მთავარი როლის შენარჩუნებას. სწორედ მათი ხელშეწყობით დაიწყო გერმანიის გაძლიერებული მილიტარიზაციის პროცესი. არმიის სიძლიერეში ხედავდნენ იუნკერთა პოლიტიკური კლასი და ბურჟუაზია თავისი გაბატონებული ინტერესების გარანტიას. იუნკერები გაერთიანებულები იყვნენ კონსერვატორებთან. მოგვინებით კონსერვატორებს გამოეყვნენ „თავისუფალი კონსერვატორები,“ რომელსაც საიმპერიო პარტისაც უწოდებდნენ, რადგანაც იმპერიის ინტერესებს ემსახურებდნენ და მიუხედავად რიცხოვრივი სიმცირისა, მათ დიდი გავლენა ქონდათ გერმანიის პოლიტიკაზე. მათი ძირითადი ბირთვი იყო იუნკერები და უმსხვილესი მენარმეები. სწორედ ამ ძალებმა შეუწყო ხელი გერმანიაში პანგერმანიზმის გაძლიერებას და შოვინისტური ნაციონალური მიმდინარეობის გაძლიერებას, რამაც საბოლოოდ ომის დაწყებას შეუწყო ხელი.<sup>191</sup>

ზოგიერთი ისტორიკოსი, მაგალიად ფრიც ფიშერი თვლიდა, რომ პირველი მსოფლიო ომი იყო ერთმნიშვნელოვნად კონსერვატორ-იუნკერთა სტრატეგიის შედეგი.<sup>192</sup>

სოციალ-დემოკრატები უმსხვილესი პარტია იყო პირველი მსოფლიო ომის დაწყების პერიოდისთვის და ამასთან პირველი მონინაალმდევე საიმპერიო პარტის, ამ პერიოდისთვის ისინი იკავებდნენ რაიხსტაგში ადგილების 34 პროცენტს და რიცხოვრივად ისინი რამდენჯერმე აჭარბებდნენ საიმპერიო ძალებს საკანონდებლო ორგანოში. თუმცა, სოცლიალ დემორკატებს, რომლებიც ენინაალდდეგებდნენ ომის დაწყებას და მიტინგებსაც აანონსებდნენ ომის წინააღმდეგ, სარაევოს გასროლიდან რამდენიმე დღეში პოზიციის შეცვლა მოუწიათ, რადგანაც მოსახლეობაში პატრიოტული სულისკვეთება მეტად მაღალი იყო და 3 აგვისტოს ომისთვის კრედიტების გამოყოფას დაუჭირეს მხარი. მიუხედავად კრედიტების მხარდაჭერისა, 1919 წელს ისინი გერმანიაში ნოემბრის რევოლუციის მთავარი ფიგურანტები გახდნენ და იმპერიის დასრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს, შედეგად ხელისუფლებაშიც მოვიდნენ და ვაიმარის რესპუბლიკა დამკვიდრეს.<sup>193</sup>

რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკურ ძალებს, ომის დაწყების პერიოდისთვის თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. ნიკოლოზ მეორის მიერ გამოცემულ მანიფესტში გაჟღერდა მონოდებები ნაციონალური ერთიანობისკენ. კონსერვატორულმა და ლიბერალურმა ბანაკებმა ერთიანი პოზიცია დაიკავეს: „ომი გამარჯვებამდე“. „კონსტიტუციურ დემოკრატიულმა“ (კადეტები) პარტიამ მხარი დაუჭირა ხელისუფლებას. 1914 წელს მათ განაცხადეს: „ამ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვართ, არ ვაყენებთ რაიმე პირობებს და მოთხოვნებს მთავრობის წინაშე, ჩვენ უბრალოდ ბრძოლის სასწორზე ვდებთ ჩვენს ურყევ ნებას მოძალადის დასამარცხებლად.“ მშრომელთა დიდი უმრავლესობა ასევე მზად იყო, დროებით გადაედოთ თავიანთი პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ გერმანიული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში. მხოლოდ სოციალისტურ მემარცხენე ორიენტაციის პარტიებს არ ჰქონდათ ერთიანი პოზიცია. მენშევიკების უმეტესობა მხარს უჭერდა პატრიოტულ პოზიციას. „სოციალ-დემოკრატების“

<sup>191</sup> <http://historic.ru/books/item/f00/s00/z0000152/st006.shtml>

<sup>192</sup> <https://archive.org/details/FischerFritzGermanysAimsInTheFirstWorldWar/page/n4/mode/2up>

<sup>193</sup> <https://moluch.ru/archive/114/30272/>



გამორჩეული ლიდერი პლენანოვი მოუწოდებდა გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. თუმცა გარკვეული ნაწილი ომის წინააღმდეგი იყო მაგ. „სოციალისტ-რევოლუციონერების“, იგივე „ესერების“ ნაწილის პოზიცია აღიქმებოდა როგორც ინტერნაციონალისტური და ეწინააღმდეგებოდა ომს, მათი მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ გერმანიისა და ავსტრიის გამარჯვება გაამყარებდა მათ იმპერიალისტურ პოზიციებს და ხელს შეუშლიდა რუსეთის განვითარებას, ინგლის-საფრანგეთის გამარჯვება კი, პირიქით-ხელს შეუწყობდა. ამიტომაც ომში რუსეთის მონაწილეობა საჭირო იყო გერმანია-ავსტრიის დასამარცხებლად.

ბოლშევიკური პარტია ერთადერთი იყო, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ აკრიტიკებდა რუსეთის ომში მონაწილეობას. მათი ლიდერის ლენინის სურვილი იყო იმპერიალისტური ომი გადაზრდილიყო სამოქალაქო ომში. მას ომში რუსეთის იმპერიის დამარცხება სურდა, რათა შემდეგ მონარქიაც ადვილად დაემარცხებინათ და დაემყარებინა პროლეტარიატის დიქტატურა. ამის გამო სხვა პარტიები ბრალს სდებდნენ ლენინს ნაციონალური ინტერესების ღალატში. ლენინი და ტროცკი არც უარყოფდნენ, რომ მათ საომარი კრიზისის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება სურდათ. ლენინი ღიად მოუწოდებდა ბოლშევიკებს, ყველანაირად შეენყოთ ხელი გერმანიასთან ომში საკუთარი ხელისუფლების დამარცხებისათვის. ლენინ-ტროცკის ლოგიკა მარტივი იყო: ჩვენ არ ვვაჭრობთ ტერიტორიების გამო, რადგანაც მსოფლიო რევოლუცია მაინც გაიმარჯვებს.<sup>194</sup>

ბურჟუაზიული, არაპროლეტარული პარტიები ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ. ბუნებრივია, ომში დამარცხება მათ კარგს არაფერს მოუტანდა, ამიტომაც ეს პარტიები ომის გაგრძელებას უჭერდნენ მხარს. ბურჟუაზიული ინტერესების გამომხატველი პარტიები მოსახლეობის უმცირესობის ინტერესებს გამოხატავდნენ, ამიტომაც მათ ფართო მასებსა და არმიაზე, რომელიც იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში, გავლენა არ ჰქონდათ, რადგანაც არმიის ძირითადი შემადგენლობა მოსახლეობის დაბალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. არმიაზე გავლენას ვერც ესერები და მენშევიკები ახდენდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, არც მათი ლოზუნგი – „ომი გამარჯვებამდე“ იყო პოპულარული. ჯარის დიდი შემადგენლობა ვერ ერკვეოდა პოლიტიკური პარტიების იდეებში, 1916 წლისთვის ომისგან დაღლილი და გაუბედურებული ჯარისკაცები მზად იყვნენ, მხარი დაეჭირათ მხოლოდ იმ პარტიისთვის, რომელიც ომიდან რუსეთის გამოსვლას დაუჭერდა მხარს. ასეთი პოლიტიკური ძალა კი ბოლშევიკები იყვნენ. გარდა ამისა, ბოლშევიკები იყვნენ ერთადერთი ძალა, რომელიც მენშევიკებისგან, კადეტებისა და ესრებისაგან განსხვავებით, ეწეოდნენ ძლიერ პროპაგანდისტულ საქმიონებას როგორც მოსახლეობაში, ისე არმიაში. ამას ახერხებდნენ იმ საჯარისო შემადგენლობის მეშვეობით, რომლებიც, როგორც რეპრესიებულები, იძულებით იყვნენ გაგზავნილები ომში სამეფო ხელისუფლების მიერ. ბოლშევიკების იდეები და ლოზუნგები პოპულარული იყო ჯარისკაცებისთვის. სწორედ ასეთმა იდეოლოგიურმა მუშაობამ უზრუნველყო ის, რომ თებერვლის მოვლენების დროს არმია ხალხის მხარეს გადავიდა. საბოლოოდ კი რუსეთის დამარცხებულად გამოიყვანა ომიდან.<sup>195</sup>

ბრიტანეთს რაც შეეხება, გერმანელებისაგან განსხვავებით, ბრიტანულმა მოსახლეობამ იცოდა, რომ ომი „რამდენიმე კვირაში“ ვერ დასრულდებოდა. ისინი კარგად აანალიზებდნენ სისხლვისღვრის მასშტაბებს და ომის საზარელ შედეგებს მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. ომამდე ისინი გერმანელებს თვლიდნენ ცივილურ ადამიანებად, გერმანია მათთან ასოცირდებოდა ხელოვნებასთან, მუსიკასთან, ფილოსოფიასთან, მოგვინებით

<sup>194</sup> <https://zapadrus.su/2012-04-11-14-59-43/2014-g/1-mirovaya-vozvrashchenie-pamyati/1097-politicheskie-partii-v-rossijskoj-imperii-v-gody-pervoj-mirovoj-vojny.html>

<sup>195</sup> Шайпак Леонид Александрович \_ Политические партии России и армия в годы Первой мировой войны. 143



წარმოებასთან, თუმცა მე-20 საუკუნეში პანგერმანულმა იდეებმა, ომის დაწყებისთანავე მათ მიერ გამოჩენილმა სისასტიკემ და სამხედრო დანაშაულებებმა გერმანელთა მიმართ ბრიტანული მოსახლეობის შეხედულებები შეცვალა. პირველი მსოფლიო ომის ზღვარზე ბრიტანეთის ორი უმთავრესი პარტია – ლიბერალები და კონსერვატორები, რომლებიც დიდი ხანია ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, პოლიტიკური თანასწორობის პირას აღმოჩნდნენ, მაგალითად, 1910 წლისთვის ლიბერალებს პარლამენტში მათ მოწინააღმდეგეზე მხოლოდ ერთი ხმით მეტი ჰქონდათ. შესაბამისად, ლიბერალები იძულებულნი გახდნენ, გამოეყენებინათ ლეიბორისტების დახმარება. ლეიბორისტთა და ლიბერალთა რიგებში იყვნენ პაციფისტური მოძრაობის წარმომადგენლები, ასევე რადიკალები – იმპერიის მოწინააღმდეგე დაჯგუფებებიც, მაგალითად, „პატარა ინგლისელები“ და სხვა ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებიც ევროპულ კონფლიქტებში ბრიტანეთის ჩართვის წინააღმდეგნი იყვნენ. მინისტრთა ნაწილიც კი ასეთ პოზიციაზე იყო. დიდი გავლენა ჰქონდა პარლამენტსა და მთავრობაში ფრაქცია „ლიბერალ იმპერიალისტებს“, რომლებიც აქტიური საშინაო პოლიტიკის წარმართვას ანიჭებდნენ უპირატესობას. მათ შორის იყო პრემიერ მინისტრი გერბერტ ასკვიტიც. ერთი სიტყვით, მთავრობაში მრავლად იყვნენ ომის მოწინააღმდეგე ძალები. მთავრობა დაყოფილი იყო 3 ნაწილად: ვისაც დაუყოვნებლივ უნდოდა ომში ჩართვა, იყო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ლიბერალური პარტიის წარმომადგენელი ედუარდ გრეი, (სწორედ მისი აქტიური მონაწილეობით შეიძინა ავსტრია-სერბეთის ლოკალურმა კონფლიქტმა მსოფლიო მასშტაბები) და კონსერვატორი ჩერჩილი. ლიბერალი ჯონ მორლი და სხვა მინისტრები ნეიტრალიტეტის მომხრენი იყვნენ. ფინანსთა მინისტრს – ლოიდ ჯორჯს, პრემიერს – ლიბერალ გერბერტ ასკვიტსა და სავაჭრო საბჭოს თავმჯდომარეს გერბერტ სამუელს თავიანთი პოზიცია ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გაცხადებული. იყო მთავრობის დაშლის მუქარაც, რაც მიზნად ისახავდა ასკვიტის იძულებას, ჩამოეყალიბებინა პოზიცია. გრეი დაიმუქრა, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადებისთანავე გადადგებოდა. იმავეს ამბობდნენ ანტისაომარი იდეის მომხრე მინისტრებიც. ბრიტანეთი სამთავრობო კრიზისის პირას იყო, მაგრამ მთავრობა დაშლას გადაარჩინა გერმანიის უხეშმა პოლიტიკურმა და აგრესიულმა გადაწყვეტილებებმა: პირველი, როცა გერმანიამ უარი თქვა თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაგრძელებაზე ინგლისთან და მეორე, როცა გერმანიის არმია ბელგიის ტერიტორიაზე შეიჭრა. ამ ფაქტორებმა გადააწყვეტინა ლოიდ ჯორჯსა და გერბერტ სამუელს განეცხადებინათ, რომ ბრიტანეთი ვალდებული იყო, დახმარებოდა მცირე ერებს თავიანთი უფლებების დაცვაში. დიდი როლი ითამაშეს სტაბილურობის შენარჩუნებაში კონსერვატორებმა. მათმა ხელმძღვანელმა, ენდრიუ ბონან ლოუმ მიიღო გადაწყვეტილება, ნაციონალური უსაფრთხოების მიზნით მხარი დაეჭირა ლიბერალური მთავრობისათვის, რადგანაც ლიბერალური მთავრობის დაცემა, დაშლა ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში დიდი დარტყმა იქნებოდა ანტანტისათვის და გერმანიის წისქვილზე დაასხამდა წყალს. საბოლოოდ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ომის დაწყების შესახებ. მთავრობა მხოლოდ ორმა მინისტრმა დატოვა. ამგვარად, დროებითი პარტიული დაზავების შედეგად ომის დაწყებას მხარი დაუჭირეს ლიბერალებმაც, კონსერვატორებმაც და ლეიბორისტთა ნაწილმაც.<sup>196</sup>

1915 წელს ლიბერალების მთავრობა ფრონტზე სამხედრო წარუმატებლობის გამო კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. შეიქმნა ახალი კოალიციური მთავრობა, თუმცა ახალიც დიდად არ განსხვავდებოდა ძველისაგან. ძირითადი თანამდებობები კვლავ ლიბერალების ხელში იყო. კონსერვატორებს ერგოთ ნაკლებმნიშვნელოვანი სამინისტროები. განათლების მინისტრობა ლეიბორისტებს მისცეს. ჩერჩილი დროებით ჩამოაშორეს მთავრობას და

<sup>196</sup> БРИТАНСКОЕ ОБЩЕСТВО И ЭЛИТА В ГОДЫ ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ: СОЦИАЛЬНО-ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ  
\_ Адамова Д. П. 18

ლანკასტერების საჰერცოგოს კანცლერობა მიანიჭეს. კონსერვატორები აკრიტიკებდნენ მთავრობას არაეფექტური საომარი პოლიტიკის წარმოებისათვის.<sup>197</sup>

მოსახლეობაში არ იცვლებოდა ომის მიმართ პატრიოტული დამოკიდებულება. პირიქით, მინისტრებს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ გერმანელების თავდასხმებს სათანადო სიმკაცრით ვერ პასუხობდნენ. გაიზარდა ქსენოფობიური დამოკიდებულებები გერმანელების მიმართ. ლოიდ ჯორჯმა თავის სიტყვაში ბრიტანეთის მიზნად გამოაცხადა „ომი გამარჯვებამდე“ („to a knock-out“)<sup>198</sup>. თვით ლოიდ ჯორჯი ჩაუდგა სათავეში შეიარაღების სამინისტროს, რომელსაც მთავარი როლი უნდა ეთამაშა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებაში. მან ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე გადაიყვანა. 1916 წლის დეკემბერში შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელშიც წამყვანი როლი, გარდა პრემიერისა, ეკავათ კონსერვატორებს. პრემიერად აირჩიეს ლოიდ ჯორჯი. მთავრობა დაემსგავსა სამხედრო ტიპის კომიტეტს, რომელიც, განსხვავებით წინა ლიბერალების მთავრობისაგან, ყოველდღე იკრიბებოდა. 1917 წელს მთავრობაში სამხედრო მინისტრად დაბრუნდა უინსტონ ჩერჩილიც.<sup>199</sup>

ფაქტობრივად ახალმა კოალიციურმა მთავრობამ აჩვენა წინა, ლიბერალური, მთავრობის სისუსტე. ომმა გამოავლინა ძველი მმართველობის არაეფექტურობა. ლიბერალური მმართველობის სისუსტემ, რომელმაც თავი ვერ გაართვა საომარ კრიზისს, ისე შეურყია „ლიბერალურ პარტიას“ ავტორიტეტი, ლიბერალური კურსი ისე იყო დისკრედიტებული, რომ ომის დასრულებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში ლიბერალებმა დაკარგეს ხელისუფლების სადავეები. ხოლო კონსერვატორებმა პოპულარობა მოიპოვეს და გამარჯვებამდე მიიყვანეს ქვეყანა.<sup>200</sup>

ომის ზღვარზე საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება გამოირჩეოდა მზარდი მილიტარისტული განწყობით, რაც რევანშის გრძნობით იყო განპირობებული. ქვეყანა სწრაფი ტემპებით აძლიერებდა სამხედრო პოტენციალს. ნაციონალიზმის იდეით იყო გამსჭვალული მთელი საზოგადოება. პოლიტიკურ წრეებში ომისთვის ემზადებოდნენ, აძლიერებდნენ კავშირებს ანტანტასთან. 1913 წლიდან სისტემატური ხასიათი მიიღო სამხედრო თანამშრომლობამ ბრიტანეთთან. მხარეები ატარებდნენ საერთო სამხედრო მანევრებსა და წვრთნებს. ფრანგები მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ რუსეთთან. „მემარჯვენე დემოკრატიული ალიანსის“ წარმომადგენელი რაიმონ პუანკარე სამჯერ იყო პეტერბურგში ჯერ როგორც მთავრობის წარმომადგენელი, მოგვიანებით უკვე ქვეყნის პრეზიდენტის რანგში. რევანშიზმის წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ „სოციალისტების“ ნაწილი. ამის გამო სოციალისტების ლიდერი ჟან ჟოზეფი დაადანაშაულეს ანტიპატრიოტიზმში, 1914 წელს კი ნაციონალისტებმა მოკლეს. ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნება წარმოადგენდა საფრანგეთის მთავარ მიზანს. გამარჯვება საფრანგეთს ძვირად დაუჯდა. უდიდესი ზიანი მიაღდა მის ეკონომიკას, დაიღუპა მილიონზე მეტი ადამიანი. მოიშალა სოფლის მეურნეობა, იყო ინფლაცია,<sup>201</sup>

რაც შეეხება იტალიას, აქ ომის მომხრე და მოწინააღმდეგე პარტიებს შორის დაპირისპირებაში გაიმარჯვეს ომის მოწინააღმდეგეებმა „კათოლიკურმა პარტიამ“, მსხვილმა მენარმეებმა და ჯოლიტიმ, რომელიც მემერცხენე ლიბერალურ პარტიას წარმოადგენდა და იტალიამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ის პოლიტიკური

<sup>197</sup> იქვე

<sup>198</sup> იქვე

<sup>199</sup> БРИТАНСКОЕ ОБЩЕСТВО И ЭЛИТА В ГОДЫ ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ: СОЦИАЛЬНО-ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ \_ Адамова Д. П. 18

<sup>200</sup> იქვე 84

<sup>201</sup> Арзаканян М.Ц., Политическая история Франции XX века: Учеб. пособие/М.Ц. Арзаканян. — М.: Высш. шк. 2003 გვ.5-17

ძალები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ახდენდნენ და იყვნენ ომში მონაწილეობის მომხრენი, მოახერხეს ზენოლის განხორციელება და სახელისუფლებო ძალები აიძულეს ნეიტრალიტეტის პოზიცია შეეცვალათ, მაგალითად, ნაციონალისტებს, სოციალისტების ნაწილს, რომელსაც მუსოლინი ხელმძღვანელობდა, ომი სურდათ. ნაციონალისტებისთვის მთავარი იყო, ომი დაწყებულიყო და ვის მხარეს იბრძოლებდნენ, ამას დიდი მნიშვნელობა მათთვის არ ჰქონდა. ახალმა პრემიერმა ანტონიო სალანდრამ საფრანგეთისა და ბრიტანეთის მხარეს ბრძოლას მიანიჭა უპირატესობა. 1915 წელს იტალიამ ომი გამოუცხადა ავსტრიას. იტალიის *სოციალისტური პარტია ერთადერთი იყო დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან, რომელიც გამოდიოდა ომის სანინააღმდეგო ლოზუნგებით. მათ საკუთარი პარტიის რიგებიდან გარიცხეს მუსოლინი, რომელმაც ომის მომხრეთა პოზიცია დაიჭირა. ის გათავისუფლდა სოციალისტების მთავარი პარტიული გაზეთის „ლავანტის“ რედაქტორის თანამდებობიდანაც.*<sup>202</sup>

აშშ-ში 1912 წლის 5 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნებზე პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში იმარჯვებდა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ვილსონმა, რომელმაც 6.3 მილიონი ხმა მიიღო რუზველტის 4.1 მილიონი ხმის საპირწონედ. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ნაციონალური ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება შეარყია. დემოკრატების ადმინისტრაციამ თავისი დამოკიდებულება ომის დაწყებისთანავე გამოხატა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყანა დარჩებოდა ნეიტრალური როგორც დეიურე, ისე დე ფაქტო კონფლიქტის დასრულებამდე. ნეიტრალიტეტის პოლიტიკა რეალურად ასახავდა აშშ-ის მონოპოლისტური წრეების იმდროინდელ განწყობას, რომლებიც თვლიდნენ, რომ იმ პირობებში, როცა მსოფლიოს სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩართულნი იყვნენ სასტიკ ომში, მათ არ შეეძლოთ ხელი შეეშალათ ამერიკული კაპიტალის პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიისათვის უცხოეთში. თუმცა უმაღლესი პოლიტიკური და ეკონომიკური წრეები უპირატესობას ანტანტას ანიჭებდნენ, რადგან გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში დიდი საშიშროება იყო იმისა, რომ ისინი ვერ დაიბრუნებდნენ მოკავშირეთათვის გაცემულ მრავალმილიონიან სესხებს, მათი ძირითადი მიზანი იყო, დალოდებოდნენ, როდის გამოეცლებოდათ ძალები მეომარ მხარეებს და შემდეგ მოეხდინათ გავლენა ომის მსვლელობაზე, ასევე მიეღოთ პოლიტიკური და ეკონომიკური გამორჩენა. პირველ ხანებში ვუდრო ვილსონმა (დემოკრატიული პარტია) უარი განაცხადა მეომარი მხარეებისათვის რაიმე სახის კრედიტების დამატებაზე, რათა ეს არ აღქმულიყო რომელიმე ქვეყნის მხარდაჭერად. ფინანსური ელიტის წარმომადგენლებს ეს არ მოეწონათ, რადგან ამით დივიდენდები ეკარგებოდათ. ამიტომ თანდათან მკაცრი ნეიტრალიტეტის პოზიცია შეიცვალა. 1915 წლიდან სამხედრო დაკვეთებმა ამერიკის ეკონომიკა საგრძნობლად გაზარდა. მსხვილი კაპიტალის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა ვილსონის ადმინისტრაციაზე უფრო და უფრო მზარდი იყო. 1916 წელს მორიგ არჩევნებში პრეზიდენტი კვლავ ვილსონი გახდა. 1915 წლის მოვლენებმა ამერიკის ომში ჩართვა დააჩქარა: გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა ინგლისური სამგზავრო გემი ლუზიტანია. დაღუპული მგზავრიდან 124 ამერიკის მოქალაქე იყო. ამ ფაქტს ამერიკის მკაცრი რეაქცია მოჰყვა. მიუხედავად გაფრთხილებისა, გერმანიამ კიდევ ჩაძირა რამდენიმე ამერიკული ხომალდი. სინამდვილეში ეს იყო ომში ჩართვის მხოლოდ ერთ ერთი საბაბი, რეალური მიზეზი კი ამერიკის როლის წარმოჩენის სურვილი იყო საერთაშორისო არენაზე, როგორც ომის მონაწილისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ომის დასრულების შემდეგ.<sup>203</sup>

შემდეგი ფორმალური მიზეზი იყო ამერიკის წინააღმდეგ 1917 წლის პირველ თებერვალს გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით დაწყებული შეუზღუ-

<sup>202</sup> [https://w.histrf.ru/articles/article/show/italianskaia\\_sotsialistichieskaia\\_partiia](https://w.histrf.ru/articles/article/show/italianskaia_sotsialistichieskaia_partiia)

<sup>203</sup> Иванян Э.А История США 2004 г. -336-



დავი წყალქვეშა ომი, რაც ღია აგრესიას ნიშნავდა ყველა სახელმწიფოს მიმართ. სწორედ ეს ფაქტი დასახელდა ამერიკის ომში ჩართვის ოფიციალურ მიზეზად.<sup>204</sup> ომის დასრულების შემდგომ ამ პერიოდში პოლიტიკური პარტიებს დიდი როლი ეკისრებოდათ ევროპის კონტინენტზე პოლიტიკის წარმართვაში. ისინი უზრუნველყოფდნენ პოლიტიკურ პროცესებში ამომრჩეველთა ინტეგრაციას, იმ იდეების გენერირებას, რომლებსაც სახელმწიფო ატარებდა მთავრობის საქმიანობაში.

პოლიტიკური პარტიები დაყოფილი იყო, უმეტესად, 2 ძირითად – ლიბერალურ და კონსერვატორულ მიმართულებებად. რა თქმა უნდა, დასახელებები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი იყო, თუმცა არსი ამ მიმდინარეობებისა ყველგან იყო ლიბერალური და კონსერვატორული ტიპის. მიმდინარეობისა და პარტიის დასახელება მხოლოდ ინგლისში იყო იდენტური – ლიბერალური მიმდინარეობას „ლიბერალური პარტია“ წარმართვდა, ხოლო – კონსერვატორულს, „კონსერვატორული პარტია.“ აშშ-ში ამ ფუნქციებს ასრულებდნენ „დემოკრატიული“ და „რესპუბლიკური პარტიები;“ გერმანიაში კონსერვატორულ მიმდინარეობას კონსერვატორები წარმოადგენდნენ, ლიბერალებს კი – „ნაციონალ-ლიბერალები,“ კათოლიკური „ცენტრი“ და „პროგრესივისტები;“ საფრანგეთში კონსერვატორულ ფრთას წარმოადგენდნენ „მემარჯვენე რესპუბლიკელები“ და „ნაციონალისტები“, ხოლო ლიბერალურს – „რადიკალები“ და „მემარცხენე რესპუბლიკელები“. საზოგადოების განვითარების ახალი იმპულსების მაგენერირებლები იყვნენ ლიბერალები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ახალი იდეების თანდართანობით განვითარებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კონსერვატორები, პირიქით, ცვლილებების ტემპების შეყოვნებას, ევოლუციური გზის დამკვიდრებას, მემკვიდრეობის შენარჩუნებას ცდილობდნენ. კონსერვატორული მიდგომა ისტორიის განვითარების იმ ეტაპზე, როცა წამყვანი სახელმწიფოები გადავიდნენ ინდუსტრიული პროგრესის ეპოქაში, უკვე შემაფერხებელი იყო, რადგანაც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მოძველებულ მეთოდებს უჭერდნენ მხარს. პოლიტიკურ ასპარეზზე მაშინ მყოფი პარტიები ნელ-ნელა ქმნიდნენ ახალ მიდგომებს, რომლებსაც ფეხი უნდა აეწყო ინდუსტრიული საზოგადოებისთვის. ამ ორ მიმდინარეობას შორის ჭიდილის ფონზე პოლიტიკურ ასპარეზზე შემოიჭრნენ ახალი ტიპის სოციალისტური მიმდინარეობის პარტიები, რომლებმაც თავდაყირა დააყენეს სიტუაცია, ინდუსტრიული საზოგადოების განვითარება. სოციალისტური იდეები ადრეც არსებობდა, მაგრამ მარქსიზმის განვითარებასთან ერთად მან ფართო გაქანება ჰპოვა. სოციალისტების იდეოლოგია ეყრდნობოდა მსხვილი კაპიტალისტების განადგურებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მუშათა მაქსიმალურ ჩართვას, ანუ ორ ტრადიციულ მიმდინარეობაში – კონსერვატიულსა და ლიბერალურში ჩაერთო მესამე ძალა -სოციალისტური ან სოციალ-დემოკრატიული ძალა, მათი გავლენა იზრდებოდა თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში, თუმცა არც კაპიტალიზმი აპირებდა, დაეთმო ისტორიული ასპარეზი ახალი მოდელის ორგანიზაციულ-საზოგადოებრივი მიმდინარეობისათვის. ახალი მიმდინარეობიდან გამოიკვეთნენ უფრო ზომიერები, რომლებიც არა რევოლუციურ, არამედ ევოლუციურ ცვლილებებს ემხრობოდნენ. ასეთები იყვნენ „სოციალ-დემოკრატები“. მეორე მხარეს კი ჩამოყალიბდა რადიკალური ძალა, რომელიც მომხრე იყო რევოლუციური გზებით კაპიტალისტური წყობის სრული განადგურებისაკენ. ასეთი მიმდინარეობის იდეოლოგიური წინამძღვრობა პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ვლადიმერ ლენინმა ითავა. 1914 წელს სოციალ-დემოკრატები გაერთიანდნენ იდეის ირგვლივ, რომელიც მიმართული იყო ანტისაომარი მოქმედებებისკენ, თუმცა მალე სოციალისტები დაფიქრდნენ იმაზე, რომ ომში ჩართული ყველა ქვეყანა პატრიოტული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული და ასეთ ვითარებაში „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ქადაგება უადგილო და არაპოპულარული იყო. ცნობილი სოციალისტის ჟან

<sup>204</sup> Первая мировая война и судьбы европейской цивилизации / Под ред. Л.С. Белоусова, А.С. Манькина 176



ჟორესის ტრაგიკულმა ბედმა ეს რწმენა მათ კიდევ უფრო გაუმყარა. 1916 წლისთვის სიტუაცია შეიცვალა. ომის განვლვამ მოსახლეობის პოზიცია შეცვალა. ახლა უკვე სოციალ-დემოკრატების ომის საწინააღმდეგო პოზიცია აღიქმებოდა არა როგორც მოლატეობრივი, არამედ პრაგმატული. ამ პერიოდისათვის მემარცხენე სოციალ-დემოკრატები პოპულარულები გახდნენ და გააქტიურდნენ. მათი უმეტესობა ომიდან გამოსვლის რევოლუციურ მეთოდებს უჭერდა მხარს. ომში ჩართული ქვეყნები უკვე იძულებულები გახდნენ, გამარჯვების მისაღწევად საზოგადოების სრული კონსოლიდაცია მოეხდინათ, ამიტომაც მათ ხელს არ აძლევდათ მემარცხენე ძალებთან კონფრონტაცია.<sup>205</sup>

1917 წელს ომით დასუსტებულ რუსეთში რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ. რეფორმების შედეგად 1918 წლისთვის ბოლშევიკების ხელში მოექცა ქვეყნის მთელი სიმდიდრე: მინა, ტყეები, წყალსაცავები, წარმოება, ტრანსპორტი, შიდა ვაჭრობა, ბანკები და სხვ. 1918 წელს საბჭოების მესამე სხდომაზე გამოცხადდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა. ბოლშევიკების მეთოდები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მისაღები აღმოჩნდა. „კომუნისტურმა პარტიამ“ მოახერხა მათი გაერთიანება პარტიის ირგვლივ, გაიმარჯვა და შექმნა ახალი სოციალისტური სახელმწიფო. სამოქალაქო ომმა ნაციონალური ტრაგედია გამოიწვია: უამრავი ადამიანი დაიღუპა ომში, ბევრი შიმშილმა იმსხვერპლა, უამრავი, ვინც საბჭოთა წყობილებისა და 1917 წლის რევოლუციის წინააღმდეგი იყო, ემიგრაციაში გაიქცა. დაიწყო ახალი – საბჭოთა ეპოქა.<sup>206</sup> გერმანიაში ომს ნოემბრის რევოლუცია მოჰყვა, რამაც მონარქიის კრახი გამოიწვია. მრავალი ათეული წლის განმავლობაში დაგროვებულმა მონარქიული რეჟიმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ პიკს ომის დროს მიაღწია. გერმანიის ეკონომიკის 38 პროცენტი სამხედრო წარმოებაში მიდიოდა, 1917 წლისთვის ამ რიცხვმა 75 პროცენტს მიაღწია, რამაც ბოლომდე გაანადგურა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. 1918 წლისთვის გერმანიის საგარეო ვალი 156 მილიარდ მარკას შეადგენდა, ომში 2 მილიონი ადამიანი დაიღუპა. გერმანიის რევოლუციაზე ასევე იმოქმედა რუსეთის 1917 წლის რევოლუციამაც. რევოლუციის შედეგად ძალაუფლება გადავიდა ლიბერალი კანცლერის – ფრიდრიხ ებერტის ხელში, რომელიც სოციალ-დემოკრატების ლიდერი იყო.<sup>207</sup>

ომმა უდიდესი იდეურ-ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მოსახლეობას, განსაკუთრებით დამარცხებულ სახელმწიფოებში. მათში დაისადგურა არსებული სისტემის (ლიბერალური თუ კონსერვატორული) არაფექტურობის განცდამ, ომმა გაანადგურა იმედი ადამიანის ლიბერალური, ჰუმანური ღირებულებებისა და სახელმწიფოს მართვის სტილი შესახებ. მოთხოვნა გაჩნდა ისეთი ძლიერი სისტემის არსებობისა, რომლის ხელშიც იქნებოდა თავმოყრილი მთელი ძალაუფლება. სწორედ ასეთმა მოთხოვნებმა ასაზრდოვა ტოტალიტარული ტენდენციები ომის შემდგომ პერიოდში. ტოტალიტარული ტიპის რადიკალური მოძრაობები თითქმის ყველა მეომარ ქვეყანაში აღმოცენდა. ბრიტანეთში, როგორც ღრმა საპარლამენტო ტრადიციების ქვეყანაში ასეთ რადიკალურ მოძრაობებს დიდი მასშტაბები არ ჰქონდა, 20-იან წლებში შეიქმნა რამდენიმე ფაშისტურ-რადიკალური მოძრაობა: „ბრიტანელი ფაშისტები“, „ფაშისტური ლიგა“, „ფაშისტური მოძრაობა“ და სხვ.

საფრანგეთში ასეთმა ორგანიზაციებმა ცოტა უფრო მეტად მოიკიდეს ფეხი ვიდრე ბრიტანეთში: „მეომარი ჯვრები“, „პატრიოტი ახალგაზრდები“, „ფრანგული სოლიდარობა“ და სხვ. თუმცა აქაც ისინი ვერ გახდნენ დომინანტები. ფაშისტურმა მოძრაობებმა უფრო მეტად ფეხი მოიკიდეს და ფესვები გაიდგეს ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც რეალურად

<sup>205</sup> The First World War and the Destiny of European Civilization / Edited by L.S. Belousov and A.S. Manykin 2004 – გვ 187

<sup>206</sup> <https://history.wikireading.ru/283066>

<sup>207</sup> The First World War and the Destiny of European Civilization / Edited by L.S. Belousov and A.S. Manykin 2004 – გვ 187-96

ყველაზე მეტად იყო სახელისუფლებო კრიზისი. ევროპაში ასეთი კრიზისი იყო იტალიასა და გერმანიაში. ამ ორ ქვეყანაში მიიღო ტოტოლიტარულმა მოძრაობებმა მასობრივი ხასიათი, ჩაითრიეს ადამიანთა დიდი ჯგუფები და საკუთარი მიზნების განხორციელების იარაღად გადააქციეს ისინი. იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა არ დამარცხებულა, მაინც დაისადგურა ღრმა კრიზისმა, რადგანაც ომის შედეგად იტალიამ ბევრი ვერაფერი გამორჩენა ვერ მიიღო, რის გამოც მას “დამარცხებული გამარჯვებულთა შორის” უწოდეს. ამ პერიოდში ხელში ინიციატივა მუშათა კლასმა და ვეტერანებმა აიღეს, რომელთაც წარმოადგენდა 2 მსხვილი პოლიტიკური პარტია – „სოციალისტური“ და მისგან გამოყოფილი „მემარცხენე რადიკალური კომუნისტები“. 1919 წელს კი რადიკალურ დაჯგუფებებს შორის ყველაზე მძლავრმა ფაშისტურმა მოძრაობამ „მებრძოლთა კავშირმა“ აიღო ხელში პოლიტიკური ინიციატივა ბენიტო მუსოლინის ხელმძღვანელობით. დუჩეს პარტია გახდა ტოტალიტარული მოძრაობის კლასიკური მაგალითი, რომელიც 1921 წელს უკვე ფაშისტურ პარტიად ჩამოყალიბდა. ლიბერალმა დემოკრატებმა ამონურეს თვიანთი რესურსები და 1922 წელს ფაშისტების ლიდერი ბენიტო მუსოლინი გახდა პრემიერ მინისტრი. ასე ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპაში პირველი ტოტალიტარული რეჟიმი, რომლის მთავარ მიზანს ერის გაფაშისტება წარმოადგენდა. იგივე მოხდა გერმანიაშიც, რომელიც დამარცხებული აღმოჩნდა პირველ მსოფლიო ომში. ვაიმარის რესპუბლიკა აღიქმებოდა როგორც დამარცხებისა და ვერსალის კაბალური, დამამცირებელი ხელშეკრულების სამარცხვინო პირობა. განსხვავებით იტალიისაგან, ომში მარცხს ისინი აბრალებდნენ არა მმართველ ძალებს, არამედ მემარცხენე პარტიებს და ორგანიზაციებს (მათ შორის ებრაელებს), რომლებმაც ჩაითრიეს გერმანია რევოლუციაში. ასეთი რადიკალური მოძრაობა „ნაციონალ-სოციალისტური პარტიის“ სახით გამოიკვეთა 1919 წელს, რომლებიც მოვიდნენ კიდევ ხელისუფლებაში 30-იანი წლების ბოლოს.<sup>208</sup>

გერმანიის ნაციისტური და რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფოები მე-20 საუკუნის ევროპისთვის „აქილევსის ქუსლად“, დიდ თავის ტკივილად იქცა. გერმანიაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ რასისტული პოლიტიკა მძვინვარებდა, ბოლშევიკურ რუსეთში კი არისტოკრატია, ინტელიგენცია და რუსეთის ცარიზმის პირობებში რის ვაი-ვაგლახით შეკონინებული მოაზროვნე ელიტა გახდა იაკობინელებისთვისაც კი შესაშური ტერორის მსხვერპლი. ევროპამ პირველი მსოფლიო ომის ინიციატორი კაიზერის გასამართლებაც კი არ დაუშვა – ცხელ გულზე პოლიტიკურ ანგარიშსწორებას არ დაემსგავსოსო, ბოლშევიკებმა კი ფიქტიურ სასამართლოზეც არ დახარჯეს დრო, ისე ამოხოცეს მთელი სამეფო ოჯახი ბავშვებითა და ქალებით. ამიტომაც იყო, რომ ევროპულ ცივილიზაციას უჭირდა ბოლშევიკურ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა და არანაკლებ დიქტატორთან – ადოლფ ჰიტლერთან ამჯობინებდა მოლაპარაკებას მანამ, სანამ ამ უკანასკნელმა ევროპის ქვეყნებზე აქტიური შეტევები არ დაიწყო.<sup>209</sup>

ამგვარად, როგორც ვხედავთ, პირველმა მსოფლიო ომმა შეარყია მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკური საფუძვლები, შექმნა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემა, გამოიწვია ევროპის შიდა ტრანსფორმაცია; პოლიტიკური რუკიდან გაქრა მრავალნაციონალური იმპერიები, გაჩნდა ახალი სახელმწიფო გაერთიანებები; დაინგრა ომამადელი პოლიტიკური კულტურა; ორმა უმსხვილესმა ევროპულმა სახელმწიფომ – რუსეთმა და გერმანიამ – გადაიტანა უზარმაზარი რევოლუციური რყევები, რომლებმაც დიდი გავლენა იქონია ომის შემდგომ მსოფლიო წესრიგზე; საზოგადოებრივი ცხოვრების პირველ პლანზე გამოირიყნენ სოციალურად დაბალი ფენების წარმომადგენლები, რომელთა წიაღშიც მომნიჭდა ახალი რადიკალური ძალები – „კომუნიზმი“ და „ფაშიზმი“. ორივე ძალამ

<sup>208</sup> The First World War and the Destiny of European Civilization / Edited by L.S. Belousov and A.S. Manykin 2004 – გვ 603

<sup>209</sup> დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე“, იოსებ ცინცაძე, 2016 წელი, 418-419

---

სხვადასხვა მხრიდან შეუტია ლიბერალურ იდეებს. საკუთარ ქვეყნებში გამარჯვების შემდეგ კომუნისტები და ფაშისტები გახდნენ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები მსოფლიო ჰეგემონიისთვის ბრძოლაში, მაგრამ ერთმანეთთან დაპირისპირებამდე ისინი შეეცადნენ, გაენადგურებინათ საერთო მტერი – დემოკრატია.<sup>210</sup>

## რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია პირველი მსოფლიო ომის მიზეზებსა და საბაბებზე, მასში მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური ძალების გავლენებზე ომის წამოწყებაში და მის მიმდინარეობაში. ასევე, იმ სავალალო შედეგებზე, რომელიც გამოიწვია პირველმა მსოფლიო ომმა, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე ევროპის შუაგულში ტოტალიტარული პოლიტიკური ძალები (პარტიები) გაბატონდნენ.

## Resume

The scientific paper discusses the causes and excuses of the First World War, the influence of the political forces of the participating states on the initiation and progress of the war. As well as the dire consequences of World War I when totalitarian political forces (parties) dominated politics in Europe.

## Резюме

В научной статье рассматриваются причины и оправдания Первой мировой войны, влияние политических сил государств-участников на начало и ход войны. А также ужасные последствия Первой мировой войны, когда тоталитарные политические силы (партии) доминировали в европейской политике.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бэзил Лиддел Гарт «История Первой мировой войны» 2014 -
2. Е. Белаш \_ Мифы Первой мировой -2012
3. Н. W. Wilson, The War Guilt (1928)
4. <http://historic.ru/books/item/f00/s00/z0000152/st006.shtml>
5. <https://archive.org/details/FischerFritzGermanysAimsInTheFirstWorldWar/page/n4/mode/2up>
6. <https://moluch.ru/archive/114/30272/>

<sup>210</sup> История Германии. Том 2. От создания Германской империи до начала XXI века. Учебное пособие. \_ Западносибирский центр германских исследований & Германский исторический институт в Москве, 2008. Бонвеч Б., Галактионов Ю.В. გვ. 77-107

- 
7. <https://zapadrus.su/2012-04-11-14-59-43/2014-g/1-mirovaya-vozvrashchenie-pamyati/1097-politicheskie-partii-v-rossijskoj-imperii-v-gody-pervoj-mirovoj-vojny.html> - უკანასკნელად გადამოწმდა 2/23/2020
  8. Шайпак Леонид Александрович \_ Политические партии России и армия в годы Первой мировой войны. 143-146).
  9. БРИТАНСКОЕ ОБЩЕСТВО И ЭЛИТА В ГОДЫ ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ: СОЦИАЛЬНО-ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ \_ Адамова Д. П.
  10. Арзаканян М.Ц.. Политическая история Франции XX века: Учеб. пособие/М.Ц. Арзаканян. — М.: Высш. шк. 2003
  11. [https://w.histrf.ru/articles/article/show/italianskaia\\_sotsialistichieskaia\\_partiia](https://w.histrf.ru/articles/article/show/italianskaia_sotsialistichieskaia_partiia) – უკანასკნელად გადამოწმდა 2/23/2020
  12. Иванян Э.А История США 2004 წ.
  13. Первая мировая война и судьбы европейской цивилизации / Под ред.Л.С. Белоусова, А.С. Маныкина 176-177
  14. The First World War and the Destiny of European Civilization / Edited by L.S. Belousov and A.S. Manykin 2004 – გვ 187-96, 565-566, 603-613
  15. <https://history.wikireading.ru/283066> – უკანასკნელად გადამოწმდა 2/23/2020
  16. „დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე“, იოსებ ცინცაძე, 2016 წელი,
  17. История Германии. Том 2. От создания Германской империи до начала XXI века. Учебное пособие. \_ Западносибирский центр германских исследований & Германский исторический институт в Москве, 2008. Бонвеч Б., Галактионов Ю.В.



---

## რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოება და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა

ბრიგოლ ლილუაშვილი \*

### შესავალი

ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შენამადგენელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელზეც დამოკიდებულია ამ სისტემის შემადგენელი სხვა კომპონენტების მდგრადობა სხვადასხვა სახის საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე.

ქვეყნის ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებთან, ასევე ქვეყანაში, რეგიონში და მსოფლიოში განვითარებულ ეკონომიკურ და სხვა გლობალურ მოვლენებთან. გლობალიზაციამ და სხვა სოციალურმა ცვლილებებმა არსობრივად შეცვალა ეკონომიკური თეორიის ადრე დამკვიდრებული წესები და შესაბამისად, მეტად გაართულა ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის „გამოთვლის“ მექანიზმები. ზოგადად „ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნებაც საკმაოდ ახალია და მხოლოდ მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან ჩნდება.<sup>212</sup>

ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი ამოცანაა – ქვეყანამ მაქსიმალურად შეამციროს თავისი ეკონომიკური და ფინანსური დამოკიდებულება იმ ქვეყნებზე და ორგანიზაციებზე, რომელთაც ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლიათ ქვეყნის სუვერენიტეტზე; მიიღოს მაქსიმალური სარგებელი ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობებიდან შეძლებისდაგვარად მცირე დათმობების ხარჯზე; შექმნას მდგრადი განვითარების მყარი მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ინსტრუმენტების განვითარება.

საბოლოო ჯამში აღნიშნულ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულება გააჩნია – უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური (და ზოგადად) უსაფრთხოება როგორც ეროვნულ, ისე მოქალაქეების/ინდივიდუალურ დონეზე.

სახელმწიფო ინტერესები და ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტები მთავარ როლს თამაშობენ ქვეყნის **ეკონომიკური უსაფრთხოების** სისტემაში. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების განსაზღვრისათვის აუცილებელია არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა და ტრენდების, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების, გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა დადებითი და უარყოფითი ტენდენციების მრავალმხრივი ანალიზი.

ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით, ითვლება, რომ ყველაზე მონყვლად ქვეყნებს პატარა და მცირე ეკონომიკის ქვეყნები წარმოადგენენ. მათი საერთაშორისო თანამშრომლობის მოდელი მის რეგიონალურ პოზიციაზე, სამეზობლოზე, დამკვიდრებულ თამაშის წესებზე და რა თქმა უნდა, ამ ქვეყნის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. თუმცა, სიმცირე, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელს არ უშლის ქვეყანას რეგიონულ და საერთაშორისო ურთიერთობებში თავისი ნიშა მონახოს, რომელიც შესაძლოა გახდეს, როგორც უშუალოდ ეკონომიკური უსაფრთხოების, ისე მთლიანად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველი და გარანტი.

სამეზობლო თუ უფრო ფართო ინსტიტუციური გაერთიანებების დონეზე ჯგუფურად თამაში, რომელიც კოლექტიური სტრატეგიის პრინციპებს ეფუძნება, ხშირად დიდი ძალის

---

\* დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

<sup>212</sup> Žaneta Simanavičienė, Andrius Stankevičius (2015) “ECONOMIC SECURITY AND NATIONAL COMPETITIVENESS”.

თუ ძალების დაბალანსებას ან მათთვის წინააღმდეგობის განევას ისახავს მიზნად (მაგ: სუამ-ი – რეგიონულ დონეზე, „ევროკავშირი“ – გლობალურ მასშტაბში)<sup>213</sup>.

რეგიონებში სადაც მაღალი დონის ეკონომიკური (და შესაძლოა პოლიტიკური) თანამშრომლობაა, მცირე ქვეყნებს საკუთარი ინტერესების დაცვისა და მიზნების მიღწევის უკეთესი შანსები აქვთ. ამ კონტექსტში, მსგავსი ქვეყნებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონალური ეკონომიკური და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებას<sup>214</sup>.

საქართველო არაერთი საერთაშორისო შეთანხმების, ხელშეკრულებისა და პროექტის მონაწილეა, და ასევე დიდია მომავალი რეგიონული თანამშრომლობის პოტენციალი, რაც დადებით ეფექტთან ერთად საფრთხის შემცველიც შეიძლება იყოს. შესაბამისად, თითოეული შეთანხმება თუ პროექტი მრავალმხრივ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკური ინტერესებისა და შესაძლებლობების სრულყოფილად აღქმისა და განსაზღვრისათვის, ასევე ეკონომიკური უსაფრთხოების გამართული პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მრავალმხრივი ანალიზი, რომელმაც არაერთი ეტაპი უნდა გაიაროს:

- სრულად შეფასდეს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოტენციალი, უპირატესობები, ხელისშემშლელი ფაქტორები და ა.შ., განხორციელდეს არსებული საერთაშორისო პოლიტიკურ/ეკონომიკური ხელშეკრულებების, პროექტების, ვალდებულებების ანალიზი;
- საჭიროა შესწავლილი/იდენტიფიცირებული პოტენციალის გამოყენება/ განვითარებისთვის ხელისშემშლელი/დამაბრკოლებელი საკითხების გამოკვეთა; ასევე, ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხის და არსებული/დაგეგმილი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საფრთხეების იდენტიფიცირება;
- გამოიკვეთოს სახელმწიფოს და სხვა მოთამაშეების (რეგიონის ქვეყნები, კავშირები, ბიზნეს სექტორი, IFI-ს, ა.შ) როლი გამოკვეთილი საფრთხეების გადაჭრაში და გამონვევების აღმოსაფხვრელად;
- საჭიროა მიზნობრივი რეგიონალური და ადგილობრივი პროგრამების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონალური და ქვეყნის შიდა საფრთხეების მინიმიზაციას.

აღნიშნული ეტაპები წარმოადგენს კომპლექსურ ხედვას და განსაზღვრავს საჭირო ნაბიჯების ერთობლიობას ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მისაღწევად.

## საქართველოს რეგიონალური ეკონომიკური კავშირები და პროექტები

საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული/დაკავშირებული რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა მიმართულებებით: ექსპორტი/იმპორტით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ფულადი გზავნილებით, ტურიზმით, ენერჯო რესურსებით და სხვა. შესაბამისად საქართველოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენიჭება ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარებას რეგიონალურ და ტრანს-სასაზღვრო დონეზე, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

რეგიონალურ დონეზე ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალი მაგალითი გვაქვს:

<sup>213</sup> **Petar Kurecic** \_ SMALL STATES AND REGIONAL ECONOMIC INTEGRATIONS IN THE MULTI-POLAR WORLD *Regional Differences in the Levels of Integration and Patterns of Small States' Vulnerability.*

<sup>214</sup> “Cross-border Economic Development” (2016), Baseline Study Report, EU Eastern Partnership Territorial Cooperation (EaPTC).

#### ა) მრავალმხრივი ფორმატები

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ღირებულებებსა და მჭიდრო კავშირებზე. ასოცირების შესახებ ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაა, რომელიც საქართველო დიდ უპირატესობას ანიჭებს რეგიონის ქვეყნებთან შედარებით<sup>215</sup>.
- თურქეთთან და აზერბაიჯანთან ერთობლივად რეალიზებულია ენერგეტიკული პროექტები, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის. მნიშვნელოვანი პოლიტიკური მექანიზმია საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამხრეთი ფორმატი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2012 წელს („ტრაპიზონის დეკლარაცია“). ამ ფორმატის ეგიდით ასევე არსებობს სამხრეთი ბიზნეს-ფორუმების ჩატარების პრაქტიკა.
- შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის მთავარ მიზნებს რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წევრი ქვეყნების ხალხების კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა წარმოადგენდა. 15 წლის განმავლობაში BSEC-მა დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, მოახდინა თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პრინციპების ინიცირება და თავისი წვლილი შეიტანა რეგიონის განვითარებაში. BSEC-მა გაზარდა თავისი როლი რეგიონალურ საკითხებში და მოახერხა რეგიონალური ინიციატივიდან საერთაშორისო რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაქმნა. BSEC-ის ფარგლებში მოქმედი 19 სამუშაო ჯგუფიდან 9 მიმართულება უშუალოდ ეკონომიკურ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს ეხება.
- რეგიონალურ დონეზე მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატს წარმოადგენს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია „სუამ“-ის საქმიანობა. ორგანიზაციის მიზანია რეგიონალურ დონეზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება, რომლის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტებს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური სფერო, ტრანსპორტი და ენერგეტიკა.

#### ბ) ორმხრივი ფორმატები

საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობები 100-ზე მეტ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებაში აისახა, რომელიც არეგულირებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. ქვეყანებს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სამართლებრივად დარეგულირებულია როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ (სუამ-ის ფარგლებში) ფორმატში. აზერბაიჯანი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორს. საქართველოში ხორციელდება მსხვილი ინვესტიციები აზერბაიჯანული კომპანიების მიერ. ენერგეტიკის მიმართულებით არსებობს ერთობლივად რეალიზებული პროექტი, ასევე გარდაბანი-სამუხის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. წარმატებულად მიმდინარეობს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში. ვიზიტორთა რაოდენობით აზერბაიჯანი მონინავე პოზიციაზეა და იგი ყოველწლიურად იზრდება;

<sup>215</sup> „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი“ (2016).

- თურქეთთან არსებული სახელმეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს 76 მოქმედ ხელმეკრულებას და თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს. ორი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს დასრულდა და ფუნქციონირებს ახალციხე-ბორჩქას მაღალი დაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ახალ შესაძლებლობას ქმნის ელექტროენერჯით ვაჭრობის თვალსაზრისით;
- სომხეთთან ურთიერთობები რეგულირდება ფართო სახელმეკრულებო ბაზით, რომელიც 80-მდე დოკუმენტს მოიცავს. სომხეთის რესპუბლიკა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის სფეროს, ვინაიდან სომხეთის მოქალაქეთათვის საქართველოს კურორტები წარმოადგენს მნიშვნელოვან ტურისტულ მიმართულებას;
- საქართველოსა და ჩინეთს შორის დინამიურად ვითარდება ორმხრივი ურთიერთობები მრავალი მიმართულებით. ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის არსებობს რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების მექანიზმი, რაც წარმოადგენს სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის მიმდინარე საკითხთა განხილვის მნიშვნელოვან ფორმატს. ბოლო წლების განმავლობაში სახეზეა ჩინური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს ეკონომიკაში; 30-მდე ჩინური კომპანია უკვე წარმატებულად საქმიანობს ისეთ სექტორებში როგორცაა: მშენებლობა, გზები და ინფრასტრუქტურა, ენერჯეტიკა, საბანკო სფერო და სხვა. ასევე, იზრდება ორმხრივი ვაჭრობა და საქართველოში ჩინელ ვიზიტორთა რიცხვი; ამასთან, ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფორმატია მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისია, სადაც განიხილება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები. ჩინეთი არის საქართველოს ხუთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის;
- დიპლომატიური ურთიერთობების განყვეტის შემდეგ რუსეთთან მიმდინარეობს პოლიტიკური კონსულტაციები ყენევის ფორმატით. ასევე ტარდება შეხვედრები აბაშიძე-კარასინის ფორმატში, რომელთა შორის გამართული შეხვედრების შედეგად მოიხსნა 2006-2007 წლებში რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო ქართულ პროდუქციაზე. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ძირითად სფეროებს წარმოადგენს ენერჯეტიკა და ვაჭრობა. ამასთან, ყოველწლიურად სწრაფად იზრდება საქართველოში შემოსული რუსი ტურისტების რიცხვი.

## ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ამოცანები

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად ამოცანებად მიიჩნევა<sup>216</sup>:

- აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ჰაბის ფუნქციის განმტკიცება და ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო სატრანსპორტო, სატელეკომუნიკაციო, ციფრული, ენერჯეტიკული და საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია.
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის, ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის პროექტისა და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროექტებით შექმნილი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და არსე-

<sup>216</sup> 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია



ბული სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალის სრული რეალიზაცია.

- „სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფნის“ და სხვა რეგიონული და საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების განხორციელება და საქართველოს გავლით, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბება;
- საქართველოსთან თავისუფალი ორმხრივი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნების რაოდენობის მაქსიმალური ზრდა, გეოგრაფიული არეალის კიდევ უფრო გაფართოება, ქართული პროდუქციის წარმოების და ექსპორტის ხელშეწყობა, ბაზრების დივერსიფიცირება;
- შავი ზღვის ეკონომიკური როლის გაძლიერება. სატრანზიტო შესაძლებლობების ზრდა, რეგიონის ქვეყნებთან ტვირთბრუნვის მოცულობისა და მიმოცვლის სიჩქარის ზრდა, ლოგისტიკური და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გაძლიერების ხელშეწყობა და სხვადასხვა რეგიონიდან (მათ შორის ცენტრალური და შორეული აზიის რეგიონებიდან) ტვირთების მოზიდვა.
- ურთიერთმომგებიანი ორმხრივი ტრანს-სასაზღვრო ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია;
- საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში – მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკურ ფორუმებში, ასევე პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალმხრივ ფორმატებში აქტიური ჩართულობა. მსოფლიო ეკონომიკურ საკითხებზე მიმდინარე დიალოგში ჩართვა და ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მონინავე ბაზრების ფუნქციონირების ინოვაციური მექანიზმების დანერგვის მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

## მოსალოდნელი საფრთხეები და ხელისშემშლელი ფაქტორები

ეკონომიკის სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. თუმცა, არსებობს გარკვეული საგარეო და შიდა ეკონომიკური ფაქტორები/გარემოებები და ძალები, რომელთაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან არა მარტო ქვეყნის, არამედ რეგიონალურ ეკონომიკურ უსაფრთხოებას და ქვეყნებს შორის ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობას.

### ა) საგარეო ფაქტორები

**საერთაშორისო ხელშეკრულებები** – რეგიონის და სხვა ქვეყნებთან დადებული სავაჭრო/ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები შესაძლოა ქმნიდეს ისეთ საფრთხეებს როგორცაა:

- აღებული ვალდებულებების შესრულების შედეგად ბიზნეს გარემოს ან კონკრეტული ეკონომიკური სექტორის დაზარალება;
- ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისთვის დიდი ფინანსური ტვირთის აღება;

(საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, მრავალ დადებით შესაძლებლობებთან ერთად, მნიშვნელოვან (ზოგ შემთხვევაში მძიმე) ვალდებულებებს უწესებს საქართველოს. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება დაკავშირებულია როგორც საკანონმდებლო ცვლილებებთან, ასევე დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ მოახდინოს შესასრულებელი ვალდებულებების პრიორიტეზაცია, რათა არ დაზარალდეს სახელმწიფო და კერძო სექტორი).

**გრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა** – რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია რეგიონისთვის საერთო ურთიერთ მომგებიანი პროექტების თუ რეფორმების განხორციელება. შესაბამისად, რეგიონულ ეკონომიკურ უსაფრთხოებას შესაძლოა მივაკუთვნოთ:

- კაპიტალური ინვესტიციების განხორციელება პოლიტიკური მიზნებისთვის;
- სხვადასხვა ეკონომიკურ კავშირებში რეგიონის ქვეყნების განვითარება;
- რეგიონულ დონეზე არასახარბიელო სატარიფო პოლიტიკა;
- რეგიონის ქვეყნების შიდა რეგულაციების ცვალებადობა საქართველოს სავაჭრო პოტენციალის შესასუსტებლად და სხვა.

**რუსეთი** რეგიონის უმთავრესი მოთამაშეა, რომლის სტრატეგიულ ამოცანას სამხრეთ კავკასიაზე ექსკლუზიური კონტროლის აღდგენა წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, იგი არ არის დაინტერესებული ეკონომიკურად ძლიერი, უსაფრთხო საქართველოს არსებობით. შესაბამისად, ე.წ. რბილი ძალის და ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენებით მუდმივად ცდილობს საქართველოში პროცესების მისი ინტერესების შესაბამისად წარმართვას, მათ შორის ეკონომიკური მიმართულებით. კერძოდ:

- რუსეთი რამდენიმე წელიწადში იქცა საქართველოს უმთავრეს სავაჭრო პარტნიორად. მნიშვნელოვან პრობლემებს აჩენს ცალკეული პროდუქტების ექსპორტის მაღალი კონცენტრაცია რუსეთის ბაზარზე (ღვინო, ეთილის სპირტი, ციტრუსი და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომელთაც მაღალი სოციალური ეფექტი გააჩნია). შესაბამისად, „საჭიროების“ შემთხვევაში, ქართული პროდუქციისთვის საკუთარი ბაზრის დაკეცივით რუსეთს ქართული ეკონომიკისთვის სერიოზული ზიანის მიყენება შეუძლია;
- საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული. ამ მხრივაც, განსაკუთრებული ადგილი რუსეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებს (მთლიანი მოცულობის 33%) უკავია, რაც ასევე დამატებით ბერკეტებს სძენს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ;
- ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება რუსეთიდან ტურისტების შემოდინება, რაც ქართული ეკონომიკისთვის პოზიტიურ მოვლენასთან ერთად, საფრთხის შემცველადაც გვევლინება (უნდობლობის საფუძველს ქმნის თურქეთ-რუსეთს შორის ურთიერთობის გაუარესების შედეგად განვითარებული მოვლენები, როდესაც რუსეთის მოქალაქეებს საკუთარმა ხელისუფლებამ თურქეთში შესვლა აუკრძალა, რამაც თურქეთის ტურიზმის სექტორს სერიოზული ფინანსური დანაკარგები მოუტანა);
- რუსეთის არსენალშია ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენება ქვეყანაში არასტაბილური გარემოს შექმნისა და დესტრუქციული პროცესების განვითარებისთვის, რაც სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ამ მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ოკუპირებული რეგიონები, დივერსიები, ვითარების დაძაბვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, კიბერშეტევები (ენერგეტიკული ობიექტების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა წინააღმდეგ), საინფორმაციო კამპანია საქართველოს იმიჯის შესაღახად საერთაშორისო დონეზე, მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობების გაურესებისთვის ხელშეწყობა და სხვა<sup>217</sup>.

**აზერბაიჯანი** – აზერბაიჯანის ბაზარი სიდიდით პირველია საქართველოს საექსპორტო პროდუქციისთვის. შესაბამისად, აზერბაიჯანის ეკონომიკის შესუსტება და/ან ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება (რომელსაც ჩვენი მეზობელი პერიოდულად მიმართავს),

<sup>217</sup> „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში“, თბ. 2018 წ.

მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველო თითქმის 100%-ითაა დამოკიდებულია აზერბაიჯანულ გაზზე, ხოლო აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია სოკარი, გაზის საცალო ბაზრზეც მონოპოლისტია.

აზერბაიჯანი, ბოლო რამდენიმე წელია, ყოველწლიურად ნახევრე მილიარდამდე აშშ დოლარის ინვესტიციებს დებს ტრანსპორტის სექტორში, რაც არსებული მილსადენების (ტრანს-ანატოლიური გაზსადენი) გაფართოებას და გამტარიანობის გაზრდას უკავშირდება.

ერთი შეხედვით საქართველოს აზერბაიჯანზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტები არ გააჩნია, თუმცა სწორედ საქართველოა აზერბაიჯანული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებლის, ენერგომატარებლების უმთავრესი გამტარი.

**თურქეთი** – ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის. თურქეთიდან იმპორტირებული და საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქცია საკმაოდ დივერსიფიცირებულია. თუმცა, გარკვეული ტიპის პროდუქცია მნიშვნელოვნად არის მიბმული თურქეთის ბაზარზე. შესაბამისად, თურქეთის ეკონომიკური რყევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. განხორციელებული ფულადი გზავნილები წლიდან-წლამდე იზრდება და თავისი მნიშვნელობით უახლოვდება აშშ-დან, იტალიიდან და საბერძნეთიდან განხორციელებულ ფულადი გზავნილების მოცულობებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივი დივერსიფიკაციის კუთხით, თურქეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები გამოირჩევა, რომელიც თითქმის ყველა ეკონომიკურ სექტორს მოიცავს. თურქეთის ინტერესი საქართველოში წლიდან-წლამდე იზრდება.

შესაბამისად თურქეთში მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ პროცესებზე.

**სომხეთი** – ბაზარი სიდიდით მესამეა საქართველოს საექსპორტო პროდუქციისთვის. შესაბამისად, სომხეთის ეკონომიკის შესუსტება უარყოფითად აისახება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

**იმპორტი** – ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული პროდუქციის იმპორტის მაღალი კონცენტრაცია მაღალი საფრთხის შემცველი არ არის და ადვილად ჩანაცვლებადია. თუმცა, ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა ბუნებრივი აირი, ხორბალი, პირველადი მოხმარების და მოწოდების თვალსაზრისით ძნელად ჩასანაცვლებელი პროდუქტების მოწოდებაზე ცალკეული ქვეყნებისთვის მონოპოლიური მდგომარეობის არსებობა მათთვის ჩვენს ქვეყანაზე ეკონომიკური გავლენის ბერკეტის გადაცემას ნიშნავს და სერიოზული საფრთხის შემცველია. გასათვალისწინებელია, რომ ამ მხრივ, ზოგჯერ ჩვენს ქვეყანას დიდი არჩევანი და სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ გააჩნია.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა **ექსპორტის** შემთხვევაშიც. ექსპორტის სწრაფად დივერსიფიცირება საკმაოდ რთულია, რაც „პარტნიორ“ ქვეყნებს საკმაო ბერკეტებს სძენს.

### **ბ) შიდა ფაქტორები**

- გარდა საგარეო საფრთხეებისა, ქვეყნის/რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებაზე და ტრანს-სასაზღვრო კავშირების განვითარებაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს საქართველოში არსებულმა შემდეგმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა:

1. რესურსების/პოტენციალის დაბალი ეფექტიანობა, რომელიც უკვე მონაწილეობს ქართულ წარმოებაში/ბიზნესში. მიზეზები, რის გამოც არ ან ვერ ხორციელდება რესურსების სრული წარმადობით გამოყენება შესაძლოა იყოს:

- ეკონომიკური დივერსია;

- კორუფციული/მონოპოლიური შეთანხმებები;
- ადამიანური კაპიტალის სიმცირე; არაეფექტური განათლების სფერო, როგორც შრომის ბაზრის კონიუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი;
- ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა;
- არაეფექტიანი სახელმწიფო რეგულაციები/არაჯანსაღი კონკურენცია;
- Know-how-ს სიმწირე.

2. იდენტიფიცირებული, მაგრამ წარმოებაში არ არსებული რესურსები/ პოტენციალი. შესაძლო მიზეზები:

- ინფორმაციის ასიმეტრიულობა;
- კაპიტალის და Know-how სიმწირე;
- არაეფექტური სახელმწიფო რეგულაციები;
- სათანადო საინვესტიციო პაკეტების არ არსებობა;
- ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე.

## რეკომენდაციები

- საქართველოს, როგორც მცირე ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინვესტიციების განმახორციელებელი და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მეზობელ და პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაზე. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია შეფასდეს აღნიშნულ ქვეყნებში არსებული ვითარება, საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხი რეგიონის და სავაჭრო/საინვესტიციო პარტნიორ ქვეყნებზე და გაანალიზდეს საერთაშორისო სავაჭრო/ეკონომიკური ხელშეკრულებების და პროექტების დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- უნდა განხორციელდეს ყველა შესაძლო საფრთხის და დამაბრკოლებელი ფაქტორის დეტალური ანალიზი, რომლის გამოც ვერ/არ ხდება პოტენციალის ეფექტური ათვისება, და შესაბამისად ფერხდება ქვეყნის სტაბილური (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ) განვითარება;
- დეტალურად შეფასდეს საერთაშორისო სავაჭრო/ეკონომიკური ხელშეკრულებების, რეგიონული პროექტების თანმდევი რისკები (მაგ. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინათთან და სხვა.) და ხარვეზები/უარყოფითი მხარეები;
- მოხდეს გამოვლენილი საფრთხეების ერთგვარი კლასიფიცირება (ერთჯერადი, მუდმივი, მაღალი საფრთხის მატარებელი, გლობალური, რეგიონული და ა.შ.) და თითოეულ საფრთხესთან დაკავშირებით შემუშავდეს მასზე რეაგირების გეგმა;
- უნდა განისაზღვროს სხვა მოთამაშეების (ბიზნესი, რეგიონის ქვეყნები, საერთაშორისო ინსტიტუტები) როლი გამოვლენილი პრობლემების/ საფრთხეების განეიტრალების საკითხში;
- ცალკეული პროექტები უნდა დაიგეგმოს კომპლექსურ ჭრილში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალური შედეგის მიღწევა;
- სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ახალი მიდგომა პროექტების განხორციელების საკითხში. კერძოდ, უნდა მოხდეს „უსაფრთხოების ეფექტის“ კომპონენტის დამატება ნებისმიერ ინიციატივაში/პროექტში. „უსაფრთხოების ეფექტი“ წარმოადგენს ინდიკატორთა სისტემას, რომლებიც ასახავენ თუ რა ეფექტის მქონეა პროექტი/ინიციატივა მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობისა და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით. ეფექტი უნდა ითვლებოდეს ყველა ფორმით – პირდაპირი და არაპირდაპირი,



- 
- მიკრო, მეზო თუ მაკრო მასშტაბების, გრძელვადიან და მოკლევადიან ქრილში და ა.შ.;
  - სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსი (ეკონომიკური უსაფრთხოების შემფასებელი ინსტრუმენტი), რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას შეაფასოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და პერიოდულად გადააფასოს ან გაზომოს სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენებით გამოწვეული საფრთხეები. ამით სახელმწიფო შეძლებს ეფექტურად დაგეგმოს და გადადგას საფრთხის მინიმიზაციის ნაბიჯები.

## რეზიუმე

ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი მიზანი არის დამოკიდებულება მინიმუმამდე დაიყვანოს იმ ქვეყნებსა და ორგანიზაციებზე, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ ქვეყნის სუვერენიტეტზე; მიიღონ მაქსიმალური სარგებელი ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობებისგან, თუ ეს შესაძლებელია, მინიმალური დათმობის გზით; მდგრადი განვითარების მყარი მექანიზმების შექმნა, რაც საშუალებას მისცემს გაუმჯობესდეს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და უზრუნველყოს უსაფრთხოების და ეროვნული თავდაცვისუნარიანობის ინსტრუმენტების შემუშავება.

რეგიონებში, სადაც ეკონომიკური (და, ალბათ, პოლიტიკური) თანამშრომლობა მაღალ დონეზეა, მცირე ქვეყნებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ საკუთარი ინტერესების დასაცავად და მიზნების მისაღწევად. ამ კონტექსტში, ასეთი ქვეყნებისთვის, რეგიონალური ეკონომიკური და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველო არის მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების, კონტრაქტისა და პროექტის მხარე, ასევე ძალიან მაღალია მომავალი რეგიონალური თანამშრომლობის პოტენციალი. შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულება ან პროექტი უნდა ემყარებოდეს მრავალმხრივ ანალიზს.

## RESUME

The main objective of the economic security policy is to minimize dependence on those countries and organizations that may adversely affect the sovereignty of the country; receive maximum benefits from bilateral and multilateral relations, if possible, through minimal concession; create solid mechanisms for sustainable development, which will provide an opportunity to improve the social and economic state of the population and ensure the development of instruments of security and national defence capability.

In the regions where economic (and perhaps, political) cooperation is on the high level, small countries have more opportunities to protect their interests and achieve their goals. In this context, for such countries, development of regional economic and cross-border cooperation is of great importance.

Georgia is a party of many international agreements, contracts and projects, also the potential for future regional cooperation is very high, which, together with a positive effect, can be a threat. Accordingly, each agreement or project should be based on the multilateral analysis.

---

## Резюме

Основной целью политики экономической безопасности является минимизация зависимости от тех стран и организаций, которые могут негативно повлиять на суверенитет страны; получать максимальную выгоду от двусторонних и многосторонних отношений, по возможности, посредством минимальной уступки; создать надежные механизмы устойчивого развития, которые дадут возможность улучшить социально-экономическое положение населения и обеспечить развитие инструментов безопасности и потенциала национальной обороны.

В регионах, где экономическое (и, возможно, политическое) сотрудничество находится на высоком уровне, малые страны имеют больше возможностей для защиты своих интересов и достижения своих целей. В этом контексте для таких стран большое значение имеет развитие регионального экономического и трансграничного сотрудничества.

Грузия является участницей многих международных соглашений, контрактов и проектов, также потенциал для будущего регионального сотрудничества очень высок, что, наряду с положительным эффектом, может представлять угрозу. Соответственно, каждое соглашение или проект должны основываться на многостороннем анализе.

---

## ბამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **პატარაია თ.** (2015), „ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“, ჰენრიხ ბიოლის ფონდი.
2. **მაკფარლენი ს.** (2012), „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“, Chatman House.
3. „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი“ (2016).
4. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ (2012), საქართველოს პარლამენტი.
5. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში“, თბ. 2018 წ.
6. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“, საქართველოს მთავრობა.
7. „საქართველო – სომხეთი: ერთობლივი საოპერაციო პროგრამა“ (2014), EU Eastern Partnership Territorial Cooperation (EaPTC).
8. საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ (2015).
9. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.
10. Kakachia K. (2012), "Reinvigorating Cross Border Cooperation in Black Sea Region: Visions for Future", Georgian Institute of Politics.
11. Žaneta Simanavičienė, Andrius Stankevičius (2015) "ECONOMIC SECURITY AND NATIONAL COMPETITIVENESS".
12. Petar Kurecic \_ SMALL STATES AND REGIONAL ECONOMIC INTEGRATIONS IN THE MULTI-POLAR WORLD.  
Regional Differences in the Levels of Integration and Patterns of Small States' Vulnerability
13. Gordon M. Gough (2006) \_ Regional Economic Cooperation.
14. "Cross-Border Cooperation" (2010), Practical Guide, Association of Young Economists of Georgia.
15. "Cross-border Economic Development" (2016), Baseline Study Report, EU Eastern Partnership Territorial Cooperation (EaPTC).
16. "Georgia's Security Challenges and Policy Recommendations" (2012), Policy Brief Number One, Center for Strategic and International Studies.

---

## ავტორთა საყურადღებოდ!

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

—სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

—ნაშრომს სათაურის წინ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი და აკადემიური თანამდებობა;

—ნაშრომს თან უნდა დაერთოს რეზიუმე (10—12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;

—ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Time New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურები-სათვის—12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. : მარცხნივ და ზევიდან 2 სმ, მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ;

ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 7-9 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი A4 ზომის ქაღალდზე ორ ეგზემპლარად, მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი);

სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში;

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას №77

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელეფონი 599 94 01 14

ელ—ფოსტა law@gtu.ge

გამომცემლობა „მერიდიანი“,

აღ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22